ISSN 0132-6031

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

10

1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

280
გამოცემის ოცდამეთთხე წელი

10

ოქტომბერი
1980
თბილისი
სსრ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ასკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად

3. „...და თბილისი ზიგ ჩასული ბადახში“

275 — დავით გურამიშვილი — 275

5. დავით გურამიშვილი — სწავლა მოსწავლეთა. ლექსი
6. ნოდარ ხუნდაძე — გადარჩენა. მოთხრობა

პროზა და პოეზია

14. თედო ბეჭიშვილი — ლექსები
18. გივი ალხაზიშვილი — ლექსები
23. რამაზ კობიძე — ფრონტული ამბავი. მოთხრობა

მხოლოდ ერთი ლექსი

36. ტარიელ ჭანტურია — შინაგარა დოგილის ლექსი; გორგენა ჯაფარლიანი — სიზარბები ზვიგის ფარდიდან; ირაკლი ბაზაძე — დაარქვით მუსიკა; ხოზე ადეიშვილი — (ბედნიერად ჩათვალე ეკლიანი გზა...); დალი ბაზგიშვილი — ფფიქრობ თელეგზე; შალვა ჩირაძე — ცოტნე

42. გოდერძი ბეკიშვილი — ზოგი რამ ფიქრიანი კაცის ცხოვრებიდან. რომანი. ნაწილი პირველი. დასასრული

მხოლოდ ერთი ლექსი

71. ვიქტორ კახნიაშვილი — გადარჩენილი სადღეგრძელი; რინონს კეპარაცხელია — ბახა; ლეონ ალიმოთხაი — ზუხოვრობა; ედემ კვირტია — ხანოვნის თვალსაზიერი

75. ნუგზარ ზერეთელი — მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ. გაგრძელება
93. ლევან სანიაძე — შეარეკვეთ ხმლები. გაგრძელება

275 — დავით გურამიშვილი — 275

108. სარგის ცაიშვილი — დავით გურამიშვილი

წერილები

120. გურამ კანაკაკა — მიხეილ ქვლივიძე
136. ზოთა ლეკვეიშვილი — კიდევ ერთხელ
139. ამირან რობაქიძე — წერილების კრებული

სკკპ XXVI ყრილობის შესახვედრად

141. ომიდი ჯაბუა — ოოფლის სიამაყე

ხელოვნება

147. ნანა ქაკთარაძე — „პასიონები“ ვაფას მიხედვით
152. ალთვანან კინოფარაშვილი — ცცენოგობაში თემურ ნინუა

პირველი შთაბეჭდილება

157. ზურამან მურადაშვილი — „სიყვარულო, ძალსა შენსა“

„ცისარის“ ფოსტა

159. ოთარ შალამბერიძე — ღია გარათი

მთავარი რედაქტორი
ბორის ფოფხიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, გივი გეგეჭკორი, გურამ გვერდწითელი, რისმამ გორდეზიანი, გიორგი გუგლია, ნოდარ დუმბაძე, ვერა ელიოზიშვილი, იოსებ ორგონიკიძე, ედუარდ შენგაბდე.

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ოტია ჯაჯანერია.

გურამ ფანტიკიძე, ნუგზარ შატაძე, ჯანსუღ ჩარაკვიანი, გივი ძნელაძე, ნუგზარ ზერეთელი, თამაზ წივნივაძე, ტარიელ ჭანტურია, რევზო ჭეიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XXVI საქართველოს კომპარტიის შესახვედრად

.....და თბილისი შიგ ჩასმული გაღაცხში"

რაც დრო გადის, სულ უფრო იცვლის იერსახეს, მშვენდება და თვისებრივად ახალი ფერებით ივსება ჩვენი თბილის-ქალაქი — რესპუბლიკის ადმინისტრაციული, სამეურნეო და კულტურული ცენტრი, ქართველი ხალხის, მრავალი ერისა და ეროვნების ძმადნაფიც შვილთა გული, გონება და სიყვარული, პოეტთა სახოტბო, მილიონზე მეტი ადამიანის სამკვიდრო და მილიონთა საუკუნოდ მომჯადოებელი. მართალია, განახლება-ცვლილებებმა, აქა-იქ დაუფიქრებელმა და ნაჩქარევმაც, ზოგი რამ შორეული წარსულისა, რითაც ყოველი კულტურული ერი კანონიერად იამაყებდა, უმოწყალოდ შეიწირა, მოდით, მაინც ნუ ვიქნებით მთლად გულმავიწყნი და უმადურნი. კალენდრის გადაფურცვლის კვალობაზე დედაქალაქი მეტ-ნაკლებად ხომ მდიდრდებოდა ახალი საუცხოო ნაგებობებით, მაგისტრალებით, მხრებს ზლიდა, სულ უფრო ფართოვდებოდა და მაღლდებოდა.

და მაინც ის, რაც სწორედ ბოლო წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის ნამდვილად ყოველდღიური ზრუნვა-შემწეობით, თბილისის პარტიული ორგანიზაციის, ადგილობრივი საბჭოების თავგამოდებითა და ენერგიულობით, მშრომელების, შემოქმედი ინტელიგენციის მტკიცე ხმამაღალი სიტყვის წყალობით, ნააზრითა და მეცადინეობით გაკეთდა, განსაკუთრებით გამოსარჩევია, ჭეშმარიტად განსაცვიფრებელია. დიახ, ასეა, რამეთუ ამდენი სიახლე, უმეტესად კი სიძველეთა აღდგენა-აღორძინება ხანდაზმულებსაც კი არ ახსოვთ. ამიტომაც შარშან (მხოლოდ შარშან მოგვეცა ამის მორალური უფლება ძველი უბნის ძირეული სახეცვლის შედეგად) ორი გენიალური პოეტის პუშკინისა და სულ ახლებური ბარათაშვილის ქუჩების შესაყართან ჩაეყარა საძირკველი გრანდიოზულ დღესასწაულს — თბილისქალაქობას. ეს გახლდათ ახალ საბჭოურ ტრადიციათა და წესჩვევათა დამკვიდრების საუცხოო ნიმუში, რომლითაც ერომანეთს ორგანულად შეენივთა შორეულ ეპოქათა უძვირფასესი მატერიალური, ყოფითი და კულტურული მემკვიდრეობა და დღევანდელობის დამახასიათებელი სიდიადე. ახლა უკვე დამკვიდრებულ სახალხო დღეობებს — შოთაობას, ვაჟაობას, ილიაობას, იაკობობას, ვანოობას, გარეჯობასა და მცხეთობას თავს გვირგვინად დაედგმება თბილისქალაქობა, რომელსაც ყოველწლიურად ვიზეიმებთ. გაცილებით უფრო ფართოდ, მასშტაბურად, გულუხვად გაშლილი სუფრით, მოძმეთა დიდი სტუმრობით, სრულიად საქართველოს მასპინძლობით, სიმღერა-ცეკვითა და სანახაობებით, ლექსითა და თეატრონით, ძველი ყოფის სურნელითა და ჩვენი ეპოქის ყოველი განმადიდებლის წარმოჩენით. აქვე დავძენოთ: ოქტომბერში მოეწყო

ქ. ფოთლის სახ. საქ. ს.ბ.
სახელმწიფო საბუღალტრო
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ხუნდაძე

გადარჩენა

(ციკლიდან „მირგოროდის ღამეები")

დაღლილ-დაქანცული, პერანგ-შემოფლეთილი დავითი ტოტებგაბარჯ-ღულ ხეს ზურგით მიეყრდნო და თვალები დახუჭა. ხელის მტევნები და მუხლქვეშით შიშველი წვივები ეკალს დაესერა და ისე ეწვოდა, თითქოს ცეცხლი შემოზნეებიაო.

გეშდაკარგულსა და სასოწარკვეთილს არაფრის თავი აღარ ჰქონდა, შიშველით გასავთებულს, ნაბიჯის გადადგმაც უჭირდა.

თორმეტი დღის უგზო-უკვლოდ ხეტიალს ისე დაოსებინა, თვალში ძლივს იხედებოდა.

ქვეცნობიერად გრძნობდა, რომ მის არაადამიანურ ტანჯვას ბოლო უნდა მოღებოდა, მაგრამ ამ გრძნობას საკუთარი მუხთალი ბედისადმი უნდობლობა უჩლუნგებდა.

ტყეეობიდან პირველად რომ გამოიქცა, შეიპყრეს, იმდენი ურტყეს, ძვალრბილი გაუერთიანეს და ორმოში ჩაგდეს.

იმ ავდარმა, ჭექა-ქუხილმა, მეორედ გამოპარულს გზაზე რომ მოუსწრო, კინაღამ იმსხვერპლა. გამოქვაბული რომ არა, ნამდვილად დაიღუპებოდა.

შიმშილით სული რომ ხდებოდა, შემთხვევით ნაპოვნი ორი ცალი დამეღნარი კიტრიც წყალმა წაართვა.

ახლა აღარაფერს დაგიდევდათ, დაღლილ-დაქანცულს მთელ სიცოცხლეს ერჩია სადმე წამოწოლილიყო და გამოეძინა.

თავი უღმერთოდ სტკიოდა, უძილობისგან თვალები ეწვოდა და წამდაუწუმ ეხუჭებოდა.

აქვე მიეგდებოდა, ამ დიდჩრდილიანი ხის ძირას, და სანუკვარ ძილს მიეცემოდა, მაგრამ...

ზანტად მიმოიხედა.

მოშიშვლებული ადგილი იყო, ვერ შეინიღბებოდა. ნებისმიერ გამვლელს შეეძლო ყურადღება მიექცია და ვაითუ ისევ უბედურებას გადაჰყოლოდა.

მიტრიალდა და ეხლა მეორე მხარე დაზვერა.

უცებ ელდა ეცა.

თავდაპირველად ვერ გაარკვია, შიშისა იყო ეს ელდა თუ სიხარულისა.

ერთხანს გაოცებული იდგა, პირდაღებული და თვალებდაჭყეტილი.

მცირე ბორცვზე, ათიოდე ნაბიჯის იქით რომ იწყებოდა, ნაყოფით დახუნძლული ატმის ხეები შენიშნა.

ადგილიდან მოსწყდა, ატმის ბაღისკენ გაქანდა.

ეგონა, ქარის უსწრაფესად მივქრიო.

სინამდვილეში კი სხეულს ძლივს მიათრევდა.

დაეკეცილი ფეხისგულები საშინლად ტკიოდა და ძლივს მიფეხუცობდა.

განა მხოლოდ ფეხები — მთელი სხეული დაბეჟილ-დაჩეჩქვილი ჰქონდა.

თუმცა ახლა ამას არად აგდებდა. მშიერი კუჭის დაპურების მოულოდნელად გაელვებულ იმედს მისთვის ფრთები გამოესხა და ბაღისკენ მიაქანებდა.

ატმის ბაღს რომ მიუახლოვდა, ელდა-ნაკრავივით შედგა და რიგებს ელვის სისწრაფით შეავლო თვალი. ტანმორჩილ, ბუჩქად გაზრდილ ატამს არც ერთი ცალი ნაყოფი აღარ შერჩენოდა — უკვე მოლეულიყო.

მაშ შორიდან რად მოეჩვენა ნაყოფით დახუნძლული?

აი, ესეც ხომ მუხთალი ბედის დაცინვაა, სხვა არაფერი!

გული დაეშანთა, თვალთაგან ცხარე ცრემლები წასკდა.

უანგარიშოდ გაპყვა ბაღის ნაპირს.

ერთგან ტოტზე შერჩენილი ბერი ნაყოფი შენიშნა. მოწყვიტა და ხარბად ჩაკბინა. უგემური იყო, თუმცა მაინც სიამოვნებით შეექცა.

გზა განაგრძო.

იმ ერთმა ცალმა ატამმა კიდევ უფრო გაუღვიძა მადა. შიმშილმა კუჭს ახალი ძალით შეუტია.

მიდიოდა და თვალგაფაციცებით ეძებდა, იქნებ კიდევ ერთი ცალი მაინც ვიპოვო.

ანაზდად ვაზის ხორკლიან ტანს წამოედო. მაღლა აიხედა — ხშირტოტებიან ხეზე ვაზი გაბარდულიყო. მზის სხივებით შეფერილი ყურძნის შავი მტევნები მიმზიდველად ღიმოდნენ ზემოდან.

ხე საკმაოდ მაღალი და უხვტოტებიანი იყო.

არც გახსენებია, რომ სალავათი გასცლოდა, ეკლით დასერილი ხელ-ფეხი ტკიოდა, — დაიძაბა, ხის ტანს ფეხები შემოაჭდო, ვაზის მაჯისსიმსხო ლერწ ხელები ჩასჭიდა და მაღლა ნელა აპყვა.

ხის ტოტზე საიმედოდ რომ მოკალათდა, ყურძენს ხაობად მიეტანა.

ოდნავ რომ დანაყრდა, მერმეღა იგრძნო — ყურძენი უგემური იყო, ჩვენებურს ვერ შეადარებდი. თუმცა ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა — მთავარი ის იყო, რომ კუჭი გამოიძღო! გარეშეს, დასათვალიერებლად მერეღა მოიცალებ.

დაახლოებით ორასი ნაბიჯის დაშორებით საკმაოდ განიერი მდინარე გაწოლილიყო. მდინარის ნაპირს გაღმა-გამოღმა ისლი მოსდებოდა. ისლი მაღალი და ხშირი იყო.

უფრო იქით, სტეპის სიღრმეში რაღაც შენობა ჩანდა. ის შენობა ეკლესია უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვერც სვეტიცხოველს მიამსგავსა, ვერც ჯვარსა და ვერც ზედაზნის მთაზე აღმართულ წმინდა იოანეს ტაძარს.

გამოღმა მხარეს, ოდნავ დაბლა, კალო ჩანდა. კალოზე ხალხი იროდა, ძნებაღ შეკრულ ხორბალს შესეოდა. ზოგი საცეხველს იქნევდა, ზოგიც ფიწალს.

„ვინ არიან?“ — ტკივილივით გაპკრა ფიქრმა.

არაადამიანურ ძრწოლას იმდენად გაეველურებინა, კაცის დანახვა თავზარს სცემდა.

ბუნებით კაცთმოყვარე იყო, მარტოობა და განდეგილობა ბავშვობიდანვე სძაგდა.

ახლა კი იმაზე ლოცულობდა, ნეტავ არავის გადავეყრებოდეო.

ადამიანი მხეცზე უფრო სასტიკ მტრად წარმოედგინა.

ხეზე შეყუჟული კალოსკენ თვალგაფაციცებით იცქირებოდა და ცდილობდა გამოეცნო, რა სარწმუნოებისა და ეროვნებისანი იყვნენ კალოზე მომუშავე ადამიანები.

კარგა ხნის ფიქრის შემდეგ არჩია საფრთხეს გარიდებოდა. დღის სინათლით მათთან გამოჩენა სიკეთეს არ მიქადისო, დაასკვნა და თვალით სამალავს დაუწყო ძებნა. მერმე ყურძნის მტევნებით უბე ამოიტენა და დაბალ დაეშვა.

თავი მახლობელ ბუჩქნარს შეაფარა. მიწაზე გაიშოტა და წამსვე მკვდარივით ჩაეძინა.

...ეზმანა, თითქოს ისეთივე მეხთატეხა დაწყებულიყო, ჯურღმულიდან თავის

ნოდარ ხუნდაძე
გადმოგვცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღწევის მესამე ღამეს რომ კინაღამ იმახვერპლა. ცა და დედამიწა ირყეოდა, მიდამოს ზანზარი გაუდიოდა, კლდეთა-გან მოგლეჯილი ლოდები გრიალით მი-ილტვოდნენ თავქვე და შემუსვრას უქა-დდნენ.

უცებ დაფეთებული წამოვარდა.

მიხვდა, რომ სიზმარს შეეშფოთებინა ასე უღმერთოდ. სასწრაფოდ პირჯვარი გადაიწერა, მერმე იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო და თავი ხელებში ჩარგო.

ყურებში ისევ ის საზარელი გუგუნი ედგა. სხვა არაფერი ესმოდა.

ერთხანს ასე იჯდა გაოგნებული.

ბოლოს უბიდან უანგარიშოდ ამოიღო ყურძნის მტევანი და ჭამა დაუწყო.

სმენა რომ დაუბრუნდა და შემზარავი გუგუნი ჩაწყნარდა, საეკლესიო ზარების ნაცნობი რაწკუნი შემოესმა.

მტევანი მოისროლა, ყურძნის მარცვლები პირიდან გამოჰყარა.

— ღმერთო დიდებულო! — აღმოხდა, მუხლებზე დაეცა, აჩქარებით მოკუცა პირჯვრის წერასა და ლოცვას.

გაღმიდან კი კვლავ ისმოდა ზარების წკარუნი, დავითისთვის ასე შმობლიური და მახლობელი რომ გამხდარიყო.

ლოცვით გული რომ იჯერა, წელში მოხრილი ბუჩქნარს გაერიდა და ხალხს დაუწყო თვალიერება.

ქალებს უცნაური თავსაბურავი ეხურათ, თავსაფრის ბოლოები ისე გამოენასკვათ, შორიდან დევის რქებს მიგავდნენ.

დავითი დადრკა. გულში შეპარულმა შიშმა თავისი გაიტანა — მახლობელ ლელიანს მიაშურა: დადამებამდე დავიცდი და მერე რაც მოხდება, ღვთის ნება იქნებაო.

ლელიანში მიწა ნესტიანი და გრილი იყო და სიამოვნებდა, შიშველი ფეხებით შიგ რომ ეფლობოდა.

ლელის რამდენიმე ბუჩქს ხელი მოსტაცა, მიწაზე წაადგინა და ქვეშ რბილი ლეიბივით გიგო. ის იყო, დაგორდა და თვალის მოხუჭვა დააპირა, რომ ერთ-ბაშად კოღოების ლაშქარი დაეხვია. უამრავი კოღო წუილ-ბუზუნით, ალმა-და, ყურსა, ცხვირსა და პირში უძარ-ბოდნენ, სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდნენ. თითქოს იმით გაბრაზ-ებულნი, მყუდროების დარღვევა როგორ გაგვიბედაო, თავგამეტებით კბენდნენ. დავითი თავს გამწარებით იქნევდა. ხელებით ცდილობდა კოღოების მოგერი-ებას, მაგრამ ვერაფერს ხდებოდა.

რაკი სასო წარეკვეთა და დაარწმუნდა. კოღოებთან ბრძოლა ამაო იყო, ლელია-ნიდან გიჟივით გამოვარდა და ხალხს მიაშურა.

კოღოების ლაშქარი კარგა ძალზე მტვრის ბუღივით მიჰყვა თან, მერმე კი მზის მცხუნვარებით შემკრთალნი ისევ თავიანთ საბუდარს მიუბრუნდნენ.

ისედაც დაუძლურებულ დავითს არა-ქათი სრულიად წაერთვა და ნაწვერალ-ზე გონმიხდილი დაეცა.

●

თვალი რომ გაახილა, გარს ხალხი ეხვია.

ქალებს თეთრი თავსაფრები ეხურათ და სრული, ნაოჭებიანი ჩითის კაბები ეცვათ, პერანგისამარა კაცებს კი ფარ-თხუნა შარვლის ტოტები წინდებში ჩა-ეტანებინათ. ყველანი მას მისჩერე-ბოდნენ.

დავითმა ხალხს უაზრო მზერა მოავ-ლო და თვალები ისევ დახუჭა.

ვიღაცა დაიხარა, თავი წამოაწევინა და წყალი დაალევინა.

არა, წყალი კი არა, რძე იყო, ჩვეუ-ლებრივი ძროხის რძე, ტკბილი და სა-ამი, როგორიც არაერთხელ დაულევია დავითს.

— Дай ему хлеба, Лазарь! — გაიგონა დავითმა იმ კაცის ხმა, თავს რომ წამოსდგომოდა.

„ხლება...“ — დავითს ეს რუსული სიტყვა მრავალგზის გაეგონა. მაშასადა-მე, სარუსეთოში მოხვედრილა, ქრისტი-ანებთან, და არავითარი საფრთხე აღარ მოელის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიჩარულისგან სუნთქვა შეეკრა, მუხლები აუცახცახდა. წამოჯდა და ხმამაღლა აქვითინდა.

ახლა ერთმა ხანშიშესულმა ქალმა დაუყვავა, პავშვივით მიუალერსა.

დავითმა ქალს ახედა და მის მკერდზე დაკიდებულ ჯვარს დაადგა თვალი.

წამოვარდა, ჯვარს ხელი სტაცა და რამდენჯერმე მხურვალედ ემთხვია. შემდეგ მუხლებზე დაეცა და ლოცვასა და პირჯვრის წერას მოჰყვა.

მერმეღა შენიშნა, რომ ყველას, ვინც გარს ეხვია, მკერდზე ჯვრები ეკიდა, ისინიც მასთან ერთად ლოცვას ბუტბუტებდნენ და პირჯვარს იწერდნენ. ქალები შიგადაშიგ სლუკუნსაც გამოურევდნენ და თავსაფრის ყურით ცრემლს იწმენდდნენ.

პური მოუტანეს.

აჰა, ამდენი ხანი გასულიყო, ლუკა არ ჩაედო პირში, პური სუნი მონატრებოდა, მაგრამ ახლა აღარც შიმშილი ახსოვდა და აღარც გადატანილი გაჭირვება. გარს ადამიანები ეხვივნენ და ეს ადამიანები მტრები როღი იყვნენ, შეპყრობითა და ცხრა მთას გადაღმა გადაკარგვით როდი ემუქრებოდნენ, კეთილმოსურნედ უღიმოდნენ და მისთვის გაუგებარ ენაზე რაღაცას ეუბნებოდნენ. მართალია, არ იცოდა ცალკეული სიტყვების მნიშვნელობა, მაგრამ ნათქვამის აზრს მაინც იგებდა — ნუ გეშინია, ქრისტიანები ვართ და არაფერს გაგიჭირვებთო.

დიახ, ჭამის თავი სულაც არ ჰქონია. მაგრამ პურს მაინც დაუწყო ლოღნა — აჭაოდა, კეთილისმყოფელთ გული არ ვატკინოო.

ერთმა მაღალმა, მხარბეჭგანიერმა კაცმა, დავითს განსაკუთრებული გულისხმიერებით რომ ეპყრობოდა, უთხრა:

— Мы Казаки! — შეკრებილებზე ხელით ანიშნა. — Казаки!

— კაზახი! — გაიმეორა დავითმა.

— Я Михайло! — უთხრა კაცმა და მკერდზე ხელი მიიდო. — Ми-хай-ло!

— მიხაილო! — გაიმეორა დავითმა.— მე დავითი მქვიან, და-ვი-თი! — თვითონაც დამარცვლა თავისი სახელი.

— Давид! — გაიცინა მიხაილომ და მხარზე ხელი დაჰკრა. — Да? — ჩაეკითხა.

— და, — თავი დაუქნია დავითმა.

მიხაილო სანდომიანი შესახედაობის კაცი იყო — მაღალი შუბლი და საოცრად მეტყველი თვალები ჰქონდა. ქერა თმა მოკლედ შეეჭრა, მზემოკიდებული სახე წამდაუწუმ უღიმოდა.

— Кто ты, откуда? — ისევ ჩაეკითხა მიხაილო.

დავითი მიხვდა, რასაც ეკითხებოდა, მაგრამ პასუხის გაცემა არ შეეძლო. მხოლოდ ესღა მოახერხა.

— გრუზინ... — და უხერხულად გაღიმა.

— Грузин? — აღმოხდა მიხაილოს და მაშინვე შორიახლო მდგომ ყმაწვილს მიუბრუნდა. რაღაც სხაპასხუპით უთხრა. მისი სიტყვებიდან დავითმა მხოლოდ „ინვარა“ გაარჩია. ყმაწვილი გატრიალდა და გაიქცა.

ხალხი კალოს მიუბრუნდა, ფიწლები და საცეხველები დაატრიალეს. დავითი იჯდა და პურს ნელა ილუკმებოდა. იგი კალოზე მომუშავეთ გასაცქეროდა და უკატრონოდ დარჩენილ თავის ყანაზე, თავის მწარე ხვედრზე ფიქრობდა. ბოღმა შემოაწვა. მაგრამ კალოზე მომუშავე ქრისტიანების სიახლოვემ გული იმედიანად აუძგერა.

ნუთუ ბოლო მოეღო მის ტანჯვას? ნუთუ კვლავ შეძლებს მშობლიურ კერას დაუბრუნდეს და თავისი მოძმენი იხილოს, ადამიანურად იცხოვროს მათთან ერთად?

მხსიენებმა არ იციან, რა ბედი ეწია დავითს. ალბათ, მიხვდებოდნენ, რომ ლეკებმა გაიტაცეს, მაგრამ ისეთი არავინ ჰყავდა, მის კვალს დასდგომოდა. ერთადერთი ადამიანი, ვისაც დავითისთვის საკუთარი სიცოცხლის გაწირვა შეეძლო, ქაიხოსრო იყო, მაგრამ ისიც

ნოდარ ხუნდაძე
გადმოგვცემა

სადღაც იყო გადაკარგული და უმცროსი ძმის ამბავს რას გაიგებდა.

თუკი დავითს ბედი კიდევ რაიმე ხიფათს არ უმზადებს, თუ ნამდვილად ეღირსა სანუკვარ თავისუფლებას, თვითონ იპოვის უფროს ძმას. თუ ღმერთმა ხელი მოუმართა, უცილობლად იპოვის.

ახლა კი იმ ეკლესიაში უნდა შევიდეს, წყალგაღმა, გორაკზე რომ აღმართულა, გადარჩენისთვის უფალს მადლი შესწიროს და ილოცოს, რომ მამულში დაბრუნება აღირსოს.

მაგრამ შეძლებს კი ამას? — მდინარე განიერია და დაუძლურებული დავითი ვერ დადასცურავს.

წამოდგა, მდინარისკენ კოჭლობით წავიდა.

ლელიანი განვლო და ნაპირს გახედა. მახლობლად ნავი შენიშნა. ჯერ გადაწყვიტა, ნავი აეხსნა და გაღმა გასულიყო, მაგრამ გადაფიქრა. უკან გამოტრიალდა, ისევ კალოს მიეახლა. თვალი მიხაილო მოძებნა. ნახა თუ არა, ამ კაზაკმა უმალ მოიგო დავითის გული. ასე ეგონა, დღეს პირველად კი არ შეეხვედრივარ, დიდი ხანია ვიცნობო.

მიხაილო საცეხველს მარჯვედ იქნევდა და თავისანებს ხმამაღლა უყვებოდა რაღაც ამბავს.

ხალხიც შეუჩერებლივ საქმიანობდა და ხანგამოშვებით ისეთი ხარხარი ატყდებოდა, გარემის აყრუებდა.

დავითი შორიახლო იდგა და უაზროდ იღიმებოდა.

— Что, Давид? — ჰკითხა მიხაილომ, ამბის მოყოლას რომ მორჩა.

დავითმა ხელი ეკლესიისკენ გაიშვირა.

— მინდა ვილოცო, — და პირჯვარი გადაიწერა.

— Подожди немного.

დავითმა ვერ გაიგო, რა უთხრა კაზაკმა, მაგრამ გუძანით მიხედა, რომ მიხაილო სურვილს შეესრულებდა.

ამასობაში მზე გადაიწვერა.

სტეპიდან ნიავმა დაჰქროლა და ერთბაშად აგრილდა.

თითქმის დედიშობილა დავითი ხალვეგმ აიტანა.

მიხაილომ მუშაობას თავი ანება, კალოს მახლობლად დაყენებულ ორთვალასთან მივიდა, საჯდომზე დაფენილი დაბებკილი ხიფთანი დავითს გადაუგდო:

— Вижу, ты замерз, Давид.

დავითმა მადლიერად შესცინა, ხიფთანს ხელი დასტაცა და შიგ გაეხვია.

მიხაილომ თავისიანებს რაღაც უთხრა და დავითს ანიშნა, გამომყეო.

მდინარის ნაპირზე ჩავიდნენ. მიხაილომ დავითი ნავში ჩასვა, მერმე ნავი ახსნა და წყალში შეაცურა.

ნიჩბებს ნელა უსვამდა, დავითს ცნობისმოყვარედ უცქერდა, თან ისე უღიმოდა, შემცრთალ ბავშვს დასამშვიდებლად რომ უღიმიან უფროსები.

დავითს სიამოვნებდა ამ პრგე, ოდნავ მოუხეშავი კაცის დიდრონი, გულუბრყვილოდ მაცქერალი თვალებისა და მზეგამოკიდებული, დამტვერილი სახის ყურება. მისი ღრმა ოქროსნი, ამ თვალების პატრონი მოწყალე და ჩვილი გულის ადამიანი უნდა ყოფილიყო.

გაღმა რომ გაეიდნენ, მიხაილომ ნავი ალაოტანს გამოაბა და დავითი ეკლესიისკენ წაიყვანა.

გურამიშვილი მიხაილოს მისდევდა, ეკლესიის თვალმოუშორებლივ გასცქეროდა, თან ლოცვას ბუტბუტებდა.

კაზაკი გარეთ დარჩა — დავითი მარტო შეუშვა ეკლესიაში, იცოდა, განაწამებ კაცს ღვთის წინაშე მოწმე არ ესაჭიროებოდა.

ეკლესიიდან რომ გამოვიდა, გარეთ მიხაილოს ვარდა, ის ყმაწვილიც დახვდა, წელან კაზაკმა სადღაც რომ გაგზავნა, და კიდევ ერთი შუახნის კაცი, რომელიც იერით ქართველს ჰგავდა.

შუახნის შავგრეხან ვაჟკაცს ნახშირისფერი ბურჩხა თმა, მოკლე, კოპწია ულვაშები, საოცრად შუქიანი თვალები, კეხიანი ცხვირი და ღრმულიანი ნიკაპი ჰქონდა.

კაცი დავითს ისე უცქეროდა, თითქოს

მოულოდნელად ძველთა

— შრომობენ, ცხოვრობენ, თუ ხელის გაქანება არ დაგეზარება, კაცი თავს ყველგან შეინახავ.

— საიდან გაჩნდნენ აქა? — დავითი გრძნობდა, რომ თანდათანობით ღიზიანდებოდა, მოთმინებიდან გამოჰყავდა იანვარას გულგრილ, ყველაფერს შერიგებული ადამიანის კილო.

გრძნობდა, იანვარა ის პირველი ქართველი რომ არ ყოფილიყო, ვისაც აქ ეცხო მხარეში შეხვდა, ნამდვილად შეროისხავდა. ახლა კი რაღაც ძალა თავს აკავებინებდა და მოთმინებით განაგრძობდა მასთან მუსაიფს.

— სულ ტყეეყოფილები არიან — ყირიმიდან, ყაბარდოდან, ლეკეთიდან გამოქცეულები.

— მერე?

— მერე — არაფერი. აქაური ქალები შეირთეს, ოჯახები მოაწყვეს და არიან..

არა, დავითს ასე ყოფნა არ უნდა. უკან უნდა გაბრუნდეს, თავის მამულში. წინასწარ რომ იცოდეს, ისევ ჭრის და უბედურება მომელისო, მაინც უკან გაბრუნდება.

— პირველად მეც გაოცებული ვიყავ, — ფიქრის ძაფი გააწყვეტინა იანვარას ხმამ, — აქ როგორ სძლებენ-მეთქი. მერმე შევეჩვიე, შენც შეეჩვევი...

— არა, ჩემო იანვარა. — უთხრა ნაგვიანევად დავითმა, — ვერ შევეჩვევი... ჩემს ქვეყანაში სიკვდილი მირჩევნია სხვაგან ფუფუნებით სიცოცხლეს.

იანვარამ ჩაიცინა, თქმით კი არაფერი უთქვამს. თუმცა დავითი მიხვდა, რაც გაიფიქრა ფხოველმა: ღრო რომ გაიელის, სხვაგვარად აჭიკჭიკდებიო.

— ჯერ ვახტანგ მეფე უნდა ვნახო,— თითქოს თავისთვის თქვა დავითმა. — თითქმის ექვსი წელიწადია მოსკოვში იმყოფება.

— ამას წინათ სოლაღს ვიყავ, ჩემს ბაჭარს ვახლდი. იქ ქართველები შემხვედნენ. იმათგან გავიგე, მეფის საქმე ძალიან უიმედოაო. ან რა უნდა იყოს საიმედო, როცა რუსთხელმწიფეს საკუთარი საზრუნავი იმდენი აქვს, ჩვენთვის ვერც მოუცლია...

სამშობლოში დარჩენილი ვახტანგ მეფის ერთგული თითო-ოროლა თავადიც ამას ამბობდა. საიათოდ უკმაყოფილნი იყვნენ, რომ მეფემ ამდენი ხნით მიატოვა სამკვიდრო და თავისი ხალხი. თუმცა, ვინ იცის, რამდენად სამართლიანია ადამიანს უსაყვედურო, სამშობლო რად მიატოვეო, თუკი სხვა გამოსავალს ვერ ხედავს. ვახტანგს კი ნამდვილად არ ჰქონია სხვა გამოსავალი. მას შემდეგ, რაც ვახტანგს ტახტი წაართვეს და კახთ-ბატონ კონსტანტინეს უბოძეს, ხოლო ერის მოსისხარმა თავადებმა ძმათა შორის შური და უნდობლობა ჩათესეს, რამაც გაუთავებელი შინაგანი აშლილობა და სისხლისღვრა გამოიწვია, ქვეყანა გააჩანაგა და მოძალებულ დუშმანს ხელში ადვილად ჩაუგდო, — ვახტანგ მეფეს ერთმორწმუნე რუსეთის იმედიღა ასულდგმულებდა. ახლა ადვილია განსჯა, მაგრამ მეფის მდგომარეობაში ჩავარდნილ კაცს უკეთესი გამოსავალი იქნებ ვერც ეპოვნა.

— ჯერ მეფე უნდა ვნახო... — გაიმეორა ოცნებაში ჩაძირულმა დავითმა.

— მაშინ აქედან სოლაღს უნდა წახვიდე, მერმე აშთარხანს გადახვალ და იქიდან ვოლგით მოსკოვს გაემგზავრები...

არა, ახლა დავითს არ ჰქონდა მგზავრობის გეგმის შედგენის თავი. ახლა მთავარი იყო, დაესვენა, ძალა მოეკრიბა და ამაზე მერე იფიქრებდა. თუმცა რომელ მგზავრობაზე უნდა ილაპარაკოს, როცა ჯიბეში ყურგახვრეტილი გროშიც არ უდევს.

სტანიცაში შევიდნენ.

ქუჩის ორსავე მხარეს ხიმინჯებზე შეყენებული პატარა, კოპწია სახლები ჩამწკრივებულიყო. იცლისსახურავიან სახლებს მოჯიირიანი კიბეები და ლამაზრიკულებიანი აივნები ჰქონდათ.

— Вот и мой дом, Давид, — უთხრა გურამიშვილს მიხაილომ, აქამდე უხმოდ რომ მიაბიჯებდა და ღიმილით

ისმენდა ახალგაცნობილი ორი ქართველის გაცხარებული საუბარს.

იანვარას უნდოდა, დავითი თავისთან წაეყვანა, მაგრამ მიხაილომ არა ჰქნა — დავითი ჩემი სტუმარია და ჩემთან უნდა დარჩეს, შენც მობრძანდი და საუბარი შინ განვაგრძოთო.

— ხვალ მდივანბეგთან უნდა მიგიყვანოთ, — უთხრა იანვარამ დავითს, ხელი გამოსდო და სახლისკენ წაიყვანა.

— რატომ? — დავითს გულში უნებური შიში შეეპარა.

— ასეთი წესი არსებობს — ვინც აქ თუნდაც რამდენიმე დღე დარჩება, მდივანბეგს უნდა წარუდგეს და თავისი ვინაობა მოახსენოს.

— ვაითუ ლეკებს შეატყობინოს, რომ...

— არა, — გაეცინა იანვარას. — საღ გაგონილა, ქრისტიანს ქრისტიანი ურჯულოს ხელში ჩაეგდოს!

დავითი დამშვიდდა.

რამდენიმე საფეხურიანი კიბე აიარეს და ოთახში შევიდნენ.

დავითმა ოთახი მოათვალიერა. ერთ კუთხეში სანთელი ბჟუტავდა, კედელზე ღვთისმშობლის ხატი შენიშნა და პირჯვარი გადაიწერა. მეორე კედელზე მასპინძლის საომარი იარაღი — თოფი, ლეკური და დამბაჩა, გვერდით კი წითელი ჩოხა და ბოხოხი ეკიდა.

— ესენი გრეგენის კაზაკები არიან, საიმეღდო და მამაცი ხალხი, — უთხრა იანვარამ. — არაფერს გაგიკვირვებენ.— გვერდით მჯდომ მიხაილოს ხელი მხარზე დაჰკრა და რუსულად უთხრა რაღაცა.

მეორე ოთახში გასასვლელი კარი გაიღო და დიასახლისი გამოჩნდა. ეს ის დედაკაცი იყო, დავითს კალოზე შვილივით რომ ეკლებოდა თავს.

ხელში ნარმის ქათქათა პერანგი, წელსა და ტოტებში რეზინგაყრილი შარვალი და ახალთახალი წუღები ეჭირა.

დავითს გვერდით დაუწყო, გაუღიმა და უთხრა:

— Это тебе, переодевайся.

— ჩაიცვი, შენ მოგართვა, —იანვარამ პერანგი აიღო და დაბნეულ დავითს გაუწოდა.

— უთხარი, ამოდენა სიკეთეს მე ვერ გადაგიხდით, მაგრამ ღმერთი დაგიფასებთ-თქო.

იანვარამ დავითის სიტყვები მასპინძლებს უთარგმნა.

მიხაილო უსიტყვოდ იღიმებოდა, ქალმა კი ხელი ჩაიქნია — ეს რა დიდი ამბავიაო, — და მეორე ოთახში გაუჩინარდა.



თეიმურ გეკიშვილი

ვარიანტი ეპიგრაფისათვის

„მარტო ვარ, მარტო ვიმღერი,
არავინა მყავს მობანე“... ეს სიტყვები
საქართველოს ეპიგრაფად
გამოდგებოდა...

სულ მარტოდმარტოვ,
უთვისტომოვ, უნათესავოვ,
ოთხივე მხრიდან აღელვებულ ზღვას
შერჩენილო,
შორეული ნაპირის ციმციმს
მაინც ხედავენ შენი თვალები,
მაინც სანთელი კელაპტარობს,
ნიავქარობს ზღვასთან მოდავე
დოლბიანი შენი მარჯვენა...
მერე რაა რომ მარტო იმღერი?
მარტოობა თუ გერგო წილად,
იქნებ ესეც რჩეულთ ხვედრია?
თითოოროლა ლომი ბდღვინავს
უდაბნოებში,
ხოლო კურდღელი ყოველ ბუჩქთან
წამოფრინდება...
შენ ძლიერი ხარ მარტოობით,
ერთადერთობით,
თავისთავზე მხარმიყრდნობილი
მძლავრი ფესვებით
გადარჩენის ნექტარს ისრუტავ.

შენ მობანე არა გყოლია,
მაგრამ მუდამ გყავდნენ მსმენელნი;
ამ მოძახილზე
ზოგჯერ „წყლით ქვანიც
გამოსხდიან“
და ალბათ ღმერთსაც
ხშირად ესმოდა სიმღერა შენი —
„მარტო ვარ, მარტო ვიმღერი,
არავინა მყავს მობანე“...
სამშობლოვ ჩემო, შენ კი არა,
ამ სამყაროში თვით დედამიწაც
თვისტომთმძებნელი, მარტოდმარტო
მიდის თავისთვის...

●

ზოგჯერ მგონია,
თითქოსდა არ ვარ,
თითქოს დაკარგულს
თავისთავს ვეძებ,
ვეძებ, როდესაც მარტოკა ვდგავარ,
ან როცა რიგში ჩავდგები რძეზე,
როცა საქმეზე ვურეკავ მავანს,
როცა ვსვამ ღვინოს, ანდა ვსვამ
ყავას —
თავისთავს ვეძებ,
თავისთავს ვეძებ...

ანუ მტვერს —
ქარმა რომ მიმოფანტა,
რომ მოაბნია სოფელს და ქალაქს...
ლამის ტკივილმა ამხადოს ქალა —
რაც აღარა ვარ იმას დავეძებ.

დავეძებ ბნელში,
დავეძებ მზეზე...
დავეძებ არა სიხარულს — არა,
დავეძებ არა სიყვარულს — არა,
დავეძებ არა სიმშვიდეს — არა,
თავისთავს,
მხოლოდ თავისთავს ვეძებ.

თუმც კარგად ვხედავ ორივე
თვალით —
სად იდგნენ მთანი, კვლავ იქვე დგანან,
კვლავ დაღმართისკენ მიქანავს წყალი,
ნყლისპირს მზისგულზე ლივლივებს
ყანა.

ვხედავ, ჭალაში ნავარდობს კვიცი,
ვხედავ ბილიკზე მიმავალ მხედარს,
ვხედავ მოძრაობს. კაცია, ვიცი,
მაგრამ კაცს თვითონ ვეღარსად
ვხედავ...

ვეღარსად ვხედავ რაკი მე არ ვარ
სულით-ხორცამდე საკუთარ თავთან.
ეს მზის სხივებში მბზინავი ქარვაც
ყანაა, მაგრამ არ ისხამს თავთავს...

ახლა მე არ ვარ.
ახლა სიტყვებიც
ქარს მიაქვს როგორც სნეულის
კვნესა...
მიდი და ჰკითხე, რა იცის ქარმა,
ვის ტკივილს კვნესის, ვის მახვილს
ლესავს!

ისევ ზუზუნებს ზენა და ქვენა,
რამდენი ცრემლი შეიშრო ქარმა...
მტვერი რომ მიაქვს, ეს მე ვარ მტვერი.
ზე ვეფინები ყანების ქარვას...

ძუძუდაშრეტილ დედა ბუნებას
ვავედრებ ყოფნას დაშლილს და
მზებნელს,
შევთხოვ აქ მოსვლას, აქ
დაბრუნებას —
თავისთავს,
მხოლოდ თავისთავს ვეძებ!

●

ვიცი, გაზაფხულის მოსვლას
ჩემზე ადრე გებულობ,
გენატრება წასვლა სოფლად
გაქალაქელებულო.

აღარა გრძნობს ტერფი მიწას.
თვალი ზეცას — საფირონს,

ეს გალია მე დაგიწან,
სულ ჩემს გამო მარტვილობ.

ფიქრში სხვაგან მოწრიალევ,
ფიქრში გამოკეტილო;
შორს აპრილი მობრიალებს...
ცოტაც კიდევ, დედილო!

●

მოწყენისთვის კმარა —
რაც მინდოდა — მიდის;
ჟოველივეს ფარავს
წუთისოფლის ბინდი.

ვინ მიწვდება თავანს
დამსხვრეული ფრთებით...
აჯაგრულან ავად
საქართველოს მთები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომისას ჯაჭვი ჰკიდია
ის არვინ იცის, ვისია...

(ძველი მთიულური სიმღერა)

ლომისას ჯაჭვი ჰკიდია,
შვიდკეცი, შვიდი მხარი,
ლომისას ჯაჭვი ჰკიდია,
მე ვიცი, ვისიც არის;
ჯაჭვი შეჭმული ჟანგით,
მთიულეთისა ფარი...

ლომისას ქარი ქვითინებს,
ცრემლები დასდის ცხარი —
მოყმესა მაგის პატრონსა
გამოსჯარვია კარი...

შვიდი დავუკლათ კურატი,
შვიდი, შვიდი წლის ხარი,
შვიდჯერ ვევედროთ ლომისას —
შვიდჯერ დავრეკოთ ზარი;

შეგვაძლებინოს მძლეველმა,
ლაღად გავშალოთ მხარი,
რომ მოყმე შავეთს ჩასული —
ცოცხალთ არ გვჯობდეს მკვდარი!

კითხვა-პასუხი

როგორ ვიცხოვრო?
აი, კითხვა,
რომლის პასუხის ძიებაშიაც
ცხოვრებამ უკვე ჩაიარა!..

ჩანს, რომ მთავარი კითხვაა და
არა პასუხი.

მთიულეთი

(ეთნოგრაფიული ესკიზი)

მწირია მხარე მშობლიური:
მეჩხერი მთები,
არაგვისგან შეჭმული ჭალა,
ჩამორეცხილი ფერდობები,
ნაყანარები,
ყამირებში ჩამომდგარი თივის
ზვინები...

მოხუცი მწყემსი
კოლექტივის მიჰყვება ფარას
და ფიქრობს შვილზე
ქალაქმა რომ გზები აუბა.

მწირია მხარე მშობლიური.
ვაშლის ხეებზე ზაფხულის ხვატში
მხოლოდ ჰამაკს თუ გაჭიმავს კაცი
და ბოსტნეულიც იმდენი მოდის
მარტოდენ მწვანედ ახურავს მიწას...

მე ასეთს ვიცნობ
ღარიბსა და მცირედის მქონეს:
ერთმანეთის ავკარგი ვიცით,
არ გვრცხვენია ჩვენი სიმწირის,
ამაყადაც გვიჭირავს თავი,
რადგან კი გვაქვს იმდენი განძი,
რომ წელგაშლით ვიაროთ ქვეყნად...

არცა საფერავით,
არც ჩხავერით,
არცა ხვანჭკარით —
ქერის არაყით სავსე ყანწებით
ულოცავდნენ გზას
კრწანისისაკენ მიმავალ გმირებს...

იმ სამასის ცხელი სისხლი
საარაგვოში
მერეც ბორგავდა განწირულის
სულისკვეთებით...

მწირია მხარე მშობლიური.
მეჩხერ ტყეებში აქ ყვავილობს
არა თურინჯი —
პანტის, მაჟალოს ხეებია თეთრად
ფოთლავს.

იმ პანტის ძირას მოქეიფე ლომისის
ყმანი
ისე მღერიან ძველ სიმღერებს,
როგორც დღევანდელს:

„მთიულ ვარ, მთაში გაზრდილი,
ხმალს როგორ მომიმშივდება,
ომში შევალ და გამოვალ,
გული არ შემიშინდება,
სისხლისა ნაგუბარზედა
ფეხი არ დამიცურდება“...

ქ. ზარქუას სახ. საქ. სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი ალხაზიშვილი

ბავშვობის ნატვრა

ხომ შეიძლება გზად მიმავალი შეგაჩეროს ლამაზმა გოგომ, ხელი ჩაგკიდოს, უსიტყვოდ გაჰყვე, უმისამართოდ. ისე, მდუმარედ ჩაიაროთ დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, რომ მხოლოდ სითბო, ნანატრი სითბო გადადიოდეს ხელიდან ხელში.

გაზაფხულზე კი, როცა ბიავს ყვავილების მტვერი მიმოაქვს, თქვენი ნაყოფიც გაინასკვება, როგორც ცაზე კენტი ვარსკვლავი.

●

გუშინ ჩემთან რომ გამოგევლო
ჩავუყვებოდით ნაცნობ ხეივანს,
რომელიც მუდამ კოცნით იწყება
და მთავრდება მოწყვეტილი
ფოთლის შრიალით.

●

რას ფიქრობენ ჩვენზე ვარსკვლავები,
როცა მათი მზერა გვიბურღავს
უმწეო თვალებს?

რას ფიქრობენ ჩვენზე ხეები,
როცა ჩავუვლით და ცას ვუმზერთ
მეჩხერ ტოტებში?

რას ფიქრობენ ჩვენზე მთები,
ქალაქს კარზე რომ მოსდგომიან
და თოვლიანი კალთები უჩანთ?

გიფიქრიათ?
რას ფიქრობენ ჩვენზე ისინი,
ვისზე ფიქრსაც გადავეჩვიეთ?

გიფიქრიათ?
რომ ფიქრის დრო
აღარც კი გვრჩება?!

გარეუბანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწუხრის ვარსკვლავო,
ხმელ ტოტებში მოხეტიალევ,
საით მიგყავარ,
სად ჩამიქრები?

მწუხრის ვარსკვლავო,
ხმელ ტოტებში მოხეტიალევ,
ეს ნაბიჯები გაზომილი ნაბიჯებია,
ძალის დაზოგვით, მოთმინებით
მიჰყავს სხეული,
რომ სახლამდე მიაღწევინოს.

მწუხრის ვარსკვლავო,
შენი ლამაზი, ცივი ციმციმით
შეაგონე მეგობრებს ჩემსას,
რომ ლოდივით მძიმე დარდზე —
მე რომ წამაქცევს, ქვეშ მომიქცევს
და საფლავის ქვად
ზედ დამეცემა,
ნუ დააწერენ ნურცერთ სიტყვას,
დახატონ გაყინული შენი ციმციმი
და კაქტუსის გრძელი ეკლები —
ჩემი სიცოცხლის იეროგლიფები.

მწუხრის ვარსკვლავო,
ახლად ამოსულ მნათობის შუქზე
ჩანს მინდორი გარეუბნისა —
დიდი ქალაქის დიდი სანაგვე,
ჩანს თვალდათხრილი თოჯინების
ხუჭუჭა თმები,
ჭრელი საბნების ნაფლეთები,
დაჟანგული რკინის საწოლი,
დალეწილი სარკეების ნამცეცები —
ცის სინათლეს რომ ირეკლავენ
და მერე ისევ ცას უბრუნებენ.

მწუხრის ვარსკვლავო,
აქ, საგნების სასაფლაოზე
დაეხეტება უპატრონო ძაღლების
ხროვა,
ეძებენ სარჩოს,
დაყნოსავენ თოჯინების ხუჭუჭა
თავებს
და შეჰყმუიან გათოშილ ღამეს.

მაღალი ძაბვის მავთულების
ამაზრზენ ზუზუნს
ერთვის საგნების უხმო ქვითინი,
დალეწილ დღეთა უხმო გოდება
მოიწევს ხსოვნის სასაფლაოდან.

მწუხრის ვარსკვლავო,
გუბიდანაც შენ იმზირები,
მღვრიე გუბესაც
შენი შორი შუქი აცოცხლებს,
შენით ივსება სარკეების ნამცეცები
და მზერას ჩხვლეტენ ცივი ეკლებით.

აქ, ამ საგნების სასაფლაოზე,
გარდაცვლილი დღეების ფერფლში
ვირთაგვების გამოხრული გლობუსი
გდია...
სადა ხართ ამ ნაგვის პატრონებო,
საგნების მონებო?!
ზოგჯერ აქაც ამოიხედეთ.

სადა ხართ ანტიკვარების
კოლექციონერებო?
საკომისიო მაღაზიებში ვერაფერს
ნახავთ,
აქ კი უფასოდ იყიდება
სიყვარულის ანტიკვარი —
ჩაწყვეტილი რკინის საწოლი,
ბუკინისტური იშვიათობა —
დიეტური ლექსების წიგნი,
თვალებდათხრილი თოჯინები,
დიდი ხნის წინათ ბავშვებისთვის
გულისფანცქალით შინ რომ
მიგქონდათ.
ჩამოკონკილი ნაძვისხეები,
ბრჭყვიალები რომ შემოაძარცვეს
და ნაგავში გადაუძახეს,
რადგან დაბერდა ახალი წელი
და შარშანდელს დაემსგავსა
ტყუპისცალივით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენატრებოდათ ჩვენს წინაპრებს მარად სიმშვიდე,
აჰა, სიმშვიდეც,
მხოლოდ ერთი რამ გვეფიქრება:
მშვიდობა იყოს, ოღონდ ჯალაბს არ მოგვიშივდეს,
სხვა ყველაფერი კარგად იქნება.

რა სიმშვიდეა, ნიავისაც არ ისმის ჩქამი,
დამშვიდდა მტკვარი, უფრო მდორდება,
მაგრამ რა ხდება, რას ჩურჩულებს სამშობლო ღამით,
სამშობლო ჩემი — ცისფერკორდება.

ჩვეულებრივი დღე

(ინფორმაცია-1980)

— ჯიბეში გქონდეს, ბაღში მომეცი! — მითხრა ბიჭმა და გამომიწოდა სათამაშო ლურჯი პიპია. საბავშვო ბაღში მიდის იგი პიპიას ხათრით, მე კი მივდივარ სამსახურში მოვალეობის მკაცრი ბრძანებით.

ვით გამოცდილი მარათონელი ფინიშისთვის ვინახავ ძალას, შევახტები დაძრულ ავტობუსს; ავტობუსში სიზმრიდან ახლად დაბრუნებული მოქალაქენი სხედან. ავტობუსი მიდის ერთადერთი მარშრუტით: სახლიდან სამსახურისკენ, მოვალეობიდან — მოვალეობისკენ.

ასე თენდება ყოველი დილა, ასე იშრობს დროის უდაბნო ჩვენს ლამაზ დღეებს.

მეტროსთან ახლოს, გაზეთების გრძელ რიგში დგები, რადგან ისე მიეჩვიე პოლიტიკურ და სპორტულ სიახლეს, როგორც სიგარეტს საუზმის მერე.

გადახედავ ახალ გაზეთებს, ამასობაში მატარებელი შენს სადგურზე გაჩერდება, გამოვარდები ვაგონიდან და აშლილ ხალხს შეუერთდები.

ნელა ისრუტავს დილის მგზავრებს ესკალატორი,

მოძრავ კიბეზე ჩამწკრივებულნი — ზე მიმავალნი ქვემიმავალთ უკვირდებიან:

> თვალი თვალს ეძებს,
> თვალი თვალს ეძებს,
> „თ ვ ა ლ ი ს უ ლ ი ს ს ა ნ თ ე ლ ი“

ბროლის მაღაზიასთან ჰყიდის მამაკაცი პირველ ყოჩივარდებს. ვიხსენებ რა რიცხვია დღეს... 26 თებერვალი... ნელს პირველად კალენდარმა მიმახვედრა, რომ გაზაფხული ახლოვდება. ტკბილ-მწარე სევდამ გული შემიკუმშა, ჯიბეები მოვიჩხრიკე და „კოსმოსის“ კოლოფის ნაცვლად აღმო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვაჩინე სათამაშო ლურჯი პიპია... თითქოს პლასტმასის ბორ-
ბლებს კი არა, მე შევეხე გულის გულში დაძრულ სინანულს
და გამახსენდა შვილის სიტყვები:
ჯიბეში გქონდეს, ბაღში მომეცი.

ამასობაში მივადექი კიდეც სამსახურს, შევაღე კარი,
გამოვაღე მერე სარკმელი და ოთახში შემოვუშვი დილის
ნიავი, ერთის იმედით:

იქნებ ჩემი სევდის ღრუბელიც გააყოლოს
ცად მიმავალ ღრუბლის ქარავანს.

ფიქრის სახლი

ჩემი ფიქრებით,
სათამაშო კუბიკებით აგებულ სახლში
ვცხოვრობ უკვე დიდი ხანია.

აეანთებ ზოგჯერ ფიქრის სინათლეს,
მერე ვკითხულობ ფიქრების წიგნებს
და თუ ვიძინებ —
მესიზმრება ფიქრის სიზმარი.

ფიქრის ღრუბლები გადადიან
ქალაქის ცაზე
და ფიქრის ქარი
ფიქრის ფოთლებს მიაშრიალებს...

ფიქრის მდინარე ჩაუდის ქალაქს
და ფიქრი ფიქრზე შეყვარებული
სიყვარულზე ფიქრობს ნიადაგ.

მგზავრი

ხანდახან უკან მოიხედე კეთილო მგზავრო,
ეს გზა განვლილი — გასავლელი იყო ოდესღაც,
მეხსიერებას შერჩენია ნაფლეთ-ნაფლეთად
ნებიერ დღეთა სიამენი,
რომლის იმედსაც დაუფიქრებლად წინ მიჰყავხარ
დასასრულისკენ.

აი, სოფელი... გზამ სოფლისკენ გადაუხვია,
მუხათა ხნიერ ჩრდილში გაგხვია
და გახურებულ მხრებზე, ხელებზე
გრილი ნიავი შემოგაფინა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თითქოს ჰაერიც ბებერია,
ჰაერის სუნთქვაც უხილავი სიღრმიდან მოდის
და ხავსიან და ნოტიო სურნელს ღრმად ისუნთქავენ
ქალაქის მჭვარტლით გაბოლილი შენი ფილტვები.

სიბერე, სიღრმე, ხავერდივით ხასხასა ხავსი,
ხნიერ მუხათა ხეივანი
მოულოდნელ სევდის სათავე,
წვეთავს სულში, ჩუმჩუმად წვეთავს
და ივსები, როგორც ჭურჭელი

ხანდახან უკან მოიხედე, კეთილო მგზავრო,
გზა გასავლელი განვლილია სხვათა მიერ
თუ შენ პირველი შედიხარ მდუმარ სავანეში?

რა დარჩა უკან, უკაცრიელ უდაბნოს ხვატში —
ხმა მღაღადებლის?
იგი ხომ მოგდევს, საკუთარი ჩრდილივით მოგდევს?

გრძნობ რომ შიშველ ფეხისგულებით
მიწას კი არა, შენ ეხები გარდუვალობას
და მიწადქცეულ მგზავრებს ეხები,
მათ, ვინც აქ წვანან ხავსიანი მიწის სიღრმეში,
ვინც ერთმანეთს ემატებოდნენ
და ხავსიან სიჩუმეს ზრდიდნენ.

ხანდახან უკან მოიხედე, კეთილო მგზავრო,
უკან ჩვენ დავრჩით, იქაც ჩვენ ვართ,
[illegible]ედაც შენ მიხვალ...

[illegible]ოჩანს სათავე? იგი არ ჩანს
და არც შენი აღსასრული ჰქვია დასასრულს.

შენა ხარ მგზავრი, მორიგი მგზავრი
და მიწადქცეულს, ოდეს სხვა მგზავრი
შეგეხება ფეხისგულებით
და შეისუნთქავს შენი ფიქრით
გაჟღენთილ ჰაერს
და გულზე დარდი შემოენთება,
ისიც შენსავით გაიკვირვებს,
ვერ შეიტყობს მოწყენის მიზეზს
თუ ჩიტის მღერას მიაყურადებს,
დანგრეულ ბუდეს რომ აშენებს
ბებერ რტოებზე?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამაზ კოზიძე

ფრონტული ამბავი

ბლინდაჟში მიბრუნებულ თაბაგარს მაია დახვდა — საწოლზე ფარაჯიანად ჩამომჯდარიყო, გულხელი დაეკრიფა და ჭრაქის მოფარფატე სინათლეზე საკუთარ ჩექმებს მშვიდი, უდრტვინველი გამომეტყველებით ათვალიერებდა. ირაკლის უხმოდ გაუღიმა და როგორც იყო — ფარაჯაშეკრული და გულხელდაკრეფილი — ნესტიან კედელს მიეყრდნო.

ტალახიან ბლინდაჟში უსაშველოდ ციოდა.

— მოენე მოგვიყვანეო, — კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ თქვა თაბაგარმა.

— რაო?! — მაიამ ისე მხიარულად გაიცინა, ირაკლიმ გაკვირვებით შეხედა, — ამ ტრიალ მინდვრებზე რა მოენე უნდა იშოვნო?!

— მაგათ დიდი სტრატეგი და გმირი ვგონივარ.

— ამას უნდა შეეჩვიო. — და მაიამ ისევ მხიარულად გაიცინა. მერე წამოდგა, მაგიდას მიუჯდა და უხმოდ ადევნებდა თვალს, ირაკლი დასაძინებლად როგორ ემზადებოდა.

ირაკლის რომ გამოეღვიძა, ბლინდაჟში ისევ ჭრაქი ენთო, მაია კვლავ მაგიდას უჯდა. რა დაინახა, გაიღვიძაო, ირაკლის წეღანდელივით გაუღიმა და სწრაფად წამოდგა.

— მომილოცავს!

— რა?!

— ინოზემცევი იყო. მოენე აღარ გვჭირდებაო.

— თვითონ მობრძანდა?!

— მაშ! დათხოვილმა მოირბინა. იძინოს, არ გაღვიძოო.

და მაიამ მხიარულად გადაიკისკისა. მერე ირაკლის გვერდით მიუჯდა, ხელები დაუჭირა და თვალებში ჩახედა.

— მეტი რაღა გინდა?

— მეტი არაფერი. მოენე რატომ აღარ უნდათ?

— ეგ აღარ ვიცი.

— ცუდი არაფერი იყოს. თუმცა — სულ ერთია. საჭმელი არაფერი გვაქვს?

— როგორ არა! ახლავე.

ირაკლი ხმაამოუღებლად მისჩერებოდა, როგორ გახსნა მაიამ ხორცის კონსერვი, თითი გაილოკა და ირაკლის ერთხელაც გაუღიმა.

ირაკლი და მაია ერთმანეთს გასული წლის ივლისში შეხვდნენ. ბატალიონმა ძლივს დააღწია თავი გერმანელთა რომელიღაც სატანკო შენაერთის მარწუხებს. მზის გადახრისას ხშირი, ჩანნელებული ტყის პირს მიატანეს. ბატალიონის მეთაურმა ღამისთევა ბრძანა. ირაკლიმ გაქვავებული ორცხობილას წყალში ჩალბობაც ძლივს მოასწრო, — იქვე, ტყეში ანკარა ნაკადული მოლიკლიკებდა, — რომ შტაბში იხმეს ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა და თავისი მაზარიდან და ზურგჩანთიდან

ოცოდე ნამიჯზე ბალაზში ჩაჩოქილი ახალგაზრდა, ქერა ქალი დაინახა. ქალი ცეცხლის გაჩაღებას ლამობდა — ფიჩხი და გამხმარი ბალახბუღახი მოეგროვებინა, აეხარჩოლებინა და, სახეაწითლებული, სულს უბერავდა..

ირაკლიმ ქალს გაკვირვებული მზერა შეავლო. ქალი, ასე, ოცდაექვსი-ოცდარვა წლისა თუ იქნებოდა. ისეთი ნაზი, ნატიფი სახე და ხელები ჰქონდა, რომ იფიქრებდით, ეს, ვიღაცაა, მოსკოვის დიდი თეატრის ან „მხატვრ“ მსახიობი უნდა იყოს, რომლისთვისაც რაღაც ფილმში თუ სპექტაკლში ჯარისკაცის როლის შესრულება დაუვალებიათ, როცა თავის საქმეს მოათავებს, ამ უხეშ ჩექმებს, გალიფესა და გიმნასტიორას გაიხდის, მოდურ კაბასა და ფეხსაცმელებში გამოეწყობა და ისევ ნატიფ მანდილოსნად იქცევაო.

ირაკლის დანახვაზე ქალმა ბერვა შეწყვიტა. წამოდგა, წელში გაიმართა და შიმშილისა და დაღლილობისაგან გასავთებულ ლეიტენანტს ღიმილით მიაჩერდა. ირაკლიმ დაინახა, რომ ქალს კბილებიც თეთრი და ლამაზი ჰქონდა.

— თქვენ აქ საიდან გაჩნდით?

— გამომგზავნეს.

— ვინ? გერმანელებმა?

— არა! — ქალის ლურჯ თვალებში უსიამოვნო გაკვირვებამ გაიელვა.

ირაკლიმ ამას ყურადღება არ მიაქცია.

— ცეცხლს რატომ ანთებთ?

— ვახშმის გასაცხელებლად.

— მაინც, აქ საიდან გაჩნდით?

— შტაბიდან გამომგზავნეს, ლეიტენანტი თაბაგარი მოძებნე და იმასთან იყავიო.. ლეიტენანტი თაბაგარი თქვენ არ ბრძანდებითო?!

— დიახ.

— ძალიან სასიამოვნოა. მაია სობოლევა! — ქალმა ირაკლის თეთრი, რბილი ხელი გაუწოდა. მაგრამ, ეტყობოდა, წეღანდელი ყვენა ჯერაც არ განელებოდა, ირაკლი თავით ფეხამდე ჩაათვალიერა, გატრიალდა, ჩაიჩოქა. ხელებით ბალახს დაეყრდნო და ისევ ახრჩოლებულ ფიჩხსა და ბალახბუღახს შეუბერა.

— ძალიან სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, მაგრამ... იცით, ცეცხლს ნუ გააჩაღებთ. გერმანელები აქედან სულ სამ კილომეტრზე არიან.

— არ მაინტერესებს, რამდენ კილომეტრზე არიან აქედან გერმანელები.

— საცაა ბრძანებას ჩამოატარებენ.

— ჩამოატარონ!

და ისევ ცეცხლს შეუბერა.

ირაკლის ისღა დარჩენოდა, ხელი ჩაექნია და თავისი ორცხობილასთვის მიეხედა.

ირაკლის ქალებთან არასოდეს არავითარი საქმე არ ჰქონია. საშუალო სასწავლებელი, უნივერსიტეტი და ასპირანტურა ისე დაამთავრა, წიგნებიდან თავი არ აუღია. დარწმუნებული იყო, ამ ქვეყანაზე ერთადერთი სერიოზული საქმე წიგნების კითხვა და ცოდნის შეძენაა. ცოდნის გამოყენება კი აღარ დასცალდა — ომი დაიწყო. გამოიძახეს, საოფიცრო სკოლაში გაგზავნეს და ექვსი თვის ნაცვლად, ოთხ თვეში დამთავრებინეს — არმიას ოფიცრები სჭირდებოდა. ირაკლიმ თბილისში ჩარბენა და დედ-მამის მონახულებაც კი ვერ მოახერხა, მოქმედ არმიაში ისე მოხვდა. და აჰა, ოცდაექვსი წლისა ისე მოიყარა, სერიოზული რომანი არავისთან ჰქონია. ირაკლის აღარც კი ეგონა, თუ ამ ხრიგ მის ცხოვრებაში რაიმე შეიცვლებოდა.

ახლა ბატალიონის მეთაურს — მუდამ ნერვებაშლილ, მყვინარა, ენამწარე და თავშეუკავებელ ინოზემცევს ეს ქალი გამოუგზავნია. თაბაგართან იყავიო. ამ ლამაზ ქალს, ჯარისკაცის ჩექმები და ფარაჯა ბედის უკუღმართობამ რომ ჩააცმევინა, ირაკლი თაბაგარმა რა საქმე უნდა გაუჩინოს?!

ამასობაში! მაიამ მოლზე ვახშმის თადარიგი დაიჭირა. ისე მშვიდად ირჯებოდა, თითქოს ფრონტზე კი არა, აგარაკზე ყოფილიყოს. ფარაჯა გაშალა და სუფრად ზედ დაალაგა: ქაშაყი, მთელი პური, სქელი ფაფა. ცეცხლიდან

ათუბთუხებული „კოტელოკიც“ გადმოდგა და ირაკლი გულგრილად მიიპატიჟა:

— მობრძანდით. ერთად ვივახშმოთ.

სახეზე კი ასეთი გამომეტყველება ჰქონდა: მოპატიჟების ღირსი, მგონი, არც კი ხარ, მაგრამ წესია, უფროსი უნდა მიიპატიჟო და მეც ამიტომ ვირჯებიო.

— ნუ წუხდებით!

— მობრძანდით-მეთქი!

მაისს შეპასუხება არ ჰყვარებია.

ისე ივახშმეს, ხმა არც ერთს არ ამოუღია. მაისს ირაკლის არსებობა თითქოს სულაც გადაავიწყდა, ფიქრში წავიდოდა ხოლმე, გაირინდებოდა და საჭმელს ზედ აღარ უყურებდა. ერთბაშად გამოერკვეოდა, ირაკლის მზერას ესროდა და ისევ საჭმელს მისწვდებოდა. მერე „სუფრა“ ისევე მშვიდად, აუღელვებლად აალაგა და ირაკლის მაშინღა გამოელაპარაკა.

— დაძინებით სად უნდა დავიძინოთ?

— სადაც მოგვიხერხდება.

— ძალიან დაღლილი ვარ.

— ვხედავ.

— იქნებ, ცოტა თივა გეშოვათ?

— თივა აქ სად უნდა ვიშოვო?!

მაისმ იყუჩა. მერე ირაკლის თვალებში შეხედა:

— ცოლი გყავთ?

— არა.

— გეტყობათ. თუ თივა არსადაა, ამ ხეებს ფოთლები ხომ ასხია! თუ ფოთლებსაც ვერ ხედავთ? კეთილი ინებეთ და ფოთლები მომიკრიფეთ. თქვენი ხნის კაცს კი, ცოლი უნდა ჰყავდეს. მაშინ ქალის მოვლაც გეცოდინებათ.

ირაკლი წამოდგა.

ლეიტენანტისა და ქალის დიალოგს შორიახლოდან რამდენიმე ჯარისკაცი ისმენდა. ძალიან დაღლილები იყვნენ, მაგრამ მაინც წამოიშალნენ. ზოგს ეღიმებოდა კიდეც. ახლომახლო ხეებს ფოთოლი აღარ შეარჩინეს და მიწაზე კარგა ბრდღვინავ, მოხერხებული საწოლები გამართეს. არც საკუთარი თავი დავიწყებიათ. ოღონდ მაიასა და ირაკლის საწოლები ჯარისკაცებისგან ცოტა მოშორებით იყო.

მაიას ამისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. ჩექმები გაიხადა, დაწვა, ფარაჯა გადაიფარა, ხელები თავქვეშ ამოიწყო და ღრმად ამოისუნთქა:

— ახლა, თუ გინდათ, ვილაპარაკოთ.

— დართო ნება თაბაგარს.

— რაზე?!

— რაზეც გნებავთ. არ გაინტერესებთ, ვინა ვარ?

— მაინტერესებს.

— მერე, რატომ არ მეკითხებით?

ირაკლის მართლაც აინტერესებდა, ეს ლამაზი და შეუპოვარი ქალი ვინ იყო და მასთან რატომ გამოგზავნეს. მაგრამ ასე ჯიქურ ხომ არ შეეკითხებოდა და იმის გახსენებას შეეცადა, ასეთ დროს რომანის პერსონაჟები როგორ იქცეოდნენ. მაგრამ ვერაფერი გაიხსენა. არადა, ქალს თავისდაუნებურად ერთხელ უკვე აწყენინნა და აღარ უნდოდა, ასეთი რამე კიდევ დამართოდა. მაგრამ ირაკლის გასაჭირს აღსასრული ძალიან მალე დაუდგა: მაიამ გვერდი იცვალა, ფარაჯა გაისწორა, გულხელი დაიკრიფა და იმავე წამში ღრმად ჩაიძინა.

●

მეორე დღეს თაბაგარმა ინოზემცევს ჰკითხა, ის ვინ ქალი გამომიგზავნე და რა მოვუხერხოო. მთელი ღამის უძინარი, ფერწასული და უპეებჩაშავებული ინოზემცევი შეიქმუხნა და უგულოდ უპასუხა, კარგად არც ვიცი, მგონი, მსახიობი უნდა იყოსო.

— მსახიობი რაში მჭირდება!

— მგონი, სროლაც უნდა იცოდეს. შეეამოწმე. მითხრა, ვიციო. თუ არ იცის, ისწავლის. რა დიდი ჭკუა მაგას უნდა! რამდენი კარგი მსროლელი ვიცი, რომ თავში ჭკუის ნატამალი არ გააჩნია. ან

დაჭრილებს მოუაროს ხოლმე. ისე კი, ტყუილუბრალოდ ნუ გაიმეტებ. ლამაზი ქალია. ხომ ხედავ, ნახევარი რუსეთი რომ განადგურდა.

— რაღა მე გამომიგზავნე?

— მაგას თვითონვე უნდა ხედებოდე. იმიტომ გამოგიგზავნე, რომ უმაღლესი შენა გაქვს დამთავრებული. ასპირანტურა და რა ვიცი, კიდევ, რა ჯანდაბა და ოხრობა. პროფესორობას აღარაფერი გიკლია. აი, რატომ გამოგიგზავნე. აბა, ზოგია, ორი მყრალი ანეკდოტისა და გინების მეტი არაფერი იცის, რა, იმათთან გამეგზავნა?

ირაკლის უნდოდა ეკითხა, ეგ ქალი რატომ შენთანვე. ბატალიონის შტაბში არ დაიტოვეო, მაგრამ გაიფიქრა, რაკი არ დაიტოვა, ალბათ, საამისოდ რაღაც მიზეზი ჰქონდაო, და ხმაც აღარ ამოუღია.

მაია სობოლევა მართლაც მსახიობი იყო. პატარა დნეპრისპირა ქალაქის რუსულ დრამატულ თეატრში მუშაობდა, დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ. „მაია ჩვენთან სწორედ მანამდე დარჩება, სანამ „მხატელი" მტაცებლები თკალს მოჰკრავენო, — იტყოდა ხოლმე თეატრის მთავარი რეჟისორი, ბებერი იონა კადომცევი, — მერე კი — მორჩა! მერე მაგის დანახვაც კი სანატრელი გაგვიხდება."

მაია პასუხად იღიმებოდა და ქერა თავს ჯიუტად აქნევდა:

— მე ჩემი ქალაქიდან არსადაც არ წავალ.

— ეეჰ! წახვალ, მაეჩკა, წახვალ, ჩემო ძვირფასო. უკან ერთხელაც აღარ მოიხედავ. ქვეყნად ისეთი არავინაა, „მხატში" თამაშზე უარი რომ თქვას. ღმერთს მხოლოდ იმას ვევედრები, იმ ონავრებმა ჩვენს ქალაქში რაც შეიძლება გვიან შემოიხედონ. თორემ, თუ ფეხი შემოუცდათ, მორჩა! მაშინვე მოგაფრინდებიან.

იონა კადომცევისათვის რომ გეკითხათ, მოსკოვის სამხატვრო თეატრმა მსოფლიო სახელი იმიტომ მოიხვეჭა, რომ იმის — კადომცევის მიერ რუსეთის სოფლებსა და პროვინციულ ქალაქებში აღმოჩენილ ნიჭიერ მსახიობებს დაუნდობლად მიიტაცებდა ხოლმე და მაყურებლებს მათი წყალობით აჯადოებდა.

— ჰეტია პეტროვიჩი მხატმა მომტაცა! მხატმა წამგლიჯა. ირინა ბლაგოგოლოვა მაგათ ამცანცლეს! მაგათ ამართვეს! სკოროდუმოვი! ნეჩიტაილო! ეკატერინკოვი! მოტლიოიოვ! ეჰ, ჩემო კარგებო! ეჰ. ჩემო კარგებო და ძვირფასებო! მარტო ეს სახელები რად ღირს!!!

იონა კადომცევი არად დაგიდევდათ იმას, რომ ამ მსახიობებიდან ზოგს არაასოდეს მასთან არ უმუშავნია, სხვები კი არასოდეს მოსკოვის სამხატვრო თეატრის სცენაზე არ უნახავთ.

— მალე მაეჩკასაც მომტაცებენ. — მოხუცი რეჟისორი ხვნეშოდა და ხელს უიმედოდ იქნევდა. — ეს ისევე ვიცი, როგორც ორჯერ ორი ოთხია.

— დავიმალები. — კისკისებდა სიამოვნებისგან სახეალნძული მაია. — ტახტქვეშ შევძვერები.

— ეჰეე! ოოო! ოო! არა! ა�რა, მაია! დაიმალები და მე თვითონ მოგნახავ. საქმე არც ეგრეა, ჩემო ძვირფასო. ტახტქვეშიდან თვითონ გამოგათრევ. იონა კადომცევი შენისთანა მარგალიტს ქვეყანას ვერ დაუმალავს. შენ კადომცევი არ გცნობია.

მაიას მართლაც ძალიან უყვარდა მწვანეში ჩაფლული, თეთრსახლგბიანი, დიდი მდინარის სუნით გაჟღენთილი, ბავშვობიდანვე ნაცნობი და შეთვისებული ქალაქი. ვინ იცის, კიდეც რომ შეეთვაზებინათ, იქნებ, მოსკოვში მართლაც არ გადასულიყო, მაგრამ...

ჯერ იყო და გათხოვდა. ქმარიც მსახიობი იყო. სანამ ხელს მოაწერდნენ, ნორმალურად ექცეოდა. მერე კი ეჭვიანობამ შეიპყრო. სულ უმნიშვნელო რამეზე ისეთ დავიდარაბას ატეხავდა ხოლმე, რომ მთელი ქალაქის სალაპარაკონი ხდებოდნენ, მაიამ ერთ ხანს ითმინა. ატირებულ მოხუც დედ-მამასთან გაიქცეოდა ხოლმე და ისინი ამშვიდებდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერე კი ქმარს გადაჭრით გამოუცხადა, უნდა გაეშორდეთო.

— რატომ?

— იმიტომ! შენი ეჭვიანობით მამცირებ. ნუთუ არ გესმის! მე კი დამცირებას შეჩვეული არა ვარ და არც მინდა შევეჩვიო. მორჩა.

გაშორდნენ. ქმარი ჯერ თეატრიდან წავიდა, მერე ქალაქიდანაც. მაიას ეს ამბავი სულაც არ უნაღვლია.

მერე ხომ ომიც დაიწყო.

მაიას ქალაქი გერმანელებმა ისე მოულოდნელად აიღეს, რომ დაუჯერებელიც კი იყო. დილით ქალაქის დასავლეთიდან კი ისმოდა ქვემეხების გრიალი, თვითმფრინავების გუგუნი და ტყვიამფრქვევების კაკანი, მაგრამ მალე მიწყდა და ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა. ისევ მოისმა დიდი, ფართო და მძლავრი მდინარის ოდნავგასაგონი შრიალი. მაგრამ ნაშუადღევს მაიამ მეგობარი ქალის მონახულება გადაწყვიტა. პალტო მოიხურა, ქუჩაში გავიდა და... იქვე გაშეშდა. ქუჩის შუაგულში ავტომატიანი გერმანელების ოცეული მოაბიჯებდა. ჯარისკაცები დაქანცულნი, დამტვერილნი და გაავებულები ჩანდნენ. მაგრამ მაინც მწყობრად მოდიოდნენ და ოფიცრის ყოველ შეყვირებას უხმოდ იტანდნენ. ქუჩა პირდაპირ ზანზარებდა იმათი წყობრი ნაბიჯების ქვეშ. მაიამ ისღა მოახერხა, რომ იქვე ალაყაფის კარს მოეფარა და სულგანაბული იდგა, სანამ გერმანელები თვალს მიეფარებოდნენ.

დაღამებას ძლივს დაელოდა და მშობლებს მიაშურა.

— ღალატია! — იძახდა აფორიაქებული, ფერდაკარგული დმიტრი პავლოვიჩი და მაგიდაზე მუშტს უბრახუნებდა, — ამოდენა ქალაქის ასე ჩაბარება გაგონილა! გერმანელებს ერთი ტყვიაც კი არ გაუსვრიათ. გენერლები გვღალატობენ!

— მიტია, რას ლაპარაკობ! — სერაფიმა ანტონოვნა მაიას ქერა თავს გულში იხუტებდა და ქმარს შიშისაგან გაფართოებული თვალებით მისჩერებოდა.

— მე ძალიან კარგად ვიცი, რასაც ვლაპარაკობ. აი, ნახავთ: გერმანელებს დავამარცხებთ, გავრეკავთ და მაშინღა გამოჩნდება, რომ აქ დიდი ღალატი იყო. აქ ერთი და ორი გენერალი არ იქნება ჩართული. ვხედავ! ვიცი!

— როცა მოღალატეებს ხვრეტდნენ, შენ ამბობდი, უდანაშაულო ხალხს დაერიენენო.

— მე ეგ არასოდეს არ მითქვამს.

— გაიხსენე, მიტია!

— მე მუდამ სიმართლეს ვლაპარაკობ. ჩემი პირიდან ჯერ ტყუილი არ ამოსულა. მიტია სობოლევმა ამქვეყნად სამოცდაათი წელი იცოცხლა და ჯერ... დიახ! არასოდეს!..

— დაწყნარდი, მიტია, დაწყნარდი! ღმერთო, შენ დაიფარე ჩემი მაია! შენ გადამირჩინე.

ოჯახურ თათბირზე გადაწყვიტეს, მაიას ქალაქში დარჩენა არ შეიძლებაო.

— შენ, მაიჩა, თვითონაც არ იცი, რა ლამაზი ხარ, შვილო, ჰოდა, მე ამ სიბერეში ისღა მაკლია, რომ... არა! როგორმე უნდა გაიწიო. მე და დედაშენს სადღა წაგვესვლება! ზედმეტ ტვირთად დაგაწვებით და, ვინ იცის, იქნება რაიმე უბედურებაც კი გადაგყაროთ. შენ კი... არა, ხვალ დილით აქ აღარ უნდა იყო.

— სად, ადამიანო, ბავშვს სად უშვებ?

— ეგ თვითონ იცის: და აბა, შენ იცი. შვილო: როგორ პატიოსნადაც გგვიზრდიხარ, ისე პატიოსნადვე იცხოვრე. სულმოკლეობა არაფერში გამოიჩინო. ჰო... ეს ომი მალე გათავდება და... მაშინ...

— რა — მაშინ, რა, ადამიანო?! ან ომის გათავებამდე მივაღწევთ ან მე და ან შენა?

— მივაღწევთ! ნახავ, ეს ომი რა მალე გათავდება. იმას კი ნუ უყურე, ჩვენები რომ უკან იხევენ. ეს ყველაფერი დროებითია. ეს ომი ისე მალე გათავდება, რომ მოხედვასაც ვერ მოასწ-

---

რამაზ კობიძე
ფრონტული ამბავი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რებ. და ვაი, მაშინ ზოგიერთების ბრალი! დიახ!... აბა, მაეჩა, ჩემო კარგო! აბა, შენ იცი!

[illegible] პიოველსავე [illegible] მაიამ მშობლები ერთხელაც გადაკოცნა და სახლიდან გავიდა. ფეხები კი უკან რჩებოდა. სახლში უნუგეშო ბავშვებივით ატირებული დედ-მამა დატოვა, თვითონ კი წარმოდგენაც არა ჰქონდა იმაზე, თუ სად მიდიოდა და რა უნდა ეკეთებინა.

გათენებისას თანაქალაქელების — მასავით ლტოლვილების ვეებერთელა ჯგუფს წამოეწია. მაიასი არ იყოს, ესენიც აღმოსავლეთისაკენ მიდიოდნენ. მეტი კი არავინ არაფერი იცოდა. მაგრამ მაიას შორეულმა ნაცნობმა ვერა ზვიადგრ[illegible]ის გვანდო, ერთმა ნაცნობმა მაინრომ მითხრა: ქალაქი უბრძოლველად იმიტომ დავტოვეთ, რომ ძალთა გადაჯგუფება მოგვეხდინა. მაგრამ ეს არის ღ[illegible]ესო. ამას იქით უკან ერთი ნაბიჯითაც აღარ დავიხევთ და მალე შეტევაზეც გადავალთ.

— ეგ მალე როდისღა იქნება? — შეკ[illegible]ა [illegible] ვერას.

— ო, ეგ სამხედრო საიდუმლოა, — ვერაფ თავი გადააქნია და ვეებერთელა, ტყვიასავით მძიმე ჩემოდანი მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა. — ამის თქმის უფლება არავის არა აქვს.

შუადღემდე ერთად იარეს. არაქათგამოცლილი, დაბნეული, შიშისაგან დაზაფრული ლტოლვილების ცქერამ მაიას პირდაპირ გული გაუსივა. წარბებშეკრული ფიქრობდა, ალბათ, ახლა მეც ამათ ვგავარო, და თავის თავს მტკიცე პირობა მისცა, ჩემი ბედი ესა ყოფილა: ხელში თოფს ავიღებ, მამაკაცივით ვიომებ და ლტოლვილებს კი ახლოსაც აღარ გავეკარებიო. შუადღისას, როგორც კი რომელიღაც საბჭოთა შენაერთს წააწყდნენ, მაიამ ჯარისკაცებს მეთაურის ადგილსამყოფელი გამოჰკითხა. იპოვა და იმ ჭაღარა, სახედაღარულ მაიორს ისე გამოელაპარაკა, რომ არც კი მისალმებია.

— მე ამა და ამ ქალაქიდან კარ.

— ძალიან სასიამოვნოა, — [illegible] უსაშველოდ დაქანცული და უგუნებოდ იყო, მაგრამ ღიმილი მაინც ვერ შეიკავა.

— თქვენ ნაწილში ვერ მიმიღებთ?

— ნაწილში? ვერა.

— რატომ?

— მაგის ახსნას ბევრი დრო დასჭირდება.

— მე მსახიობი ვარ.

— მით უმეტეს.

— თქვენ ვერ გამიგეთ. მე მესმის, რომ თქვენ ახლა მსახიობები არ გჭირდებათ. მაგრამ მე...

— მოწყალების დად იმუშავებთ?

— მე...

— თუ იმუშავებთ-მეთქი! გესმით? მოწყალების დად თუ იმუშავებთ, აი, ეს მითხარით.

— არა. მოწყალების დად — არა.

— რატომ?

— იმიტომ. მე იქ მოხუცებული დედ-ამა დამრჩა.

— იქ მოხუცებული დედ-მამა ყველას დარჩა. დებიც, ძმებიც, შვილებიც...

— მერე, აკი ომობთ კიდეც .

— ჩვენ კაცები ვართ.

— ეგ არაფერსაც არ ნიშნავს.

— სულ არაფერს?!

— სრულიად არაფერს.

— კეთილი. თქვენი ნება იყოს. აი, იმ ხესთან მიდით და კაპიტანი ინოზემცევი იკითხეთ.

— მესმის!

მაია „იმ ხისკენ“ წავიდა, გულში კი ფიქრობდა, ჯანდაბას ამათი თავი, გამაფორმონ მოწყალების დად, ბრძოლის დროს თოფს ავიღებ და ვისვრი, ამას ხომ ვერავინ ამიკრძალავსო.

როგორც ყოველთვის, ინოზემცევი იმ დღესაც უგუნებოდ და ყველაფერზე ხელჩაქნეული იყო. მაიას გულისგარეთ უთხრა, სანიტრები მე არცა მყავს და არც მეკუთვნის, მაგრამ ბრძანებებოდეო, ოღონდ იცოდეთ, რომ ხანდახან შეიძ-ლება სროლაც მოგიხდეთ (ახლა, ქალ-[illegible]) და მზად უნდა იყო-

თო. მაიასაც ეს უნდოდა და იმ საღამოსვე თავისი ტანისამოსი გაიხადა და ჯარისკაცურად გამოეწყო. იმ დღიდან დაიწყო მისი ფრონტული ცხოვრებაც. მერე ხომ ინოზემცევმა მაია ირაკლი თამბაგარს გამოუგზავნა.

●

ასეულის ჯარისკაცებმა იმ საღამოსვე იფიქრეს, თამბაგარსა და ამ ლამაზ ქალს შორის ისეთივე ურთიერთობა დამყარდება, როგორიც ყოველთვის ხდება ხოლმე, მერე კი, ომი რომ გათავდება, თუ ცოცხალნი დარჩნენ, ორივე თავის გზას ეწევაო. აკი ის ხის ფოთლების ლოგინებიც ერთმანეთთან შორიახლო გაუშალეს. მაგრამ ყველამ დაინახა, რომ ის პირველი ღამე მაიამაც და თამბაგარმაც უცოდველად გაატარა. მაიამ ისე ღრმად ჩაიძინა, რომ დილამდე გვერდიც კი აღარ უცვლია. თამბაგარმა კი დაძინებამდე ორი თუ სამი პაპიროსი მოსწია, გულღიმა იწვა და ვარსკვლავიანცას გასჩერებოდა. ჯარისკაცები ფიქრობდნენ, ღელავსო. მაგრამ მერე ნამწვაცი მოისროლა, მძინარე მაიასკენ ერთი კი გაიხედა, დაწვა, ფარაჯა წაიფარა და მალე გვარიანი ხვრინვა ამოუშვა.

ჯარისკაცებმა იფიქრეს, ორივე დაღლილია, ან კი რა ეჩქარებათ, საწადელს მაინც მალე ეწევიანო. მაგრამ დრო გადიოდა, დღე დღეს მისდევდა, ღამე — ღამეს; ბატალიონი ხან უკან იხევდა, ხან შეტევაზე გადადიოდა; ღამეს ხან ტყის პირას თევდნენ, ხან სადმე სოფელში, ხან ბლინდაჟებსა და სანგრებს გაანყობდნენ და გერმანელებს ხანგრძლივ პოზიციურ ბრძოლებს უმართავდნენ... ეს პოზიციური ბრძოლა ჯარისკაცისთვის პირდაპირ დასვენებაა. საომედო ბლინდაჟში ან სანგარში ზიხარ, კანტიკუნტად ისვრი, გერმანელიც კანტიკუნტად ისვრის, ვერც შენ არტყამ და ვერც ისინი გარტყამენ, მაგრამ ეს დიდად არავის აწუხებს; იცი, რომ ეს კანტიკუნტი სროლა დაღამებისთანავე შეწყდება და, თუ გერმანელს რაიმე ბზიკმა არ უკბინა, გარშემო დილამდე სიმყუდროვე დაისადგურებს. ბლინდაჟში თვალუწვდენელ მაინცდამაინც არც შიშველი გაწოლილ შეგიძლია. გემოზე გამოიძინონ... რაღა სალაპარაკოა, მაიასა და ირაკლის უამრავი საუბარი ჰქონდათ, თუ რამეს ფიქრობდნენ... მაგრამ საქმეც ის არის, რომ, როგორც ჩანდა, არც ერთსა და არც მეორეს გულში ისეთი არაფერი ჰქონდა. ერთად ძალიან ხშირად იყვნენ, ერთად საუბრობდნენ, სადილობდნენ, მაია ისე იქცეოდა, როგორც ქალი უნდა იქცეოდეს, ჭურჭელსაც რეცხავდა, თამბაგარს ცხვირსახოცებს თუ წინდებსაც ურეცხავდა ხოლმე. მაგრამ ეს იყო და ეს.

ერთხელ, ნავახშმევს, როცა ის კანტიკუნტი სროლაც მიწყდა და ასეული დასაძინებლად ემზადებოდა, თამბაგარის ბლინდაჟიდან გამოსულ საშა ბულატოვს რამდენიმე ჯარისკაცი შემოეხვია. საშა ბულატოვი თამბაგარის შიკრიკი იყო და რაღაც ჭურჭელი გასარეცხად გამოიტანა.

— რას იტყვი? ა, საშიკ!

— რა უნდა ვთქვა?!

— ვითომ არ იცი!

— რა უნდა ვიცოდე?!

— საშა, მოიხედე! ხომ იცი, ჩვენთან მაგისთანები არ გაგივა. თუ მოვინდომეთ...

— რას იზამთ? არა, შენ ის მითხარი, თუ მოინდომეთ, რას მიზამთ?

— არა, მე კი არ გემუქრები...

— აბა?

— არაფერი... რა მოგვიდა, რა ფერი მოგდის.. უბრალოდ... ჩვენ გვაინტერესებს...

— რა გაინტერესებთ?

— არაფერი, მაგრამ...

— როგორ თუ არაფერი, როგორ თუ არაფერი!..

—ეგრე რატომ ლაპარაკობ? საშა, მოიხედე: ჩვენ გვაინტერესებს: ერთი მხრივ. ეგეთი ლამაზი ქალი, მეორე მხრივ კი... ერთი სიტყვით, ნუთუ არ გესმის?

რამაზ კოპეიძე
ფრონტული ამბავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე არაფერიც არ მესმის. ეგეთ ლაპარაკს კი ისა სჯობია, დასაძინებლად დაწვეთ. კაცმა არ იცის, ხვალ რა დილა გაგვითენდება.

— ეგ კი ეგრეა, მაგრამ... მაშ, სათქმელი არაფერი გაქვს?

— არაფერი და მიკვირს კიდეც. ეგეთ სულელურ კითხვებს როგორ მაძლევთ

ბულატოვი ქვაბების რეცხვას შეუდგა. ჯარისკაცებმა კი ხელი ჩაიქნიეს და, რაკი სროლა მართლაც სულ აღარ ისმოდა, ძილის თადარიგს შეუდგნენ. ისევაც კარგად იცოდნენ, რომ მაიასა და თაბაგარს შორის ისეთი არაფერი ხდებოდა.

ესენი კი ამ დროს ბლინდაჟში, ჭრაქის უძალო, ყვითლად მოპარპალე სინათლეზე ისხდნენ. — ერთი ერთ საწოლზე, მეორე კი მოპირდაპირე კუდელთან, მეორეზე. — და ხმადაბლა საუბრობდნენ.

— აი, თქვენ ამბობთ, სტანისლავსკიო, რა თქმა უნდა, მართალია, სტანისლავსკიც, ნემიროვიჩ-დანჩენკოც, ეს ყველაფერი ასეა. მაგრამ ის დიდი მსახიობები რომ არა... მაშინ... აი, წარმოიდგინეთ, ირაკლი: კაჩალოვი, მოსკვინი, ხრულიოვი, ანიპურ-ჩეზოვა... ან რომელი ერთი უნდა ჩამოთვალო! თითები მარტო გენიოსების ჩამოსათვლელად არ მეყოფა. და მეც ამიტომ ვამბობ: ეს იყო რუსული თეატრის უდანიერესი ხანა. თვითონ ისტორიამ, თუ რაღაც განგებამ, — არ ვიცი, რა სახელს დაარქმევთ... რაღაც ზებუნებრივმა ძალამ ისურვა, რომ რუსული თეატრის ისტორიაში რაღაც ძალიან დიდი ამბავი მომხდარიყო... ისეთი ამბავი, რომ პირდაპირ ენა ვერ აგიწერთ. და მოხდა კიდეც. გაჩნდა რაღაც დიდი თანავარსკვლავედი. ოღონდ, რა თქმა უნდა, იმავე სტანისლავსკისა და ნემიროვიჩის ხელმძღვანელობით. მე ამათ როლს სრულიადაც არ უარვყოფ, ღმერთო ჩემო! ეს სისულელე იქნებოდა.

— მეთაური და წინამძღოლი ყოველ საქმეს სჭირდება.

— რა თქმა უნდა! უბრალოდ ვერ გამიგეთ.

— მესმის, მესმის. ახლა მესმის.

— მარჯანიშვილი კი, როგორ გითხრათ... სამწუხაროდ, მე მისი სპექტაკლები არ მინახავს. მსმენია, მაგრამ არ მინახავს. მჯერა, რომ უდავოდ დიდი მოვლენა იყო, თუმცა...

— მარჯანიშვილის სპექტაკლი მეც სულ ორი თუ სამი მინახავს.

— ეგ სრულიად საკმარისია! იმისათვის რომ შეიცნო რეჟისორის სტილი, ხელწერა, ტემპერამენტი, მისი ინდივიდუალობა, ეგ სრულიად საკმარისია, მაგრამ...

— მე სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ მარჯანიშვილის დადგმას სხვებისაგან ყოველთვის გამოვარჩევ.

— სპეციალისტი? ეგ რაღაა?!

— ხომ არიან თეატრის სპეციალისტები.

— არიან, თუმცა... იცით, ზოგი მათგანი ცდილობს ადგეს თეატრსა და ხალხს შუა. ეს კი ძალიან ცუდია... ძალიან ცუდია. მარჯანიშვილი კი, რა თქმა უნდა, დიდი, ძალიან დიდი მოვლენა იყო, მაგრამ...

— თქვით, მაია.

— არა, მე სათქმელი არაფერი მაქვს.

— ზოგი რამ მეც ვერ გამიგია. მარჯანიშვილი ამბობდა, ხელოვნებამ ხალხს სიხარული უნდა მიანიჭოსო. თვითონ კი ტრაგედიებს დგამდა.

— ოო, ეგ სულ სხვაა. აქ ლაპარაკია შემოქმედებით სიხარულზე.

— არ მესმის. ჰამლეტი, ან იგივე „ვეფრაგმა და სიყვარული“... სასიხარულოს მანდ ვერაფერს ვხედავ.

— მაგას როგორ ამბობთ, ირაკლი! ესე იგი, თქვენ მარჯანიშვილი არ გესმით, მის შემოქმედებას ვერ განიცდით.

— შეიძლება.

— ძალიან სამწუხაროა.

— ალბათ. მაგრამ მაინც მიყვარს, გულწრფელად მიყვარს.

— შეიძლება. მჯერა თქვენი.

და ასე დაუსრულებლივ. ამ ორ ადამიანს შეეძლო დილამდე მჯდარიყო ნეს-

ტიან, ჭრაქის ყვითელი ალით ოდნავ განათებულ ბლინდაჟში და ასე — ხმადაბლა, მშვიდად ესაუბრა ათას რამეზე. თუ, რა თქმა უნდა, ფრონტზე ზარბაზნების გრიალი ან ტანკების ღრჭიალ-გრუხუნი არ აუტყდებოდა. ის იშვიათი კანტიკუნტი სროლა მათზე სრულიადაც არ მოქმედებდა. შერე, ნაშუაღამევს, იმ დღის სალაპარაკოს რომ მოიღევდნენ, ორივე დასაძინებლად მოემზადებოდა და ერთმანეთს ძილინებისას უსურვებდნენ. შიკრიკი საშა ბულატოვი ხან იმავე ბლინდაჟში იძინებდა, ხან წავიდოდა და სადმე სანგარში, ამხანაგებთან დაიძინებდა. ამას მაია და ირაკლი ვერც კი ამჩნევდნენ, ბულატოვს არც მოიკითხავდნენ და არც დაითხოვდნენ. თავთავიანთ საწოლებზე მოეწყობოდნენ და ორივე გულდამშვიდად იძინებდა.

ვინ იცის. ასეთი ურთიერთობა სანამდე გაგრძელდებოდა, მაგრამ გვიან შემოდგომაზე ერთი ამბავი მოხდა.

იმ წელს ნაადრევი ყინვები დაიჭირა. ინოზემცევის ბატალიონი ერთხანს სტალინგრადის მიდამოებთან იბრძოდა. ნოემბრის პირველ რიცხვებში ინოზემცევმა იმარჯვა და გერმანელები რამდენიმე დიდი სოფლიდან გარეკა. შემდეგ ისევ შედარებითი სიმშვიდე ჩამოვარდა. სტალინგრადთან კი დიდი ბრძოლა ღვივდებოდა. ყველა გრძნობდა, რომ რაღაც დიდი ამბავი უნდა მომხდარიყო. ჯარისკაცებსაც და ოფიცრებსაც რაღაც გამოუთქმელი იმედი დაეუფლათ, უკანდახევების და დამარცხებების დრო დამთავრდა და ამ გაუგონარ ომში გარდატეხა იწყებაო. ჯარისკაცები თავიანთ ყოველდღიურ სამსახურს მშვიდად ეწეოდნენ და დიდი ამბებისთვის ემზადებოდნენ.

12 ნოემბერს ინოზემცევმა დადების დღე გადაიხადა. თბილ და შშრალ ბლინდაჟში ფიცრებისაგან შეკოწწებულ სუფრას ბატალიონის ოფიცრები უსხდნენ, „სამოგონს“ სვამდნენ, ქაშაყსა და მოხარშულ კარტოფილს აყოლებდნენ, ხუმრობდნენ და იცინოდნენ. ყველა კმაყოფილი იყო. ერთმა ისიც კი წამოიძახა, თქვენი არ ვიცი, მე რომ ახლა კიდევ უკანდახევის ბრძანება მივიღო, ალბათ, ჭკუიდან შევიშლებიო. იგი მყისვე ანუგეშეს, ეგეთი რამ აღარ მოხდებაო, და თან ისიც ურჩიეს, რა დროს უკან დახევაზე და მაგისთანებზე ლაპარაკია, ვერა ხედავ, როგორ ხასიათზე ვართო. და ისევ ხუმრობასა და სიცილზე გადავიდნენ.

ინოზემცევმა დათრობის უფლება არავის მისცა. თორმეტი შესრულდა თუ არა, წამოდგა, ყველას ჭიქა შეუვსო, მადლობა გადაუხადა და დღეგრძელობა უსურვა. ირაკლის კი ხელი დაუჭირა და თვალებში ჩახედა.

— ირაკლი, მე და შენ ხომ ძმები ვართ. ამ საღამოს კიდევ ერთი სიურპრიზი მოგიმზადე.

— სიურპრიზი?!

— ჰო. მალე გაიგებ. ახლა კი — ნახვამდის! სტუმრებისა და ჩემი პატივისცემისათვის დიდი მადლობა!

სანგრებს რომ მიჰყვებოდა, თაბაგარმა იგრძნო, რომ ჯარისკაცები, — ვისაც ჯერ არ ეძინა, — თვალს აყოლებდნენ და ზოგიერთს თითქოს კიდეც ეღიმებოდა. ვერაფერს მიხვდა. ისიც კი გაიფიქრა, ნეტავი, რა აცინებთ, მაიამ ხომ არაკვინ გაიჩინაო. თავის ბლინდაჟში შესულს კი მართლაც მოულოდნელი ამბავი ელოდა. აქ მას მარტო მაია უნდა დახვედროდა, მაგრამ საწოლზე მაიას გვერდით კიდევ ვიღაც ფარაჯიანი იჯდა, ირაკლი დაკვირდა და სულ ახალგაზრდა — ოციოდე წლის, შავთვალებიანი და ლოყაწითელი ქალიშვილი დაინახა.

მაია მყისვე წამოდგა.

— მობრძანდით, ირაკლი! სტუმარი გვყავს.

— ვხედავ. — ირაკლიმ მეტი ვერაფრის თქმა მოახერხა.

— თანაც როგორი სტუმარი — თქვენი მიწა-წყლიდან. მარინე ვარო... ისა... ჰო! მარინე კარგარეთელი. —

რამაზ კოტიძე
ფრონტული ამბავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიას თავის თავზე თვითონვე გაეცინა და ქალიშვილს თავზე ხელი გადაუსვა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ქალიშვილი ირაკლის შუბლქვეშიდან, ცოტა არ იყოს, უკმეხად მისჩერებოდა, და, როგორც ეტყობოდა, არც წამოდგომას აპირებდა. არც მისალმებას და არც ხმის ამოღებას. ირაკლიც დაბნეული იყო.

ხმა ისევ მაიამ ამოიღო:

— ბატალიონის უფროსი თქვენ დიდად გაფასებთ, ბატონო ირაკლი. ჯერ ერთი მანდილოსანი გამოგიგზავნათ. ახლა კი, რაკი დარწმუნდა, რომ ნამდვილი ჯენტლმენი ბრძანდებით, აი, მეორეც. ახლა თქვენი ჯენტლმენობაც უნდა გაორმაგდეს.

— დიახ... — ძლივს ამოღერღა ირაკლიმ, — გასაგებია...

— ახლა კი ჩაი დავლიოთ. — მაიამ ტაშიც კი შემოჰკრა და ბლინდაჟის ყუთხისაკენ წავიდა, სადაც ჭურჭელსა და სანოვაგეს ინახავდა.

ირაკლიმ შეამჩნია, რომ მარინე კარგი ეიფელიმა გაკვირვებით შეტეხა უკმეხად შეკრული, მოშვილდული წარბები. „ფრონტზე პირველადაა, — გაიფიქრა ირაკლიმ, — ვერც კი წარმოუდგენია, თუ აქ ჩაის სვამენ".

— ფარაჯა გაიხადეთ, მარინე, — უთხრა მან ქალიშვილს. — ჩვენს ბლინდაჟში თბილა.

მარინე ერთ ხანს არც განძრეულა. არც თაბაგარისთვის შეუხედავს, თითქოს მისი სიტყვები არც გაუგონიაო. ირაკლიმ უხერხულობაც კი იგრძნო და ის იყო, ნათქვამის განმეორებასაც აპირებდა, რომ მარინე უხალისოდ შეიძრა, ახალთახალი ფარაჯის ღილები ნელა გაიხსნა, ფარაჯა გაიხადა, იქვე საწოლზე დადო, იატაკიდან თავისი მწვანე ჯარისკაცური ჩანთა აიღო, მაიასთან მიიტანა, ფეხთით დაუდო. თვითონ კი ხელები უკან დაიწყო, კედელს მიეყრდნო და ხმაამოუღებლად თავი ჩაღუნა. სახეზე ისევ ის უკმეხი გამომეტყველება ჰქონდა. სწორედ იმ მოწაფეს ჰგავდა, უდროო დროს დაფასთან რომ გამოიძახეს და რაკი გაკვეთილი კარიცის, მთელ ქვეყნიერებაზე გულმოსულია — თავის თავზეც, ამხანაგებზეც და მასწავლებელზეც.

— ამ ჩანთაში რა გაქვთ? — მაიას აშკარად ეტყობოდა, რომ მარინეს მოშინაურება ჰქონდა გადაწყვეტილი.

მარინემ არც მაიას უპასუხა. ისევ ისე თავჩაღუნული იდგა და მაყვალიკით შავი, ბრიალა თვალებით იატაკს დასცქეროდა. მაიამ ჩაიღიმა და ის იყო, კითხვის განმეორება დაუპირა, რომ მარინე დაიხარა, ჩანთა აიღო, ნელი მოძრაობით გახსნა და შავი ჰერის ნაჭერი, ხორცის კონსერვი და სამი თუ ოთხი კვნიტი შაქარი ამოიღო. ჩანთა ისევ ძირს დაადგა, ის ყველაფერი კი ხელში ეჭირა და ისევ თავჩაღუნული, სახეგაწითლებული იდგა.

— ო, ხორცის კონსერვი! შესანიშნავია! — მაია მარინეს მიეახლა და ის ყველაფერი ჩამოართვა. — რა დიდებულად ვიქეიფებთ!

ფრონტისა და დიდი სიცივეების კვალობაზე მართლაც კარგად ივახშმეს. ირაკლიმ ორი თუ სამი ჭიქა არაყიც კი გადაჰკრა და მარინეს წინსვლა და ბედნიერება უსურვა, თუმცა წარმოდგენილიც კი არ ჰქონდა, ამ გაგანია ომის დროს ფრონტზე მოხვედრილ ოცი წლის გოგონას რა წინსვლა და ბედნიერება უნდა მოეპოვებინა. მაია მხიარულად ჭამდა და რამდენიმე ანეკდოტიც კი მოჰყვა. მარინე კი ხმაამოუღებლად, უკმეხად წარბებშეკრული იჯდა და მასპინძლებმა მალე მოისაზრეს. კარგა ხანი გაივლის, სანამ ეს გოგონა თავის ახლანდელ მდგომარეობაში გაერკვეოდეს და ფრონტულ ცხოვრებას შეეჩვეოდესო.

ნავახშმევს, — რაღაც იღბლად, ერთი თოფიც კი არსად გვარდნილა, — მაიამ ჯერ მარინე დაწვინა თავის საწოლზე, დააცადა, სანამ დაღლილი და განერვიულებული ქალიშვილი ჩაძინებდა და მერე თვითონაც გვერდით მიუწვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დილას ირაკლისთვისაც და მაიასთვისაც, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი ამბავი გამოირკვა: მარინე კარგარეთელი ფრონტზე ახალბედა სულაც არ ყოფილა. თბილისში კავშირგაბმულობის კურსები წინა წელიწადს დაუთავრებია, ფრონტზე რვა თუ ათი თვის წინათ მოხვედრილა და ბევრი რამე უკვე გამოცდილი ჰქონდა — სიცივეცა და ნესტეც. შიმშილიც და უკანდახევის სიმწარეც, ამხანაგების დაღუპვაცა და ძლევამოსილი შეტევის სიხარულიც.. წინა საღამოს კი ისე შებოჭილად, თურმე იმიტომ იქცეოდა, რომ... არა, რიმე ისეთი მას, რა თქმა უნდა, არაფერი უფიქრია. რა სისულელეა, მაგრამ... არა, უბრალოდ, მარინემ იფიქრა, ამ ბლინდაჟში ისედაც ვიწროობაა და მე რაღა მოხელე ვარო.

— მე აქ მაინც დროებითა ვარ, — მარინემ ესეც დაუმატა და თავისებურად თავი ჩაღუნა.

— დროებით?! — მაიამ წარბები აწკიპა და ირაკლის მზერა შეავლო.

— დიახ! — მარინეს თავი არ აუწევია.

— აქ ყველანი დროებითა ვართ. სიბერემდე ომსა და ხიშტის ქნევას არავინ ვაპირებთ.

— არა, მაგ აზრით კი არა... ისა... მე, ალბათ, პოლკის შტაბში გადამიყვანენ.

— როდის?

— ეგ არ ვიცი, როდის — არ ვიცი. ალბათ, მალე.

— ჰოდა, მანამდე ჩვენთან იყავი. მშვენიერი ბლინდაჟია და სამიენი თავისუფლად დავეტევით. — მაია წამოდგა, მარინეს ლოყაზე ხელი მოუთათუნა და ახლა დილის საუზმის თადარიგს შეუდგა. მარინეს ირაკლიმაც დაუდასტურა, პოლკის შტაბში, ალბათ, მართლაც მალე გადაგიყვანენ, კვალიფიციური მეკავშირეები იქ უფრო სჭირდებათ, მანამდე კი ჩვენთან იყავით. ეს იყო და ეს. გემრიელად ისაუზმეს და ამ თემაზე ამის შემდეგ კრიტიკა აღარ დაუძრავთ.

ის სიწყნარე, რასაც ხანდახან ბლინდაჟში ადგილი ჰქონდა, ალბათ, ერთ-ორად კანტიკუნტები სოლა არღეევდა, ფრონტის ამ უბანზე კარგახანს გაგრძელდა. ხმები დადიოდა, დივიზიას მალე სტალინგრადის ფრონტზე გაგზავნინ, ჩვენებს იქ ძალიან უჭირთო, მაგრამ დღეები დღეებს მისდევდა, კვირა — კვირას, ის ხმები კი არ მარილდებოდა. ჯარისკაცები და ოფიცრები თავიანთ სანგრებსა და ბლინდაჟებში ისხდნენ და გერმანელების მიერ ხანდახან ატეხილ სროლას გაეპასუხებოდნენ ხოლმე. მერე ისევ სიწყნარე ჩამოვარდებოდა.

მერე, იმ დღეების გახსენებისას, ირაკლი თამბაგარს ხშირად უფიქრია, ვინმეს რომ ვუამბო, არც კი დამიჯერებს, ფრონტზე ისე მოსვენებითა და განცხრომით ცხოვრება თუ შეიძლებაო.

ბლინდაჟში ისევ სამნი ცხოვრობდნენ. პოლკის შტაბიდან მარინე ჯერჯერობით არავის მოუკითხავს. ქალაქშილი მალე დარწმუნდა. აქ ხელს მართლაც არავის არაფერში ვუშლიო, მერე კი რატომღაც მტკიცედ გადაწყვიტა, მაიასა და ირაკლის, მართალია, ძალიან მეგობრული ურთიერთობა აქვთ. მაგრამ მე მაინც მოვალე ვარ, ყველაფერში მაიას მივემხრო. და მიჰყვა. მაიასა და ირაკლის გასაყოფი მართლაც არაფერი ჰქონდათ, მაგრამ სულ პატარა, უბრალოზე უბრალო მიზეზი კმაროდა სიმბისოდ, რომ მარინეს თავი გამოედო და მაიას მიმხრობოდა. და ამას ისე უშუალოდ, ისე გულწრფელად, მთელი სულით და გულით აკეთებდა, რომ ირაკლი სიცილს ძლივს იკავებდა ხოლმე. მაგალითად, თუ მაია იტყოდა, ჩვენ ქალები ვართ, ცოტა საქმელიც გვეყოფა, ეს ულუფა კი მარტო ირაკლიმ უნდა შეჭამოსო, — მორჩა! მარინე აღარაფერს მოერიდებოდა და შეიძლებოდა, ირაკლისთვის ჩკვახე სიტყვებიც კი ეკადრებინა, მაიამ ხომ თქვა, მაგ ულუფას რა-

---

რამაზ კობიძე
ფრონტული ამბავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომ არ ათავებო. ერთხელ კი ამის საპირისპირო ამბავი მოხდა.

ბატალიონმა საქართველოდან ამანათები მიიღო. მეომრებს ტკბილეული — კახური ჩურჩხელები, კანფეტები და ცოტაოდენი ჰალვა ჩამოურიგეს. თავისი წილი ამ სამსაც ეერგო. მაიამ საწოლზე რომ ტკბილეული დაუწყო, ირაკლის თავი რაღაც ძველ გაზეთში ჰქონდა ჩარგული და ამ ქვეყნისა აღარაფერი ესმოდა. ან, იქნება, ძალიან შიოდა. ასე იყო თუ ისე, თავისი წილი ტკბილეული ისე გაანახევრა, რომ გაზეთიდან თავი ერთხელაც არ აუწევია. და ის იყო, ჰალვით დასვრილი ხელი დაბამბეულ შარვალზე უნდა შეეწმინდა, რომ ბლინდაჟში მაიას უეცარი, თავდავიწყებული კისკისი გაისმა. ირაკლიმ თავი ასწია. მაია თავის ლოგინზე გულაღმა გადავარდნილიყო და ხმამაღლა კისკისებდა. მარინე კი იქვე იჯდა და სახეაწითლებული, რისხვით წარბებშეკრული და გაალმასებული მისჩერებოდა ირაკლის. ირაკლიმ დაბნეული მზერა რომ გაუსწორა, მარინემ გვერდი ასეთი გამომეტყველებით იბრუნა, ადამიანი რაზე უნდა გელაპარაკოსო! — და გულხელი დაიკრიფა.

ირაკლი ვერაფერს მიხვდა და ხან აკისკისებულ მაიას მისჩერებოდა, ხან წარბებშეკრულ, გაალმასებულ მარინეს. კარგა ხანი გავიდა, სანამ მაია დაშშვიდდებოდა, წამოჯდებოდა და სიცილისაგან აცრემლებულ თვალებს ამიოწმენდდა.

— აღარ მეტყვით, რა მოხდა?!

— ოჰ, ირაკლი, მეტი აღარ შემიძ-ლია...

და მაია ისევ აკისკისდა.

თურმე, ტკბილეული რომ გაანაწილეს, მარინეს უფიქრია, ირაკლი ისე მოიქცავა, როგორც ვაჟაკს შეეფერის და ტკბილეული მაიას თუ მართლა არ დაუთმო, შესთავაზებს მაინცო. თავისი წილი კანფეტები და ჰალვა მარინემ მაიას რამდენჯერმე მიუწია, მაგრამ მაიამ თითი მკაცრად დაუქნია, არ გაბედო, შენ თვითონ შეჭამეო. მარინემ როგორც იქნა, ერთი კანფეტი პირში ჩაიდო და თან ელოდებოდა, აბა, ირაკლი თავის ბინდულ ბუნებას როდის გაამეღვიძებსო. მაგრამ ირაკლიმ თავისი წილი ტკბილეული ისე გაანახევრა, რომ მაია და მარინე ერთხელაც არ გახსენებია. რამდენჯერაც ირაკლი შეინძრეოდა, გაზეთს აამრიალებდა და პირში კანფეტს ან ჰალვის ნატეხს ჩაიდებდა, მარინე იმდენჯერ ღრმად ამოისუნთქავდა და ირაკლის ჩაღუნულ თავს ჯიქურ მიაჩერდებოდა. ირაკლიმ პირში კიდევ ერთი კანფეტი რომ ჩაიდო, მარინას ლოყები უკვე ნაკვერცხლებივით უღვივოდა, შავ თვალებში კი იმდენი რისხვა და ზიზღი ჩაგროვილიყო, რომ გერმანელების სატანკო დივიზიას ეყოფოდა. სწორედ აე იყო, მაიამ რომ ვეღარ მოითმინა და აკისკისდა.

ირაკლი დაბნეული და შეცბუნებული იჯდა. თავის გასამართლებელი ვერაფერი მოეფიქრებინა. გაწითლდა. ჩურჩხელის ნახევარი მაგიდაზე დასდო.

— რას ბავშვობ, ირაკლი! — მაია უცბად დასერიოზულდა. — რა უნდა გვეთქვა! სისულელეა. აბა, ახლა კი — ნანა! ბაი-ბაი!

მაიამ იმ საღამოს ერთი ორჯერ ისევ წამოიკისკისა, მარინემ კი ისე დაიძინა, რომ ირაკლის ერთხელაც არ გამოელაპარაკებია. ირაკლი კი იწვა და არ იცოდა, მარინესა და მაიას საქციელზე ეცინა თუ გაბრაზებულიყო. თავს კი მართლა დამნაშავედ გრძნობდა: რა ღმერთი გაუწყრა და ტკბილეული ქალებს არ შესთავაზა? ასე იკის სულ კითხვამ და კითხვამ, ადამიანს ტვინი გეღლება და ამქვეყნისა აღარაფერი გაგეგება.

რაღა თქმა უნდა, მეორე დღეს ეს ამბავი არც ერთს აღარ გახსენებია.

დღეები ერთი მეორეს მისდევდა. მერე კი მოხდა ის, რაც ახლანდელ — ასეთ სასტიკ და განუკითხავ ომში ასე ხშირად ხდება.

ბლინდაჟიდან ორიოდე წუთით გასულ მარინეს დაბრუნება შეაგვიანდა. სროლა თითქოს არ იყო, მაგრამ ირაკლის გულმა მაინც რაღაც ავი უგრძნო. წამოდგა, გარეთ გავიდა და იქვე გახევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და: ხუთიოდე ნაბიჯზე, სანგარის ნაპირას მარინეს უსულო სხეული ეგდო. ქალიშვილს ტყვია საფეთქელში მოხვედროდა. იქით, ოციოდე ნაბიჯზე, ორი ჯარისკაცი სანგრის ფსკერზე ჩაცუცქულიყო და ცულებით რაღაცას ამაგრებდნენ. ეტყობოდა, მარინეს სიკვდილი მათ არც კი გაუგიათ.

●

მარინეს სიკვდილმა ირაკლი და მაია ერთმანეთს დააშორა, თითქოს ვიღაც უხილავი ჩადგა მათ შორის. დღე ისე დაღამდებოდა, რომ ერთმანეთს არც ერთხელ, ჯამის დროსაც კი არ შეეხმიანებოდნენ ხოლმე. მაია ჩაფიქრებული, გულხელდაკრეფილი იჯდა თავის საწოლზე და ერთ წერტილს მისჩერებოდა ხანდახან ირაკლისაც შეხედავდა, თითქოს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანის თქმა უნდაო, მაგრამ აღარაფერს ეტყოდა და მზერას ისევ აარიდებდა. ირაკლი კი მაიას ვეღარც კი ამჩნევდა და დარდს ეძლეოდა, თუ ცოცხალი გადავრჩი და დავბრუნდი, მარინეს მშობლებს რა ვუთხრაო. კარგად იცოდა, რომ მარინეს სახლში რამდენიმე წერილის გაგზავნა მოასწრო და თავისიანებს სულ იმას სწერდა, ისეთი კარგი უფროსები და ამხანაგები მყვანან, რომ ამათ ხელში არაფერი გამიჭირდებაო.

მესამე საღამოს ირაკლი და მაია ასევე ისხდნენ, ორივე თავის საფიქრალს ფიქრობდა და ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ და არც უყურებდნენ. მოულოდნელად მაია წამოდგა. ირაკლის გვერდით მიუჯდა და ხელი დაუჭირა

— ირაკლი!

— რა?

— არაფერი. მე შენი ცოლი ვიქნები. წამოდგა და ჭრაქი ჩააქრო.

●

ირაკლიმ და მაიამ ერთად კიდევ ბევრი იომეს. ირაკლის ბევრჯერ უფიქრია, ამ ომში მეც ბევრი ვიტანჯე და სხვების ტანჯვაც ბევრი ვნახე, მაგრამ ბედმა ისეთი ცოლი გამომიგზავნა, რომ აღარ დავეძებ, ისე ჩავთვლი, ვითომ მთელი სიცოცხლე რუსთაველზე მესეირნოსო. თავისიანებს წერტყობინა და მოამზადა, თუ ცოცხალი გადავრჩი, დაცოლიანებული დაგბრუნდებითო. ისინიც, ყველა ოჯახისა არ იყოს, ელოდნენ, საცაა, ომი გათავდება და ერთის მაგიერ ორი დაგვიბრუნდებაო.

მაგრამ სახლში დაბრუნება არც ირაკლის ეწერა და არც მაიას. მაია დონის ველებში დაიღუპა, ირაკლი კი — დნეპრის გადალახვისას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხოლოდ ერთი ლექსი

ტარიელ ჭანტურია

შინაგერა დოგილის ლექსი

(თითქმის ექსპრომტი. თითქმის დაკვეთით:
„ე ბიჭო, მეც მომიპღვენი ერთი ლექსი...").

გულდაწყვეტილი გაჰყურებ
ამურის ისრებს აცდენილს...
გრძნობ: ვეღარასდროს გაცთუნებს
ბრძნული სურვილი შეცდენის...
ჩაკეტილს საგულდაგულოდ —
არც მზე გაკლია, არც დენი...
მაინც — წუხილი არავის
ჰქონია ალბათ ესდენი...

ბოლავენ სინანულები
ოცდაცამეტი უარის...
დარდისგან დამეხილი და
დაღლილი დუმს ბუდუარი.
თუ გსურს! ან როსმე თუ გსურდა!
თუ იყო! ანდა თუ არის!
რა ყოჩაღია სატანა,
ღმერთი რა უღმერთო არის!

რამდენი ცრემლი გაწვიმდა,
რამდენი ფიქრი გათოვდა!
„კითხე, თუ და ხარ, იმ ჯოჯოს —
რა იყო... როგორ გათხოვდა..."
შენ ვინ გეტყოდა, საბრალოს —
ზოგჯერ რომ შუქიც ჰყინავდა...
შენ რა იცოდი, გულჩიტამ —
ზოგჯერ ყინულიც ათბობდა...

ცრემლი, წაშლილი ცრემლებით,
ალერსი — ალერსითვე...
შენი საბნები ვრცელები
ახურავს მხოლოდ მზითვებს...
ბჟუტავენ სინანულები
ოცდაცამეტი უარის!
რჩეულთა დამწუნებელი —
დგახარ და ელი უარესს.

არ გყვარებია ზოგივით
საცქერლად ჩხუბი მამლების!
სხვამ საიდუმლო ამდენი
ვინ იცის ღვთიურ წამლების!
მარად ბალღობის ნატრული —
ხან „ვრანგლერს" იცვამ, ხან
„ლევისს"
მაგრამ გაცვია ორივე,
როგორც მონაზონს — ხამლები!

არავინაა შენს მეტი
ოჯახში ქათმის დამკვლელი!
დედას რომ სევდა აიტანს —
მისთვის გიტარის დამკვრელი!
მომტაცებელი არსად ჩანს —
მშობლისთვის შენი წამგვრელი!
სიხარულები — ცოტაა,
ტკივილი —თავზესაყრელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი რომ უმცროსს ეთხოვა —
არ წაყვებოდი! ხომ არა?
გაიცინებდი: „ჰა-ჰა-ჰა!
რა ხარ! ნამდვილი ხუმარა!“
რომელი ერთი გიხსენო:
ბაწელა! კოშკა! ომარა!
ჰოდა, იყავით ახლა შენ
და შენი სევდის ტომარა!

მეტყვი: „დობილი არა ის! —
მე ვარ ნამდვილი დებილი!“
მე კი მსურს, შენი და მხოლოდ
შენი ვთქვა სადიდებელი!
ჭკვიანო, ზრდილო, კეთილო,
მაღალო, უხვო, მდაბალო,
დიასახლისო უბადლო
და დაო ჩემო, დაბოლოს!

არა დუბლჟონკით, კაბებით
ან ინგლისური ტუფლითო,
მიჯნური ღონიერია
მხოლოდ და მხოლოდ უფლითო!
ეს რა წესია, უფალო,
ჩემს დებს გულები უფლითო!
რა მდორედ მიედინება
დღეები, წლები უფლირტო!

ხომ გიყვარს, ხომ ეფერები
ჩვენს შვილებს — „უპერანგოებს!“
მათ შამპანურებს, „კონოებს“,
ანანასებს და მანგოებს!
კვნესიან გაზაფხულით და
ვნების ბურანით მთვრალები,
და ბჟუტავს ფრაზა ხსოვნაში:
„დაგეფსოთ კაცებს თვალები!“

ჩემს ცხოვრებაში პირველად —
ვწერ ამ ლექსს ასე — დაკვეთით!
მე ვენაცვალე ეზოებს,
შენგან დაგვილს და დახვეტილს!
მე მიყვარს შენი სტუმრები,
მზადება მათი დახვედრის,
და მკლავზე მთვრალის პოტინიც! —
ქვეყნად ბევრია თავხედი!

ჭირიმე შენი ხალების!
ჭირიმე შენი ფხალების!

შენი იაფი ბეჭდების
და ყალბი ფირუზ-ლალების!
ჭირიმე შენი ჩურჩულის —
მუდამ მართალი ჭორების,
შენი მზითვების სათრევად
გამზადებული ჯორების!

დღეებს გალევდი ლოდინში —
ვიცოდი, ვგრძნობდი, გატყობდი —
ვინც არ მოგწონდა, იმაზე
არც ოცნებაში გათხოვდი!
ის გიყვარს, ვინაც გიყვარდა,
მას ეძებ, ვისაც ეძებდი!
შური შურით შენი ტორტების
და „ჟოზეფინას“ რეცეპტის!

შევხარი გულში შენს „დუხებს“
და წელთა მიმოტანას,
გულში შენს ნაცვლად დავიცემ
აბესალომის დანას,
სულ გადავრეკავ მაგ რეგვნებს —
გლერტა ბალახის მძოვლებს —
ითაკელ სასიძოებზეც
უნიჭო სასიძოებს!

. . .

ხარ პენელოპე უქმარო —
მოლოდინების მქსოველი,
მთვარის ცქერაში გაშრება
თვალი, მსუბუქად სოველი..
დაო, იმედო, მევალევ
ვერ გაგისტუმრეთ ვალები!
ჩემს ძმებს, ძმაკაცებს — სუყველას —
დაეფსოთ კაცებს თვალები!

,

გასრულდა ესე უსტარი —
შარბათი კურცხალ-ნარევი —
ზედ გულზე დასასობელი
უწყალო ეკალ-ნარევთ!
—კაცი არ შემხვდა ბოლო დროს
ღირდეს პომადის წასმადო! —
ამ ფრაზას შენი ტარიელ
ხუმრობად გითვლის, ასმათო!

. . . .

ახლაც გიხსენებთ მთვრალები!
დაეფსოთ კაცებს თვალები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიზმრები წვიმის ფარდიდან

შენ იქ ხარ! —
მზისკენ მიმავალი ბილიკის თავში!
ამაყად მდგარი
გადმოსცქერი ქვეყნიერებას,
არ იკითხება თვალებში
არც გაკვირვება,
არც სიხარული.
ოღონდ იმგვარი მზე გიშუქებს
სევდიან მზერას,
რომელიც ალბათ
მხოლოდ შენში თუ მეორდება.

მარადიული დუმილის იქით
მიხურულ კარებს
ხელს არვინ ახლებს.
ის მშვიდად ხვდება
მზეს, ქარს და წვიმას
და მიიმღერის,
უსაშველო ტკივილთან ერთად
მიდის... მშორდება...
უსასრულოდ მიდის... მშორდება..

ჩვენ არასოდეს შევხვედრივართ
ერთმანეთს ადრე...

დღეს სხვანაირი მზე აენთო
და სხვანაირად გაიმართა
ბალახი წელში.
მეც თითქოს სხვა ვარ.
და სიხარული, შემოჭრილი
ჩემს არსებაში
უკანასკნელი სიხარულია.

თუმცა მე ადრეც დაგეძებდი,
დიდხანს გეძახდი...
შენი თვალები სხვას უმზერდნენ!
სხვას მოელოდი გაზაფხულებზე!
ჩვენ არასოდეს შევხვედრივართ
ერთმანეთს ადრე.

წვიმა... შენი ფანჯრის
მინებზე რომ გზას იკვლევს, — წვიმა
ჩემი ფიქრის ბილიკებია
გემუდარები, დამიმახსოვრე!
და მოაცილე ჩემს სახლამდე
შენი სხეული
სულ ერთი წუთით,
რომ ნაწვიმარი თვალების ცქერით
თავბრუ დამეხვას.

შენ ჩემში ხარ...
მე ვეღარ დაგთმობ,
ვერ გავწირავ ჩემს სიზმრებს და
იმ ფერად დღეებს,
რომლებიც მოგაქვს
ქვეყნად შენი არსებობით.
და ამ ქალაქში
ამოვიკითხავ ყოველ ფოთოლზე:

„ჩვენ ხელმეორედ გავჩნდით
ქვეყნად ერთმანეთისთვის..“
პირველად მე ჩაგიფიქრე,
მე ვასულდგმულე ნაყოფი
ჩემს სულში
შენი გამხდარი სხეულის მსგავსი.
დაგკიდე სახეზე
ნატანჯი ღიმილი
და მიგისაკუთრე.
ამიერიდან ჩემს განძთსაცავში
შენა ხარ მხოლოდ
განძი რჩეული —
მოულოდნელი და უსასრულო...

მოვიწევ შენსკენ,
მოვდივარ და
მოვარღვევ ტალღას,
რომ დაგინახო,
სულ ერთი წუთით
შეგხედო მხოლოდ.
მერე წავიდე, გაგეცალო...
მორღვეული აქვს
ჩემს ტანჯვას ფსკერი
და ბურუსივით იფანტება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღეებზე, წლებზე...
და მახსენდები...
და სასჯელივით მიგდია გულში
შენი სახელი...
მოვიწევ შენსკენ,
მოვდივარ და მოვარღვევ ტალღას.

ამ მარტოობას დასასრული
არა აქვს არსად,
როგორც ჩიტების ნისკარტს
გამობმულ
გრძელ ორკესტრიონს.
შენა ხარ მისი დასაბამი!
შენ კი წახვედი.
სამარადისოდ წაიღე ფიქრი
შორს... და დადუმდი...
გახიდულია მარტოობა
სხეულებს შორის.
მიხურულია მძიმე კარები
და გასაღები ბედისწერამ
შორს მოისროლა.
მაშ რაღას ველი
განთიადი ვისთვის ინათებს?

. . . .

შენ ისე შორს ხარ,
რომ იდუმალ ფიქრსაც კი უჭირს
გზის გამოგნება.

ამ მარტოობას დასასრული
არა აქვს არსად...

ნეტავ იწვიმოს.
გადაბმულად იწვიმოს დიდხანს.
მე წვიმის ფარდის
შრიალა კედლებს მივეახლები...
და როცა სევდა გაფერმკრთალდება
და შენ შემხვდები —
მე გიამბობ:
წვიმის ფარდის მშვენიერ სიზმარს.
ჩამოვეყრდნობი შენს მხარს
დანდობით
და დიდხანს, დიდხანს გითვალიერებ
სევდიან პროფილს.
და უსათუოდ დაგიმახსოვრებ,
რომ განშორების შემდეგაც კი
კვლავ ჩემთან იყო...

ირაკლი გაზაძე

დაარქვით მუსიკა

დაარქვით ტანჯვას მუსიკა —
მისი მელოდია ნეტარია და წმინდა,
როგორც დედის საშოდან
დაძრული ნაყოფი.

დაარქვით სიხარულს მუსიკა —
მისი მელოდია მსუბუქია და თოთო,
ჩემს იმერეთში გაზაფხულზე
აქაფქაფებულ ტყემლებივით
ან ბალახივით ამოღვრილი
ნაზამთრ მიწიდან.

დაარქვით სიცოცხლეს მუსიკა —
მისი მელოდია თბილია და მკაცრი,
როგორც მღვიმეში უეცარი სინათლე,
როგორც ქალწულის მკერდში
ჟრუელა
ქვეშეცნეული
ან როგორც ცრემლი
მეზღვაურის ამომშრალ თვალზე.

მე ვნახე ქარი როგორ ჩანათდა
ალვის ხეებში მსხვრევის სინათლით,
როგორ აკივლდა წვიმის წინ ელვა
ცის ჩალურჯებულ უპეებზე;
როგორ წაიქცა მუხლსუსტი ბალღი
დედის კალთას წამით მომწყდარი...
მე ვნახე შიში...

ყველაზე უფრო
იგი ქალაქის ქუჩებში დარბის
და ჩვენი ტანის დაკვარჩხნილ
ჩრდილით
აწყდება კედლებს, სკვერებს,
ვიტრინებს
და...
ჩამოქროლილ მანქანების ელამ
თვალებს —
აწყდება ჩრდილი.
ის კი... ქალაქი
მარადიულ შიშით ორსული
შეფარებული ხმაურის ფარდას,
იცვლის ვეება ნიღბებს პირზე,
ირგებს და იცვლის,
როგორც ჯამბაზი ყოველ-დღიურ
როლიდან როლში.

დაარქვით სევდას, განშორების სევდას
მუსიკა —
ის არის ყველგან, ჩემშიც და შენშიც,
ის არის ზღვაშიც, მიწაზეც, ცაშიც;
შეყუჟულია ტყეების ტევრშიც,
ჭაბუკის გულშიც
და მოხუცის დაღლილ თვლემაშიც...
ის ჩვენს წიაღში გაბნეულია
მონატრების ღვთიურ ტკივილად.
რა დიადია ეს ტკივილი
და რაოდენი ძალაა მის
მარადმედინ მიმოქცევაში,
რამაც ჩვენ ასე გვაპოვნინა ერმად
ერთმანეთი
და ამოგვავსო ვნებით,
როგორც მეაფთიაქის
სენაკი წამლის უმძაფრეს სუნით.
და ერთმანეთის უმოწყალოდ
ასე მფლანგველებს
როგორ გვამაღლებს ერთად ყოფნის
თბილი მუსიკა
და, ერთმანეთის უმოწყალოდ
მკვლელებს,
მძარცველებს,
როგორ გვწმენდს მუდამ
ქენჯნის მუსიკა...

დაარქვით მუსიკა სიკვდილსაც —
მისი არსება წყვდიადია
და ფსკერიც მისი
მოკირწყლულია
ჩვენი ტანჯვის სუფთა მელოდიით;
ჩვენი სიხარულის თოთო მელოდიით;
ჩვენი სიცოცხლის მკაცრი მელოდიით;
ჩვენი ცრემლის თბილი მელოდიით
და...
სამყაროზე ხეტიალის
მრავალწერტილით.

ხოჯე ადეიშვილი

●

ბედნიერად ჩათვალე ეკლიანი გზა,
ერთხელ მაინც თუ ძმა ხარ მომაწვდინე ხმა.

ორპირსა და გამყიდველს ვერ ვენდობი მე,
რას მიმზადებს, ვინ იცის, ხვალინდელი დღე.

უნდა იყურებოდე ცხრამთას იქით შორს...
თუ ღმერთი გწამს უბრალოდ ნუ აყვები ჭორს.

გეშინოდეს უნდა, ცეცხლისა და წყლის —
დაშორება ადვილია, კაცის პოვნა ჭირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალი მაზმიშვილი

ვფიქრობ თელებზე

მე ყოველ ღამით ვფიქრობ თელებზე,
რომელთაც მიაქვთ სიმწვანე ცისკენ...
მე ყოველ ღამით ვდარდობ თელებზე,
რომელთაც ჩუმი სიყვითლე ელით!

და უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე
ჩემი ფიქრების სათავე ხდები,
და უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე,
დიდი ნუგეში მჭირდება შენი!

შალვა ჩირაძე

ცოტნე

(ბალადა)

ერს როცა უჭირდა
და მტერი გუნდად
ეხვია,
გმირთაგმირს ბადებდა მუდამ.
ის ერთი ათასებს
დუღაბად კრავდა,
იცავდა რწმენასაც,
მაცხოვრის კვართსაც.
იცავდა იმერს და
იცავდა ამერს,
მტერს არ ანებებდა
ამ მიწის მტკაველს.
მკერდს ლახვარს პირველი
უშვერდა თვითონ,
თავს დებდა, მაგალითს
აძლევდა თვისტომს.
ერთხელაც, როდესაც
არყოფნის ზარმა
დარეკა, შეინძრა
ოშკი და ზარზმა;
გრემი და ხერთვისი,
მცხეთა და თმოგვი, —
ხელფეხზე მტერი როს
გვადებდა ბორკილს.
თითქოს და ელოდა
სამშობლოს ნიშანს,
ცოტნე დადიანი —
ტიტანი იშვა.

კოლხეთით მოვიდა
ლეგენდათ, მითად,
ძმებს უთხრა: ეგ ჭირი
გაგიყოთ მინდა.
გადმოხდა, წელს ზევით
გაშიშვლდა იმ წამს,
წაისვა თაფლი და
მათ გვერდით მიწვა...
ერს როცა უჭირდა
და მტერი გუნდად
ეხვია,
გმირთაგმირს ბადებდა მუდამ.
ცოტნემ ათასობით
სხვა ცოტნე ზარდა
ბურჯებად რომ იდგნენ
სამშობლოს კართან.
მამული ათასჯერ
აღმდგარი მკვდრეთით,
ცოტნეს ნაშიერთა
აცოცხლეს დღემდი.
და ცოტნეს სახელი —
რაც ხანი გადის —
ხსოვნაში მკვიდრდება,
მაღლდება ცამდი.
სამშობლოს დიდებად
ბრწყინავს და ელავს;
მის ხსოვნის წინაშე
მუხლს ვიდრეკთ ყველა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოდერძი ჭეიშვილი

ზოგი რამ შიჭრიანი ქაცის ცხოვრებიდან

რომანი

ფიგნი პირველი

8.

ოთარი სამი დღე იწვა. სიცხემ გუშინ საღამოთი დაუწია, ამ დილით კი სულ აღარ ჰქონდა, მაგრამ სუსტად იყო და ვილნიუსი ისე გაიარეს, ქალაქში ფეხი არ გაუდგამს. გულდაწყვეტილმა თავი იმით დაიმშვიდა, რომ შესაძლებელი იყო, იმავე გზით დაბრუნებულიყვნენ უკან და მატარებელი, როგორც სხვა, დიდ სადგურებში, ერთ საათს იქავე გაჩერდებოდა და ტაქსით შემოვლიდან ქალაქს, რაც ნაწილობრივ მაინც გაუფანტავდა მასზე წარმოდგენის ბურუსს, ან არადა, მოგზაურობის მარშრუტის უკანასკნელი პუნქტიდან, ლენინგრადიდან გადმოფრინდებოდა, თუკი მაშინ, რაღა თქმა უნდა, საამისო განწყობა ექნებოდა.

საღამოს ცხრა საათი იყო, ვილნიუსი კარგა ხანია უკან დარჩა. მატარებელი ჩრდილო-დასავლეთით მიემართებოდა, კალინინგრადისკენ. ჩამავალი მზის სხივებით ახავერდებული ფიჭვნარი, ქარხანაკვ ზოლად რომ გასდევდა პორის ენებსა და ბოსტნებს, და მათ გასწვრივ, ლიანდაგის პარალელურად ეყაჩოებითა და გვირილებით მოჩითული ვიწრო მინდვრები, ბატულა ფარდასავით მოჩანდა ფანჯრის მიღმა.

ოთარს სქელლანჩიანი, შავი ფეხსაცმელები, ჯინსის შარვალი და ალუმინისფერი მაღალყელიანი სვიტერი ეცვა, სუფთად გაპარსულ ავადმყოფობით გაფერმკრთალებულ სახეს რომ უფერიერებდა, კუპეში იჯდა, ფანჯარასთან და ქალიშვილს, რომელსაც ირინა ერქვა და უშნო პროფილი, მაგრამ სახიამოვნო ანფასი ჰქონდა, ბანკის ეთამაშებოდა. ქალიშვილის წინადადებით, ვინაც ორჯერ დარჩებოდა, — „დურარჩკას" თამაშობდნენ, — წაგებული იყო და გამარჯვებულის ხურვალი უნდა შეესრულებინა. ირინას (როგორც თვითონ თქვა. ოცი წლის იყო და მეტი არც გარეგნობით ეტყობოდა), ოთართან საკმაოდ თავისუფლად ექირა თავი, გაცნობისთანავე გადაუშალა გული: მუსიკალურ ტექნიკუმში ასწავლიდა და შინ მოწაფეებიც დაუდიოდნენ. ამას წინათ ქმარს გაყრიდა, რისი ძირითადი მიზეზი, იმ მიზეზთან ერთად, რომლის გამხელაც რცხვენოდა, მცონარობა იყო. სამსახურიდან დაბრუნებული (ირინამ ისიც საიდუმლოდ შეინახა, რა პროფესიის იყო მისი ყოფილი ქმარი და ოთარმა რატომდაც მაშინვე ეს იფიქრა, შეიძლება არც ჰყოლიაო), ისადილებდა თუ არა, მიუჯდებოდა ტელევიზორს და სხვა აღარაფერი აინტერესებდა... ერთი სიტუაციო, ტელევიზორი იყო მისთვის ყველაფერი. მერე ისიც უთხრა, ამ მარშრუტით რომ მესამედ მგზავრობდა და ოთარის ფარული იუმორით ნათქვამს — ნაღდი მოგზაური ყოფილხარო, სიცილით შეგაგება, რა ვქნა, მიყვარს ეს ქალაქები, მეოთხედაც სიხარულით წამოვალო.

ოთარს რომ სიცხე ჰქონდა, ირინა ხან მარტო, ხან დეიდამისთან, — ქალბატონ ანიკოსთან ან სხვა თანაკვგონელებთან ერთად, ღღეში ორჯერ მაინც შედიოდა მასთან, ოთარის გამოჭრიბინების მერე კი, სიარულს მოუხშირა, თან ბანკო მოჰკონდა, თითქოსდა, გასართობად, სინამდვილეში საპარფარეშოში წარამარა ჩაკეტვა ეუხერხულებოდა — არ უნდოდა ყველას დასანახად მოეწია სიგარეტი და ჰქ, კუპეში, თავისუფლად ამოლებდა იმდენს, რამდენიც მოესურვებოდა.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 3.

ოთარი ბანქოს თამაშის აზარტული მოყვარული არასდროს ყოფილა, სხვათაშორის თამაშობდა ხოლმე, სხვისი თხოვნით ან დროის მოკვლის მიზნით, დღესაც ასე იყო და იმისთვის, კი გაიმარჯვებდა — თვითონ თუ ირინა, არც ეგასწუხებია მოუცია სერიოზული მნიშვნელობა და ახლა მით უმეტეს არ ფიქრობდა ამაზე, რადგან დერეფნიდან ნაცნობი ქალიშვილის ხმა მოესმა. მარიკა მარტო არ იყო. ოთარმა ხმით იცნო ღაღადაჟახიანი, ჯაღარა, გულფული კლოთი მოლაპარაკე ანნერო ხოფერია — პროფესიით აგრონომი, თბილისის ერთ-ერთი რაიონის გამწყვანების კანტორის უფროსი, ამჟამად კი პენსიონერი. ანნეროს ინტერესებდა, იცოდა თუ არა ქალიშვილმა ლოთიურის გარდა, რომელიმე უცდო ენა. ოთარმა გარკვევით გაიგონა მარიკას ღიმილნარევი სიტყვები: წერა-კითხვა ფრანგულადაც შემიძლია, ლაპარაკს კი გაჯირვებით მოვახერხებ, გაქცეულ ფრანგს მოვაბრუნებო.

ოთარს ნაწილობრივ უკვე წარმოდგენა ჰქონდა მარიკას ბიოგრაფიის ზოგიერთ დეტალზე, თავდაჭერილი, ზომიერი ტაქტის მქონე ქალიშვილი თანდათან უძლიერებდა ინტერესს და ახლა, მისი ხმა რომ გაიგონა, მიხვდა, ეურადღების შეაჟულად რომ დადაქცეოდა. მარიკა იშვიათად სტოვებდა კუთეს. მას არც ვილნიუსში მიუქცევია განსაკუთრებული ეურადღება ვაგონ-ვაგონ მოწრიალე გადამყიდველებისათვის (ოთარს მეგი გაახსენდა, აქ რომ ყოფილიყო, ერთ ამბავში იქნებოდაო) და არც მატარებლის შემოხვევით გაჩერებებზე ჩამოსულა. ბრმა ნაწლავის ამბაჭინანდელი ნაოპერაციები აწუხებდა და უმეტესად იწვა ან მაგიდასთან იჯდა და ირვინ შოუს რომანს „ბიზანტიის სალამოს" კითხულობდა. ფული არა აქვს თუ ისევ შეუძლიდაა? — გაიფიქრა ოთარმა გახურებულ ვაგრონში გართული ქალების ვეერილი მარიკა რომ ვერ დაინახა, მაგრამ ნამდვილი მიზეზი მაშინვე იეწოსა — სავაჭროდ კი არა, სამოგზაუროდაა წამოსული და ამ დასკვნამ, სხვებისგან რომ გამოარჩია ქალიშვილი, სიამოვნება აგრძნობინა... ოთარი კარგად ხედავდა, მარიკას ვამოტეტყველებასა და სულიერ სანყაროს შორის არსებული ბარმონია ერთხელაც არ დარღვეული და ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა, უნდოდა, რაც შეიძლება მეტი გაეგო მასზე, თუმცა ეს, ქალიშვილის კარჩაკეტლობის გამო საკმაოდ რთულ საკმედ ეჩვენებოდა. კუპეში რომ შევიდეს ან რესტორანში გამოელაპარაკოს?.. უმჯობესია, უფრო ხელსაყრელ შემთხვევას თუ დაელოდება... ახეთი შემთხვევა ერთხელ კი ჰქონდა, მაგრამ მცირე ხნით...

ოთარმა მოსაუბრეთა ხმის მიხედვით წარმოიდგინა, ვინ სად იდგა ვაგონის დერეფნის ღია ფანჯარასთან: ანნერო — მარცხნივ, მარიკა — მარჯვნივ, ქარი თმას უწუწავდა და ოდნავ მოჭუოტული თვალები, როგორც ყოველთვის, ახლაც სათნოებით ჰქონდა სავსე. უცებ მოუნდა, მისთვის შეეხედა, თუნდაც საკუთარი წარმოსახვის დასამტკიცებლად, — ბანქოს დაგებდა ადგომა დაპირა, მაგრამ ამ დროს ირინამ ორი ტუზი გადმოუშალა და რეჩიტატივით წაიმღერა:

— გაკრი — დავრჩი, თუ არა და წაგებული ხარ!

ოთარს შეებრალა ირინა, მისთვის ცივი წყლის გადასხმად, სიამოვნების წართმევად ჩითვალა თამაშის შეწყვეტა, დერეფანში გასვლის სურვილი დაიოკა და თავის კარტს ჩახედა. ორიდან ორივე კოზირი ჰქონდა და ტუზებს ჭრიდა, მაგრამ დაკოვნა, რადგან მის სანახავად კუპეში პირველად შემოსული მარიკას შეწუხებული სახე დაუდგა თვალწინ, რამაც მაშინ და ახლაც მისდამი სიაზლოვეს, სითბო აგრძნობინა და სიამოვნებისაგან გაეღიმა.

— გაიკედე?

ირინამ ბანქო ხელიდან გამოსტაცა, დახედვისთანავე ცივად დაყარა მაგიდაზე. ოთარს გაეცინა და სიგარეტს მოუკიდა. ირინამაც მოუკიდა სიგარეტს, გაბმილა და თქვა:

— ნაადრევად ზეიმობ, ბატონო ჩემო, გადამწყვეტი ხელი სათამაშო გვაქვს, ვნახოთ!..

— ოო, მემუქრები კიდეც? შავად მქონია საქმე!

— მუქარა რა შუაშია!

ირინამ სიგარეტი საფერფლეზე დადო, მაგიდაზე გაფაბტული ბანქო აკრიფა და ეუჭერებლად, მოგონილი სიდინჯით შეუდგა გაშლას, გადაადგილ-გადმოადგილებას, ერთნაირი კარტი რომ ცალ-ცალკე მოხვედრილიყო

ტამბურში გასასვლელ კარს სკეტი მოშლოდა, თავიისთავად იღებოდა ვაგონის რწეევისას და კედელს ეხეთქებოდა. ტუალეტიდან ვიღაც გამოვიდა და კარი დახურა, დერეფნიდან სანყრის ხმა მოისმა: „დღესავით ღამეა, თორმეტ საათამდე ასე იქნება!" — „თეთრი ღამეებია!" — თქვა ქალმა. მარიკას უფრო ნაზი ხმა აქვს, ლარისააო, გაიფიქრა ოთარმა. „ივლისში რა დროს თეთრი ღამეებია!" — უთხრა ლარისას სანყრომ. „მაშ ეს რის ბრალია?" სანყრომ პასუხი არ დაკოვნა, მაგრამ ოთარს მისი სიტყვები არ გაუგონია, ტამბურში გასასვლელი კარი ჭრიალით გაიღო და კედელს მიეხეთქა... „მარიკა სად არის? ალბათ კუპეში შეეფიდა!" ოთარი მხრებით კედელს მიეყრდნო და თვალები დახუჭა... გუშინდელი საღამო გაახსენდა: ვახშმის შემდეგ კუპეში (ოთარს კარი გვიან ღამემდე ღია ჰქონდა, წარამარა რომ არ ამდგარიყო გასალებად) მარიკა შემოვიდა, ვაშლებით სავსე თეფში მაგიდაზე დადგა და ჩაოთხა:

— უკეთა ხარო?

— გმადლობთ, უკეთ. რატომ შეწუხდით.

გიორგაძე ჭეიშვილი

ზეგი რამ ფიქრობენ კაცის ცხოვრებიდან

— რა შეწუხებაა, პირი გაისველეთ, ჩემი ეზოსია.

მარიკა წასახსენებლად მიბრიუნდა.

— რა გეჩქარებათ, ცოტა ხანს ჩამოჯექით... ჰო, მართლა, დაამთავრეთ შოუს რომანის კითხვა?

— ოჰ, ჯერ არა, — შუბლზე ჩამოშლილი თმა თითებით გაისწორა. — შუამდე ძლივს ჩავალწე. ხმაურში და ასეთ სიტუაციაში, საერთოდ, მეჩიჩს, ცოტას ვკითხულობ. ეუფრთხილდები, არ მინდა მივაფუჭეს.

— კარგია! — ოთარმა მოწონების ნიშნად თავი დაუქნია. — არის ხალხი, ძალის მოსაგრელად რომ კითხულობს წიგნებს. როცა დაამთავრებთ ვისაუბროთ, მაინტერესებს თქვენი აზრი.

— სიამოვნებით.

— ჩამოჯექით, მარიკა!

არა, წავალო. ეთხრა მარიკამ. მაგრამ ოთარმა რომ იხეკ თხოვა, უარის თქმა ეუხერხულა და მოპირდაპირე სავლოზე ჩამოჯდა. იქვე, კართან.

— მშვენიერი ვიშლებია, რომელ ქუჩაზეა თქვენი ეზო?

— გამრეკელის ქუჩაზე.

— მხატვრების უბანში?

— დიახ.

— თქვენც მხატვარი ხომ არა ხართ ან მამა-თქვენი?

— არა, არც მე და არც ის. საქართველოში ვერც ერთ დვალს ვერ ნახავთ, მხატვარი რომ იყოს. ყველას ასე ჰგონია, რაკი იქ ვცხოვრობთ, ოჯახის რომელიმე წევრი მხატვარი იქნებაო. ოჰის შემდეგ მამაჩემს მიწა მიხცეს და ხახლი ააშენა, ესაა და ეს.

— სწავლობთ თუ მუშაობთ, მარიკა? მაკატიეთ, დაკითხვასავით გამომდის.

მარიკას გაეღიმა.

— ვმუშაობ, უკვე მეორე წელია.

— სად?

— აფთიაქში.

— მართლა!

— რატომ გაგიკვირდათ?

— არ გამკვირვებია, გამეხარდა. ზოგჯერ ვალიდოლისთვის რომ მოგაკითხოთ, იმედი მაქვს, უარს არ მეტყვით.

— კი, ბატონო, მობძანდითო, ბოლო ხანებში ვალიდოლზე ისეთი მოთხოვნილებაა, ხელად თავდები, მაგრამ შემიძლია შეგინახოთ.

— წინასწარ გმადლობთ!

— მარიკა!

კუპედან დაუძახეს.

— ახლავე! — მარიკა წამოდგა. — უჩემოდ მოიწყინეს, უნდა წავიდე, ნახვამდის.

— ნახვამდის, მარიკა!

. . .

— ოთარ, გძინავს?

ირინას ხმა ძოსმა და თვალები გაახილა.

— აიღე კარტი.

— აპ, ჰო! — ოთარმა ბანქო აიღო და გაშალა. — ჩემი ჩამოსულაა, არა?

— ახე ვფიქრობ!

ირინამ ახე ამაყად და გამომწვევად უპასუხა, ეტყობოდა, კარგად ჰქონდა საქმე.

ოთარი ხან ჩამოდიოდა, ხან ირინას მიერ პროფესიონალი მოთამაშის მანერით მაგიდაზე გადმოდებულ ბანქოს ჭრიდა. ბოლოსწინა ალიბაზე ისეთი ბანქო ერგო, აზარტულ მოთამაშეს ბედს შემოეურტყა. ირინას გაფართოებული ვუგების დანახვაზე ჩაიღიმა, ჯერის ექვსიანს გადავიდა და თქვა, ეს ერთი მაჩანჩალი მეკადა და მოვიცილო. ირინამ გაჭრა, ბანქო შეიეხო, ორი ათიანი, მათ შორის ერთი კოზირი, ოთარს წინ დაუგდო და დაძაბული მიაკერდა. ოთარმა ბანქო აკრიფა.

— აპ, მიიღე, ბატონო ჩემო? ეს ტატტიური მანევრია თუ მარილია შავად გაკეს საქმე? ხომ არ შევწუვეტოთ თამაში?

„როგორ გაიხარებს, გნებდება-მეთქი, რომ ვეტყვე! ხაინტერესოა, რას მომთხოვს?.. მარტო ამისთვის ღირდა თამაში... მეგიმ სანაძლეოში ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი მომთხოვა. დიდი ხნის ამბავია (ახალგაბედნიერებული ვიყავი), მაგრამ გუშინდელ დღესავით მახსოვს, როგორ დამწყდა გული, ბეჭედი მიეიდეო, რომ მითხრა. რატომღაც ველოდი, რომელიმე კარგი ლეკვის წაკითხვას მთხოვდა, ზაფხულის ისეთი მშვიდი, მათრობელი სურნელით სავსე საღამო იყო... ქალების უმეტესობა მიწიერობას არჩევს (თუმცა უყვარო ღვთეებას ან ფერიას თუ შეიდარებ), რის გამოც ზშირად ვეჭიქებს ჩვენანაწ, ყველაფრისგან რომ სარგებელს გამოელინან...“

კუპეში გამცილებელი შემოვიდა.

— არ მორჩრით?

— გვიადეთ თუ შეიძლება! — უკმეხად უთხრა ირინამ.

— უკაცრავად! — გამცილებელმა ხელები ასწია, მერე გაეცინა და ოთარის გვერდით დაჯდა.

— ბოლო ხელია, ყოფნა-არყოფნის საკითხი ყუდება! — თქვა ოთარმა და ირინას მიერ ჩამოსული ბანქო ისევ აკრიფა.

— მეექვსე ვაგონში ნერვიულობს ხალხი.

— რასთან დაკავშირებით?

— სუფრაზე ველოლდებიან, რომაო ნასიძეს. გინდა თუ არა, ოთარი მომიყვანეო.

— ოთარ, ითითს მოკაკვის დროა! — ირინამ თავისი ბანქო გადმოუშალა. — ოთხიე კოზარი ძაკეს!

— აუუ, ხამი რომ გეოლოდა, კიდევ ეაღაცას ვიფიკრებდი, ახლა რაღა მეთქმის! — ოთარმა ხელი ჩამოართვა. — გილოცავ გამარჯვებას! აბა, რით შემიძლია გემსახურო, რას ისურვებ?

— რაას? — ირინამ თავის ოქროფულად ქნევა დაიწყო, მერე გამცილებელს ცივად გადაკარა თვალი და ოთარს იმწამსვე გაკერა

ბულში, იო რომ ზედმეტი იყო. „მისი შემოსულა არ ესიამოვნა, მაგრამ რატომ? რა უნდა ერინინს?"

— რას ვისუფვებ და, ახლავე ვეტყვი! — ირინინ! თვალები მლოცველივით მაღლა აღაპყრო.

— თავდაზე არ შეთანხმებულხართ?

— არა, — თქვა ოთარმა. — ვიცალოთ, მოიფიქროს!

— მოფიკრებული მქონდა, მაგრამ ალარ მომწონს, არ შეიძლება?

— შენი ნება!

— მოფიკრებისთვის რამდენ წუთს აძლევ?

— არც ერთი არ მჭირდება, ნახევრად მზარალი შამპანური იყოს, მორჩა და გათავდა!

— შამპანური?!

„ცუდ დროს შემოვიდა ია! იო რომ არა, ნუტა რას ისურვებდა, კოცნას თუ ხაზუკარს? ეგეც საფერი შეიძლება!.."

— ნახევრად მზარალი შამპანური, სხვას არა ესაჭიროს! თეატრში წასვლას ისევ ეს ვარჩევ, ამა სათეატროდ ხად ვეცალოთ!

— ალილად გადავრჩი, ეფიქრობდი, ბრალის სასახლეს თუ არა, მანქანას მაინც მომთხოვს-მეთქი!

— ასე როგორ გაგიმეტებდი!

— რამდენი ბოთლი შამპანური მოდის ჩემგან?

— რამდენი? ეკვნი, დეიდაჩემიც დალევს, უუკარს შამპანური!

— კეთილი, რიდის ალსრულდეს?

— დღეს უკვე გვიანია!

— ვიგონ-რესტორანში „ჰერეთის" და პორტ-ეფინის გარდა, მაინც არაფერი აქვთ! — თქვა გამცილებელმა.

— ხვალ იყოს, კალინინგრადში.

— კი, ბატონო!

— ნუ, ია პოშლა, — ირინამ ჩამწვარი სიგარეტი საფერფლეზე დაასრესა, ბანქო ალიო და ადგა. — დამე მშვიდობისა!

— ტკბილ ძილს გისურვებ, ირინკა, — უთხრა გამცილებელმა. — მეფის ასულის სიზმრებს!

— ზოხ! — ირინამ ჩაიცინა და გავიდა.

— ორივე კარ შებერტყილია, ესეც და დეიდამისიც, ნავაკრით კუპე გამოტენილი აქვთ! — თქვა გამცილებელმა, დერეფანში ირინას ფეხის ხმა რომ მიწყდა. — გეწყინა, რომ არ გაველი?

— არა, რას ამბობ!

— მიდი ერთხელ და მოიშორე, რად გინდა ხალხი ალაპარაკო. წარამარა რომ შემოდის, ზოგს რადაც ჰგონია...

— სისულელეა!

— ვიცი, რატომც დაძვრება.

— რატომ?

— მგზავრებს რომ თვალები აუჭიკოს, ზეწოლითან ვმეგობრობ, ნავაკრით ხად მცალიან!..

ოთარი უსიამოვნო გრძნობამ შეიპყრო. [illegible] ალილებლის უკანასკნელმა სიტყვებმა სილრმეში მოვლმბარე. გაუცნობიერებელი ეშკი გაუღვიძა და მეგის ხახე უფრო ნათლად, მკაფიოდ დაანახვა, ვიდრე აქამდე ხედავდა... ისიც ამ „ლოზუნგით" ხელმძღვანელობდა. ხელს ალილებდა ახალი ცხოვრება და ამიტომაც... ერთიანელაც რომ არ დაუშრავს კრინეი განკურნებისაზეთ.. ნარცხეთ ალფარიაკა, ამას რომ ასე გვიან, რაც მოაგარია, ხეზეი დაბმარებით მიხედა. მსგავსი შემთხვევები ხშირად არ ჰკონია, მაგრამ ყოველთვის საკუთარ თავში დაეჭვებამდე ალიზიანებდა. მაგალი თვალი კი არ მეკონა, ბეცი ვეფოფილარო, ფიქრობდა, და ახლა, რომან ნინიძესთან სტუმრობა სულ არ ეტკბანებოდა, მაგრამ გამცილებელმა რომ შეახსენა, არც შეუოუხანებუნა. წყვიდიო, თქვა და წამოდგა...

კუპეს კარი და ფანჯარა ბალეო. იქაურობა მაინც ყარდა სიგარეტის ბოლით. ოთარი თავს პროფესიონალ მწეველად თვლიდა, მაგრამ შესვლისას კინაღამ სული შეეხუთა. ამოლებდა ყველა: რომან ნინიძე, სანდრო ბოფერია, (ოთარს გაუკვირდა, ამ კომპანიაში ნაოდან მოხვდაო!) ლამაზი, მოკლედ თმაშეჭრილი, შავოვადა ქალი, დანაბეგისთანავე რომ ერთი ახალგამოსული ფილმის ეპიზოდური როლის შემრეულებელს მიაშველება (კოლეგას ახალი გვრტი დაუკერიალო!) და ქალის გვერდით მჯდარი, თმაშეფხულებელი, ალილტური ალნაგობის ახალგაზრდა მეღვინე და დამწყები პროზაიკოსი ჯაბარ ფიოლია, რომელსაც ამ ორი დღის წინათ ჯიეკნო, რომანთან ერთად მის სანახაკად რომ შემოდგა კუპეში.

— თქვენს მოსვლას და ჩვენს დაბეგიდრას გაუმარჯოს! — თქვა რომანმა, საეროო ხალმის შემდეგ ოთარი და გამცილებელი სანრილეზე რომ ჩამოსხდნენ.

ქალის გარდა, ჭიქა ყველამ ბოლომდე გამოსცალა, რომანი ბეერს ეხეეწა. მაგრამ უარი განაგუდა. ორი ჭიქა ბოლომდე დაფლეე, აკი ცოტ-ცოტას მოგხვამო.

— ღვინო როგორ მოგწონთ? — ჰკითხა ჯაბარამ ფიოლიამ ოთარს.

— დიდებულია!

— პირველად გასინჯეთ? — დაინტერესდა სანდრო ბოფერია.

— პირველად. შენ, იო?

— მე ერთი ჭიქა წყალ, შენთან შემოხვლამდე გადავკარი. ახლი ღვინო რომ ვსვა, ასწლიანი ვიქნები!

— ნადდად, ძმაო, უკვდავების წყალივითაა! — სანდრომ ტუჩები სიამოვნებით მოიღოკა და ოთარს უთხრა: — სანამ თქვენ შემოხვიდოდით, ერთ საკითხზე ვსაუბრობდით. ყველამ თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოდერძი ჭეიშვილი

ზოგი რამ ფიქრისენ კაკაცის ცხოვრებიდან

კითხვას, თა თემები გაქვთ, ისტორიული თუ თანამედროვე?

— სიამოვნებით განვაგრძობდი თქვენთან საუბარს, მაგრამ ბატონი სანდრო ალბათ ნაწყენია, ლაპარაკს საშუალება რომ არ მივეცით.

— არა, რას ამბობთ, საბოდიშო არაფერია, კონკურეტულად ერთი რაღ მაინტერესებს... რატომ ხდება, ჩემო ოთარ, რომ ზშირად ვამბობთ ერთს და მერიტს ვაკეთებთ?

— ცხადია, ბატონო სანდრო, — დაფიქრებით დაიწყო ოთარმა. — სიტუაციას პიროვნება ქმნის, პიროვნების ხასიათს კი სიტუაცია ავლენს, და, რაღ თქმა უნდა, სიტყვასა და მოქმედებას შორის წინააღმდეგობაც პიროვნებაზეა დამოკიდებული: ვინ ამბობს და ვინ აკეთებს!.. ირვინ შოუს რომანიდან — „ბიზნესმენის საღამო“, „ტიგიის ნათქვამი მახსენდება: წიგნი ერთია, მაგრამ ადამიანი კი, რომელიც წერს ამ წიგნს, — მეორე, ხშირად წიგნი ნიღბია და არა ავტორის პორტრეტი. მგონი, დაახლოებით ეს პოზიცია გაქვთ მხედველობაში.

— აგაშენათ ღმერთმა, სწორედ მანდა ვარ!— თქვა სანდრომ და ჭიქა აიღო. — ჩამომისხი, გიორგამ!... მოდით, შეგიბრძენო, იმ კაცს გაუმარჯოს, რომელიც, რასაც იტყვის, აკეთებს კიდეც!

4

ფანჯარა ჩამოსწია და გადაიხედა. ლითონის უზარმაზარი კონსტრუქციით გადაბურული კალინინგრადის სადგური ოპოლრომივით გრძელი და განიერი იყო. „ნანა ჩასულა!“ — გაიფიქრა და ფანჯარას მოშორდა. საწოლზე რომ ეშვე ბოდა, მაგიდაზე წერილი დაინახა, აიღო და წაიკითხა.

„ბატონო ოთარ!“ — წერდა ნანა. „გეძინათ და აღარ გაგაღვიძეთ. ბოდიშს ვიხდი, ღამე რომ გაგატეხინეთ. მოგზაურობის საინტერესოდ გაგრძელებას და ცხოვრებაში წარმატებებს გისურვებთ.

პატივისცემით, ნანა“.

ოთარს წუხანდელი ამბავი დაუდგა თვალწინ: კუპეში შესვლისთანავე გაიხადა და კიდურების გრილ საწოლში გამართვა ისე ეამა, როგორც ქალაქგარეთ, ტყეში, ხის ჩრდილში ბალახზე წამოწოლა. მატარებელი ათის ნახევარზე ჩავიდოდა კალინინგრადში, იქამდე გამოვიძინებო, ფიქრობდა, მაგრამ დღეს ნანახი და განცდილი გონებაში უტრიალებდა და კარგა ხანს არ მიეკარა ძილი. სიგარეტს ამოლებდა ნაცნობ სახეებს ფიქრადევნებოდნ... მერე. სახეები რომ თანდათან დაშორდნენ, მაღლა აიწია, გაიცრიცინენ და ლისფერ ნისლში გახვეული გაუფერულდნენ, ოულმორიეულმა სიგარეტი საფერფლეზე დაიგდო და მარჯვენა გვერეროვნული ბიბლიოთეკა
ELIBRARY
GEORGIAN NATIONAL
LIBRARY
ეროვნული ბიბლიოთეკა
ELIBRARY
GEORGIAN NATIONAL
LIBRARY
ძეზე გადაბრუნდა...

კარზე დაეკაკუნეს. მომესმა, გაიფიქრა, მაგრამ კაკუნი რომ განმეორდა, გაეხმიანა, რომელი ხართო.

— ერთი წუთით!

ქალის ხმა ეცნაურა, ადგა და სწრაფად ჩაიცვა... კართან ნანა იდგა.

— მაპატიეთ, — ხმადაბლა თქვა ნანამ. — გაგაღვიძეთ?

—არა, — მიუგო მოულოდნელობისაგან ოდნავ დაბნეულმა ოთარმა. — არ მეძინა. თუნდაც ასე იყოს, რა მოხდა, ალბათ რაღაცაში დაგჭირდით.

— ყველას სძინავს, შემიყიდეთ თუ შეიძლება.

— ახლავე, შემობრძანდით.

ოთარი სანთებელას ასაღებად მიბრუნდა. ნანა კუპეში შეეფინა...

— გმადლობთ! — სიგარეტი მოუპარა და გაბოლა. ოთარმაც მოუკიდა სიგარეტს და რაკი ნანას წასვლა არ დაუპირებია, დაბრძანდით, უთხრა. „სიგარეტის მოსაკიდებლად ორი ვაგონი გამოიარა? სისუფლელეა, ალბათის შუაგნა იქვე შეეძლო“...

— ცოტა ხანს დავჯდები. — ნანა საწოლზე ჩამოჯდა და სკვდინად გაუღიმა, ოთარს ასე ეოფჩვენა.

— გნებავთ, დილამდე ვისხდეთ.

ოთარი მოპარდაპირე საწოლზე დაჯდა. ხომ არ სწყობია, კარი დახუროს და პირდაპირ საქმეზე გადავიდეს? არა! გრძნობს, რომ ქალს რაღაც ტკივილი, რაღაც საწუხარი აქვს, მაგრამ, რა? რამ მოიყვანა ამ შუაღამეხს მასთან?.. ეშმაკმა იცის, რა ხდება!.. რომანთან კუპეში ორი თავისუფალი ადგილია, რატომ არ დაწვა?..

— რომანს დიდი ხანია იცნობთ?

ქალმა ყოყმანით დაუქნია თავი.

— იცით, შორიდან, თქვენი ცოლის ნათესავია, არა? უკეთ აქ გივიცანი, ჩერნიახოვსკის შემდეგ. იქ ამოვედი.

— მე მეგონა, ტურისტი იყავით.

— არა, ჩერნიახოვსკში ამოვედი. მაპატიეთ, ცოლს დიდი ხანია გასცილდით?

— დიდი ხანია, — ოთარს არ სიამოვნებდა მეგობრე ხაუბრის გაგრძელება და იქვე მოუკრა. — ვერ გავუგეთ ერთმანეთს.

ნანამ სიგარეტი ზედიზედ მოკვნა. ჩაკრობილდა. ოთარმა მოუკიდა.

— კალინინგრადში ჩავალ და თბილისში გადავფრინდები... — ნანას თვალებში როგორღაც ცივი, ზიზღნარევი სევდა ჩაგუბებოდა. — ვილნიუსიდანაც შემეძლო, მაგრამ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მითხრეს, ჩერნახიზოსკენ კალინინგრადი უფრო ახლოსაა.

— ალბათ მივლინებით იყავით.

— არა, ბავშვების მაგვარ მოვიანებულე. ზღვაზე ვიოცნო ჩერნახოზესკენ ავხსა და ახლა იქ ცხოვრობს, მასთან ერთად... ერთი წელია დავეძებ, ძლივს მივაგენი. არ იფიქროთ, თითქოს იმიტომ ჩავედი, აუცილებელი ამბებია. მინდოდა, ბავშვების დანახვაში გადამეცა მათი მამისთვის... — ქალის სახეზე წვრილ ღიმილმა გაიელვა. — მაპატიეთ... გული თითქოს გასიებულია მაკვს, თქვენთან სწორედ ამიტომ მოვედი, ვიცი, გამიგებთ.

— რა დაგაბარეს ბავშვებმა?

— ელექტრომანქანებთან სასეირნოდ როდის წავგიყვანო. ეს რომ ვუთხარი, მკვლელის უცერი დაედო. ნუ შეშფოდები, საკირო ალარ არის-მეთქი. მიუუგე და წამოვედი.

— რამდენი გყავთ?

— ორი, — ქალ-ვაჟი. — ხალათის ჯიბეში ბელი ჩაიყო და ოთარს გაუელვა, ბავშვების სურათს წინ დამიდებსო, მაგრამ ნანამ „ყოლბეთის" კოლოფი ამოიღო, რომელის კუთხეები, ალბათ ფეხი უფეზზე გადადებულს. მტკივნეულად ჩაზელილდა, მაგიდაზე დადო და განაგრძო: — ზარს რომ დარეკავენ, — მამა მოვიდაო! — და კარს მისცევდებიან, მაგრამ სხვა რომ შერჩებათ ხელში, — მეზობელი ან ნათესავი. — გაბრწყინებულთო თვალები ისე ჩაუკრიბათ, სისხლი მეკიზებ... პატარები არიან, როგორც გავიგებენო, რაც მოხდა!

ოთარს ბიჭი გაახსენდა... განკოორდინეზის შემდეგ, რა თქმა უნდა. ბინა გიიყოფა, ან უარს იტეკვის ამაზე და ისე წავა, მაგრამ სხვაგან რომ იცხოვრეს, გიგი როგორ შეხვდება ამას? ყველაფერი უნდა ეუზსნა. უნდა უთხრას, რომ ყალბი, მოჩვენებითი ეკონომგანწყობის თამაში ეკონი ამოვიდა, ასე რომ გაგრძელდეს, შეუძლებელია, დანაშაულია და პირველ რიგში, ბავშვის წინაშე... უმჯობესია, ახლავე შეატყობს სიმართლე, ვიდრე თვითონაც არ მიწამლულა ამ საიალით! მიხვდება კი ყველაფერს ისე, როგორც არის? ან შეეგუება კანონდაქცეულ ყოველდღიურობიდან მის ეცცარ გამოკლებას? უკვე დიდია?... ხაკმე სწორედ ესაა, დიდი რომ არის! ბზრარდ ინახეკლებს, მაგრამ ეს შეცვლის რამეს მის ურმომსახეკნთ? შეუმხუბუკებს მისი განშორებით გამოწეულ ტკივილს და ნაღველს, თუ უფრო გაულრმავებს?.. ატრეტულ პატარას კანფეტით დაამშვიდებ, ზლაბარს მოუკვეხი, რაღაცას შეპპირდები და ზოგ-ზოგი თანამდებობის ეირივით ხელზედაც დაიხეკ. მაგრამ თორმეტი წლის შეურკეკნელ და უბოროტო ბიჭს, იდეალად რომ სიკეთით სავსე გმრის სახე ეწარმოუდგენია. რას უპირებ? მან ხომ ჯერ არც კი იცის, რომ ცხოვრება შეჩვეკა და გაწმორებაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თუნდაც პირში არაფერი გიფურთხავენ გულში ღალატს არ დაგწამებს?

ოთარმა პირველად ახლა იგრძნო ახე ღრმად, ასე საფუძვლიანად ეს ყველაფერი, სული შეეხუთა, ცოცხა ოფლმა დაასხა და საგარეკლის გადახაკდებულ ისე მოიკნა ხელი ღია ფანჯრისკენ, თითქოს მეგის, ვისი სახეც თვალწინ ამოუტეკტივდა, სილა გაეწნა.

— რა მოხდა? — გაკვირეკეთ ჰკითხა ნანამ. — ცუდად ხომ არ ხართ?

— არა. არაფერი... — ოთარს სხვა რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ შესაფერისი სიტყვა ვერ იპოვა, ნანა კი ერთბაშად ახლოებულ ადამიანად იქცა მისთვის და თანაგრძნობით ჰკითხა:

— მანამდე გკნდით უსიამოვნება?

— არავითარი! და საკმეც სწორედ ესაა, უსიამოვნება რომ არ გკკონია... როგორც წეღან ვთქვი, ზღვაზე გიიცმო ეს მანქანიანი ქალბატონი და ყველაფერი უცეტ გადაწყვეტა... რაც ერთად ვართ, დღედაღამ მანქანაზე ოცნებობდა და აჰა, დაადგა საშველი... ვეკკაცობა არ ეეო. დაერეკა ან წერილი გამოეგზავნა, ახეა და ასე საკმე და არ მეძებითო...

— ხდება ხოლმე!.. კაცი ზოგჯერ სურვილის მიუღწეველობის გამო აპაიიაში ვარდება, ბეზრდება ყველა და ყველაფერი, ხშირად საკუთარი თავიც და ერთადერთ ხსნად გაცლა მიაჩნია, ზორაზ გადაკარგვა. სული რომ მოიოხოს და გაიხალიოს.

— თქვენ ჰუმანიტარი ხართ, გინდათ, ადამიანს ყოველგვარ ჩოკმედებას გამართლება მოუძებნით.

— აი, ნანაკეი, მალე მანქანაც მოსწყინდება, იქაურობაც და უკან დაბრუნდება.

— თქვენ გგონიათ, შეეფრაგდები?

— დრო ყველა ჭრილობას კკურნავს.

— ყველას არა, ბატონო ოთარ, ეს შგონი, არც თქვენ გგერათ! — ნანამ ხეედიანად გაიღიმა. — არ მიცნობთ და ალბათ ამიტომ ამბობთ...

— რა პროფესიის ხართ?

— ფილოლოგი. ერთ დროს გაზეთშიაც ვთანამშრომლობდი, ახლა საბავშვო ბაღში ემუშაობ ადმზრდელად. ამას რა მნიშვნელობა აქვს? ალბათ გიკვირთ, იქ რომ გითხარით, თქვენი არაფერი ჩამოკოთხეს-მეთქი, ოჯახური მდგომარეობამ მომწყვეტა ყველაფერს, საკითხავად დრო ალარ მრჩება.

— არა, რას ამბობთ, არც მომგონებია!.. იცით, პირველად რომ შემოგხედეთ, მსახიობი მეგონეთ, უფრო სწორად, ერთ ახალ ფილმში მონაწილე მსახიობი, ან, სიმართლე გითხრათ, სულ სხვა შთაბეჭდილება დატოვეთ მაშინ ჩემზე, ვიდრე სინამდვილეში ყოფილხართ. რაღაბდაც რობან ნინიძის ახლობელი მეგონეთ.

— რობანი ცხოველი ყოფილა! — ჩაილაპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკა ნანამ და ფანკრისკენ მიიხედა, რომლის იქითაც ნათელი ღამის ალიზუფები „ვარუნელი-ვით ტრიალებდა.

„ხაწუალი ქალი! თითქოს ტკივილი აკლდა, ამ ჯაჭს რომ პოეტებისა, ალბათ მხეცივით ებღვნენა და იქ რაღა გაიჩერებდა!"...

ალარაფერი უკითხავს, ნანას ცალკე ალბათ ღვინის სმით, ცალკე, დალლილობით გუგები დაფიწრობოდა.

— მე გავალ, ნანა, დაწექით!

— არა, როგორ გეკადრებით! — ნანამ წამოდგომა დაიპირა, ოთარმა შეაჩერა.

— ორი-სამი საათი წამონება თქვენთვის აუცილებელია, წინ კიდევ იმოდენა გზა გიდგეთ. აბა, მიდით, მიდით, ნუ გერიდებთან!

ოთარი კუბედან გავიდა და კარი ზურგსუკან მიეკეტა... კარგა ხნის შემდეგ შებრუნდა. ნანას ფანჯარა აეწია, ზემო თარაზე ეტანა ქვეშაგებული და უკვე ეძინა.

მიკროფონმა ისე გაიჩხაკუნა, თითქოს ფანჯრის საკეტი ახსენონ და რეპროდუქტორში ბარბარეს ხელმძღვანელის ბარიტონი ხალისიანად აყეულრდა:

— მეგობრებო! ზუსტად ეთ საათსა და ოცდაათ წუთზე გთხოვთ შეეკრიბოთ სადგურის მოედანზე. მთავარი გასახვლელის გვერდით, სადაც ექსკურსიამძღოლები დაგელოდებთ თქვენთვის გამოყოფილი ავტობუსებთან. ეიმეორებ...

ოთარს ყური აღარ დაუგდია, ის კი გაიფიქრა, ხელმძღვანელი კუპეში, ხიდანაც ახლა ლაპარაკობდა. მარტო არ იქნებოდა, გვერდით ალბათ ის ლამაზი ტურისტი ქალი ჰყავდა, რომელსაც (ეამცილებლისგან იცოდა) გამომგზავრების დღიდან ეკურკურებდა. ხალის დაბდდა, ეთს ხუთი წუთი აკლდა. ადგა და ჩაიცვა. ნახატებუნეზე, როგორც ყოველთვის, არც ახლა უვარკაშნია. ჰაერი კი, ჩვეულებისამებრ, ოთხკერი ღრმად ჩაისუნთქა და ამოისუნთქა. დაგვიანების შიშით ისე გულდაგულ აღარ გაუპარსავს, როგორც იცოდა ხოლმე. ბეწვსაც არ დაიტოვებდა სახეზე. ელექტროსაპარსი პატარა ჯაგრისით გაწმინდა, ზემო თარაზე შემოდო და დასახანავ ტუალეტს მიაშურა... თმა იქვე დაიგარცხა, კუპეში შემობრუნებულმა ეიჯაკი ჩაიცვა და დერეფანში გავიდა. ბაკანზე ჩასული მგზავრებს განერიდა, რომელიღაც მგზავრებს რომ ჩამოპაულოლდნენ და ტროტუარის კიდეს გიუჯვეს. ლითონის კონსტრუქციით გადახურულმა ბაკანმა „ბორკოშის" მშენებარე, გვერდებმოფიალებული სადგური მოაგონა. კარგი იყო თბილისური ქარი გაეთვალისწინებინათ და მთლიანად დიეზრესიო, გაიფიქრა და ყმაწვილებმა ერთხელ კიდევ მოავლო თვალი ინ უზარმაზარ ნაგებობას, მისი ვარაუდით, სიგრძე ხამასი მეტრი ან ცოტათი მეტი-ნაკლი ჰქონდა.

გვერდით ახალგაზრდა ქალმა და კაცმა ჩაიარეს. ოთარმა ყური მოპკრა, კაცმა დამცინავად უთხრა ქალს, რომელიც ალბათ ეირეკლილად იყო კალინინგრადში, ეს მაზინა გახული საუკუნის ბოლოსაა აშენებული... ოთარმა წყველს თვალი გაეყოლა, თან ფიქრობდა: „ესე იგი, ოთხმოცი, ოთხმოცდახუთი წლის წინათ აუგიათ... ამ ხნის მანძილზე ადამიანებმა რამდენი რამ ისწავლეს და შეიძინეს, მაგრამ ამავე დროს დაკარგეს ის, რასაც ერთმანეთზე ზრუნვას ეეძახით!..."

ფართო, გრანიტის კიბით სადგურის ხეტეტიან, დიდ დარბაზში აღმოჩნდა, რომელის ორივე მხარეს სხვადასხვა მაღაზიის ფილიალები და კიოსკები იყო განლაგებული. ხავაკოვის ხალი მიხვეოდა, მათ შორის, უცხოელი ტურისტებიც, სამახსოვრო სუვენირების შესაძენად რომ ჩამდგარიყვნენ რიგში.

გრილი, ღრუბლიანი დილა იყო. წინწყლავდა. ოთარი გასახვლელიდან მარჯვნივ, შენობის კედელთან შეჩერდა და სიგარეტს მოუკიდა. მოედანი, შუადღეში რომ დეკორაციული ხე-ბუჩქებით აშწვანებული სკვერი გახდეადა, გრანიტის ფერადი ფილებით მოპირკეთებინათ და ზაფხულის ამ ეკვეხისაგან ხარკესავით იყო ამპრალებული. მოძრაობდა ყოველგვარი ტრანსპორტი: ავტობუსი, ტროლეიბუსი, ტრამვაი, მსუბუქი და სატვირთო მანქანები. მოედანს ვიწრო ეუჯა ჩაკეიდა, პირდაპირ კი საკმაოდ განიერი პროსპექტი დაღმართზე ეშვებოდა. თანამეგზაროვე შენობებს შორის ოთარმა შუა საუკუნეების გერმანული არქიტექტურისთვის დამახასიათებელი სახლები დაინახა, სახურავები რომ წიწოლა ქუდებს მიუგავდათ.

„ეენიბერგი. უფრო ზუსტად, ეენიგსბერგი! ერთ დროს აღმოსავლეთ პრუსიის ნავსადგური და ცენტრი, 1944 წლიდან კი, გერმანელების განდევნის შემდეგ, ეეჯარ მეკიდრთა სუროვილთ, საბჭოთა კავშირს შემოერთებული და სახელწოდეცველი, იმხანად გარდაცვლილი მიხეილ კალინინის უკვდავსაყოფად..."

ეს ძუნწი ცნობები იყო, რაც ოთარმა ამ ქალაქის შესახებ იცოდა და კიდევ ისიც — გერმანელი ფილოსოფოსი ემანუელ კანი რომ ეეაკური იყო, ეკ დაიბადა, ეკ გაიზარდა და სიცოცხლის ოთხმოცეიე წელი ეკედან ფეზმოუცვლელად გატარა. „ბევრი რამ არის ამ ამბავში საინტერესო, სიმბოლური და თუნდაც უცნაურიც, როგორც, მაგალითად, მისი ბიოგრაფიის ერთ ეპიზოდში: საცოლესთან დანიშნული პაემანი რომ მეორე დღეს გაახსენდა, მაგრამ ქალიშვილმა ახლოსაც არ გაი-

ბოდეჩრი ბეიშვილი
ზურგი რამ ფიქრიანი კაცია ცხოვრებიდან

კარა და გულდამშვენარმა ფილოსოფოსმა თავისი თავი იმით დასაჯა, რომ საბუდამიდ აიკრძალა ფეკრიე კი ოჯახის შეკმნაზე.' — ფიკრობდა ღიმშოფრული ოთარი და სამეარის რაობაზე პარადოქსული განსხვავებული წარმოდგენის მოიგონდაედ. ამ კაცის მიმართ მოკრძალებას გრძნობდა. „ადამმვან თუ გადაუარა, ექსკურსია-მძღოლი ალბათ გვიჩვენებს მის საფფოვს...''

გვერდით მიიხედა — არც თანამგზავრები იდგნენ და არც ტურისტული ავტობუსები. საათს დახედა — თერმიტის ათი წუთი იყო. გერმანული სიზუსტის გაფლენაა! — ალბათ ხუთი წუთით ადრე ჩამოაყენებენ, გაიფიქრა, საათის მეოთხედი წინა მაქვს, რაიმეს შეუკეთ და აჭაურ ლუდსაც გაესინჯავო, და სადგურის შენობაში შებარნდა. რესტორანს მარკენებელი ნიშნებით მიაგზო. ისევე, როგორც ოკეანეზმის ყველა დიდი სადგურის რესტორანში, სადაც ოთარი ყოფილა, აქაც მომსაბურები მატარებლების მიმოსვლის რიგმის შესაფერისი იყო და ოფიციანტმა ქალმა რამდენიმე წუთში მოუტანა ცხელი საუზმე და ერთი ბოთლი ლუდი. ლუდს მეავე გემო დაეკარაგდა, ძველიო, და ნახევარი ჭიქის მეტი არ დაულევია... რესტორნიდან რომ გამოდიოდა, ბუფეტის თარიღზე შამპანურიანი ბოთლები შენიშნა და ირონიასთან წაგებული ნიძლავი გააახსენდა. მიბრუნდა და მებუფეტეს ჰკითხა, შამპანური ნახევრად მზრალიაო? არა, ნახევრად ტკბილია, უპასუხა მებუფეტემ. სულ არ ეპიტნავებოდა ირონასთვის შამპანურის მიტმევა. მაგრამ რაკი შეპპირდა, სიტყვას უკან ხომ არ დაიბრუნებს! ჭანდაბას, სხვაგან ეკნებით და ვიუიდო, გაიფიქრა და გასასვლელისაკენ გაემართა... თვალწინ ეფლეწეერიანი კაცის შეამბეჭდავი სახე დაუდგა, შეთხელებული, მუქი ენაფლისფერი თმა გვერდზე გაეკო. შუბლზე ოდნავ ჩამოშლოდა... თითქმის ოცი წლის წინანდელი ამბავი გააახსენდა: ზღვისპირა კურორტზე დასასვენებლად ჩამოსული ეს ახოვანი, ძველკოტეტშიანი კაცი, უცნაურად მღელვარე, მოცახეცხე ზმით რომ კითხულობდა ლექსებს შეხვედრებზე და საუბრის დრსაც დაახლოებით ასევე ლაპარაკობდა, დიდოობით ბაზრის წინ, პატარა პავლოლინზე შეიელად და ჭიკა არაფს გადაჩარადა. დალია ერთხელ, მადლობა თქვა, ფული კი >> გადაუხდია, ისე წავიდა; დალია მეორე დილითაც და ასევე ვალგაუსტუმრებლად გაუყვა გზას; მესამედაც ასე მოიქცა და გამეფდელი დაიბოდა, რა თავს იგდებსო. თქმით კი არაფერი უთქვამს, ხვალაც მოვალ და მისთვის სათქმელად მწარე სიტყვა შემოინახა. მეორე დილით მარილაც მოვიდა კაცი, გამეფდელმა ირიბად. დამცინვად ახედა და შეტეკვაზე ეგდაასვლა დააპირა — აკ ჯა, მამაშენის დუქანი ხომ არ გგონიაო. ალბათ ეს უნდოდა ეთქვა, მაგრამ კაცმა წინა დილებზე ბრალეთრ დალეული არყის საფასური ორმაგად გადუხადა, ამჯერად ლუდის დალეეა ინება — გამადლობთ, ბიძიკო, ღიმილით, ოდნავი წამლეერებით თქვა და წავიდა. გაკვირვებულმა და შემცბარმა გამყიდველმა დახმის მომდგარ ახალგაზრდას, ახოვანს რომ მოწიწებით გასცქეროდა, რა მოხელეა ეს კაცო, ჰკითხა, თან კათხა ლუდით შეუფსო და ნინ დაუდგა. ჩვენი დიდი, სახელოვანი პოეტიაო, მიუგო ახალგაზრდამ... და შერცხვა გამყიდველს, გაბრა, მოკვდა კაცი. ოთარი, იქვე რომ იდგა და ყველაფერი გაიგინა და დაინახა, უცბად ვერ მიხვდა, რამ იმოქმედა გამყიდველზე: ის კაცი რომ დიდი პოეტი აღმოჩნდა, ვალი რომ ორმაგად გადაუუხდა, ღიმილით ნათქვამმა მადლობამ თუ საკუთარმა სულმოკლეობამ! ალბათ ოთხივემ ერთადეო, დაასკვნა ბოლოს...

ერამ გამახსენა ეს ამბავიო? — ჰკითხა საკუთარ თავს კიბეზე ჩამავალმა ოთარმა და უმალ მიხვდა — შორეული ასოციაციით ირონასთვის მისაბარმეე შამპანურებზე წეღანდელ ფიქრთან იყო დაკავშირებული და ახლა ეძაკეოფილება ინარძნო. შინაგანი წინააღმდეგობის მიუხედავად უარი რომ არ თქვა ალიმენელის შესრულებაზე. ისევ ხალხით სავსე დარბაზში აღმოჩნდა და გასასვლელისაკენ რომ გაუფუნა, რომაან ნინიძესა და გურამ ფილოლის შეეჭეა.

— ოჰ, ოთარ! ბაბ, წავედით. „ეაბეერიაზე'' ერთად გამოვიდეთ! — რომანმა მკლავში ხელი გამოსდო.

— მე უკვე გამოვედი! — წუნარად თქვა ოთარმა, ხელი გაითავისუფლა და ნაძალადევად გაუღიმა: თავშეკავება ეგიკვი, რაც არტისტიზმი, ეს რომ არა, ადამიანები უომრად დავბოკავდნი ერთმანეთსო, გაიფიქრა და გაცლა დაიპარა — წუხანდელი რეციდივის შესახებ მასთან ლაპარაკი სხვა დროს, სხვა ადგილზე არია, რომანი არ ეშვებოდა.

— თითო ლუდი ან შამპანური... შამპაიური ხკრბია, არა, გურამ?

—აჯა ვარ, მოგიკვდეთ ჩემი თავი!

— ჰო, მართლა, ოთარ, — რომანმა ხმას დაუწია და ფალი ჩაუკარა. — ის ქალი წუხელ შემობეკვეთი შენთან ხომ არ ყოფილა?

„თვითონ დაინახა ან გურამ ფიოლიან, ნანა რომ კუპეში შემოვიდა!'' გაიფიქრა ოთარმა. შუა დარბაზში იდგნენ მეზობლებს მიმოსვლაში ხელს უშლიდნენ, ერთი ორმა უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა კიდეც. და ოთარმა გზა უტია, სეეტთან მივიდა, რომანიც მიჰყვა, გურამ ფიოლია კი სიგარეტის ფალიანდა კოსტასაკენ გაემართა, პარფიუმერიის მაღაზიის ჩიტის ბუდესავით პატარა ფილიალის გვერდით რომ იყო მოთავსებული.

— იქნებ „მალბორო'' იშოვო! — დაეწია რომანმა და ოთარს მიუბრუნდა. — ა, რაო იმან?

— ვინ?

— ნანა ერქვა, თუ... მო, ნანამ! დილამდე შენთან დარჩა?

— კი, რემთან იყო, ეძინა!

— ოხ, მაგიის ასე და ისე... — რომანმა თავი გააქნია და მოგონილი სერიოზულობით, ჩვეულებრივ, წყენის რომ ფარავენ ხოლმე, განაგრძო: — არაფრით არ იკისრა, ბიჭო, გამომეკეთა, კიდევე კარგი, შენ მაინც...

— არ დაიკენე და ამა რას იზამდა! — შეაწყვეტინა ოთარმა. — პატიოსანი ქალია!

— რა თქვი?

— პატიოსანი ქალია-მეთქი, ბავშვების დედა!

— პატიოსანი?! — ურწმუნოდ გაიღიმა. — მთელი ღამე კუპეში გაკოდა და, დავიჯერო, ხელი არ გიხლია? კარგი ერთი, რას მაზალერებ! არა, მართლა, ხუთრიოს გარეშე, ღირდა ხომ?

— მორჩი ლაზღანდარობას!

— რას მიმპალავ, შე კაი კაცო, გგონია, ვინმეს ვეტაყვი?

— ოჰ, მართლა, ეს არც მომგონებია! — ოთარმა დამცინავად შეხედა. — უთავმოყრილობა როგორ იქნება, ენას მოიფხანთ ნათესავები. ბინაყური კაცი ხარ.

— რა ბზიკმა გიკბინა?!

— არ მინდა თქვენთან ურთიერთობა, ვეღარ გიგეი?! — კბილებშუა გამოსცარა ოთარმა და სწრაფად გაეცალა.

გარეთ ალარ წვიმდა. მზე იკუიტებოდა თხელი, გამქვარვალე ღრუბლებიდან. სადგურის შენობიდან გამოსულ ოთარს ესიამოვნა გრილი, ნოტიო ჰაერის შეხება ალელვებისაგან გახურებულ სახეზე, ღრმად ჩაისუნთქა და მიიხედ-მოიხედა. ტურისტთა ჯგუფები და ავტობუსები არ ჩანდნენ. მაკის სასთალი ითსა და ორჰოკე წუთს უჩვენებდა. დამაგვიანდაო, გაიფიქრა გულდაწყვეტილმა და სიგარეტს მოუკიდა... სინათლეთვე იგრძნო, ორივე ერთად, ფაზიკური და სულიერი სიმარტოვე. ყველასგან მიტოვებულად, ყველასათვის უცხოდ, ზეფმეტად წარმოდგენა საკუთარი თავი, არაფრის მაქნისად, რისი მიზეზიც წუღანდელი უსიამოვნება და გონებაში უნებურად ამოტიტვეებული მისი ცხოვრების ძველი და ახალი ეპიზოდები იყო, მხიარულად მიმმეავალი ადამიანების სახეების ფონზე რომ შიშველი კლდეების ქიმებივით ციცვად გამოიყურებოდნენ და გულს უკარკვდნენ. წამით ისე მოეშვა, როგორც ადიდებულ მდინარესთან ბრძოლით არაკაფაგამოცლილი კაცი მოეშვება ხოლმე, შერიგებული დამარცხების გარდუვალობას, ან კიდევ სხვა, ასფუთანაში ტორის დარტყმის შემდეგ პირქვე დაცემას... იცოდა, საჭირო იყო პირადმა ყოფნა, მზისკენ ცქერა და ფიქრი არ შეუწყვეტია, გამოსავლის პოვნამ მიჩვეული გონება გულშემოყრილი განწყობისა მოსაშორებელ გზას ეძებდა... სად წავიდეს?.. ტაქსებიანს გარეკინებაზე გრძელი რიგი იყო, ეს ბით გაუუვეს?.. უთავბოლო ხეტიალი გამოვა!.. ტრამვაიში რომ ჩაჯდეს ან ტროლეიბუსში და საკუთარი თავლით, ალლოთი და მძღოლის მიერ გამოცანადებული გაჩერებების დასახელებით შეიქნას წარმოდგენა ამ ქალაქის ღირსშესანიშნაობებზე, რაც ახლა, პირველი რიგში, გუნების გასახალისებელად სჭირდება?..

მზე ისევ ღრუბლებს მიეფარა და უეცრად კოკისპირულად დაუშვა. ოთარმა სადგურის შენობას შეეფარა თავი. თავსხმა ხუთ წუთზე მეტს არ გაგრძელებულა, კვლავ შეთხელდა ღრუბლები და ისევითვე ყვავი წამოვიდა, როგორც ამ ნახევარი საათის წინ, მერე ისევ შეწყდა. (მოგვიანებით, ექსკურსიამძღოლმა რომ თქვა, კალინინგრადი ერთ-ერთი ყველაზე უხვნალექიანი ქალაქია მთელ კავშირშიო, ოთარს ბათუში გაახსენდა, ბათუმივით წარამარა იცლება ამინდიო). ოთარი გამოსახსელელთან იდგა, კედელს მიყრდნობილი და სიგარეტს აბოლებდა, თან ფიქრობდა, ხომ არ სჯობია რამე დასალევი ვიყიდო და კუპეში მივბრუნდეო, რომ უცებ წინ ჩაელილი მაღალი, ტანხოვანი ქალის პროფილმა — ხშირღიინლილიანი, გამობურცული ტუჩები პომადით კიდევე უფრო გაესქელებია — ოლია ეფიმოვა გაახსენა, აკაური პოეტი ქალი, სამი წლის წინათ რომ გიცნო მოსკოვში, ახალგაზრდა მწერალთა შეკრებებზე, და გაუხარდა: მივალ, ვინახულებ და მეგზურობასაც ის გამიწევსო, მაგრამ მისამართი და ტელეფონის ნომერი თან არ ჰქონდა, თბილისიდან წამოსვლისას ეს ქალი არც გახსენებია. ოლია, რომან ნინიძისგან განსხვავებით, ლირიკულ ლექსებს წერდა, მაგრამ ოთარი მათში ახალს და საინტერესოს ვერაფერს ხედავდა, ცწმიელ ლირიკოსთა თემებისა და პოეტიური სახეების გადამღერებად მიიჩნევა. გაუთხოვარი, მარტოხელი ოლია პროფესიონალობაზე დებდა თავს, არსად არ მუშობდა და ამ შუა ზაფხულში, შეიძლება, ქალაქში არც კი იყო. ოთარს რომ მოენდომებინა, ამბავაც გიიგებდა და მის მისამართსაც მწერალთა კავშირის ადგილობრივ განყოფილებაში, მაგრამ იმ საღამოს გახსენებამ, ან ექსცენტრიკულ, ავადმყოფფერი მოთხოვნილების ქალთან რომ გაკარი, ჯერ ლიმილი მოგვარა, მერე კი ხელი აიღებინა მასთან შეხვედრაზე. ტაქსის რიგში დადგომა გადაწყვიტა და იქითკენ გაემართა...

— ჩვეულებრივ ტურისტებს, — თქვა კბილებში ნიგარეტგაჩრილმა, ხანდაზმულობით სახედანაოკებულმა, მაგრამ მკვრივი აგებულების მძღოლმა, ოთარი რომ ვეკრდით მი-

---

ბოდიერი ბეიზვილი

ზუგი რამ ფიქრისნი კაცის ცხოვრებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულად და თავისი სურვილი აუწყა. — პირველად ოლეშას მიწერის უწერებენტე ზოლმე, — მიწინაკვეშა რეზოლიუციას. ოცდათოთი მომცრო, მატარებლის კუპეს ტოლი ოთახია ვიწრო დერეფანთან. ჩვენებმა რომ კალინინგრადს შემოუტიეს, ფაშისტთა შტაბი იმ ოთახებში შეიყუჟა და გენერალი ოლეშა იქიდან იძულოდა განკაგულებებს. კარგია, ჩემმა მზემ! ჩაიკეტებიან ჯურღმულებში, შენ კი, ჯარის-კაცო, ანთხე ტვინი და სისხლი... თუმცა რას იზამ, ომის კანონია! ოპერაციის შეუსრულებლობაზე ხომ ფრონტის სარდალი აგებს პასუხს, ის თუ მოკედა, რა კამოვა!... ოლეშას მიწერში ანლა მუზეუმია, ოოლეფდდე ათასობით ბრალველი გაივლის ზოლმე ვიწრო დერეფანს ხასაანგიდე განწყობით, კალინინგრადზე შეტევასას დალუპული. ჩვენი მეომრების სხოვნა რომ იწვევს! აი, თვითონ ნახავთ... ისმის ბეთჰოვენის მუსიკა. დროოდერო კი ლევიტანის ფირზე ჩაწერილი ხმა, საინფორმაციო ცნობებს გადმოსცემს ჩვენი ჯარების შეტევასა და ფაშისტების მარცხზე... იმას ვერ გეტყვით, ინფორმაციები მაშინდელია, თუ მერე ჩაიწერეს... რა გულშიჩამწყდომი ხმა აქვს ლევიტანს, არა?

— ერთდროულად ორ გრძნობას აღძრავს.

— ორ გრძნობას?! — გაკვირვებით თქვა მძღოლმა და, ეტყობოდა, ჩაფიქრდა, რადგან მაშინვე არაფერი უკითხავს, ალბათ უნდოდა, თვითონ მიმხვდარიყო, რა გრძნობებს გულისხმობდა ოთარი. მაჩქანა საკმაოდ გრძელ ხიდზე გადავედა, მარკვნივ გაუხვია, მერე — მარცხნივ, ვიწრო ქუჩაზე, რომლის ორივე მხარეს ხუთსართულიანები, დაბალქერიანი შენობები იყო გამწკრივებული. „ახანოს კოლიფები!" — ოთარს ახსენა ირონიული ღიმილი აუკიაფდა. თუმცა აქ რა უშავს, ნაომარი ქალაქია, ხალხს დანგრეული სახლების ნაცვლად სახსრაფოდ აუშენებს, ჩვენ კი რა გვეკარგება ისეთი?..."

— როგორ გვეკარგო, მეგობარო? — მძღოლის ხმა მოესმა.

— რა?!

— რას გულისხმობთ — იმ ორ გრძნობაში, წეღან რომ თქვით?

ეს ისევ იქ ყოფილაო, გაიფიქრა ოთარმა და მიუგო:

— შიშსა და სიხარულს.

— ჰა, სწორია! — მძღოლს გაეღიმა. — მეც ეგ ვიფიქრე, მაგრამ იცით, მესმიც არის.

— მესმე რაღაა?

— მოლოდინი! — მძღოლმა სიგარეტის ნაბმული ფანჯრიდან გადაადგილ და თავის ნათქვამს ასეთი განმარტება დაურთო: — ეს, ახ... ვიტყვი, ლევიტანის ხმაზე, საერთოდ... კი, ათას რაღაცას ელოდება ადამიანი, კარგსაც და ცუდსაც, უფრო მეტად, რა თქმა უნდა, კარგს. მოვედით! — თქვა და მანქანა ოთარის კიდეთან დაამუხრუჭა.

ოლეშას მიწერი პატარა სკვერში იყო. ჩასასვლელი კიბის პირდაპირ, მარჯვნივ და მარცხნივ, ავეტყრილნიან ვიწრო მისასვლელებზე ტუოისტები კოლონებად იდგნენ რიგში, ოთარმა ერთ-ერთ კოლონაში მარიკა, სანდრო ხოფერია და სხვა თანავაგონელები შენიშნა, ჩვენები აკ ყოფილან, უნდა გამოგეთხოვოთო, უთხრა მძღოლს, ფული გადაუხადა და მანქანიდან გადმოვიდა...

„კალინინგრადში დაიბლოკინთ იმდენი რამ აღმოჩნდა საინტერესო და ღირსშესანიშნავი, რამდენსაც ოთარი ამ პატარა ქალაქისგან მოელოდა და ისეთი გრძნობა ჰქონდა, როგორიც ხშირად ლექსისა თუ მოთხრობის წაკითხვის შემდეგ, ღრმა, დაბეჭენელი წინადადებების გვერდით რომ ხორკლიანი, გასაშალშინებელი სტრიქონებიც ბევრია. მწვანე ნარგავთა სიუხვემ კი სანდრო ხოფერიასთან ერთად ისიც გაკოცა. სანდრო, ნატარებლის ფანჯრიდან დანახული ქალაქების გამწვანების თბილისისას რომ ადარებდა. გულდაწყვეტილი აქნევდა თავს და ამბობდა, არაა თბილისის საზეკლი, ამდენს ფრავეთ და მაინც არაფერი ეტყობათ!

ოლეშას მიწერის დათვალიერების შემდეგ ტურისტები ავტობუსებში ჩასხდნენ და თხუთმეტი მინიატურული ნავსადგურიდან, ძველი ენეიგსბერგის ირგვლივ შემოვლებული არხის გასწვრივ ფრანგებისა და გერმანელების მიერ რომ იყო აშენებული, ერთთან შეტრიდნენ, ისიც შორიახლო, არხის აქეთ ნაპირზე. ეს საკმაოდ გრძელი და მრავალფაფოფილებიანი, ლლეფში ჩაშენებული აკორნის ნაგებობა ჯერ კიდევ ვერ გაეწმინდათ საფუძვლიანად ფაშისტური ნალმებისაგან და ადგილობრივი ხელმძღვანელობა მოსალლოდნელი უბედურების შიშით, სასტიკად ერძალავდა შიგ შესვლას, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევის შემდეგ, რამდენიმე წლის წინათ რომ მოხდა — ფოტოხუროვნის გადასაღებად ქვაზე შემხტარი ტურისტი. იმ ქვაზე, რომელიც არხზე ეკიდეფო ბიდის თავში გდია. მოგვალ, გვერდიგაჩამტვრეულ ცისტერნასავით, უეცად ფეთქებულმა ნალმმა იმსხვერპლა.

ნავსადგურიდან წამოსული ტურისტები ეზადგზა ქალაქის არქიტექტურას: გოეტენ, უნიფერსიტეტის სკვერში ინაზულეს შილერის ძეგელი, კანტის სიფლავი ქონგურებჩამონგრეული ეკლესიის გვერდით, ნახეს ძმათა სახალელო, მონუმენტური ობელისკი, ომში დალუპულთა უკედავსაოფად რომ ადგმრთათ მოედნის შუაგულში, ავტობუსით ერთიერ კიდევ გადაავლეს თვალი ალინინგრადის მწვანე, მორეხი პანორამას, წოწალი სახლიავები.

ანი შენობები, რომ რომანტიკულ იერს სძენდა და ზუთ საათზე უკვე სადგურის მოედანზე იყვნენ საექსკურსიო ოფიციონზიგან თავისუფალნი...

ოთარს ამდილანდელი უგულებობიდან აღარაფერი შერჩენოდა. მშვენიერ ხასიათზე იყო და იუმორარზზეი მხიარულებით უამბობდა ვაგონის დერეფნის ფანჯარასთან მდგარ მარიკასა და ლარისას კანტიკნა და მისი საცოლის ამბავს, ეკსკურსიიამძღოლმა რომ რა-ტომდაც გამოტოვა ან დავიწყდა... გუნება ქალაქში გასეირნებამ გამოუკეთა. მაგრამ მთავარი მაინც ავტობუსში მარიკას გვერდით ჯდომა და ის პატარა მზრუნველობა იყო. ქალიშვილმა რომ გამოიჩინა: ფანჯარასთან ჩამოკიდებულ პიჯაკს — მარიკა ფანჯრის მხარეს იჯდა — ავტობუსიდან გადმოსვლისას, ოთარის თხოვნის გარეშე ჩამოხსნილდა ხოლმე საკიდრიდან და აწვდიდა. ოთარს ირონიდად ეს თამაში, თვითონ აქცია თამაშად. სიამოვნებას ამცირდა და ავტობუსში ასვლისთანავე, აქაური წარამარა ცვლაენადი ამინდის მიუხედავად. იმდიდა პიჯაკს და საკიდარზე კიდებდა. მის პატრუქმბუტაგ სულს ხაოცრად ეხალუნა მარიკა ხითმო, რატომღაც გაითავისა ზრდილი ქალიშვილის ყურადღება და პირველად გამოუტეკვა საკუთარ თავს, რომ იგი ძალიერ მოსწონდა, რომ გულში მიხდამი ერ კიდევ გუეცნობიერებელი გრძნობა ჩაღვიოდა. და ამ გრძნობამ უეცრად შეაკრთო, მაგრამ გამოუფიზოა კიდევ და სხვანაირად. ნთელი სხიგებით გაბრწყინებულად დაანახა ცოტა ხნის წინათ ფერშიგბილად წარმოსახული სამეარო და საკუთარი თავი, კვლავ იგრძნო სულიერი სიმხნეევ, შინაგანი სიძლიერე და. ეოფიერებას დაბრიუნებულმა, ქალიშვილისკენ თვალი გაიპარა... ბავშვივით გამოიყურება, ფორმა რომ ჩაიცვამს, მოსწავლისგან ვერ გაარჩევ!... თუმცა, გარეგნობით ძნელია ქალის ასაკის დადგენა, ისიც ახალგაზრდობაში! შეილად ნამდვილად არ შეეფიერებან!.. გულს ფრევს, საშინლად აღიზიანებს მამაკაცების შეილად შეხფერის ქალიშვილებთან, ან კირიკეი, ხნიერი ქალების ვიეებთან სერიოზული ურთიერთობა, რაც არცოუ იშვიათად ხდება ახლა... მაგრამ რა ურთიერთობაზე ფიქრობს?.. ეს ალბათ დროებითი ამბავია, მეზობლობის რომანტიკამ რომ მოიტანა!.. ჯერ ხომ მეპარტალ ბლის, ავტობუსს გარეთ თოქმის არ უნახავს, თუ გზის იმ პატარა მონაკვეთებს არ ჩაოვლის, რომელიმე ტეკლის ხანაბაგად რომ მიდიოდნენ!.. ვინ იცის, სხვა სიტუაციაში იქნება ისეთე უცხოდ მოეჩვენოს, როგორც ერთხელ, მარინე ლეკიძესთან ერთად გამზირზე შეხვედრილი ცოლი? იქნებ იგი არც ისეთი სათნოა, როგორც ჭკონია?... შეუძლებელია! საკუთარ თვალს ენდობა!... მაგრამ კი რამდენჯერმე შეიცდინა საკუთარმა თვალმა ადამიანებში იმ სიკეთის ძიების ლრუს, და, რაც მოგვიანებით ოჯახის შექმნისას!.. მაშინ ძლიერ ახალგაზრ. და იყო, გამოუცდელი!.. ახეა თუ ისე, მეტი დაკვირვება, თავშეკავება მართებს! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჯერ უნდა გაარკვიოს, რა ხდება მის სულში. სახელი დაარქვას და მერე იმოქმედოს!..

ოთარი ღვინისგანაკეა იყო გახალისებული (ოის დაეინებით ირინა „ცხოვრებაში პირველად" დათანხმდა ნახეკვარად ტკბილი შამპანური დალეია) და გაკაცებით უყებოდა საუკუნე-ნახევარზე მეტი ხნის წინათ გაბოდაცლილი ფილოსოფოსის სახიეკარული ამბავს. თარობას რომ მორჩა, ქალებს ჰკითხა: იმ ქალიშვილის ადგილზე რომ ოქვენ ყოფილიეკვეთ, რას იზამდითო? ვიპატიებდი და ცოლად გავეყვებოდი, უპასუხა ლარისამ, მარიკამ კი მზრუნი ანეურა და გაეღიმა, ვერ ვეტეყვით, როგორ მოვიქცეოდი, ჯერ ჯერობით არც ამდაგვარად მკონია საკმე და არც სხვაგვარადო.

— უცნაური გოგოა. — თქვა ლარისამ. იგი მარიკას თბილისიდან იცნობდა, მისი დის კარის მეზობელი იყო. — თუ ამ ასე ვთქვათ, ეტერიის მიკეყვა, მერწმუნეთ, ვერანერიდეს ვერ გათხოვდება.

— რა თეორიაა ასეთი?!

— ხუმრობს, კარგი რა, ლარისა!

— არაფერსაც არ ვხუმრობ! მისი მეუღლე ბაღონო ოთარ, როგორც ამბობს ხოლმე, უნაკლო პიროვნება უნდა იყოს, ან სულ არაფერი, შუაში მდგომი ვერ იტანს! ეხეთ ბიკეებზე თქვა უარი, გაგიიდებთან პირდაპირ!

— მეოცნებე ეოფილხართ, მარიკა! — უთხრა ოთარმა. — თუმცა ეს ცუდი არ არის, პირიქით... აბა, სასიამოვნო ვახშმობას გისურვებთ!

— თქვენც ასევე!..

5.

მატარებელი რიგის გარეუბანში, სადგურ ოლკანშეში იდგა. მარშრუტის ხელმძღვანელი, — მაღალი, ზშირი სმისგან უმეტესდასვეუბული ახალგაზრდა კაცი, რომლის არც სახელი იცოდა ოთარმა და არც გვარი, ისე შეიქცია საგზაო რომანმა, დეიენმის გაგზავნა დაავიწყუდა და ოვლიხის ჭრით გაბრწყინებული რიგა ცივად შეხვდა სამხრეთელი სტუმრებს, რაზეთუ საექსკურსიო ბიუროს ავტობუსები წინა ღღეს გიენაწილებინა, მათთვის კი ეროიც აღარ იყო თავისუფალი. საკუთარი დაუდევრობითა და ტურისტთა უმეცაროებით შეფუტეხუნებელი მარშრუტის ხელმძღვანელი იმედოვნებდა, რაღაცას მოვახერხებო, და რიგაში ჩასვლისთანავე საექსკურსიო ბიუროში გავარდა, უკანაც ჩქარა, ოლკანშეში მატარე-

ბლის გაჩერებისთანავე დაბრუნდა. მაშინვე ჩართო რეპროდუქტორები და გამოაცხადა: ელექტრომატარებლით, რომელიც ყოველ ათ წუთში გადის, ყველანი რიგში ჩავდეთ, მეგობრები. და დახურული ბაზრის გვერდით, ტრამვაის გაჩერებასთან შეეკრიბებით, დაშშვიდდით, ყველაფერი რიგზე იქნებაო. ზოგიერთი ტურისტებიან მოსალოდნელი საჩივრით შეშინებული (სანდო ხოფორი პირიდან ცეცხლს აფრქვევდა — ფუფუნე შენ მაგ მამაძაღლს, ამდენი ხალხი ქალს როგორ გკანცვალო!!), ისე თბილად და დაშვაჭოულად ლაპარაკობდა, რომ ოთარმა დამცინავად გაიფიქრა, ამ თავფაფარუას სამანი კაცი ვინ ამდო, სამ ბატკნ არ ჩავაბარებდიო, და მერე ეს სიტყვები პირშივე უთქრა. ხელმძღვანელს კრინტი არ დაუძრავს, დატუქსული ძალლივით გაიძურწა.

ტურისტებმა ბაზრის გვერდით, ტრამვაის გაჩერებასთან მოიყარეს თავი. გამოირკვა, რომ ეკსკურსიის მოწუთობა არ ხეხდებიდა ეს ამბავი, ტელეფონით დარეკეს შემდეგ. თვითონ, დარცხვენილმა და ძლიერ შეწუხებულმა მარშრუტის ხელმძღვანელმა, მოიტანა და მაშინვე დასძინა, რაკი ასე მოხდა, კაცი არ ვიყო, ტაქსები და კერძო მანქანები თუ არ დავიქირავო და მთელი რიგი არ მოგატროთო, მაგრამ ტურისტებმა ამ დიდსულოვან წინადადებაზე უარი განაცხადეს და იქვე, კოოსკებში შეძენილი გაზამკლეკვებით ქალაქში მიმოიფანტნენ.

ოთარი მესამედ იყო რიგაში, ასე თუ ისე, იცოდა ამ ქალაქის ასავალ-დასავალი და თავის თავს აღარ ჩიოდა, მაგრამ ხალხი შეებრალა, უპატრონო ცხვრის ფარასავით მიშვებული ხალხი. გულნაკვნეს, რაღაშლაკ, თბილისის მეტროპოლიტენის სათადარიგო ეტსკალატორები გაახსენდა. სამუშაო საათების დაწყების წინ და დამთავრების შემდეგაც რომ არ აშორებდნენ ოუნუკის ჩარწერიან ფირფიტებს. გული, რა თქმა უნდა, იმანვე ატკინა, რომ რიგაში ყოფნის წინა არ შემხვედრია ხალასპილის მემორიალური ანსამბლის ნახვა ვერ მოახერხა და ფიქრობდა, ახლა მაინც ვნახავო. აგრეთვე იმანაც, ტურისტების დაშლის შემდეგ რომ მოეკო გონს, მარშრუტის ხელმძღვანელზე დაბოლმილი და მანქანის გაჩერება ვერ მოიაზრა — ჩასვამდა შიგ მარიკას და მის თანაკუპლებს და ქალაქს დაათვალიერებინებდა...

იდგა და გიფიცებდიო მიწისქვეშა გადასასვლელებს გასცქერიოდა, ქუჩას, ტროტუარებს, ბაზრის შესასვლელებს. ნაცნობი, ახლობელი სახეები რომ ვერსად დაეანაგა, ტრამვაიში ავიდა. ზემოდან უყეთ დავინახავო, მაგრამ ტუუილად გაიხარეო. ტრამვაიდან აღარ ჩამოსულა, ბოლო გაჩერებამდე მიმეკვა... ბუფეტარი გადასცემა და სანაპაროზე გავიდა, ნავსადგურის მახლობლად. ტირიფის ძირში სკამზე ჩამოჯდა, სიგარეტს მოუკიდა, ფიქრებში ჩაძირული დუბავეს, მოტორიანი ნავები და სწრაფმავალი „კომეტები" რომ ხერხდნენ და თვითფრინავებივით თეთრ ზოლებს სტოვებდნენ, ცისფერი გადაჰკრაოდა. ნიავი უბერავდა, ჭიანს საჭმიდ ცხელოდა.

ნაცნობმა ქალებმა ჩაიარეს. ერთი შავგვრემანი იყო, ლამაზი ჩამოკნილი ტან-ფეხი ჰქონდა, მეორე — სახენაკვაველარი, უცხვირპირო, შავგვრემანზე ცოტათი მაღალი და მამაკაცურფეხებიანი. ისინი პირველი ვაგონით მგზავერთ კუპეშიც რომ ეძინათ. ხელკავით მიდიოდნ — რეხტორანში, ეკსკურსიაზე. სადგურის ბაკნზე თუ ეჯიშნი და ეშვიე არ ეპარებოდა, ერთ კუპეში რომ ეძინათ. ხელკავით მიდიოდნენ. ოთარმა რამდენჯერაც დაინახა ისინი ერთად, შავგვრემანის მკლავი ყოველთვის სახენაკვაველარს ეჭირა. იგი ისე ექცეოდა შავგვრემანს, როგორც უფროსი, გამოცდილი ძმა ან მეგობარი, თუმცა მათ შორის ასაკობრივი განსხვავება თითქმის არც იგრძნობოდა. შავგვრემანმა ოთარი რომ დაინახა, როგორღაც თვინიერად გაუღიმა და მიესალმა. უცხვირპირო ისეთ საერთოდ არ ესალმებოდა. ოფიციალურად არც ერთი გაუცვლია და არც მეორე, მაგრამ ამ ქალს, თვალები რომ გამოუცლია სევდით ჰქონდა სავსე, სალამს ვერ ასწრებდა, უცხვირპირო კი თითქოს ვერც ამჩნევდა, ხან ნარაბზეერული ჩაუფლიდა ვგვრდით, ხან თავს მაბარონებდა და შავგვრემანს ლაპარაკს დაუწყებდა, მაინცადამაინც მაშინ დგებოდა საუბრის გუნებაზე. ამ წუთიერს დანახვაზე ოთარს ორმოფუფი ღიმილი გადაუბრეწია სახეზე და ხან რას ფიქრობდა, ხან რას...

ქალებს თვალი ვაყოლა, დააქარა შავგვრემანისათვის ეკითხა, ჩვენები ხომ არ გინახავთ, მაგრამ იგი უკვე შორს იყო. ქალებმა ნავსადგურისაკენ გაუხვიეს და ფეეცოდ ოთარმა, შესასვლელის წინ შეჭეფფფულ ხალხში, თითქოს მარიკა დაინახა და წამოდგა, მაგრამ ეირით ალეთ მობარუნებული ცისფერქანიანი ქალიშვილი სხვა აღმოჩნდა. ოთარი სკამზე აღარ დამჯდარა, პიპკეკი გაიხადა, მხარზე მოიგდო და ბულვარიდან გასასვლელისაკენ გაემართა... ტრამვაის ბაზრამდე მიპეკა. მიწისქვეშა გადასასვლელით მოეცნის მოპირდაპირე მხარეს ამოსული, სუფოროვის ქუჩას დაადგა. ვალიდოლის ორი ბიოკი ჰქონდა დარჩენილი და ეფთიაქში შევიდა, მაგრამ ხელცარიელი გამობრუნდა — გაგვითავდაო, უთხრეს. ბრეზენტის ქოლგით დარჩდილულ წიგნების სავაჭროსთან შეჩერებულს, ერთი ახალი ნაცნობი გაახსენდა, ქართველად რომ თარგმნილა არტურ ჰეილის „აეროპორტს", ამსაზღვარ წიგნი დაეკარგა და შეწუხებული ამბობდა, თუ ვერ ვიშოვე, ერთი წლის მუშაობა წყალში ჩაგეყარა და ესაო. ოთარმა ინგლისურად გამოცემული ეს რომანი შეიძინა, ჩაუუკინ, კაუნარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებიო, გაიფიქრა და გზა განაგრძო. მიაბიჯებდა შიშველი, უფაზნებები და უხეები ტრატუარზე და მზის ელვარე სხივებით თვალებმოჭუტული უყქეროდა ოაზი ფერის, ქანდაკებებითა და ორნამენტებით შემკული ძველ სახლებს (მაინ ატურული მასშტაბები რომ ლენინგრადის ნაგებობებს აგონებდა) და მაღაზიათა გემოვნებით გაწყობილ ვიტრინებს, მაგრამ არც ერთ მაღაზიაში არ შესულა. ეჯავრებოდა უმნიშვნელო მაღაზიაზა წოვიალი. მზე თითქმის სამხრეთულად აცხუნებდა და თავგანურებული, სიცხისაგან მოთენთილი სადგურისაკენ მიმავალ ტროლეიბუსში ავიდა სადგურში ოთხი ბოთლი ლუდი იყიდა, ჩაჯდა ელექტრომატარებელში და ოლანშნში დაბრუნდა. იო ქალაქში გასულიყო და კარი მეზობელი ვოგონის გამოკეტებელმა თავისი გასალებით გაუღო. ოთარი იმ დროს მივიდა, გამცილებელს რომ ვიღაც ხანგადაბიჯვინებული მთვრალი კაცი ჭაჭას სთხოვდა, თან ფულს აჩეჩებდა. რად მინდა, კაცო, შენი ფული, რომ ჭკვიდეს, ამ გრამს ისედაც ჩაგაცეცცლებდიო, ეუბნებოდა გამცილებელი. ენადგარეფილი მთვარალი არ ეშვებოდა. ოთარმა ორი ბოთლი ლუდი გამცილებელს ვოგონის კიბეზე დუდგა, ერთი მაგას მიეცი და მოგეშვებაო, უთხრა.

კუიეში სიცხის ბული იდგა, ოთარმა შესვლისთანავე ფანჯარა ჩამოსწია, მუშამბის ჩამოსაფარებელი ბოლომდე დაუშვა და ერთი ბოთლი ლუდი სულმოოუქმელად გამოსცალა. მერე ახალსაცვი წიგნი ჩემოდანში ჩადო და წამოწვა, ცოტას ფვეიმინებო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა... ბარედან მთვრალის გინებაშერეული, მადლობის გამომხატველი სიტყვები ესმოდა. „ეჯაბ" ისევ ახხენებდა... კაცს ერთხანს კიდევ იბურტყუნნა და, როგორც იქნა, მოისაზრა წასვლა. ოთარმა კარის მოპირდაპირე, დერეფნის ფანჯარაც ჩამოსწია, მეორე ბოთლი ლუდი გახსნა, მაგიდასთან დაჯდა და ერთი ახალგაზრდა, დამწყები პროზაიკოსის მიერ ნაბოჭკარი მოთხრობების კრებულის კითხვა განაგრძო, ბოლო მოთხრობის ოერიოდე ბედერდილ ჭკონდა წასაკითხი ლუდს წრუპავდა, თან კითხულობდა, გამომტყუვლებაზე ეტყოოდა, რა ზემოქმედებასაც ახდენდა მასზე ეს მოთხრობა, გაბმილებული სახე ჭკონდა და ისე ამცაცუნებდა ტუნებს, თითქოს პირში უგემოური კერძის ლუკმა ედო. კითხვას რომ მორჩა, ფურცელი ცივად ადო და თავისი შობეკდილება უფუოქმნიდ დაწერა: „თხრობის დახვეწილი მანერა აქვს, მაგრამ თვითმიზნური. კარგი „ფერწერა" პროზაში პოზიორობის ემოციას ქმნის, როცა სთქმელი თითქმის არაფერია, ტიპაჟი კი, უღიმღამო და უფერული... არც დღეკანდლობის რომელიმე მეტ-ნაკლებად ხაპირბორატო პრობლემა აწუხებს ახლო წელის ნაყვიდ დრო არ არის..." — ჩაფიქრდა, ხანენდალის სიტყვები ხომ ან მაეწერა — „რატომ ვწერ?".. „ვისთვის ვწერ?.." და თავისებური განმარტება მიეცა, მაგრამ ეს ჩანაწერი ხომ ამიტომ გაკეთდა, რომ საჭირეების შემოხვევაში ამ წიგნის წაკითხვით მიღებული შთაბეჭდილება აღედგინა, დადი მწერლის მუშაობის მეთოდის ხაკუთარი თავისთვის შეხსენება კი რაღაც უნდოდა, ისედაც კარგად ახსოოდა და გონებაში ჭკონდა ჩაბეჭდილი.

წიგნი ჩანაწერთან ერთად ჩემოდანში შეიჩალა, როცა შემჩდგება ავტორი, ჩემს აზრს ვეტყვიო. წერილის დაწერა კი არც რომელიმე რედაქციას შეუკვეთია და არც თვითონ მონდომებია, თუმცა ჩემოდნის დახურვისას მაინც გაიფიქრა, წერილი რომ დაიწეროს, ურიგო არ იქნება სათაურად სტენდალის სიტყვების მიცემაო.

ოთარმა ახლა იმიტომ კი არ გამოიჩინა უჩვეულო სირბილიე და შემწყნარებლობა, წიგნი რომ ავტორმა უსახსოოვა, არც იმის გამო, თითქოს მისთვის სულ ერთი იყო, რა იწერებოდა ან როგორ იწერებოდა, როგორც ეს უფიტესად თავკერძა, უპარნასიპო მწერლებსა და ხაერთოდ ახეთი კატეგორიის ადამიანებს ახასიათებთ ზოლმე — ოღონდ პირში ნუ ათქმევინებთ კაცისთვის აუგს, ზურგსუკან კი წარაბეუბრალედ ამოოფხრიან ხოლოვს. ოთარის თავშეკავება ლიტერატურული ნაწარმოებისადმი მიდგომის უკვე სხვაგვარი ლოგიკით იყო გაპირობებული და ამ პროზაიკოსის მოთხრობების კრებული ადარ გამოადგებოდა...

ათიოდე კრიტიკული წერილი, ოთარს რომ თხუთმეტი წლის მანძილზე ჭკონდა გამოქვეყნებული, გაკრიტიკებული წიგნების ავტორებისათვის პირდაპირ მეზის დაცემა იყო. აქვე უნდა ითქვას, ამ წერილებს ამა თუ იმ მწერლისადმი ახირების ან ღვარძლის გამო კი არ წერდა ზოგიერთი კრიტიკოსივით სამაგიეროს გადახდის მიზნით, თვით პოეტურ თუ პროზაულ თხზულებებს მიჰყავდა იგი აკმაღე, ბუნდოვან მხატვრულ სახეებსა და ასახვებს, გაუმართავ წინადადებებს, ამბავიებს, გვერდებს, თავისი აზრის დასამტკიცებლად რომ სიტყვა-სიტყვით ჭკონდა ხოლმე წერილებში მოყვანილი, გადადებულ თემებსა და იდეებს, რომლებშიც უმნიშვნელო ნიაბლე თუ ბეუტავდა დაალეული სანთელივით ეს კი თითქმის ისევე შეუმჩნეველი იყო, როგორც ჭუჭა, შინაგანად სუსტი, მაგრამ კეთილი ადამიანი გოლიათ ავაჯათა შორის, უბრალო წანაალმდეგობის გაწე-

გიოდერაძი ბეიშვილი

ზეზეი რამ ფიქრიანი ქაჯის ცხოვრებიდან

ვის თავიც კი რომ არა აქვს დი თავისი გზით მიათრევს ავაზაკთა მდინარეების ტალღა.

„ბაზულთ თაობის, ახალგაზრდა და დამწყებ მწერალთა ლეკსებისა და მოთხრობების კრებულებზე, პოემებსა თუ რომანებზე დაწერილ-მა წერილებმა, გამოკვეულებისთანავე მოუპოვეს და განუმტკიცეს თოლის მართალი, ლიტერატურაში სიყალბის, მდარე მხატვრული ნაწარმოებისადმი შეურიგებელი კრიტიკოსის სახელი. ეურნალი, სადაც იგი თავის ნაბრძოლებს აქვეყნებდა, ეოსსკენის თაროებზე არასოდეს დარჩენილა მზის ხმივებისაგან გარეკანშეეკვეილებული, გამოსვლისთანავე იყიდებოდა. ოთარის წერილები ავტორებზე სხვადასხვაგვარ ზეგალენას ახდენდა: ზოგი მაშინვე შეეგრძნობდა საკუთარ ცოდვებს და ოტატიკოვი დარცხვენილს — წუწგულნი პროდუქციია რომ გამოუშვა. — და ფულნიტაკენსაც — ეს ბომ სხვისი მოთითვის გარეშე მეც ვიცოდიო. დროული და სასარგებლო დასკვნა გამოაკმაყოფა, ზოგი ვერ ურიგდებოდა „საკვეკნოდ თავის მოკრას" და საპასუხო წერილი ცელილობდა „ამ თავმდაბალთან" ჭკუა ეხვევლინენა, მაგრამ უარესად იმტკრევდა ცხვირს, გაზეთის თუ ეურნალის რედაქცია, საპასუხო წერილში ჩართული იუმორანზავი კომენტარებით, აშკარად ოთარის მხარეს იყო.

ოთარის წერილებმა არა მარტო გაკრიტიკებულ ეჭნნელებთა ავტორებს გამოაფხეკინა ყურები, არამედ იმათაც, ჯერ კიდევ რომ არ შეხებიდათ მისი ბასრი კალამი და ახლად დამთავრებული ნაწარმოებებს ნინანდებერად მელნის შეშრობისთანავე ალარ მიარბენინებდნენ ხოლმე რედაქციაში.

ერთი სიტყვით. მისმა წერილებმა კეთილი გავლენა მოახდინა ლიტერატურაზე. მაგრამ უკვე რამდენიმე თვე იყო, სდუმდა. ოთარი სერიოზულად დაიფიქრა ერთმა საკითხმა, თანდათან რომ იდგამდა ფესვებს მის გონებაში და შემოქმედებითი აზზიკიის გარდასახვის აუცილებლობისაკენ ეკვანძოდა. საქმე ის იყო, რომ მის მიერ აკამდე დაწერილ და გამოკვეულებულ ყველა წერილს მხოლოდ ერთი მხარე, ერთი კუთხე გაანნდა — უარყოფითზე ყურადღების გამახვილება. წერის ეს ტრადიციული მეთოდი, ბევრი გამოჩენილი რეალისტი მწერალი რომ სიამოვნებით იყენებდა პერსონაჟების ხატვისას, რამეთუ უარყოფითი მკითხველნი დადებითისაკენ სწრაფვას აღძრავსო, ოთარმა კარგად იცოდა, მაგრამ უკვე აუცილებლობად თვლიდა თავისი, ამ შემთხვევაში კრიტიკოსის ნიკი სხვა მხრივ წარეკვთია და სარეცეზნიდან ისეთი ნაწარმოებებისათვის მოეკიდა ხელი, ნაკლთან ერთად კარგზედაც რომ ეკნენოდა საღაპარაკო. ეს სურვილი უკმაყოფილო კოლეგების მომრავლებით გამოწვეული შიშის თუ რიდის გამო, უკან დახევა კი არა, პირიქ-ნული მრავალმხრივობისაკენ სწრაფვა იყო თანდათან რომ მზაღდებოდა მის გონებაში. ნელ-ნელა რომ ნათდებოდა, საბოლოოდ გამოკვეთილი ხდებოდა და საბუალესაც ალარ აძლევდა ძველი გზისკენ მიბრუნებულიყო, თორემ იმ ახალგაზრდა პროზაიკოსის მოთხრობების კრებულზე, წელან რომ ჩემოდანში შეინახა, აკვე, მატარებელშივე შეეძლო წერილის გაანაწილება... ათიოდე პოეტური და პროზაული კრებული კიდევ ჰქონდა წამოღებული, ერთ-ერთი მთგანი ალბათ გამოადგებოდა თავისი ამ ახლებური განწყობისათვის, თუ არა და, რა საჭკოო იყო, თბილისში რომ დაბრუნდებოდა, შეარჩევდა და შეიძენდა თანაგრძოლობის ამსახველ პირველად გამოკვეულებულ წიგნს, ან არადა, ეურნალების უკანასკნელ ნომრებში დაბეჭდილ რომანს ან პოეტურ ციკლს აიღებდა და ჩაუყვდებოდა.

ოთარს თითქმის ერთი წელი იყო, არაფერი დაეწერა. ამ ხნის მანძილზე მისი, როგორც კრიტიკოსის გადახალისება რომ ხდებოდა, საბჭოთრობრობა და ხანოვანი თემა და სიუჟეტი საკმარისი ჰქონდა, მაგრამ უნდოდა, ეს პერიოდი პირველ რიგში დიდი ხნის ჩანაფიქრის ხორცის შესასხმელად გამოეკვლინენა — რომანზე ემუშავა. სურველი, რომელსაც თან მოკმედება არ ახლავს, ეუხდენელ ოცნებასავით მტკივნეულად ჩამოეკიდება ჰაერში და ტანჯავს ავადმიანს. ოთარსაც ასე მოუვიდა: ხან სამსახურის გამო ვერ მოიცალა, ხან კი, ვინ მოთვლის, რამდენჯერ შეგნებულად და შეუგნებლად შეუშალეს ხელი და დანებუეთმა უკვე ალარ იცოდა, ამ საქმეს როდის ან, საერთოდ, დაადგამდა თავს თუ არა...

რომანს, რომლის დაწერასაც ოთარი აპირებდა, ერთი ძირითადი ხაზი ჰქონდა, უფრო სწორად, ერთპლანიანი იყო. მოკმედება მთავარი გმირის, — მანკანის ავარიით მიღებული მძიმე ტრამვის შემდეგ რომ იწყებს მოგონებას და ბავშვობის წლებს უბრუნდება, — ირგვლივ უნდა განვითარებულიყო. რომანს „დაბრუნება" ერქვა, რასაც, რა თქმა უნდა, პირობითად თვლიდა, თუმცა, გამოცდილებით იცოდა, შეშლობის პროცესში იგი ერთგვარად დაემსგავსება კიდევ, ნაწარმოების დასრულების შემდეგ კი, უეცრესს მოიფიქრებდა დ შეიცვლიდა, რადგან ეს სათაური მხოლოდ მოკმედების განვითარების გამომხატველი იყო და რომანის დედაზარს, სათქმელს არაფერს მატებდა. რომანი ავტობიოგრაფიული არ იქნებოდა, მაგრამ ეს ეპიზოდი — სახლიდან მამის უეცარი, მოულოდნელი წასვლა 1951 წლის დეკემბრის ერთ ხუსნიან ღამეს და ბავშვობა ერიც, ეიფიანენის ოჯახური დრამის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო და უნდოდა ნაწარმოებში უცვლელად შეეტანა... ეშელონის დაძვრამდე ნახევარი საათით ადრე, მამამ, — ოთარს დედა არ ახსოვდა, — როგორღაც მოახერხა მეთვალყურე კაპიტნის დაბმა, ტელეფონით დაარეკინა ეფული ჩაუყო ჯიბეშიო, ოთარი ახლაც ასე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიერობს) და თორმეტი წლის ბიჭი, თან რომ უნდა წაიეყვანა შუა ზმიაში, ბაკანზე სასწრაფოდ გაჩენილი ნათესავ ცოლ-ქმარს ჩაჰაბარა. ეს მეორე ეპიზოდი იყო, მესამე კი — სამი წლის შემდეგ რეაბილიტირებული მამა, თბილისში გამომგზავრების წინა დღეს სპბრაფი ბაჭანის ძარადან გამოვარდა და დაიღუპა... (ნათესავ ცოლ-ქმართან ოთარმა საშფალო ხოლის დამთავრებამდე დაპყო, მერე ისინი მოსკოვში გადასახლდნენ და თვრამეტი წლის ჰაბუკმა დამოუკიდებლად განაგრძო ცხოვრება).

ოთარისთვის რომანის დაწერა პატეტიზიერული აკვიატება, მისი აზრით, ბევრი ნიჭიერი ნოველისტი ეზზას რომ აიცდინა, ან ეკონომიურად წელში გასამართავად არჩიენი ერთადერთი ეზზა კი არ იყო, (შეიძლება არც ისეთი გამოსვლიდა ეს ნაწარმოები, როგორც ფიქრობდა და, რასაკვირველია, ალარც დაბეჭდავდა), არამედ ფართო ტელიზე მუშაობის სულიერი მოთხოვნილება, რისთვისაც პირველ რიგში დრო და საკუთარ თავთან მარტო დარჩენა სჭირდებოდა...

გაჩერდან ნაცნობი ხმები მოესმა. მარიკამ და მისმა თანაკუპალებმა ფანჯარასთან ჩაიარეს. ოთარმა ბოთლიდან ლუდი მოსვა, სიგარეტს მოუკიდა და გადაწყვიტა, დერეფანში გამოსულიყო, — თითქოს იქ, ღია ფანჯარასთან კარგა ხანია იდგა და მარიკასაც შემთხვევით შეხვდა. ბოლო წამს თავი შეიკავა...

ოთარი ტელინშიაკი არიდებდა თავს მარიკას. ქალკის ახალი, შშვენიერი კვარტალების შემოვლისას, — ერთ-ერთი საუკეთესო რომ იყო იმ ქალაქების ახლად გაშენებულ უბნებს შორის, ოთარს რომ დღემდე უნახავს, — სხვა ავტობუსში იჯდა შუა საუუნეების გოთური სტილით ნაგები ეკლესიების დათვალიერების დროს კი, ტურისტთა ხან ერთ, ხან მეორე ჯგუფთან ერთად იყო. გული იქითკენ მიუწევდა, სადაც მარიკა ეგულებოდა, მაგრამ სურვილს თრგუნავდა. განდგომილის შთაბეჭდილება რომ არ მოეხდინა, ცნობისმოყვარე ტურისტის როლს თამაშობდა, — ჩასაკერილი ფოტოაპარატ იწერდა ამა თუ იმ ძეგლის სახელწოდებას, აშენების თარიღს, ერთი სიტყვით, საკმეში იყო გართული და მის გარე-გარე სიარულს თანავგონელთა გაკვირვება არ გამოუწვევია, თვითონაც ქალაქის ღირშესანიშნაობათა გაცნობით იუნენენ გართულნი. ოთარს ეიოლკო ეროწინების შემდეგ, ახალი ოჯახის შეკმნის მორალური უფლებაც ჰქონდა, სიუვარულს კი ვინ დაუშლიდა, მაგრამ ჯერ ხომ თვითონაც ვერ გაეკვეთა კარგად, ეს ნამდვილი გრძნობა იყო, თუ მომხიბლავი ქალიშვილით გატაცება. მარიკა რომ ისეთი ქალიშვილი ყოფილიყო, ბევრი რომ შეხვედრია ცხოვრებაში, მაშინ სხვანაირად მოექცოდა, მაგრამ ის ხომ გაცნობის დღესვე ათნოლებითა და სულიერი სისპეტაკით წარსდგა მის წინაშე და გულქკა უნდა ყოფილიყო, ამისთვის ანგარიში არ გაეწია. ოთარი ... ფრთხილობდა, მაგრამ მაინც დაუშვა შეცდომა. უფრო სწორად, საკუთარი თავი გასცა. ეს ამ დილით მოხდა, ვაგონ-რესტორანში: საუზმის მეორე კერძს ელოდებოდნენ. ოთარი თავის მაგიდასთან იჯდა და ქალიშვილს სარკიდან უყურიდა. მარიკამ წამით კი შეხედა. მაგრამ ალბათ თანამეუფრეთა წინაშე უხერხულობა იგრძნო, ალბათ ოთარის გამომეტყველებაში ჩაესვიფლა გრძნობამაც დაიფოთხო და უმალ ფანჯრისაკენ გაიხედა. ცოტა ხნის მერე ისევ მოაბრუნა თავი და ნათელ, სითბოთი სავსე თვალებს კვლავ რომ წაეწყდა, გაწითლდა და დაბნეულმა კბილის კალთის სწორება დაიწყო. ოთარი მაშინვე ადგა და გასასვლელისაკენ გაემართა. მოპირდაპირე სარკეში დაინახა, რომ ქალიშვილმა გაკვირვებული მზერა გააყოლა. ოთარს არც ლარისას მოკუტული და დაეკვეცული თვალები გამოპარვია, ხან მას, ხან კი მარიკას რომ უცქერდნენ.

ოთარი ახლა შორს დადგომით ცდილობდა ამ დეტალის განეიტრალებას, მაგრამ ისე მოხდა, რატუშის მოედანზე, ეკრიპაში ერთ-ერთი უძველესი ადოთაკიდან რომ გამოვიდა ტურისტებთან ერთად, მარიკას პირისპირ აღმოჩნდა, გაცლა ალარ შეეძლო, ბლოკნოტი და ფანქარი ჯიბეში ჩაიდო და სხვათა შორის კკითხა:

— მოგწონთ ტალინი?

— ძალიან, განსაკუთრებით ეს ძველი უბანი, იცით, წეიდან მოედანზე რომ გამოვედით, რატომღაც გავიფიქრე, ტიბალტისა და მერკუციუსის ორთაბრძოლა აქ ხომ არ მოხდა-მეთქი.

— ჰო, მართლაც ბგაეს „რომეოსა და ჯულიეტას“ დეკორაციებს თუ რომელიღაც ქალაქის მოედანს. ინგლისური ფილმია და ალბათ იქვე გადაიღებდნენ.

— ალბათ.

— ეკრიპაში ალორძინების ხანის კეკრებსა და მოედნებს ბევრი აქვთ საერთო.

— მაპატიეთ, ალბათ ახალ ნაწარმოებზე მუშაობთით.

— როდის?

— წეიდანდლამდე სულ ბლოკნოტი და ფანქარი გეკერათ ხელში.

— რა ხართ ეს ქალები, არაფერი გამოგეპარებთ.

— ამას ყველა ხედავდა. ნაუინზე გვინდოდა თქვენი დაპატიეება, მაგრამ ლარისამ თქვა, ეტუოება, მუზა მოუვიდაო, და ხელი ალარ შეგიშალეთ.

— არა, სიცილით თქვა თორმმა. — ეუურადღებისათვის დიდი მადლობელი ვარ. ბოთხრობას კი ნამდვილად არ ეწერდი, ჩანაწერებს ვაკეთებდი, ძეგლების სახელწოდებებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშენების თარიღებს... — მერე პათეტიკურად დასძინა: — აი, როგორ უნდა იქცეოდეს ნამდვილი ტურისტი!

ვიწრო ქუჩაზე შეუხვიეს სანდრო ხოფერია. თავზე რომ სომბეროსავით ფართო ფარფლიანი შლაპა ეხურა, ლარისა, ლიკა და სხვა ორმოცამდეკი ტურისტი ეკმაყოფილებდნელთან ერთად მოშორებით წინ მიაბიჯებდნენ გადმოსახედიასაკენ, რომელიც რატაშის მოცდენიან დაახლოებით ოცდაბუთი-ოცდაათი მეტრით იყო ამაღლებული. ეს რკინა-ბეტონის მოგრძო მოჯარი-გადმოსახედი გვიან, მოედანზე ჩასვლისას გაახსენდა ეკსკურსიამძღოლს. ოთარმა ამ ზრდილი, ტაბილად მოუბარი ქალის „იულმაკოფუნაა", — დედი სიყვარულით რომ ეკვიდოდა მშობლიური ქალაქის ძველსა თუ ახალ მშენებლობებზე და მისი უკეთესი მომავალიც სწამდა, მორცხვობას დაპბარალა. ქალმა ალბათ თავის განცდას სძლია (ოთარმა ასე იფიქრა), როცა ხელი ზემოთ აიშვირა და ბუბრობანაგრავი ხმით თქვა, ჩვენი ფუნიკულიორი იქაა, თქვენსას, რა თქმა უნდა, ვერ შეეფრება, ტალინის ორი-მესამედი კი, როგორც ხელის გულზე ისე მოჩანსო. ავადეთო, თქვა ზოგმა, ზოგს კი უკან მობრუნება დაეზარა და იქვე მოედანზე და მახლობელ ეკუჩებზე მაღაზიებში მიმოიფანტნენ.

ცხელოდა. მარიკას სანე აწითლებოდა, დროდადრო მხარზე ტანავის ღვედით გადაკიდებულ ჩანთას ასწევდა და ინიავებდა ოთარმა გზამკვლევი ნახვრად გაშალა და ჯერ თვითონ, მერე კი მარიკას გაუგრილა ხაზე. ნუ სწუხდებითო, ჩაილაპარაკა ქალიშვილმა და თითქოს შემკერთალმა — ოთარს ასე მოეჩვენა — წინ მიმავალ ტურისტებს გახედა. ტურისტები ტალიონ მიუყვებოდნენ ალმართს და ეკსკურსიამძღოლთან საუბარში გართულნი, თუ უფრო ამის გამო, რომ მზის სხივები პირდაპირ ზურგში აცხუნებდათ. უკან არ იხედებოდნენ არ შეეწუხებულვარო, უთხრა ოთარმა ქალიშვილს, თავისთვის კი გაიფიქრა — „მინდა გიფრთხილდებოდეთ. შენზე ეზრუნავდე". მარცხნ მაგიერობას ჩემი ნინანა კარგად ასრულებსო, მორცხვად უთხრა მარიკამ და ოთარიც ალარ მიეძალა მართალი ბართ, ღიმილით დაეთანხმა ქალიშვილს და დასძინა, ჩანთას ეუსუფავ, პირნათლად შეესრულებინოს თავისი მოვალეობა მარიკას გიეცინა.

— მაგრამ, საინტერესო, იცით, რა ენება?

ოთარი გადაბრუნდა ქუჩის კუთხის შენობის რრდალში შეჩერდა.

— რა?

— ჩანთამ რომ უარი განაცხადოს

— ჩანთამ?! — მარიკამ ჯერ გაკვირვებით შეხედა. მერე კი ეშმაკურად გაეღიმა და მოგონილი სერიოზულობით, რითაც ოთარს აგრძნობინა, მაგ ხუმრობაა თუ წარმოსახვაში მოგუვებითო, ჰკითხა. — მაინც როგორ ეფიქრებიან ჩანთა უარს?

— ჩვეულებრივად ფარანე კაფეს მოთხრობის სიცივისაგან გათოშილ მგზავრ-ს ანბანურის რიგზე, როგორც ცხენზე ისე შეჯდა და მენანგბირეს ეკაჭენა, რატომ არ შეიძლება რომ თქვენი ჩანთა გაჯიუტდეს ან უეცრად ფეხებსა ლეთონთან, ეთქვათ, ოჯრითი, პირთამდე ალუსის და ძვრაც ვერ უყოთ?

— ოო, ეს ი მართლაც საინტერესო იქნება! — მარიკამ ქვედა ბაგე გამობერა, თან თავს აქნევდა. — ჩანთას განეტვირთოვ! — თქვა უცებ.

— ოჯროს გადაკერთ?

— რატომ, ნახევარს თქვენ მოგცემთ ან მოლითანად, ის ბომ თქვენ ჩაბიჯაერთ ჩანთაში.

— მერედა, გული არ დაგწყდებათ?

— სრულიადაც არა. მე ბომ, პარველ ყოელისა, ამ პაპანაკეტაში, ეთქვათ, ახეა, ჩანთა მეჭიდება, ჩანთა, რომელიც მარაოზე ასკერ უკეთესია მოსანიავებლად... განძი ამ შემთხვევაში ჩემთვის ზედმეტი ბარგია. თქვენ ბომ ინთსოვის მოიტანეთ ეგი, წონასწორობა რომ დაკკარგო, სიხარულით ცას ვეწნო, ვიწვალო და ვიტანჯო კიდეც თაკარა მზის ქვეშ, ერთი სიტყვით, ჩემს გამოსაცდელად. მე კი ახლა ყველაფერს ჩემი ჩანთა მარჩენენია, ხან რომ თავზე დავიფარებ, ხან კი მოვინიავებ და ზვეგის ვიგრძნობ ხოლმე...

— ეს უკვე სხვა საკმეა!.. თქვენი ნათქვამი მოკმედებას ამბაფრებს და რეალობაში აბრუნებს, სხვანაირად არც ივარგებს, თუმცა ზღაპრული ნიუანსებიც თან უნდა ახლდეს...

გზა გაბაგრძეს ოთარი ნელა, მოზომილად დგამდა ყოველ ნაბიჯს, ფეხს ითრევდა, სარდა, რაც შეიძლება დიდი მანძილით ჩაბორჩენოდნენ ტურისტებს. ყოველ წუთს ელოდა ლარისას ან ლიკას მარიკასკენ დასაძახებლად შემობრუნებას და არ უნდოდა მასთან გაბმარტოების ნეტარი წუთების დაკარგვა. რამეთუ ასლა უეცრად იგრძნო, ამ ქალის გარეშე ცხოვრება უაზრობა იქნებოდა. ფიქრობდა, დღეს ამის თქმა არ ღირსო, რაღაც კი. სერიოზული და დამფიქრებელი აუცილებლად უნდა ეგრძნობინებინა მისთვის. შეწუკეტილი მოთხრობის გაგრძელებისას, თუ ისე, რაც რეტარნის დეტალთან ერთად, დალის მერე რომ ცდილობდა მიეჩქმალა, ქალიშვილის მამაპინ მის დამოკიდებულებაში გარკვეულ სიცხადეს შეიტანდა...

ტურისტებმა მოკლე ეუჩა ალარეს, მარცხნივ გაუხვიეს და თვალს მიეფარნენ. „ბალლობა ლეგონის!" — გაიფიქრა ოთარმა და სიგარეტის მოსაკიდებლად შეჩერდა. მარიკაც შედგა. პაუზის დროს მან ერთი-ორჯერ ინტერესით შეხედა ოთარს, მაგრამ იგი მოთხრობაზე არაფერს ამბობდა, ალბათ ფიქრობს. გაუღიცა, ახლა

კი, უფრო იმიტომ, რომ ეუხერხულა მდუმარედ დგომა, ჰკითხა:

— მაინც როგორ წარმოგიდგენიათ ამბის შემდგომი განვითარება?

— ათასი ვარიანტია, — მიუგო ოთარმა და სიგარეტი გაბიღლა. — მათ შორის ყველაზე ლოგიკურისეულ დედაზზის მიეკავარი.

წინ წავიდნენ, ოთარი ქვაფენილზე მიაბიჯებდა, მარიკა კი — ვიწრო ტროტუარზე შენობების ჩრდილში.

— დედაზზი ხომ წელიან თვითონვე თქვით.

— მე?!

— თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც იგავეა: თანამედროვე ქალაქვალი იმის გამო, რომ თავი წინანდებურად ლაღად და უდრტვინველად იგრძნოს, ძვირფას განძზე უარს ამბობს. ასე არ არის? ჰოდა, აქედან გამომდინარე, მოდი, რაკი თავიდან ასე დავიწყეთ, ახლაც ჩვენ ვიყოთ მოკმედი პირები და მივყვეთ მოკმედების მსვლელობას: სიხარბეს რომ სძლიეთ და სათნოება არ დაგეკარგავთ, ამ განძს უკანვე დაგიბრუნებთ. გავიხწრებთ ყოველგვარ ტანსასრულს, დროსაც და მშობლიურ ქალაქში სამსახურიდან დაბრუნებულს, განძით სავსე ჩემოდნით თქვენი სახლის სადარბაზო შესასვლელთან დაგხვდებით. ლიფტში შეხვალთ და მეც თან შემოგეკვეთი...

— ჩემს სახლს რომ ლიფტი არ აქვს?

— პირობითად დავუშვათ, ვითომ აქვს, ან სხვა სახლში ცხოვრობთ. დგახართ ლიფტის კედელს მიყრდნობილი, ზოგჯერ სარკეში ჩემკენ გამოაპარებთ თვალს... ვერა მცნობთ, პარიკი მაქვს გაკეთებული — თეთრი თმა-წვერი — მინდა მოულოდნელად გამოვეცხადოთ... აბა, ადედი კიდეც, ლიფტი ჩერდება და გადმოვდივართ... ბინის კარს რომ გაადენთ, ჩემოდანს ჰოლში დადგამ, პარიკს მოვიხსნი და გამოვბრუნდები ამ სიტყვების თქმის შემდეგ: „იყავით მდიდარი, კეთილო და ლამაზო ქალბატონო, ეს განძი თქვენია"... „ეს თქვენ ხართ?! მოითმინეთ"! — შემაჩერებთ ნაზი, თბილი ხმით გაკიცინებთ რომ ადგებიხარ, „ის მაინც მითხარით, ეს განძი რით დავიმსახურე"... „სათნოებით და პატიოსნებით! კარგად იყავით! მომავალ შეხვედრამდე!" — გეტყვით და მეოთხე სართულის ფანჯრიდან ქუჩაში გადავფრინდები თქვენთან შეხვედრით გახარებული. თქვენი შეკითხვა მესმის. „ეუ გეშინიათ, მე ხომ ფრთები მაქვს, უხილავი ფრთები!" — ამოგძახებთ და ტროტუარზე მიმომავალ ხალხში დავეშვები.

ოთარმა თხრობა დაასრულა და მარიკას თაფლისსფერ, ლამაზ თვალებში ჩახედა, ორპოფულად და თითქოს დანნეულადაც რომ შესაცქერდნენ. ნთქვამან რომ ორაზროვანი გამოუვიდა, ოთარი ქმაყოფილი იყო. ეს ხომ მისი, როგორც შემოქმედის წლობით გამომუშავებული წერის მანერა გახლდათ, ძალიანაც რომ მოგეწონებინათ, ვერ შეედავებოდით: ეს ასე რატომ არის და ის ისეო.

— მოგწონთ?

დაფიქრებულმა მარიკამ ვერ გაიგო, რა ჰკითხა ოთარმა.

— რა თქვეთ?

— მოთხრობა თუ მოგეწონათ-მეთქი.

— მომეწონა.

შედარებით ფართო ქუჩაზე გავიდნენ და ახლა უკვე თაკარა მზის ქვეშ მიაბიჯებდნენ. არც ხეები იყო და არც ტროტუარზე გადმოწოლილი შენობების ჩრდილი. მოპირდაპირე მხარეს, ლუდის დარბაზის წინ, რომან ნინიძე და გურამ ფოლოკა იდგნენ. ოთარმა თავი ისე დაიკიჩა, თითქოს მათ ვერ ხედავდა, სიგარეტის ნაფეზეს ურნაში გადაუძახა და მარიკას მოუბრუნდა.

— მოთხრობას რა დავარქვათ?

— თქვენ უკეთ იცით.

— „განძი სათნოებისთვის"!, ა, როგორია?

მარიკამ მხრები აიწურა, გაეღიმა. მერე ჰკითხა:

— დაგიწერიათ რამე ფანტასტიკური?

— თითქმის არაფერი, თუ სიზზარეულ წარმოსახვებს არ ჩავთვლით, ზოგიერთ მოთხრობაში რომ მაქვს.

— ეს კი ვიცი, მახსოვს.

— ჰო, მართლა, „პიზანტიის სადამმ" როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე?

— კარგია, მაგრამ ცოტათი გაჭიანურებული მეჩვენა, განსაკუთრებით კრეიგისა და მისი ყოფილი მეუღლის წარსული ცხოვრების ეპიზოდები. იმ ამბების აღწერა, რაც იქ არის, რამდენიმე გვერდზე შეიძლებოდა. თქვენ რას იტყვით?

— ზოგი გაშლილად წერს, ზოგი ლაკონიურად. ეს მწერლის ინდივიდუალური ვითარებაა. ისე კი, მოთხრობა იქნება ეს, თუ რომანი, აზრით უნდა იყოს დატვირთული და სასინქრონად იკითხებოდეს. რაც თქვენ თქვით, ნაწარმოების ავ-კარგზე მეტყველებს, მართლაც აკოპაკტურად დიწერა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რომანი ურიგო მაინც არ არის.

— არა, რა თქმა უნდა. — მარიკას შუბლი შეეკმუხნა, თვალები კი წამით ისე მოხუჭა, თითქოს რაღაც უსიამოვნო შეგრძნებამ ან ტკივილმა შეაწუხაო. — ხედ მიდგიართ?

— ვერაფერს გეტყვით, დაკარგვით კი ნამდვილად არ დავიკარგებით.

— იქ ასვლა ალარ მინდა.

— ცუდად ხომ არა ხართ? თუ თავი გტკივთ ციტრამონს მოგცემთ.

ბეზდენარი ბეიშვილი

ზეზეგი რამ ფიქრისაკენ კაცის ცხოვრებიდან

— არა, გმადლობთ, გამოვლის.

— ფიზიკური ტკივილისთვის დაკარგული დრო, ტრამვაის არ ეგულისხმობ, დანაშაულად მიგიჩნია.

— რატომ?

— ძვირფასი წუთები, ცხოვრების უკეთ მოწყობისთვის. რომ გვეძინდება, ტკივილზე ფიქრში და მოლოდინში, ავერ ახლა გამივლის და ავერ ახლაო, არ უნდა დაკარგოთ. ბინა გადაეულახავ და მორჩა, ხუთ წუთში ყველაფერი რიგზეა.

— შეეჩვევით და აღარ იმოქმედებს.

— წამლებს ხშირად არ ვსვამ, ჯიბეში კი ანალგინი ან ციტრამონი ყოველთვის მიდევს.

— თქვა ოთარმა და ირონიულად დაუმატა: — იცის, რომ მაშინვე გაჯავუჩუტ და თავი იშვიათად ამტკივდება ხოლმე. ალბათ მზემ გაწყინათ.

წყლის შადრევანთან შეჩერდნენ. მარიკამ წყალი მოსვა, თითები დაისველა, შუბლზე მოისვა. ოთარმა ციტრამონის აბი გაუწოდა.

— სხვისი ტკივილისადმი ალერგიულად ვარ განწყობილი. ყოველთვის გადმომედება ხოლმე, ამის ხათრით მაინც უნდა დალიოთ.

— რა გიეწყობა, რაკი ასეა, დავლეკ.

სადღურამდე ტაქსით მივიდნენ. მარიკას გზაშივე გაუარა თავის ტკივილმა. მაგრამ ხალისინად მაინც ვერ იყო. მანქანიდან რომ გადმოვიდნენ, ოთარს ნაძალადევი ღიმილით უთხრა, კუპეში შეეყო, ამ ერთი თვის გეგმა სიარულში, დღეს მგონი ერთად შეეპარულეო, და მატარებლისაკენ გაეშართა. იქვე რომ იდგა, ლუდის ბარის გვერდით, ხათალრიგო ლიანდაგზე „ალმაო ნოიპრაკიეკი აწუნებს". ოთარმა ქალიშვილი ვაგონის კიბეშე მიაცილა, უკან გაბრუნდა და ბარისკენ გაუვლია. კეთხა ცივი ლუდის დასალევად.

მატარებლის გასვლას ნახევარი საათი აკლდა. ბარიდან გამოსული ოთარი სადგურის შენობის მოპირდაპირედ, სასურსათო მაღაზიის ჩრდილში იდგა. სადგურის ახალმა, კოპწია შენობამ, რატომღაც ახლა რომ მიიქცია მისი ყურადღება, ჯერ ვეტემპას რომანში „პილიმეესი" გაახსენა. მერე კი კიდე „ბარიე", სადაც ნაწარმოების ძირითადი მოქმედება მიმდინარეობს, უფრო სწორად, მთავარი გმირი, რუბენ პილიმეესი წარსულს რომ იგონებს, ავტორის მიერ ძუნწად აღწერილი ეს კიდე, უნდოდა საკუთარი თვალით ენახა, თან ერთ ჭიქა აქაურ ჭინსსაც ვადაკრავდა.

იდგა და ვერ გადაეწყვიტა, წასულიყო თუ არა, კარგი იყო, ცოტათი ადრე გამხსენებოდა, ახლა რაღას მოვასწერდი, გიიოკრა და კიდევ წასვლის განზრახვაზე ხელი აიღო...

მატარებელი სამხრეთ-აღმოსავლეთით მიემართებოდა. ვაგზლის მოლოდინში ტურისტები დერეფანში გამოფენილიყვნენ და ესტონურ პეიზაჟებს გაჩაჩქარდნენ, ყველანენ ანეგდოტებს, ღიღინებდნენ, საუბრობდნენ, ზოგიერთ მოგზაურთათვის დამახასიათებელი, ცნობისწყურვილით სავსე ინტონაციები დაკრავდა ხოლმე. და ეს გაბავშვებული, ცხოვრების ჩვეულებრივი სამოქმედო რიტმიდან ამოვარდნილი ახალგაზრდები თუ ხანშიშესული ქალები და მამაკაცები, როგორც ოთარი ფიქრობდა, ზოგჯერ ისეთ შეკითხვებსაც ანდევნენ ერთმანეთს, სხვა შემთხვევაში რომ აზრადაც არ მოუვლიდათ. იყო განუწყვეტელი კამათი, მიმოვლენი, უკან დარჩენილი ქალაქების კოლორიტსა თუ სილამაზეზე და სხვა მრავალ თემაზე. ერთი სიტყვით, ვაგონში დიდი მხიარულება სუფევდა.

ოთარი გამცილებლის კუპეში იდგა. ოს ხადღაც ზმელი ტარანი ეშოვა და შავ პურთან ერთად შეექცეოდნენ, თან არაყსა და ლუდს აყოლებდნენ და ძალაუებურად ყურს უდგებოდნენ ტურისტების საუბარს. ოთარს მოსაუბრეთაგან სანღრო ხოფერიას ჯგუფი ყველაზე სოლიდური ეჩვენებოდა.

— ისტორიული ძეგლები, რასაკვირველია, ბევრი იქნება, ნოვგოროდი ხომ ერთ დროს რუსეთის სამთავროს კულტურისა და ვაჭრობის ცენტრი იყო, — ამბობდა სანღრო. — მაგრამ ყველაზე მეტად მაინც კრემლის, სოფიის ტაძრის და გასული საუუნის მონუმენტის — „ათასწლოვანი რუსეთის" ნახვა მაინტერესებს. კარგია, ორ დღეს რომ ვრჩებით.

— ვითომ რაღაც? — რუსულად ჰკითხა ვანო ღლონტის ფაშფაშა მეუღლემ.

— თვალსაც ვასიამოვნებით და დავისვენებთ კიდეც. აბა ის იყო საკმე, დამარაყდებული რომ დაკრბოდით აქეთ-იქით, ერთი ძეგლის ხეირიანად დათვალიერებასაც ვერ ვასწრებდით, რომ მეორისკენ ვგიჩარავდნენ თავს?

— მართალია! — ეკერი დაუჯა ვანომ.

ოთარმა გამცილებლისგან გიიგო, ნოვგოროდში ორდღიანი შეჩერების მიზეზი ლენინგრადის სადგურების ტურისტული მატარებლებით გადატვირთვა იყო და კუპეადან გამოიხედა, მათთვის რომ ეს ცნობა მიეწოდებინა. მაგრამ სანღრო ხოფერია „ათასწლოვანი რუსეთის" ახალგაზრდა ავტორსა და ფაშფაშტების მიერ ამ ძეგლის გაძარცვაზე ყვებოდა და სიტყვა აღარ გააწყვეტინა. ჭაბა-სმას რომ მორჩნენ, ოთარმა თითები ლუდით დასველებული ქაღალდით კი გაიწმინდა, მაგრამ თევზია ხუნი ისევ ჩაჩნდა და თავისი კუპესენენ გაეგმართა საუნაოს და პირსახოცის ასაღებად.

დღეკვნიდელი დღე წარსული დღეთაგან გამორჩეული და განსაკუთრებული იყო მისთვის, საამო ეროვნული სავსე და სულისშემძვრელი. მარიკას კუპეს რომ მოუახლოვდა, საკუთარი გულის ბაგაბაგი მოესმა და შინაგანი ფუსიკა, არაყმა და ლუდმა ოდნავ რომ დაეხშო და დაეწუნარა, ისევ ძალუმად, ფორტეკეთი აყეიერდა. რაც დღეს მოხდა, იდეალთან მიახლოება იყო, რისკენ სწრაფვაც ჭაბუკობიდანვე თან ხდედა მის

წარმოსახვას... რაღაც ითქვა, რაღაც გაიხსნა — ფიქრისა თუ გრძნობის ჭეშტარი, რაც, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ყველაფერს არ ნიშნავდა, მაგრამ ლამაზი, უანგარო და ნამდვილი ურთიერთობის, როგორც თვითონ ფიქრობდა, დასაწყისი იყო და ჭაბაკ ამ ურთიერთობის გაღრმავებისაკენ...

კუსეს კარი ღია იყო. ლიკა და დედამისი მაგიდასთან ისხდნენ და ფანჯარაში იყურებოდნენ, შავგვრემანი, თმახუოუკა კალთაშელი, ამბაწერით რომ შეეკარებულს მიეტოვებინა, ზემო საწოლზე იწვა, ბარკა კი ქვემოთ და რომელიღაც ჟურნალს კითხულობდა.

ოთარი კარის ჩარჩოებს ხელისგულებით მიეკონდნო.

— ხალამი მშვიდობისა!

ქალები მიესალმნენ, მობრძანდითო, კუსეში შეიპატიჟეს. ოთარმა იუარა, ლემნოსის ყურძელის მუოდრობას ვერ დავარღვევო, მარიკას გაუღიმა და ჰკითხა:

— როგორა ხართ, სათნო ქალიშვილო?

— რა მშვენიერად თქვით, ბატონო ოთარ! — შესძახა ლარისამ, — ჩვენი მარიკა ზომ მართლაც სათნო გოგოა! ნოიპარაციები ეწუხებდა, ახლა კარგად არის!

ოთარის ნათქვამი მარიკამ სხვების თანდასწრებით საიდუმლოს გაცხადებად ჩათვალა, თუმცა ლარისამ, ლიკამ და შავგვრემანმა, რომელმაც მხლოდ მაშინ ვალმოიხედა საწოლიდან ოთარის ხმა რომ მოესმა და თავი ისევ ბალიშზე დადო, მისი სიტყვები ისე ვერ გაიგეს, მაგრამ თვითონ ზომ იგრძნო და ლიუეებალნაქულმა დანიეულობის დასაფარავად წამოდგომა დაიაარა.

— იყავით, იყავით, შემოსვლას არ ვაპირებ. სასიამოვნოა, რომ ყველანი კარგად ხართ! — ოთარი კარს მოშორდა და დერეფანს გაუუვა.

6.

ნოვგოროდის სადგურში ორიოდე წუთით შეჩერებული მატარებელი ტურისტული სადგომისაკენ რომ ნაიუანენს და პირველ ლიანდაგზე გაიჩერეს, ღია ფანჯარასთან მდგარ სანდრო ხოფერას, სადგურის ახლოსახლო მოუწყობელი უბნების დანახვამ რომ ამ ქალაქის ხალამაზეზე მოლოდნი გაუკარა, უცაც შეეცვალა განწყობა და გამოცოცხლდა. ვაგონის ფანჯარა, სადაც ის იდგა, იმ პატარა, ერთსართულიანს, თეორაფშეფეთქილ შენობაა გასაკეთ
, ტურისტებისთვის რომ პირსახანები, სპირფაგრეზონები, სპრეცსტორი და ამბაზნები იყო მოთავსებული. თქვენ აგაშენათ ღმერთმა, ხმამალლა თქვა სანდრომ და კუსედან გამოსული ვანო. ლლინტს მიუბრუნდა, გვიანპვიია და ეცალა.. სანდროსა და მისი თანაკუპეელების სურეველ — ამაზნაა მიელთ, ტურისტთა უსმრავლესობამ დაუკირა მხარი, მაგრამ ვაგონებიდან ჩასულებს, როგორც ეტყობა, ისე მამაკაცთა განუოფილებები დაეკერნი დახვდათ. ახალგაზრდული შესახედაობის, მაღალმა და ბრძოვის მტკიცენელოვან ტანსრულმა დამლაგებელმა ქალმა, სარეეებსა და ბაკნებს რომ ჩერით წმენდდა და თან ღიღინებდა, ჭკოდან შემოსულ ტურისტებს განუცხადა: გახალებები უფროსმა, ივან პროხოროვიჩმა თან წაიღო. დასვენების დღე აქვს, ხვალამდე ეკ ოქნებო. კაცი გაკგზავნით და მოვაუვანინოთო, თქვა ვიღაცამ. გაგზავნეს კაცი და მოიაუვანინეა ივან პროხოროვიჩი. ონკანები მოიშალა, სარემოტოაო, თქვა ჩახრინწული ხმით წითურმა, კოპებშეკრულმა ივანმა, ლუფის და თეკზის სუნი რომ ამდიოდა. თანაც წუალკანალიზაციაში მითხრეს, პირველ დეკადაში უზომოდ ბევრი წყალი დაგიბარჯავთ და ცოტა ხანს თავი უნდა შეიკავოთო, დახძინა შემდეგ. როგორ შეიძლებაო, შეიცხადეს ტურისტებმა, ეიჩივლებთ, ამას ვიზამთ, იმას ვიზამთო. ნუ გეაშენებთ, თქვა ადგილზედან ივანმა, წადით და, სადაც გინდათ, იქ ინაგლეთო. მუქარით არადერი გამოვთო, იფიქრეს ტურისტებმა და ხმას დაუწიეს: შედეთ ჩვენს მდგომარეობაში, ორი კვირაა გზაში ვართ, ჯუკუმა შეგაკვამეო! არ შემიძლია, უფროსების ბრძანებას ვასრულებო! — ეკა ადგილ ადგილ პროხოროვიჩმა, თავი შეუშვირა და ბუზლუნით — დასვენებას არ აცლიან ადამიანსო, ეახასელილად გაიწია. მაგრამ საკმეში გართულ დამლაგებელს შეეჩეხა და ყველი დაუწყო: მორჩი, მაშკა, გეუოფა, მაგ სარეკეებსა და ბაკნებს ოთხში ამოდებას ზომ არ უპირებს! კარაფშუტა ხარ და მეტი არაფერი, ჩამაგდე ამ ხალხის პირში, ზომ იცოდი, რომ დასვენების დღე მკონდა, პიტიხაცემი სტუმრები მაგიდასთან მივაღოვეთო...

ტურისტებმა, ვიდრე ივანი დამლაგებელ ეკატერინეზოდა, მოიდასაპარაკეს: ერთმა თქვა, ფულ მივცეთო, მეორემ — დავალეკინოთო, მაგრამ ამ წინადადებების გამო, ზოგმა ორკეოფობ დაიწყო, ზოგი შეურაცხუოფელი დარჩა, მთ შორის სანდრო ხოფერიაც, არ გვინდა, ბატონნო! — გაგუოსიებით თქვეს და იკურეობის გაეცალნენ, დანარჩენები კი ივან პროხოროვიჩს მიებარებულნენ... ივანმა ჯერ უარი განაცხადა მათ მიერ შეთავაზებულ მაღარიჩზე, მაგრამ ხან აქედან მოუარეს, ხან იქედან და ბოლოს მაინც დაიყოლიეს...

როგორც კი მატარებელი ნოვგოროდის სადგურში გაჩერდა, მოშიებენი და მოწყურებული ოთარი (არუის ხმის შემდეგ ყოველთვის პირის ხიშშრალი აწუხებდა), გამცილებელთან ერთად, ვაგონიდან ჩავიდა იმ ინდოეთ, რომ რესტორანში ან ბუფეტში ხოსიანი, მდოგეი დ. ლუდი ეკმეზათ, მაგრამ არც რესტორანში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც ბუფეტში და არც მაღლიერ ბარში, მიწაყრილებანი, უსწორმასწორო მინდვრის ბოლოს რომ იყო, სოსანი არ აღმოაჩნდათ, მდოგვიანი ქილა კი აქვე, დახლზე ედგა მებუფეტეს. რაკი აქ. ცენტრალურ ბარში არა გვაკვს სოსანი, თქვა მებუფეტემ, ესე იგი, არც სხვაგან ექნებათო. ძებნა და ეძრნ შეეკვნენ მდოგვთან ერთად, ორ-ორი კათხა ცივი ლუდი დაიაოლეს, სიგარეტს მოუკიდეს და ერთხანს უცქერდნენ მზაზიელ მაგიდასთან მყდარი ორი ხანშიშესული, სახედბიდვინებული მამაკაცის კინკლოობას, ერთმანეთისაკენ გასარტყმელად ჭარვას, უცეტ დაშოშმინებას, ხვევნა-კოცნას, ისევ კინკლაობას, ათასნაირი გინებით რომ იყო შეზავებული; მერე გარეთ გავიდნენ და მტვრიან, მოუსუფთაფებელ ვიწრო შარას გაუყვნენ, ბარიდან რომ ტურისტული მატარებლების სადგომისაკენ მიემართებოდა. პატარა, ოვალურ მოედანს ის დროს მოუახლოვდნენ, ტურისტები რომ საკუსკურსიო ავტობუსებში სხდებოდნენ. ლუდმა მომთვინა, ცოტას წავუძინებო, თქვა ბამცალენტმა და მატარებლისაკენ გაუხვია. ოთარი ბოლო ავტობუსში ავიდა, სადაც ბენზინის სუნი იდგა, მაგრამ შედარებით ხალვათობა იყო და ფანჯრასთან დაჯდა. ხალოს თვალი მოაკლო, ეს არც მარიკა იყო და არც სხვა, რომელიმე თანავგოგონელი...

ავტობუსი რომ დაიძრა, ექსკურსიამძღოლმა, ერთის გამხდრამ, მაგრამ ჯანსაღი გამომეტყველების, ცქრიალა ახალგაზრდა ქალმა თქვა, მარშრუტი ორ მონაკეკვად იყოფა, ჯერ ქალაქს დავეთვალიერებთ, მერე კი კრემლსო. ქალს ხელში მიკროფონი ეჭირა, მძღოლის შემნეულ კაბინას მიეფლნობოდა და თანშმდევრულად, დახვეწილი მეტყველებით, შოგადაშიგ კი ანჭარებული რიტმით, როგორც ეს სპორტულმა კომენტატორმა იცით ხოლმე ერთი ამოსუნთქვით გრძელი წინადადებების წარმოთქმისას, გაბაკებით ყვებოდა ნოვგოროდის ისტორიას ოთარი ერთხანს უსმენდა, მერე კრემლის ტაძრთა ბრინჯაოთი მოვარაყებული გუმბათების დანახვამ წარსულისკენ მიახედა და გაახსენა პეტერგოფი—პეტრე პირველის დიდებული სასახლე, საიმპერატორო ეკლესია, უზარმაზარი პარკი, ან ორომეი დიდი თუ პატარა ზადრეგანი და სახალისო-გასართობად მიწაში ქვაფენილივით ჩაწყობილი რიყის ქვები, ზოგიერთ მათგანზე ფეხის დადგმისას რომ წყალი წვრილ ხვეტებად ოფეთქებდა ხოლმე და იყო ერთი სიცილ-ეკლესია და მხიარულება, სველი კაბების კალთებისა და შარვლის ტოტების წურვა და ფერთხვა...

მეგიმ, ქვედა ბაგე რომ კბილებშუა მოექცია და ფრთხილად მიიწევდა წინ, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ის ადგილზე, იდუმალ ქვებს კი მხლოდ ახლა დაადგა ფეხი და მიწიდან ამოტაკრცნილ წყალს სხვებივით კი არ გაეკქა, ნელა, აუჩქარებლად გაიარა და, გაწყენული, მზის ქვეშ გაჩერდა. ეს დრო ეს ადგილი ქმნის, აგვიანოს დასაწყისი და ვიდრე ოთარი ხალხით გარშემორტყმული ამ ადგილს შემოუვლიდა, მეგის ტანსაცმელი შეაბრა კიდეც ტანზე. ოთარმა მხარზე ხელი გადაჰვია და ლოყაზე აკოცა, ყოჩაღ შენ, არ შეგინა, თუ ახეთი ნებისყოფა გგონდეთო, უთხრა, მაგრამ მაშინვე ის ამბავიც გაუელვა, რომ ეს მხლოლდ ნებისყოფის ბრალი არ ყოფილა, უფრო მეტად უეცრად დაუფლებული სურვილი იყო მიზეზი, სურვილი, განეცადა ის, რასაც სხვები გრძნობდნენ ან წყალს, ქვებზე მეხამედ გაკლისას რომ ამოშადრევნდა მის ფეხებთან, მოლოდინისგაკვდამაბული ალარ განრიდებია, იქ თავშეეკრილი ქალები კი სიცილნარევი შიშით გაურბოდნენ... ოთარმა თანდათანობით, მეგის მიხრაფებებსა და სულიერ სამყაროზე უფრო ღრმად დაკვირვების შემდეგ გაიაზრა და დაასკვნა, მისი სტიქია მიმბაძველობა იყო... აგერ, თუნდაც, მაგალითად, გათხოვება!.. თავისუფალი ცხოვრების მოტრფიალე მეგი ვერ შეეგუა, თავიდანვე ზერელედ უცქეროდა დაუწერელ, მაგრამ ტრადიციადქცეულ ოჯახურ კანონებს, ბევრი, სოზოადოებისთვის სასარგებლო საქმიანობაში გამოცდილი, სახელოვანი ქალი რომ თავის ერთ-ერთ უპირველეს მოვალეობად მიიჩნევს ხოლმე. ზერიდნენ ამბებით თავბრუდახვეული და გაწყნარებული მეგი ზმრად თავის გულის ტკივილს ხმამაღლა გამოთქვამდა — შეეცდი, რომ გავთხოვდეთო!.. გათხოვდი იმიტომ, რომ სხვები თხოვდებიანო! — მიაბეზედა ოთარი. რა ყრია გათხოვებაში, თვითგვემაა და მეტი არაფერიო! შენთვის თვითგვემაა და ციხე, სხვებისთვის კი სიწმინდე და სილამაზეო! — ეტყოდა ოთარი და ამგვარი სიბრძნის შემდეგ ყოველთვის პეტერგოფი დაუდგებოდა ხოლმე თვალწინ...

პეტერგოფში დიდი ხნის წინათ იყვნენ, ქორწინებიდან ერთი თვის შემდეგ. ოთარი სამსახურებრივი მივლინებით ლენინგრადში გაემგზავრა, ახალშერთული ცოლიც თან გაჰყვა. მეგი ვერ შეიგებოდა იმ ამბავს, რომ გათხოვებისთანავე საკორნონო მოგზაურობაში არ წავიდნენ და ხმა გაიარეკეთ, ახლა მიდიეთო. მანამდე კი ყველაფერი ძალზე ჩქარა და მოულოდნელად მოხდა...

ოთარმა ბანკეტზე, პოლიტეკენიკურ ინსტიტუტში ჩატარებული სადამის შემდეგ რესტორანში რომ გაიმართა, რამდენჯერმე იცეკვა მეგისთან. ლამაზი, მალალი და ტანეკენარი ქალიშვილი მშვენივრად ახარულებდა ევროპულ ცეკვებს და დარბაზში მყოფთა, პირველ რიგში კი ოთარის, როგორც პარტნიორის, მოწონება დიამსახურა. ოთარი მოხიბლა მისმა დახვეწილმა, ძალდატანებულმა, მსუბუქმა მოძრაობამ და უთხრა კიდეც, ისე ცეკავთ, ალბათ პროფესიონალი ხართო. არაა, სიცილით მიუგო ამ სიტყვებით ნასიამოვნებმა მეგიმ, სამედიცინო

ინსტიტუტში ვსწავლობ, სამკურნალო ფაკულტეტზე, ახლა მეოთხე კურსზე უნდა გადავსულიყავი, მაგრამ ერთი წელი აკადემიური გამი ვამიცდა, რაც შეეხება ცეკვას, სამთვიან კურსებზე დავდიოდი და იქ დავეუფლეო. ბარნეფილელად ცეკვავთ! თქვენც რომ იგივე გთხრათ, ჭეთნაურად არ ჩამეთვლებათ. კურსებზე არ მიველია, გაელიმა ოთარს, ცეკვები რუსეთში, პრაქტიკებზე რომ დავდიოდი, მაშინ შეეცადნელი და რაკი თქვენ ასე ამბობთ, ეტყობა, არ დამეწონაო. რომელი ინსტიტუტი დაამთავრეთო? — ჰკითხა მეგიმ. პოლიტექნიკური, ორი წელია სამშენებლო ტრესტში ვმუშაობო... ეს იყო პირველად ცეკვისას, მეორედ რომ გავიდნენ საცეკვაოდ, მეგიმ დაფიქრებით, ყოფანით უთხრა, ისე მგონია, თითქოს ადრეც მინახიხართ, ოღონდ ვერ ვიხსენებ სად, რომანთან სახლში, ქუჩაში თუ სხვაგანო. მეც თითქოს მეცნობით, უთხრა ოთარმა, თუმცა, ასეი თუ ისე, ახლა ხომ მაინც ვიცნობთ ერთმანეთსო... მეხსომება ცეკვისას ოთარმა ჰკითხა: აკადემიური რაატომ აიღეთო? ჯერ იყო და, ბაკურიანში ხელი მოვიტეხე, მერე კი გრიპი გამრთულდა და გაცდენებისთვის გარიცხვას, აკადემიური აღება ვარჩიეო, მიუგო მეგიმ... მეოთხედ, ბლიუზს ცეკვა რომ დაიწყეს, ოთარს უცებ ჩაეცინა. მეგიმ გაკვირვებით ახედა — რა გაცინებთო? და ოთარმაც არ დააყოვნა: მუსიკოსების დაჩენი, მოცეკვავეთო ურთიერთობა იმ ცხოვრების სიმბოლიაა, ამ კედლების იქით რომ მიეღალვარებო...

— ამბა, დაკვირდეთ, — განაგრძობდა ოთარი. — ისინი, ეხე იგი, ერთნი უკრავენ, მეორენი კი ცეკვავენ, ცხოვრებაშიაც ასე არის?

— ისე ლაპარაკობთ, თქვენ მარტო ინფინერი არ ეწყოთ, ხომ არ წერთ რაიმეს?

— ცოტ-ცოტას, წელს პირველად გამოვაქვეყნე ორი მოთხრობა.

— გამბახენდა, ეურნალში, ხომ? რომანთან ვნახე ის ნომერი, თქვენი ფოტოსურათიც თან ახლდა მოთხრობას, ეარა?... კი, თურმე, სიდან მეცნობომდი.

მეგის მოთხრობაზე კრინტიც არ დაუძრავს. ალბათ არ წაუკითხავს ან ალარ ახსოვსო, გაიფიქრა ოთარმა. წყვილები ნელა მოძრაობდნენ მუსიკის მინორულ ტაქტს აყოლილნი, ღიღინებდნენ, საუბრობდნენ... ოთარს ევროპული ცეკვებიდან განსაკუთრებით ბლიუზი მოსწონდა. ახალგაზრობილ ქალებთან სწრაფი ურთიერთობის დასამყარებლად, გასული წლების პრაქტიკით რომ ჩქინდა გამოცდილი, ამაზე უკეთესი არც ცეკვა ეგულებოდა და არც სხვა რამ საშუალება. თუმცა ახლა, წარმოსახვითაც კი არ წასულა ისე შორს, როგორც წინათ ხსენებთან, რადგან კოლეგის და ახლო ნაცნობის, რომანის ბიძაშვილთან ჩქინდა ხაქმე. თავშეკავება, გრძნობების მოთოკვა მართებდა, მაგრამ ლამაზი და ეშხიანი ქალიშვილი თითქმის მეკრდზე ჰყავდა მიკრული და ეჯავშნებ ბის ალმური უფლიდა ხოლმე. ვერც ამაზე ხალაპარაკო თქმა იკოვა, ეურადღება რომ გადაეტანა და ნერვიულობდა. მეგის არაფერი შეუმჩნეია. ეტყობოდა, მახაც მოსწონდა ნელი, მშვიდი ბლიუზი და უმეტესად თვალდახუჭული ცეკვავდა, რაც ნაწილობრივ შამპანურის ბრალიც იყო. ლოყები ასწითლებოდა, ხშირი, დატალლული თმა, ხუნაბის ხასიათივნო ხურნელი რომ ასდიოდა, მხრებზე ეფინა, ქვედა, ენის წვერით დასველებული ბაგე კი გამომწვევად გამოპუტოცდა და უეცრად ოთარი ხურვილმა აიტანა, მაგრამ ჩიეკრა მკერდში და ტუჩებზე დასწაფებოდა... ძლივს დაიოკა ამბობკიტებული ენერგია. ვეღრდეთ მოცეკვავე, თბილად და მორცხვად მოსაბერე ენერგიას ბაგეკი, მიხი და მეგისა ენ იყოს, ახალგაზენობილნი რომ ეუვენენ, რამდენიმე ეურმოკრილმა წინადადებამ დაარწმუნა ამაში, და თითქოს ისინი ჰყავდა მხედველობაში და მეგის შეხედულებაც ამასთან დაკავშირებით აინტერესებდა, ჰკითხა: ერთი ნახვით სიყვარულზე რა აზრისა ხართო? — ეს აზრისა ვარ, რომ სიყვარული ერთი ნახვით იქნება თუ ასით, თავის მოტყუებელია, — მიუგო მეგიმ, — მთავარია, მოწონება, თუ მთელი ცხოვრების მანძილზე მოგწონს და გაზიდავს ადამიანი, ამას რა გრძნობა შეედრება.

ოთარს არაფერი უთქვამს, ის კი გაიფიქრა, ამ ოცი წლის გოგოს შეუძლებელია ჭკნდეს ასეთი აზრები, წაითამაშა, ვიდაცისგან ეურმოკრული გაიმეორაო. მოგვიანებით მიხვდა, რომ ეს, თავისუფალი ცხოვრების მოტოფაალე მეგის საკუთარდაცეული, სულში ბამგდარი შეხედულება და ხურვილი იყო.

იმ ღამეს, როგორც კი ორკესტრი საცეკვაო მუსიკას დაუკრავდა, ისინი თითქოს წინასწარ ივვნენ შეთანხმებულნი, თითქოს რაღაც ეუცილებლობის გამო ასე უნდა მოიმზადარიყო, ერთმანეთს გაუღიმებდნენ, მაშინვე წამოდგებოდნენ სკამებიდან (სბანკეტო სუფრა ვერანდაზე იყო გაშლილი) და დარბაზისკენ მიემართებოდნენ...

რომან ნინიძე ვიღაც ქალთან ერთად რესტორანიდან ადრე წავიდა და ბიძაშვილი ოთარს ჩააბარა, ბოლოს მდგომე ეუნენე პარტნიორობაო. ოთარმა ქალიშვილი შუადამისამდე მიიცალა სახლამდე...

მეგი დედასთან, ქალბატონ ნელისთანა ერთად ცხოვრობდა საბურთალოს ქუჩაზე. მამამისი — რეკვაზ ფარულავა, პროფესიითი მედვინტექნოლოგი, მაღალი, ზარმოსადგი და როგორც ქალბატონი ნელი ნათესავებს ეუფნებოდა ხოლმე მორიგი უსიამოვნების შემდეგ, სახტიკად ნერვიული, ექვიანი და თავშეკავებელი კაცი იყო. რეკვაზ ცოლს ოფიციალურად არ გაყრია, მაგრამ უკვე რამდენიმე წელი იყო, რაც რაი-

ონში ცხოვრობდა, მუშაობდა და იშვიათად ჩამოდიოდა თბილისში, ისიც ერთი ან ორი დღით, ცოლთან გაშინაურებას გაუბედავდა, მათ შორის წესად ქცეული უსიამოვნებას. ორივენი—ცოლიც და ქმარიც ისე შეეჩვევნენ ამგვარ ურთიერთობას, სხვანაირად ვერც წარმოედგინათ, მარტოობისას კი, როცა ბაღთან მდგომბარეთაბს ჩაუკვირდებოდნენ, გული სწყდებოდათ, მაგრამ ხალხის დასანახად ასე ერჩიათ და კმაყოფილნი იყვნენ, რომ ზოგიერთებივით არ აჩქარდნენ და ოჯახი შეინარჩუნეს, თუკი ამას, როგორც ოთარი ფიქრობდა, ოჯახი ერქვა! თუმცა, ის კი იცო, რომ არც ცოლი აჩკვეცდა ქმრის პირად, სულიერ საკითხებს და არც ქმარი უკარკატებდა ქვედებურად ცოლს, სად და ვისთან იყავიო, დრო ალარ რჩებოდათ...

ოთარი თანდათან გაეცნო ამ ცოლ-ქმრის ურთიერთობის ბმებებს, ზოგს მეგის გადმოცემით, ზოგსაც საკუთარი დაკვირვების შედეგად და არ გასჭირვებია დაესკვნა, რომ ეს უალბი მორალისტები ციდან არ ყოფილან ჩამოფრენილნი; საზოგადოების იმ ჭეშეის, ცნობილი თუ უცნობი პიროვნებების მაგალითზე იყვნენ აღზრდილნი, ერთმანეთისა და სხვათა მოტაუილებით რომ ცხოვრობდნენ აჩქეეენად, თეთრს შავად აჩვენებდნენ, შავს კი თეთრად, ერთს ასად და ათს ათასად...

ოთარი გვარიანად იყო შეკეფიანებული და სადარბაზო შესასვლელთან დიდხანს ემსახურებოდა მეგის. ლაპარაკობდა თავისუფლად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ, უუვიბოდა ანეგდოტებს, ათასნაირ კაეთნაურს ეუბნებოდა, ბოლოს ისიც კი უთხრა, სიამოვნებით შეგიბვდები თუ თანაბმა იქნებიო. მეგიც არ დარჩენილა მის მიმართ გულგრილად, დათქვეს საემანის დრო და ადგილი. ამის შემდეგ ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს და, საკუთარი თავის თუ სხვათა გასაკვირად, ერთ კვირაში ხელიც კი მოაწერეს. ასევე ჩქარა მოაგვარეს ბინების შეერთების საკმეე, ოთარის ერთოთახიანი, მამამისის რეაბილიტაციის შემდეგ რომ მისცეს ანაგის ეუნაზე და მეგის ბებიის დანატოვარი ოროთახიანი სამად აქციეს, რეკვნის მეგობარს გაუეკლეს, რომელიც შვილს ბეეკო რძალთან გაუთავებელი უსიამოვნების გამო. ოთარს დროც ალარ ეკო, ღრმად ჩაკვირვებოდა თავის მოკმედებას, გაეანალიზებინა, რა იყო ეს, სიყვარული, გატაცება თუ ვნება, ისე უეცრად გაგაო თავი ოჯახურ ულელში. მერე კი მიხვდა, მაგრამ წარსულს რაღას დაუბრუნებდა, საკუთარი თავის გამართლებას მეგის პროსენებაში ეძებდა, მაგრამ, ეს, რაც დრო გადიოდა, შეუფლებლად ეჩვენებოდა და გამოუსწორებელი შეცდომა მძიმე ლოდად და ტკივილად დაეწვა გულზე...

„იმ საღამომ გადაწყვიტა ყველაფერი, ის საღამო და ბანეკები რომ არა, არც ჩვენ შეეხვდებოდით ერთმანეთს!" — გაიფიქრა ოთარმა და ფანჯრიდან ნაღელიანად გაბეჭდა ნოეგბრის ბნელ ხედებს. „არ ეფავალ-მეთქი, გულშიაც არ გამვლია, პირიქით, მიმიხარიდა, მივიწყრაფოდი, რაღაც მეწეოდა, რაღაც მიბიდავდა, ალბათ, ბედისწერის უსიღავად დაწერილი კანონი იმ თითქოსდა სასწაულისეეს, რომელიც ვნახე კიდეც!..."

ნოეგბრობდა, ძველი თუ ახალი უბნებით ტურისტებზე პროვინციული ქალაქის შთაბეჭდილება დატოვა, კრემლმა კი, მწვანეში ჩაფულები ტაძრებითა თუ მუზეუმებით, საბრეკლოებითა თუ დიდებული ძეგლით — „ათასწლოვანი რუსეთი", თხუთმეტი მეტრის სიმაღლის ზარის ფორმა რომ ჰკონდა, აღაფრთოვანა ისინი, პატივისეემისა და მოწიწების გრძნობა გაუძლიერა ამ მეგრძოლი, შრომისმოყვარე და დიდი ერის მიმართ, საუკუნეთა განმავლობაში რუდდენეთი, სიყვარულით რომ შეკმნა ეს შედევრი და კიდევ სხვა მრავალი.

ტურისტებმა სამახსოვროდ ფოტოსურათები გადაიღეს, თითქმის ყველა პოზა, ჭეეფდურად იყო ეს თუ ცალ-ცალეე, „ათასწლოვანი რუსეთის" ფონზე, გამოჩენილ მხედართმთავრებთა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ბრინჯაოს პორტრეტები, რუსეთის ისტორიის მნიშვნელოვანი ეპიზოდების ამსახველი, კომპოზიციურად საინტერესოდ განლაგებული ბარელიეფებით რომ იყო შემკული და გამდიდრებული.

ოთარის ფოტოსურათის გადაღება არ უუვარდა მისთვის ეუბნეკი მიზეზის გამო, თუმცა არც არასოდეს უცდია ამის გარკვევა. ფოტოკამერის წინ დადგომას ყოველთვის თავს არიდებდა ხოლმე, მაგრამ ახლა რომ გვერდზე გამდგარიყო, ჩვეეთვალეეულ ინსტინქტს რომ ამყოლოდა, გული დაუწდებოდა, რადგან მარიკა იქ იყო, ფოტოსურათების გადაღებას მსურველთა შორის, ლარისას გვერდით მდგარი. და ოთარი არც კი დფიქრებულა, მინდა ბარი დამიშვეენოთო, უუხრა მათ და ორივეს ხელკავი გამოსდო. მარიკა დალეინ, აბაზანის მიღებას შემდეგ გაცვეებულიყო, თვალები ნარაჩარა ეცრემლებოდა და მთელი ღღე მზის სათვალე ეკეთა, რაც, რა თქმა უნდა, არც ფოტოსურათების გადაღებისას მოუხსნია.

ტურისტები ფოტოსურათების გადაღებას რომ მორჩნენ, ექვსის ნახეკარი იყო და მეორე ღღის რვა სათამდე, ვიდრე მატარებელი ლენინგრადისკენ აიღებდა გეზს, თავსუფალი იყვნენ. ზოგი ნოეგბროობში მცხოვრები ნაცნობ-მეგობრების სანახავად გაეშურა, ზოგმა თქვა, ვიგრძნეთ რა გვინდა, სადმე გავიარეთო. ტურისტების უმრავლესობა კი მატარებლისაკენ გგიმართა. ოთარს უნდოდა, მარიკა და მისი თანაკუბელები ქალაქში ერთ ოთახში ნავთი გაეყიერნებინა, მაგრამ ქალაქშეი ვოლხოვზე, ქალაქს რომ შუაზე ჰყოფდა, მოტორიანი ნავთი გაეყიერნებინა, მაგრამ ქალაქშეი ისე ეკეთ ეგგიდოდეთ, რომ შეეხვედა, რა

ეკატერეშაო. სიცხე ზომ არ გაქვთო, ჭკოთა. არა მგონიაო, მიუგო მარიკამ, დაცემინება ძლივს შეიკავა და გაეცინა. ოფლი ოიდინეთ და ხელ კარგად იქნებითო...

ზვიდ საათზე ყველანი რესტორანში თავთავიანთ მაგიდებთან ისხდნენ. მარიკას აღარ აცემინებდა, ყავისფერი, მაღალყელიანი თმილი სვეტერი, ძალიან რომ უზდებოდა, ჩაეცვა და ალბათ, წამლებთან ერთად, ამანაც უშველა. სათვალე ისევ ეკეთა, იქდა, როგორც ყოველთვის, ოთარისკენ ზურგშექცევით. ოდაყვებით მაგიდაზე დაყრდნობილს ჰეპა ორივე ხელით ეჭირა და ცხელ ჩაის სვამდა, თან ლარისას ხმადაბალ მონათხრობს უსმენდა და ეღიმებოდა. ოთარი სარკეში ხედავდა მის სათნო სახეს, მზის სათვალე რომ კიდევ უფრო მდიდრულ ეარს სტენდა, უცქეროდა მის გულღია ღიმილს და უზარიდა, რომ მარიკა არ ბგავდა ბევრ სხვა ქალს, მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო სატკივარს რომ ერთნაირად განიცდიან ეს სახეზოლვენთანელნი გულის შემაწუხებლად წუწუნებენ ხოლმე.

ვახშმის პირველი კერძით დანაყრებულნი ტურისტები ლაპარიკობ ეშზზე მოსულიყვნენ და ერთმანეთთან გაშინაურებულნი საკმაოდ ხმამაღალი საუბრობდნენ დღეკანონელ შთაბეჭდილებებზე. უმეტესად ქმაყოფილების, შიგადაშიგ კი უკმაყოფილების გამომხატველი წინადადებებიც გაისმოდა, რომლებიც ახლა უფრო სახიერი გამდდარიყო მათთვის და ამ, საკუთარ ჭერქვეშ, ასე ეთქმოდა, გამეფულადაც ეფერდა. აქ თუ ამას ვნახავენ, როგორ წარმოვიდგენენ, ამბობდა სანდრო ზოფერია, რომელიც ვანო ღლინტთან და მის ფაშფაშა მეუღლესთან ერთად მეორე სალონში იქდა, ეკლესიაში რესტორანი რაა გაახსნევინეთო. რატომ, თქვა მეზობელი მაგიდასთან მჯდარმა ახალგაზრდა კაცმა, მეტებზე თუ თეატრალური წარმოდგენები იმართება, რა დიდი ამბავია, პოკროვსკის ტაძარში რესტორანი იეოს, ახლახანაა აშენებული, ბეთუროშიტე თუ მეცხრამეტე საუკუნეშია. მაგას რა მნიშვნელობა აქვს, როდისაა აშენებული, ყოველი ტაძარი ერის სულსკეი და უნდა ვუფრთხილდებოდეთ, მიუგო სანდრომ და თანამეზუფრეებს მიუბრუნდა, ამა ის იეო საქმე, ვიღაც ლოთმა რომ ბრწყაა და მოჭაკა იქაურობაო? არ ვიცი, არ დამინახავსო, ჩაილაპარაკა ახალგაზრდამ. ჩვენ დავინახეთო, თქვა სანდრომ. მოჭაწუნე ყოფილხარო, ბატონო სანდრეო, ახალგაზრდამ მის გვერდით მჯდარი ქალიშვილი გამოესარჩლა. მორწმუნე რა შეაშია, ბიძაკი, ღიმილით თქვა სანდრომ და ხმაში მენტორის ტონი გაეჩინა, იმ დალოცვილ ჩვენს წინაპრებს იმიტომ კი არ აუგიათ ტაძარი, ბეატრებად, ბიბლიოთეკებად, რესტორნებად და საწყობებად რომ გადაგვეკეთებინაო. საწყობად გადაქცეული ტაძარი ბიმ მართლაც კურიოზია, ნოგგოროდს არ ეკადრებაო. რუსულად თქვა ვანო ღლინტის მეუღლემ, ქმრის გარდა, სხვებიც დაეთანხმნენ. ბოლოს დეგაც კამათი ჩვეულებრივ, წყნარ საუბარში გადაიზარდა. მერე კი მიმტანმა ქალებმა რომ ვახშმის მეორე კერძის ჩამორიგება დაიწყეს, თანდათან შეწყდა...

მარიკამ ჩაის დალევა რომ დაამთავრა, ადგა, თანაკუპალებს ღიმილით დაუკრა თავი და გასახვევისაკენ გაეგმართა. წასვედეთო? — ჭკოთა ოთარმა მაგიდას რომ გაუპირდაპირდა. უნდა დაეწვე, მარიკა წამით შეჩერდა, თორემ ეს გრიპი მოგზაურობის ბოლო დღეებს ჩამიმწარებსო. ლენინგრადში პირველად მიდიხართო? პირველადაო, უთხრა მარიკამ და წავიდა... იგი მეორე დღესაც იწვა. ოთარმა რამდენჯერმე შეიხედა კუპეში და მოიკითხა. მარიკა ეუკეთ იყო, ოფლი მოედინა, წამლებსაც სვამდა და არც ღელით ჰქონია სიცხე, არც საღამოთი, რაც, რა თქმა უნდა, ოთარს უზარიდა, მაგრამ მოშორდებოდა თუ არა კუპეს კარს, გული მოეწურებოდა და ადგილ ვეღარ პოულობდა. ეჩვენებოდა, რომ ავადმყოფობამ გააუცხოვა ქალიშვილი მის წარმოხახვაში. მაგრამ ეს იყო იმ დღეს, ღილით კი, მატარებელი რომ ლენინგრადში ჩავიდა და ტურისტები მოსკოვის ვაგზლის შენობის წინ შეიერპნენ, მარიკას დანახვამ, სათნო ღიმილით რომ მიესალმა, უსიამოვნო შეკრება გაუფანტა, მივიდა და ჰკითხა:

— რას შერება თქვენი გრიპი?

— ბატონებისეული და მზად ვარ ქალაქის დასათვალიერებლად, — სიცილით უპასუხა მარიკამ. — მაგრამ ქალაქი რომ გაჯიუტდეს და არ მიმლოს?

— იოო, ეს მართლაც რომ დამაფიქრებელი საკითხია. თუმცა ქალაქი ყველას ღებულობს, მართალთან ერთად ბრიწდაც, გამოცდის მიზნით, თქვენ კი ამ მხრივ არა მგონია. საშიში გკონდეთ რაიმე.

— ჩვენ, ჩვენ? — ჭკოთა ლარისამ.

— არც თქვენ, რა თქმა უნდა.

მეტროზედ ავეტოხუსით იმგზავრეს, სადგურში შეეიდნენ და მატარებელში ჩასხდნენ. მარიკა ოთარის გვერდით იდგა, ვაგონში ბევრი ხალხი იყო და ერთმანეთის მხრებით მიკვროდნენ. საშუალოზე მაღალ ოთარს, ქალიშვილი წარეს ზემოთ სწყდებოდა. ოთარის წარმოსახვაში ყოველთვის უსიმოვნო შეგრძნებას აღძრავდა ბოლმე ფიზიკურად შეუფერებელი ყუელების დანახვა. დამამცირებლად ეჩვენებოდა მამაკაცი რომ გაცილებით მაღალი იყო ქალზე, ან პირიქით, — ქალი მამაკაცზე, ანდა, ერთს რომ სიმპათიური სახე წყნრდა, მეორეს კი უემური და ცბიერი. ახეთი ყველაფერის ურთიერთდამოკიდებულებისაც

მი ხელოვნურად იყო განწყობილი. მისი ახრირი, ნამდვილი, უხიბჯო სიყვარულიან დაკავშირებული ცოლ-ქმარი და პატიოსანი შეყვარებული, მომავალი ოჯახის შექმნაზე რომ ფიქრობენ, ზოგიერთი ნაკვთით თუ არა, სახის ირეთი მაინც უნდა ჰგვანებოდნენ ან წლების განმავლობაში ერთად ცხოვრების შემდეგ დაზგავსებოდნენ ერთმანეთის, ანუ მიზეზადაც სულიერი ბაზმონია, ერთის მეორისაკენ სწრაფვა და პატივისცემა მიანნდა. და ახლა, ვაგონის ფანჯრის მიჩერებულმა პირველად რომ აღმოაჩინა მსგავსება მარიკასა და ბაუთარ გარეგნობას შორის — ერთნაირი თმისა და კანის ფერი, ფიქრიანი გამომტყვეველება, — გული სიხარულით აევსო. ქალიშვილს ფანჯრის მინაში სიყვარულით შეავლო თვალი და მოუნდა, მის ნაზ თითებს, მხარზე გადაკიდებული ჩანთის ღვედზე რომ ათამაშებდა, მოფერებოდა, თმაზე გადაესვა ხელი, წამწამებდაზრილ თვალებში ეყურა...

— მაპატიეთ, — თქვა მარიკამ და გვერდულად შეხედა. — ის მოთხრობას როდის დაბეჭდავთ?

— რომელ მოთხრობას?! ა?, „ბანძს ხათნიებისთვის?“ არ ვიცი, ჯერ არ დამიწერია. — მიუგო და დასძინა, აუცილებლად დავწერ და დავბეჭდავო...

ხელოვნების მუზეუმი, რომ დაათვალიერეს და ეზოში გავიდნენ, ექსკურსიამძღოლმა ქალმა თქვა: ოთხ საათამდე თავისუფალი ხართ, ნეფის პროსპექტზე და მის გარშემო მდებარე კვარტალებში ხუთსაამდე მაღაზია, რესტორნები, კაფეებია და შეგიძლიათ შეიაროთ, ზუსტად ოთხზე კი ვარშავის სადგურთან უკან, — თქვენი მატარებელი იქ ჩამოაყენებს, — უნდა შეიკრიბოთ და ექსკურსიას განვაგრძობთო.

ტურისტები ისე სწრაფად მიმოიფანტნენ ექსკურსანტთა ჯგუფებით საუნე მუზეუმის ეზოში, ჭიშკართან ოთართან ერთად ხუთნარი მისულმა მარიკამ რომ მიიხედ-მოიხედა, ვერც ლიკას და დედამისს მოჰკრა თვალი და ვერც ბუჭუჭამიან ქალიშვილს, ამას წინათ შეუყვარებულმა რომ მიატოვა. ქუჩაში გავიდნენ და მოპირდაპირე ტროტუარზე შეჩერდნენ. კარგა ხანს იდგნენ და, რაკი თანაკუპელები ვერც ეკ დალნდეს, წავიდეთო, უთხრა ოთარმა. ნუდა სად გაქრნენო? — თქვა შეწუხებულმა მარიკამ და უნებურად ერთხელ კიდევ მიმოიხედა. ნეფის პროსპექტზე შეგვხვდებიან, თუ არა და, მენდეთ, ლენინგრადში მეოთხედა ვარ, მეგზურობას მე გაგიწევთ, ოთხზე კი ვარშავის სადგურთან ვიქნებითო, დაამშვიდა ოთარმა...

ნეფის პროსპექტზე დიდი მოძრაობა იყო. ფეხით მოსიარულენი არცთუ განიერ ტროტუარზე გვერდს ძლივს უკლიდნენ ერთმანეთს, იყო ზრვების გაკვრა, ბუჭლუგუნი, წუკლულებსშუა გავლა, რასაც საქმით მანქანებიანი მოქალაქენი განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევდნენ, უფრო ზზრაფად უკან მოუხედავად განაგრძობდნენ გზას, როგორც ოთარი ფიქრობდა, ჭეიფუს დროს უფრთხილდებიდნენ. ხან მარიკა ჩამორჩებოდა, ხან ოთარი და საუბარი, ნეფის პროსპექტისა და მის ახლომდებარე ქუჩების შენობათა არქიტექტურას რომ შეეხებოდნი, შეაზე უფსკეზოდათ. დამთხვეულებივით დაჯდებარი, გაიფიქრა ოთარმა, მარიკას დაელოდა, ხალხის ტალღამ რომ ტროტუარის კიდისკენ გაგიყვა და სიცილით უთხრა, უხელაკოდ აქ სიარული შეუძლებელია. მკლავში ხელი გამოსდო და გზა გაგიძღეს... ოთარი შეეხნარად უძღებოდა, ისე ოსტატურად მოარიდებდა ხოლმე რომელიმე თავალიერილ, ჯიქურად მომავალ მამაკაცს, თითქოს რომელიღაც ცეკვის ილეთს ასრულებსო, რაზეცაც ორივეს ეცინებოდა. აქამდე როგორ არ მომაფიქრა ხელკავი, თქვა ოთარმა, რას იტყვიან, არ ამოვიხუნინქეთო? ადამიანმა ისეთი გზა უნდა მოძებნოს, სადაც ნაკლებად შეეუხდებიან. გზა ხომ ეიპოვეთო! თქვენი დამსახურებაააო! გენიოსის გარდა, ვის მოუვიდოდა ეს აზრად, გიდცინა ოთარს, ახლა ისღა დამრჩენია, ჩემს თავს ვუსვრეო, პირნათლად შეავასრულო მეგზურის მოვალეობა და უზრუნველყოფო თქვენი უსაფრთხოებისა! აბა, თქვენ იცითო! — სიცილითვე უთხრა მარიკამ.

ოთარი მარიკასთან ხელკავით სიარულს, მის მიმართ რომ გულგრილი ყოფილიყო, ჩვეულებრივ, მდგომარეობიდან გამომდინარე ამბავად ჩათვლიდა, მაგრამ ახლა ყოველგვარ უმნიშვნელო წვრილმანსაც კი გაზვიადებულად წარმოსახავდა ქალიშვილის მკლავის სითბოს დღეს პირველად ნაზიარები, ამ სიამოვნით ზეაწეული და სულიერი მღელვარება რომ რომ არ შეტყობოდა, ნახევრად ხუმრობის ტონით ესაუბრებოდა.

მარიკას ფერადფოთლებიანი, ქვეშოთ სრული ნახევარკაბა და წითელი პერანგი ეცვა, წინა დღემთან შედარებით, კიდევ უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდა და ოთარს უსვამ გული მოეწურა, ნაცნობი სევდით აევსო, ზზრაფად რომ თავს არიდებს და მაინც მის პირისპირ რჩება... ნუთუ ოც-ოცდაორ წელზე მეტის არ იყნება? აკამდე ეს როგორ ვერ გაარკვია!.. თუ მართლაც ასეა, მორჩა, დამთავრდა ყველაფერი! აკი უთხრა კიდევ, მეორე წელია ვმუშაობო! თეკვსმეტი წლის საშუალო სკოლას დაამთავრებდა, მერე ინსტიტუტს და ესეც შენი ოცდაორი წელი!.. დოსტოევსკი ოცდაექვსი წლით უფროსი იყო ცოლზე? დოსტოევსკი გენიოსიც იყო!.. თეკვსმეტი წელი!.. სისულელეა... თუ გიოვარს, ამ შეზდედულებას უნდა შეელიო! ამის გარეშე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სხვა იქნება? სხვა პიროვნება? კარგი, მაგრამ რას პირებ?

— ჰო, მართლა, მარიკა, თქვენი ბიოგრაფია რომ მოკლედ მიამბოთ უჩიგო არ იქნება.

— ჩემი ბიოგრაფია?! — მარიკამ გაკვირვებით შეხედა, მერე ყოყმანით თქვა: — თქვენთვის რომ საინტერესო იყოს, ისეთი არაფერი ყოფილა ჩემს ცხოვრებაში.

— ვერ დაგიჯერებთ! ერთმა ცნობილმა მწერალმა იცით, რა თქვა? ადამიანის ცხოვრება, რაც უნდა პატარა და უმნიშვნელო იყოს, დიდ რომანს აავსებსო.

— მე ნამდვილად გამონაკლისი ვარ.

— არა მგონია! მაგრამ რაკი არაფერს მეუბნებიით, გამოდის, რომ თქვენი დაბადების დღე უჩემოდ ჩავლოს.

— ჩემი დაბადების დღე უკვე იყო.

— მართლა? როდის?

— ოცდაოთხ მაისს.

— კოდევ მოვა ოცდაოთხი მაისი.

— მობრძანდით, სასიამოვნო იქნება...

— გავნაწყენდები და არ მოვალ.

— თუ გაგიუტდებითო?

— ერთიც იქნება და მეორეც.

— მაინც რატომ?

— სადღეგრძელო ხომ უნდა დავლიო და, რა ვთქვი, როცა თქვენზე თითქმის არაფერი მეცოდინება?

— კი, ბატონო, რახან ასე ფიქრობთ... ბიოგრაფია ანკეტური მონაცემებით გაინტერესებთ?

— როგორც გინდოდეთ.

— დავიბადე 1951 წელს, — დაიწყო მარიკამ, — სამოცდარვაში დავამთავრე საშუალო სკოლა, ოთხი წელი ზედიზედ სამეფიციანო ინსტიტუტში ვბარობდი, მაგრამ ვერ მოვხვდი, რაღას ვიზამდი, ფარმაცევტულ ტექნიკუმში განვაგრძე სწავლა, ახლა კი ვმუშაობ, თუმცა ეს უკვე გითხარით. სულ ესაა.

— ძალიან კარგი!

— რა არის კარგი, რა მოგეწონათ?

ოთარი მეცხრე ცაზე იყო. რა უპასუხოს მარიკას? რით გაამართლოს ბაგეს უნებურად მოწყვეტილი ეს ორი სიტყვა? პირდაპირ უთხრას, ჩვენი, უფრო სწორად, ჩემი თქვენდამი დამოკიდებულება იმ ოთხნაშნა ციფრმა გადაარჩინაო?..

— ახლა უკეთ ვიტყვი თქვენს სადღეგრძელოს, უფრო ღრმად, შინაარსიანად, — მიუკი ოთარმა. — სხვათა შორის, მამაჩემი სწორედ იმ წელს გადაასახლეს შუა აზიაში, თქვენ რომ დაიბადეთ. იქ დაიღუპა რეაბილიტაციის მიღებიდან სამი დღის შემდეგ.

— რას მეუბნებით!

— მინდოდა ახლა, ამ შვებულების დროს დამეყენებინა საშველი და ჩავსულიყავი, მაგრამ ყოფილი მეუღლის ხელშეწყობით, ოფიცერი ხედავთ, აჭა ვარ.

— ეს როგორ?

ოთარმა ირონიდ სიტყვით უამბო, რაც მოხდა.

— საინტერესო დამთხვევებია, — თქვა მერე. — თქვენ მაშინ დაიბადეთ, მე თორმეტის ვიყავი და გიგიჟ ამდენივეზია ახლა.

— თქვენს ვაჟს გიგი ჰქვია?

— გიგი. შენობით რომ მივმართოთ ერთმანეთს რა მოხდება?

— შენობით?

— ჰო, თორემ ორჯერ უფროსად წარმომიდგენია თავი, ვიდრე სინამდვილეში ვარ.

— ვიამე, არ შეშინდა...

— რატომ, არა მგონია, ამ მეორე ნაცვალსახელმა რაიმე გააფუჭოს, პირიქით. მაშ ასე, შევთანხმდით, ხომ?

— შევთანხმდით. — ყოყმანის შემდეგ უპასუხა მარიკამ.

ოთარი ამ რამდენიმე წუთის წინ არკიტექტურაზე შეწუწუვენილ საუბარს მოუბრუნდა. მარიკას მოსწონდა ეს გრანდიოზული, ქანდაკებებით შემკული შენობები, მაგრამ ისიც თქვა, ცოტა არ იყოს. ერთფეროვნად მეჩვენება. თითქმის ყველა მათგანი ერთი სიმაღლისაა, ერთნაირად ლამაზი და მდიერული შესახედავია. მართალი ხარ, დაეთანხმა ოთარი, ეს სასახლეები და ბევრი სხვაც, წარსულის პირმშოა, როცა კლასიციზმის გავლენით ევროპის ყველი დიდ ქალაქში, ისევე როგორც აქ, თითქმის ერთი სტილის შენობები შენდებოდა. ახლა თუ ისე, მშვენიერი პროსპექტია, თქვა მარიკამ, ყოველ შემთხვევაში უკეთესი მე არ მიხახავსო.

პროსპექტი ჩაიარეს. გრძელი, ვიწრო სკვერს იქით სანაპიროს მოაჯირთან შეჩერდნენ და მდინარეს გადახედეს, მორუხო ფერი რომ გადაკრაოდა. მტკვარზე ოთხერკ განიერი მაინც იქნება, თქვა მარიკამ, ნეკა თუ ამოდენა იყო, ვერ წარმოვიდგენდიო! რუხული მატალიები ყველგან და ყველაფერში გაოცებას იწვევსო. უთხრა ოთარმა და ხელარტი გაანოლა... მარჯვნივ, სასახლის მოედანი მოჩანდა — ერმიტაჟის დიდებული შენობა, ხარაჩოებში რომ იყო ჩასმული და ალექსანდრეს სვეტი ჯვრიანი ნიმბოლოთი. ის, მგონი, ერმიტაჟია, არა? —ჰკითხა მარიკამ. ერმიტაჟია, მიუგო ოთარმა და თავი გაკქნა, რაღა ახლა მოუნდათ რემონტის დაწყება, ცხადია, ზიგ ალარ შეგვიშვებენო. სამწუხაროა, თქვა მარიკამ, თქვენ, რა თქმა უნდა, დათვალიერებული გექნებათო. ისევე თქვენ? ეს უკვე სიტყვის გაგებაოს! შენ! — გაეცინა მარიკას და ბოლო წინადადება —და-

თვალიერებული გეკნებაო, — გაუშეორა. ორ-ჯერ, მესამედიც არ ვთქვიდი უარს, უთხრა ოთარმა და დასძინა, ხიდის გადახსნას ეი არა-სოდეს არ დავუზრუნებივარო. ჩვენ ამაღამ ვაპირებთ წამოსვლასო; მეც სიამოვნებით შემოგე-ერთდებითო.

ვარშავის სადგურთან რომ მივიდნენ, სიეს-კურნით ავტობუსები მაშინ ჩამოაკუნეს. ცხე-ლოდა. მარიკამ ტანსაცმლის გამოსაცვლელად ეიგონს მიაშორა. ოთარი პაველიონთან მივი-და. რომლის უკანაც კერპთმოძღვი. ცხეირაპაკუ-ჩრდილოელი და შაკვარეანი, მზემოკიდებული, სამხრეთელი მამაკაცები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ მზეს მოფარებულნი და ლუდს პირდაპირ ბოთ-ლებიდან სვამდნენ. მოიკვნეს პატარა იყო, მყუდრო და წყნარი. ხანდახან ტაკსები ან მსუ-ბუქი მანქანები თუ შემოდიოდნენ, ისიც მარ-ჯვენა მხარედან. ერთადერთი ვიწრო გზით, ორივე სხვა ტრანსპორტი არ მოძრაობდა, და ოთარზე წინათ რომ აკ ორასოდეს ყოფილ-ა, როგორღაც დაუთავრებლის შთაბეჭდილებას ხტოვებდა, როგორც პროვინციული ქალაქის სადგურის ახლომახლო უბენები. ეს ცოტა ან იყოს, მოუფიდნელი იყო მისთვის, მაგრამ სი-წყნარე და სიმუდროვე ეხიამოვნა ქალაქის დაშეანცველი რიტმისა და ხმაურის შემდეგ. ლუი დალია და ბაბრუნდა...

ავტობუსები მცირე ხნით ჩერდებოდნენ ის-ტორიული ნაგებობებთან ან ნელი სვლით გვე-რდით ჩაუვლიდნენ და ტურისტები გარე ხე-დებითა და ეკსკურსიამძღოლების მონათხრობ-ით იქმნიდნენ მათზე წარმოდგენას. მახსობლია და მეტი არაფერი, ბრაზობდა სანდრო ხოფე-რია. ლენინგრადს თუ ახე ზერელედ, თვალს ერთი გადავლებით დაგვათვალიერებინებდნენ, როგორ მეგონაო! ირიეკლად ხართ ჩვენს ქა-ლაქშიო? — ჰკითხა ეკსკურსიამძღოლმა. პი-რველად გავლით ვიყავი რამდენიმე წლის წინათ და, ახლაც ოგივე გამომდისო. რა ჩვენი ბრალია, ლენინგრადში ერთი დღე გაკეთ და-გეგმილი, ერთიც პეტერგოფშია. ოქვენ რა უუ-ანი ბართ, ვინც ახე სულელურად დაგეგმა ეს მარშრუტი, ამათზე მომღის გულია, ბუზღუ-ნებდა სანდრო ხოფერია, ოთარმა, მარიკასა და ლარისას უკან რომ იყდა და ფანჯრიდან ნაკა-ნოს გარეშოს როგორიღაც ინერტულად გაპეუ-რებდა, ხაუბარში ჩარეკვა დაუპირა, მაგრამ ხეა ალარ ამოუჭია, რადგან დიალოგი შეწყდა და ეკსკურსიამძღოლს მიაპყრო თვალი, დეკაბრა-სტებმის ამბავს რომ ყვებოდა...

ტურისტებმა ავტობუსების ფანჯრებიდან შეაღეს თვალი ხარჩოებში ჩასმული ერმი-ტაჟს — მეფის ყოფილ სასახლეს და მოეფანს, სადაც ერთ დროს დეკაბრისტთა საჯარო სასა-მართლო შედგა, შორიდან შეხედეს ალექსან-რეს ხვეტა და პეტრე დიდის ძეგლს, ისაკიევს-კისა და ეაზანის ტაძრებს, ლეგენდარულ „ავ-ორორას", მწვანეში ამოზრდილ მრავალსართუ-ლიან ახალ კვარტალებს. ძველის გადაშენებას რომ წარმოადგენდა, შემდეგ კი ეზიკარიოზენ სასაფლაოს თალოვან ეიშკართან ავტობუსები-დან გადმოვიდნენ და შიგ შესვლნენ, ნელი, ძაბ-მე ნაბიჯით გაუუვნენ მოახალტებულ გზას, თითქოს წინ პროცესია მიდიოდა. ვიისმოდა ბე-თპოვენის გმირული სიმფონია და ეკსკურ-სიამძღოლის სეედანარევი ხმა, უეცრად რომ შეეკვეთა ტურისტთა განწყობა, გარდუვალ ხვედრზე და წარსულ ხაშინელებებზე რომ ჩა-ფიქრა ისინი. ჩერდებოდნენ და მდუმარედ, მწუხარედ დასაკერდნენ ბლოკადის დროს და მომდევნო წლებში დალუპულ მილიონზე მეტ ლენინგრადელთა საერთო ხაფლავებს, მწვანედ ამბიანებულ ნაკვეთებს რომ ჰგავდა. თითოეული ამ მოზრდილი, თითქმის ახა მეტ-რის სიგრძის ნაკვეთის დასაწუსესში თუნუკის შავად შეღებილი ფერფერატები ჩაესოთ თარი-ლებით, თითქოს იქ ათასი კი არა, ერთი კაცი ეოფილიყოს დაკრძალული და ის შავზე თეთ-რად ნაწერი ციფრები მისი დალუპვის წელს ეუწყებოდა.

პისკარიოვის სასაფლაოდან გამოსული ტუ-რისტები ავტობუსებში ჩასხეს. ვარშავის სად-გურთან მიიყვანეს და იმდღეკვანდელი ეკსკურ-სიაც ამით დამთავრდა. პავლიონში ჩეხური ლუდი მიეღოთ. რამდენიმე ბოთლს ვიყიდეთ, გაიფიქრა ოთარმა, თუმნინი ამოიღო და გამ-ყიდველს გაუწოდა. ერთი ეუთოდა დარმა, ბა-რეგმ წაიღეთო, უთხრა გამყიდველმა და ოთარ-საც ეკუთხი დაუყდა, მაგრამ მის უკან რიგში მდგარი სახედაბეეკნებული მამაკაცები ამუზ-ღუნდნენ და გადაიფიქრა, ნახეკარი წამოიღო. კუპეში შესულმა ბოთლები ზემო თაროზე დაკ-ლაგა, ერთი გახსნა, ლუდი ჭიქაში დაიხხა და ხწორედ ამ დროს ლარისამ შემოიხედა. თარიზე გამწკრივებული ბოთლები რომ დაინახა, ოთარს გაკვირვებით უთხრა, რა ამბავია, სტუმრებს ხომ არ ელოდებითო? არა, თუმცა, თქვენზე უკეთესი ვინ მეწყვეკო, მრავალმნშნეელოვნად მიუკო ოთარმა, ლუდით მეორე ჭიქა შეავსო და შესთავაზა. ჩვენზე უკეთესი, არა? გაბაკე-ბია, გასაგებია, ეშმაკურად გაიცინა ლარისამ, მერე თქვა, ერთ ჭიქა ჩეხურ ლუდს სიამოვნე-ბით გეახლებითო. რატომ ერთ ჭიქას, შეგიძ-ლიათ კიდევ ისიამოვნოთ, უთხრა ოთარმა და სამი ბოთლი მაგიდაზე დადგა. ეს — თქვენ, ეს — მარიკას, ეს კი მადონასო. (ხუკუკუმბინ, შავ-გვრემანან ქალიშვილს ნარქვა). ერთიც გვეეოფოა, დიდი მადლობაო, თქვა ლარისამ, ბო-თლი აიღო და გავდა .არ დაფიქრეთ, მიაძახა ოთარმა, თორემ ხიდის გადახსნაზე წასვლა ჩა-გეეშლებაო...

ოთარი ვახშმის შემდეგ კუპეში ჩაიკეტა. წა-მოწოლილი სიგარეტს აბოლებდა და მოთხრო-ბაზე — „ბანძი ხათნოებისთვის" ფიქრობდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდოდა დაეწერა. მაგრამ ვერ გადაეწყვიტა. ახალი სიტუაციები მოეგონებინა თუ რაც ხელი ჰქონდა, იმას დასჯერებოდა. ხან ამას ფიქრობდა, ხან იმას. ბოლოს საკუთარ თავზე მოუყიდა გული, რა ბევრს ვიქნელეტ, როგორც იქნა, სკობია, ისევე გადავიტანო ქაღალდზეო, წამოდგა და მაგიდას მიუჯდა...

ოთარმეი სრულდებოდა წერას რომ მორჩა. მეხსიერებით ამაყოფილი იყო. სიტყვასიტყვით ალდგინა ყველა დეტალი, დიალოგი თუ რეპლიკა, არაფერი შეუცვლია. მხოლოდ ბოლოს ორი სტრიქონი მიუმატა: „ადამიანებს შევერევი ადფრთოვანებული იმით, რომ მოელი ცხოვრება სათნო ქალიშვილს ვეძებდი, ისეთს როგორიც შენა ხარ და აჰა, ვიპოვე კიდეო"... მოთხრობა რომ გადაკითხა, უფრო მოეწონა, ვიდრე მოელოდა. მაგრამ ცალეკე, დამოუკიდებელ ნაწერმოებად მის გამოქვეყნებაზე მაშინვე აიღო ხელი. რადგან საკუთარი სულის გაშიშვლებად ჩათვალა და დაბეჭდილის წარმოდგენამაც კი უხერხულობა აგრძნობინა. ამ ამბავს სადმე გამოვიყენებ, რომანში ან რომელიმე ეროკელ მოთხრობაშიო, გაიფიქრა, ფურცლები მოაცება და პიჯაკის ჯიბეში ჩადო. მარიას ვანაბეს ანდა სულაც ვაჩუქებო. ლუდ ბოთლიდან მოსხა, პიჯაკი ჩაიცვა და კუბიდან გავიდა.

ტურისტთაგან ხიდის გადახსნაზე ეახლეს მსურველი არც ისე ბევრი აღმოჩნდა, ოთარი რომ მოელოდა. ზოგი ღამის გაატეხს მოერიდა, ზოგს არ აინტერესებდა, რა უნდა იყოსო, დანარჩენები კი — ოცდაათი თუ ორმოცი მოხალისე — მოსკოვის პროსპექტამდე ერთად მივიდა და შემდეგ დაიჭალნენ. ზოგი ტაქსით წავიდა, ზოგმა ავტობუსში ჩაჯდომა არჩია, ზოგმა — ტროლეიბუსში, მათ შორის მარიამ, ოთარმა და რამდენიმე მათმა თანავაგონელმა. ტროლეიბუს სასახლის მოედანამდე მიჰყვნენ. ოთარმა მარიას ხელკავი გამოსწო და პატარა, მრგვალ სკვერში შეუხვიეს. ცოტა ხანს დაუსხდნენ, თქვა ოთარმა. მაგრამ სკამები ერთმანეთს ჩაჰგეულ ჭეკილებს დაეკავებინათ, იქაურობა კი ჩაბნელებულიო იყო და დასაჯდომი ადარ უფებნია, მარიკისი მოერიდა, ისეთს არაფერს წავაწყდეთო, სკვერი დიდჯერეს და ხანაპირიოზე გავიდნენ. სუსტი ქარი უბერავდა, გრილი ღამე იყო, თითქმის ცივიდა. ხიდის მარჯნიე ჩაუყვნენ მოაჯრის, სადაც კანტიკუნტად დასეირნობდნენ ჭეკილები, მარცხნივ კი ხალხმრავლობა იყო. გემების დანაბეი ეჭიდან ულეთ შეიქლეანო, გაიფიქრა ოთარმა და სიგარეტს მოუკიდა. რამდენნიმე ნაბიჯი რომ გაიარეს, რაღაც ჭრიალვითი ხმა მოესმოთ და შეჩერდნენ, ხიდისეენ გაიბეიღეს. ხიდზე ორმა მსუბუქმა მანქანამ და ცარიელმა ავტობუსმა გაიარა, ხმასაც მათი თვლები გამოსცემდა. ოთარმა საათს დახედა, პირველი იყო.

— მალე დაიწუებაა? — ჭკოთხა მარიკამ, ნოაჯარის ხელებით დაეკურდნო, ხიდ ეიგალ ეარეს აშორებდა.

— ალბათ, სადაცაა შეწუვეტენ მოძრაობას შეგაცივდა?

— არა.

მარიკას მოკლესახელოიანი ყავისფერი ზედაწელი ეცვა და მკლავებზე ბუსუსები წამოშლოდა.

ოთარს გაეღიმა.

— თუ გახსოვს, დედაეანში ერთი ასეთი მოთხრობაა: მამაკის კალათიდან ბოლო მოუჩანს, ქერდი დედ-მამის სულს ოეიცებს, არ მომიპარავსო, მამლის პატრონი-კი ეუბნება, ფიცი მწამს. ბოლო მაკვირვებსო...

— მახსოვს.

— ჰოდა, ისეა სწორედ შენი საქმე.

— რატომ, სასიამოვნო სიგრილეა.

— სადაცაა კანკალს დაიწუებ.

ოთარმა პიჯაკი გაიხადა და მოხურა.

— ჰოო, მართლა! — ოთარმა პიჯაკის ჯიბიდან ხელნაწერი ამოიღო და მარიკას გაუწოდა. —ისა მოთხრობაა.

— უკვე დაწერე? — მარიკამ გამოართვა, ოთხად მოკეცილი ფურცლები მოაჯირზე გაწალა და ფანქრით ნაწერი გვერდები ჩაათვალიერა.

— არაფერი შემიცვლია, — უთხრა ოთარმა. — მხოლოდ ორი სტრიქონი დავუმატე.

მარიკა მოთხრობის კითხვას შეუფდა, მაგრამ ქარმა არ დაიცალა, ფურცლები კინაღამ გამოსტაცა და ხელნაწერი დაკეკა.

— მერე წავიკითხავ, მათხოვეთ, არა?

— მაგას რა კითხვა უნდა, შენთვის დავწერე. მიჩუქნია, ჩადე ჩანთაში. მოიცა! — ოთარმა პიჯაკის ჯიბიდან ფანქარი ამოიღო და სათაურის მარჯვნივ და ქვემოთ ხელნაწერთან შედარებით წერილი ასოებით წაეწერა — ეძღვნება მარიკას.

— დიდი მადლობა! — მარიკამ ხელნაწერი ჩანთაში ჩადო.

— მადლობელი პირიქით მე ვარ, შენ რომ შემიხვდი...

მარიკას ღაწვები აეწანდა. ტალინს შემდეგ იგი, რა თქმა უნდა, კარგად ხედავდა ოთარს მის მიმართ დამოკიდებულებას, გრძნობდა, რადაცას რომ ეტყოდა, ეშინოდა იმ წუთის, უნებურად კი ფიქრში მაინც იქით მიილტვოდა, როგორც ყველა პატიოსანი, წესიერი ქალიშვილი თავისი პირველი ხვედრისაკენ, მაგრამ ოთართან მინიშნებებით, ჭკეტიქმებებით საუბარს შეჩვეული, ახე პირდაპირ თქმას არ მოელოდა და დაიბნა...

— იქით წავიდეთ, რა! — ხმა უთრთოდა,

ხიდისკენ მიბრუნება დააპირა. ოთარმა მხარზე ხელი მოხვია და მოფერებით უთხრა:

— ჰო, წყალო, ჯერ მომისმინე! — კარისგან შუბლზე ჩამოშლილი თმა თითებით გაუსწორა და ქალიშვილის მორცხვებით გათამამებულმა განაგრძო: — იცი, მარიკა, ჰქეთ რომ მოვდიოდი, გული მეწურებოდა, დაცარიელებული ვიყავი. სასჯელად მეჩვენებოდა ეს მოგზაურობა, ახლა კი სავსე ვარ... შენ მარიკა? მითხარი, რას ფიქრობ, ხომ გჯერა ჩემი?

ქალიშვილი სდუმდა.

— თქვი, მარიკა!

ქალაქ სდუმდა თავდახრილი. ოთარმა თავი ფრთხილად აუწია და თვალებში რომ ჩახედა, სითბოთი და თანაგრძნობით სავსე თვალებში, მიხვდა, აღარაფრის კითხვა აღარ იყო საჭირო, დაიხარა და ნაზად აკოცა.

უეცრად ხმაური შემოესმათ და ხიდისკენ მიიხედეს. მილიციელი ვიღაც ახმახს, პერანგ-ამოჩაჩულ ახალგაზრდა კაცს მეორე ნაპირზე გადახვლა რომ უნდოდა. ემუკრებოდა ხელის კვრით გზას უღობავდა. ეშმაკსაც წაუღია თო! — შესძახა კაცმა. მილიციელს გაუსხლტა და წინ გაიჭრა, ორად გაეოფილ ხიდს მარჯვედ გადაეცლო და თავქვე დაეშვა. ოთარმა მარიკას პიჯაკი შეუსწორა და მხარზე მოხვია ხელი. იდგნენ ასე და უცქეროდნენ ხიდს, რომელიც ნელ-ნელა მიიწევდა ზემოთ. იქით, შორს, მდინარის გლუვ ზედაპირზე ნათურებით გაჩახჩახებული თეთრი ხომალდები გამოჩნდა. ხიდის ორივე მხარე კი საზენიტო ქვემეხებივით თითქმის ვერტიკალურად აღიმართა და გადახსნაც დამთავრდა.

იმ დამეს კუპეში დაბრუნებულ ოთარს თვალი არ მოუხუჭავს. ან კი რა დაძინებდა, თავი უბედნიერეს კაცად მიაჩნდა. ბოლოს, და და ბოლოს ხომ გაუმართლა! იგი, რა თქმა უნდა, ქვეცნობიერად. სადღაც გონების სიღრმეში გრძნობდა მომავალ დღეთა წინადრობებს. მაგრამ ისე იყო სავსე და ზეაწეული მარიკას სიახლოვით, ამაზე ფიქრი არ შეეძლო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხოლოდ ერთი ნეტარი

ვიქტორ კახნიაშვილი

გადარჩენილი სადღეგრძელო

ანუ

ალდგომა დღეს, ვერის სასაფლაოზე,
ძმაკაცის სამარესთან შაშო ვერელის მიერ
წარმოთქმული შესანდოგბარი

ციკლიდან „ვერა და ვერელები“

დაე, ავხელმა მომპაროს ფული,
რაც არ გამაჩნია,
ჯიბეში ჩარჩენილი — ჯიბგირმა ამომაცალოს,
თუ შნო და მარიფათი აქვს
ქურდბაცაცამ რამე ამწაპნოს,
ხელმრუდმა თვალდათვალ ამაცოცოს,
ყაჩაღები დამეცნენ
და საფეთქელზე ლულა მომადონ...

მაგრამ აროდეს მოვსწრებოდეთ,

ვ ი ნ მ ე ს
ოქრო-ვერცხლით მოვეხიბლოთ,
თვალ-მარგალიტი შემოეძლიოს,
სამშობლოს სადღეგრძელოდ გაწვდილი
მარჯვენიდან ყანწი გამოეტაცოს,

ჩ ვ ე ნ ი
ადათ-წესი შეებღალოს,
ზნე-ჩვეულება გაელანძღოს,
მამა-პაპა აუგად მოეხსენიებინოს
და შეყვარებული გადაებირებინოს,

რ ა დ გ ა ნ
არამი პურის ჭამას,
ზეზეულად ლეშად ყოფნას,
სულის გაქურდვას და გრძნობის ჩაკვლას,
ჩვენს სინდის-ნამუსში ხელის ფათურს,
ჰაი, ჰაი, რომ
ჩვენი ძმაკაცივით შავ მიწაში
წოლა სჯობს სამუდამოდ.
გ ა ა ნ ა თ ლ ო ს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახა

(დატირება)

ახავი, ახავი, ახავი, გახა,
ამ მიწას, ამ ცას, მზეს და მთვარეს ვერასდროს ნახავ,
დღეები შენი დაიშრიტა, გაიქცა, დაფრთხა,
ახავი, ახავი, ახავი, გახა...

შენი ხე სიცოცხლის არ იფოთლებს, წაიქცა, გახმა,
მაგრამ შენ მაინც ვალმოხდილი ხარის ქედს გავხარ,
მან ზიდა საწუთროს ურემი, სახნავი დახნა,
ახავი, ახავი, ახავი, გახა...

არა, შენ ხარივით არ სდუმდი ამასდროს, გახა
ამოალაგე გულიდან ჯავრი, მშვიდად ხარ ახლა,
შენ ერთხელ მოკვდი, ამისათვის არავინ გძრახავს,
ახავი, ახავი, ახავი, გახა...

ბედნიერი ხარ, ბედნიერი ამ ქვეყნად რახან,
ქედმოდრეკილი, დაჩოქილი არავინ გნახა,
და სიკვდილს ამგვარს, დამერწმუნე, სიცოცხლეც ახლავს,
ახავი, ახავი, ახავი, გახა...

სიმართლეს პირში ახლიდი ყველას მტერსა და მოყვასს
შენს სიახლოვეს ავკაცობა შიშისგან კრთოდა,
დროშა სიმართლის წინ გიძღოდა სოფლიდან სოფლად,
მკვდარი ის არის, ვინც ვერ თქვა სათქმელი და ისე მოკვდა...

შენ სიკვდილითაც ვალმოხდილი ხარის ქედს გავხარ,
მან ზიდა საწუთროს ურემი, სახნავი დახნა,
და სიკვდილს ამგვარს, დამიჯერე, მშვენებაც ახლავს,
ახავი, ახავი, ახავი, გახა...

ლერი ალიმონაკი

უხსოვრობა

რკალიდან: „უხსოვარი სიმარტოვე"

კვლავ აღსდგა ღამე —
ჟამთა უძრავ სვლისგან დაღლილი.
ისევ მოვიდა თავის ფერით
და იმავე ჩუმი ნაღველით.
მოვიდა ღამე —
ქაროვანი და ნისლოვანი,
გარდაცვლილი უხსოვარ ქვებში,
გადაკარგული არსთა დუმილში.
და აღსდგა ღამე —
უხსოვარი და უხილველი,
გაცრეცილი ცოდვათა ცოდვით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მეც აღვსდექი —
ჟამთა უძრავ. დაღლილობიდან.
ისევ მოვედი —
უცხო ფერით და სახილველით,
უმოწყალოდ ჩაკარგული
გვამთა ხსოვნაში
და გამდნარი ათასწლეულში.
და მე აღვსდექი —
სიმშვიდეთა მოძრაობიდან,
გადაკარგულ უდაბნოთა შავი
ქარიდან.
აღვსდექი ისევ —
უსსოვარი და სახილველი,
გაცრეცილი ცოდვათა ცოდვით...

მე რა ვიცოდი —
თუ ის ღამე კვლავ აღსდგებოდა.
არც მან უწყოდა —
ჩემი კვალად აღმოცენება.

და აღსდგა ღამე.
და მეც აღვსდექი.
ისევ შევებით ერთმანეთის
შიშსა და კრთომას —
მოწყვეტილნი
უმოძრაო წრეხაზის ბრუნვას
და წამთა ყოფას გადმოკარგულნი.
შევხვდით ერთმანეთს —
ძველთაძველი და უცვლელი
ცოდვებით სავსე...

და მეც მოვედი.
და ის ღამეც ისევ მოვიდა.
მოვედით, რათა კვლავ შთავიგრძნოთ
ამ წამთა ყოფა
და ხილვადობის უხილაობა —
ამომავალი უმოძრაო უსსოვრობიდან.
მოვედით, რათა შევაერთოთ
ფერი და ბგერა
და გადნეს ღამე — არსთა დუმილში,
მე — უსამარო გვამთა ხსოვნაში.
გავდნეთ დაკარგულ უდაბნოთა
გარინდებებში
და ჩავიკარგოთ —
ათასი წლის უხსოვრობაში.

ედემ კვირტია

ხსოვნის თვალსაწიერი

●

სხივი შორეული მზის
მოჰყვა განთიადის ხმებს.
ცრემლი სიხარულის გდის...
მოდი, შეგიმშრალებ ცრემლს.
ფიქრი ექსოვება ფიქრს,
მღერის სხივნათელი დღე,
წამო, წაგიყვანო იქ,
სადაც იბადება მზე.
ვნახოთ, ქარიშხლისას ზღვა,
როგორ აქანავებს გემს,
ტალღებს გაჯიბრებულ ნავს,
როგორ უხარია ეს.
ვნახოთ, სპილენძისფერ პეშვს,
როგორ გაუსხლტება მზე,
როცა უნებურად შენს
ცრემლებს დავინახავ მე...
სხივი შორეული მზის
გაჰყვა შებინდების ხმებს,
ცრემლი სინანულის გვდის...
ღამე შეგვიმშრალებს ცრემლს...

●

როგორ დავაოკო, რით
სულის მოტორტმანე ზღვა,
როცა სევდიანი ხმით
მღერის ღრუბლიანი ცა.
როცა გახსენება ჭირს,
როდის დაიბადე, სად,
როცა კაციშვილი ძვირს,
როცა კაციშვილი კარგს,
აღარ გაიმეტებს, არც
იგრძნობს აცრემლებას სხვის,
ცივად მიგიხურავს კარს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშვიდად მინებდება ძილს.
სინდისს ანაცვალებს ვერცხლს.
ოქროს — საქართველოს მრწამსს,
როცა გეშინია შენც
აღარ დაემსგავსო მას,
როცა შინაგანი ხმა
ყვირის ვულკანური ხმით,
არა გააჩერებს რა
ტალღებს აზვირთებულ ზღვის!..

●

ქარი შემოდგომის ჰქრის,
ფოთლებს ჭადრებისას ჰხვეტს,
ისევ გადაბმულად წვიმს,
ისევ მომენატრე დღეს...
გუშინ მოშრიალე ხის
შუშად გადაქცეულ ტოტს,
ცრემლი ღრუბლისფერი სდის,
ჰყვება მეზობელი ჭორს.
ჭორი აბლაბუდებრ ეჭვს
ისე გულმოდგინედ ქსოვს,
სულში დაგორებულ კენჭს
ისე დაამსგავსებს ლოდს.
ისე დააშვავებს ზვავს,
ისე ჩაგიხერგავს გზებს,
მართლაც შეგაძულებს თავს,
მართლაც დაგამსგავსებს შლეგს...
სევდაც მაჭარივით დულს,
ღვინოს მივეძალე კვლავ,
ნაღდად გავგიჟდები, თუ
აღარ გადაიღო ხვალ!

●

მიდის თოვლისფერი დღე,
სივრცე მოფარფატე, თრთის,
უსმენს სურვილების ტყე
უხმოდ ატირებულ ფიფქს.

შენი არაფერი მშურს,
ღმერთო, გაუმართლე მას,
ვისაც სიძულვილით სძულს,
ვისაც სიყვარულით სწამს.
ეიცი, უნდობარი დრო
ევეყნად ყოველივეს შლის,
ვიცი, დავიჯერებ, რომ
ყველას გახსენება ჭირს,
მაგრამ ბილიკებზე ვკალს,
სულში მოურჩენელ წყლულს,
როგორ დაუმალავ თვალს,
როგორ დაავიწყებ სულს...
ვხედავ: დაუფარავს თოვლს
ლურჯი გაზაფხულის ტყე,
ღმერთო, დამასიზმრე, გთხოვ,
ჩემი სიყვარულის დღე!

●

ატმის აფეთქებულ კვირტს,
წითლად ახანძრებულ ბაღს,
ლამაზ ოცნებათა ტვირთს,
ცაზე ცისარტყელას თაღს.
ველზე გადარბენილ ხმებს,
ჭაბუკს სიყვარულით მთვრალს,
ლურჯი სურვილების ტყვეს,
პირველ პაემანზე მდგარს.
კოცნას, ერთგულების ფიცს,
ხელში გაყუჩებულ ხელს,
ძარღვში ამღერებულ სისხლს,
თვალში სიხარულის ცრემლს...
წერილს გაყოლებულს წყალს,
შენსკენ გამოფრენილ ფიქრს,
სულის უჩვეულო წვას,
მთაში ჩამოწოლილ ნისლს,
უცებ ამოვარდნილ ქარს,
ეარში ყვავილების თოვლს, —
კიდევ, გამახსენებ რას,
ხსოვნავ, შერჩენილო დროს?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუგზარ წერეთელი



ერთხელ სრულიად მარტო წავიდა ბაკურიანში, ალარ შეეძლო გამოკეტილ, ერთფეროვნებით ავსილ ოთახში ჯდომა თუ სიცივით გაყუჩებულ თბილისის ქუჩებში სიარული, განუწყვეტელი კითხვა თუ საგამცდო საგნების მზადება. მისი ვეება პლასტიკური და ასოციაციური ხილვებით ავსილი სამყარო სიახლეს მოითხოვდა. ახეთ დროს ოთახი ალარ იყო ის არენა, სადაც გურამს უზარმაზარი ვნებების სრულად გამოვლენა შეეძლო, სივრცე და ბუნებრივი ასპარეზი სჭირდებოდა. მსგავსი სულიერი აფეთქებებისას ყველაზე უკეთესი გამოხავალი მისთვის ბაკურიანი და თელავი იყო.

ბაკურიანში ჩასვლიდან სამოდე დღის შემდეგ გამოგზავნილ წერილში მწერდა: „ჩემო ნუგზარ! კარგად ვიმგზავრე. ჩამოვედი და მშვენივრად მოვიწყვე. მთის ჭუჭაზე, მოხუც დიასახლისთან. ჭუჭის სულ ბოლო სახლია, ტყესთან. რომ ამოხვალ, იკითხეთ მიქაბერიძის ბინა. ორსართულიანი სახლია. მეორე სართულზე მომცეს პატარა ოთახი. რაც მთავარია, მაგიდა დგას, სადაც შეიძლება წერა. ნახევარ დღეზე მეტი პარკში ვარ. ისე მომნატრებია თხილამურებით სრიალი, დალლას ველარ ვგრძნობ. დღეს კოხტაზე ვაპირებ ასვლას. ჭერჭერობით ვგარეულება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 9.

ბეზიანი და უყარო ამინდია. ცოტა ხალხია ჩამოსული. სიწყნარეა, რაც მე მეკრძალება. მარტოობა, როცა საწერი დაგიგროვდება და გინდა განთავისუფლდე, არ არის ცუდი, მაგრამ მაინც მოწყენილი ვარ. წამოსვლა არ გადადთო, გამოცდებს დამთავრებთ თუ არა, იმ ღამესვე წამოდით“.

ბაკურიანში ათი დღის შემდეგ ჩავედით, თითქმის რვა ბიჭი ვიყავით და გურამის დიასახლისმა ველარ მიგვიღო. სამგზეიროდ, იქვე ვეერდზე მომდგარ სახლში გამოგვიყვეს ერთი დიდი ოთახი, სადაც რვავეს გვეძინა.

გურამის დიასახლისი გავიცანით, დილიდან საღამომდე მის ლოცვაში იყო, ეს რა ოქრო გამომიგზავნა ღმერთმა, რომ დარჩებოდეს, ვიშვილებდით.

საცოდავ, სამოცდაათ წელს გადაცილებულ ბოხუც ქალს სამი ვეუკაცი შვილი დიდ სამამულო ომში დაღუპვოდა, ახლა არავინ გაჩნდა მოხუცი დავრდომილი ქმრის, შორს მოლდავეთში გათხოვილი ქალიშვილისა და დიდი, გაუნელებელი დარდის გარდა.

გურამს ეცოდებოდა და ყოველნაირად ეხმარებოდა მოხუცს: შეშას უჩეხავდა, ის კი არა და, მგონი მომავალი ზამთრის სამყოფიც მოუმარაგა, რაშიც ერთხელ ჩვენც დაგვიხმარა; საკმაოდ შორიდან ვედროებით ეზიდებოდა

წყალს, ეზოსა და საწ�სახურავს თოვლავდა, ბერი, მარილი, ზაკარი თუ ნავთი მოჰკონდა, საღამოობით მოხუცებს წიგნებსაც კი უკითხავდა ზოლმე.

ჩემი წამოსვლის მერე გურამი კიდევ კარგა ხანს დარჩა და შემოკმედებით საქმეებით იყო გართული.

საკურთხეში ჩასვლამ ორი წლის შემდეგ მოგვიწია, ალარც მოხუცებული ქალი იყო ცოცხალი და ალარც მისი ქმარი. ქალიშვილი ჩამოსულიყო ბოლდავეთიდან და სახლი გიეყიდა.

ახლა მრავალრიცხოვანი ოჯახი ცხოვრობდა ამ სახლში, ეზოს ბაღშეკის ყიეფინა ავსებდა, გუნდაობდნენ ან ერთმანეთის თოვლში აგორავებდნენ.

გურამი იდგა, ჩუმი გულისტკივილით შეცქერილი თავის ყოფილ ოთახს, ალბათ იქ გატარებული დღეების იგონებდა და ჩვეულებრივ ფიქრობდა უღმერთო დროზე, რომელმაც ახე ჩქარა შეიწირა ორი წუნარი, დატანჯული მოხუცის უღიმღამო ხიცოცხლე.

ჩემს მიერ მონათხრობი ძალზე მაგონებს ხოლმე გურამის გაწყდებასა და ზოგიერთი ადგილებს პატარა, მშვენიერი ნოველიდან „მზიანი დღე", ამგვარი დამახასიათებელი ნაწუკეტებიო: „თოვლში გაგიყვავ და ტანის ზელვა დაიწყო. ზარკლიანმა თოვლმა ტანი დიუწოთლა... გურამ, შენს ვაზობას, ერთი შეშა დამიჩეხე და წყალი ამომიტანე... გურამი გარეთ გამოვიდა და ბაკურაანს ვადახედა. ღრმად ამოისუნთქა. თვალი მიაშტერა კოტაკს, რომელსაც მზის სხივი ეთამაშებოდა და კიბეებზე დადებულ მშრალ თოვლზე ეჩრაუნთნთ ჩავიდა. აქ თოვლი გამოქექა, ცელის ტარს ხელი წაავლო, ცელი თოვლიდან ამოათრია... როცა საკმაოდ დაბაო, ზვავი აიტანა, დაბერტყა და ღუმელთან დიდანწოო. შემდეგ ვედრილს ხელი დაავლო და წყლისა�დავშვა".

რა თემაზეა უნდა ეწერა, რა ეანრის ნაწარმოებია უნდა შეექმნა ყველგან ეგრძნობოდა თანამედროვეობის სუნთქვა და საკითხებისადმი ახლებური მიდგომა.

ნახეთ, რა ორიგინალურად აქვს დანაღული ხამაშული ომის დამთავრება ბავშვის თვალით: „ბაღარჭვების ამბავი ოთახის კუთხეში გავიგონე: მეზობელს ფანჯარა ჩავუმტვრიე და დამსაჯეს. გამარჯვებამ მეც მიხსნა, გახარებული გავვარდი ეზოში ბურთის ხათამაშოდ. მეზობელმა გადამალული ბურთი გადმომიგდო, ნამცხვარი მომაწოდა და მითხრა: თუ გინდა, ერთი ფანჯარა კიდევ ჩაამტვრიეო"

ან რა ხელშესახებად აქვს დახატული ხაბრელეანსო ამალლებული განწყობილება, ჭიხებზე გამოფენილი ხალნი, მოფრიალე დროშები და ბენდერეთის გაცისკროვნებული სახეები, ერთმანეთის მიპატიჟება, სითბო და უშუალობა, ოჯახური იდილია, ყველას შეკრება ალბიმო სუფრაზე, ის სიყვარული და ყულთადი დამოკიდებულება, რაც გასაოცარია ასეთ დღეებში ეგრძნობა ხოლმე:

„პირველ მაისს გამოიდარა, ფილით ბერი გამგზავრავლე და გრილი იყო. შუადღისათვის ქალაქში ჩამოცხა. უამბავი ხალხი აირია ჭუჩებში. ალლუმიდან შინ დაღლილი დავბრუნდი... რადიოში მოსკოვიდან იყო გადმოცემა. ისმოდა მარში, ლოზუნგები, შეძახილები. დიქტორი ალლუმს ალწერდა".

გურამს ყველგან და ყველაფერში პირველობა უყვარდა. ეს მისი ხასიათის თვისება იყო, იგი არასოდეს თავზე არ ახვევდა ვინმეს პირველობის ან უპირატესობის სურვილს, ეს თავისთავად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ხდებოდა.

ის იყო უადრესად ძლიერი და საკვირველი პიროვნება. უღამაზესი და კეთილშობილ ბიჭს მთელი თბილისი იცნობდა. გამოჩენილი ქართველი კრიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის კიტა აბაშიძის უფროსი შვილიშვილი იყო. თბილისის უნივერსიტეტის ფრანგული ენის ფაკულტეტი დაამთავრა და ჩინეთულად ფლობდა ენას, რომელსაც პატარაობიდანვე სწავლობდა: მთარგმნელობითი შრომისათვის ემზადებოდა, მორიგებულსა და საკუთარი თავისადმი მომთხოვნეს, ჯერ ნამუშევრები ფართო საზოგადოების სამსჯავროზე არ გამოჰქონდა.

ბრწყინვალე მოამსველელიც იყო. ეს ვაჟკაცური სპორტი ხსებრზე მეტად იზიდავდა, მრავალი რთული კატეგორიის მწვეველი დალაშქრა და სსრკ სპორტის ოსტატის წოდებაც ჰქონდა მინიჭებული.

გიგი მოულოდნელად გახდა ავად, ჯერ ვაჟკაცურად უძლებდა ტკივილებს, მერე კი ლოგინად ჩავარდა და გარეთ ვეღარ გამოდიოდა.

მივედით სახლში მასთან. ისე იყო გამხდარი, ვეღარ იცნობდით. ხხოლოდ თმა და ნაკვთები ჰქონდა ძველებური. აუტანელი ტკივილები ტანჯავდა.

გურამმა არ შეიმჩნია მისი უიმედო მდგომარეობა და სულიერი გამხნევების მიზნით გაგაცებით ელაპარაკებოდა მთებზე, იალტაზზე, ჩრდილოეთ კავკასიაში მიეტანულ შთაბეჭდილებებზე, გემით მოგზაურობის მოგზიბვლელობაზე. დარწმუნებით შეპირდა ფეხზე ადგებოდეთ თუ არა რომელიმე დიდი სამგზავრო გემით წაოდოდით ოდესაში და სვანეთისაკენ ვეწევოდით მანქანით.

გიგიმ ჯერ ხელი ჩაიქნია და ცრემლებიც მოადგა თვალებზე, მაგრამ გურამი ისე დამაჯერებლად და გაგაცებით ელაპარაკებოდა, რომ ცოტა ხნის მერე განაწამებ თვალებში თითქოს იმედის ხხიები აუკიაფდა და უფრო მეტ მონაწილეობას იღებდა საინტერესოდ წარმართულ საუბარში.

ეჰ, მაშინ როგორ შეშეძლო წარმოდგენა, ოდესაც გაფიქრებიც კი, რომ ამ შეხვედრაც ბოლოს ოცდაექვს-ოცდაშვიდ წლის სიცოცხლე ეწერათ!

გურამ რჩეულშვილის მიერ ჭაბუკობის ეპოს ნაჩუქარი უსათაურო მოთხრობა, ავერ სადაცაა მეოთხედი საუკუნე იქნება, შენახული ჭკნეს ჩემს პირად არქივში, როგორც უძვირფასესი სახსოვარი და საუკვირელი მეგობრის მიერ დაბეჭდებული განძი. თვალსაჩინეთ ვუფრთხილდებოდი, გადასაბეჭდადაც კი ვერ გავბედე, არც მიხი მოთხრობების კრებულში მივეცი გამოსაქვეყნებლად, რაღაც მიბორკავდა ხელებს, ასე მეგონა, ახალი მოთხრობის გამოქვეყნებით გურამს ახალ სიცოცხლეს განვიცდიდი.

1977 წლს ეურნალ „ცისკრის" რედაქციის მორიგი სხდომის დროს, როდესაც ეურნალის ოცი წლისთავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოსაქვეყნებელ მასალებს ვარჩევდით, განვაცხადე — გურამ რჩეულშვილის გამოუქვეყნებელი მოთხრობა მაქვს-მოვაქი. შეეთანხმდით საიუბილეო ნომრაში მის დაბეჭდვაზე.

მაგრამ, როდესაც სახლში დავბრუნდი და ნოველას გადავხედე, მოგეჩვენა, თითქოს მისი გამოქვეყნებით რაღაც ჩემეულს და უფრო მეტად პაწაწინა იმედს ვკარგავდი.

როგორც ჩანს, ყველაფერს აქვს ბოლო და დასასრული; გადავწყვეტე, გურამისადმი მიძღვნილ წიგნში მისი აქამდე სინათლეზეზლავი ნაწარმოებიც შევტანო. მე ეგი ფრთხილად გადმოვწერე, სიტყვა კი არა, ერთი მძიმეც არ შეშიცვლია.

როგორც უკვე ვთქვი, მოთხრობა უსათაუროა და თარიღად 1956 წლის 4 სექტემბერი უზია. ეს მისი ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებია. ბასათებისა თუ მოფლენების ხატვასან უკვე კარგად ჩანს ახალგაზრდა მწერლის ხელსი, უზადო ნიჭი. ალსანშნავია ის გარემობაც, რომ ნოველის თავკარი მოკმედა გმირი ჩვენთვის კარგად ნაცნობი და მახლობელი ვაჟა ჯანდიერი. რომელსაც უკვე შეეხვედი ამავე, 1956 წელს დაწერილი ნაწარმოებების ფურცლებზე, როგორიცაა „ახელა", „ნადირობა", „პირველად ტრამალებში" და სხვა.

●

„—მთელი დღე ქარი ქროდა და სალამოსთვის მოიკრიბა; ცოტა აცივდა. ზღვის ტალღებმ ხმაურს უმატეს. ვაჟა იდგა და თვლიდა: ყოველი მესამე ტალღა ჯანიერებს ჰქეთ ქუჩაში ეცემოდა. წამოწყწყლა. მან ჩემოდნები აიღო და სადგურის გზას გაუუვა. ფოსტიდან ლევანი გამოვიდა ღიმილით; ერთმანან ზღვას უყურა, მერე ჩაფიქრებით მიმავალ ვაჟას ხიცილით მიმართა:

— ჰა, წუნია ჯანდიერო, კიდევ რამდენ ხანს დარჩები აქ?

— მე? რა ვიცი, ერთი კვირა ან ათი დღე, მოცლედ, ენახოთ.

— წამოდი, ბიჭო, ბარემ, ხომ ხედავ, ახალგაზრდობიდან შენს მეტი არავინ რჩება, — არ იხვენებდა ლევანი.

— კარგი, გეყო ამდენი ლაპარაკი წამოხვალთან, თუ გინდა, ლექსები თქვი, — ხვეწნით უთხრა ვაჟამ.

— ლექსები? კარგი, მაშ დავიწყე, „და ალი... — ოღონდ ძალიან არ გაგიჩერდეო, — გააწყვეტინა მან.

— არა, ნუ გეშინია, ტიციანია:

და ალითნზე თეთრ დუქანთან
ტირის არცანი,
მტკვარი ახლოა
მინდა მტკვარში თავი დავიღრჩო...

ლექსი ჯანდიერმა გააგრძელა შუიდან თავიი ბოში, ბავერდოვანი ხმით:

ნინა, ნინა, ჩემო ნინა,
გათხოვება ხომ არ გინდა?
გათხოვება რომ მინდოდეს
შენი კითხვა მე რად მინდა.

ორივემ გულიანად გაიცინეს, მერე გაჩუმდნენ.

შარაგზა ზღვის ნაპირს გაუყვა. წამოწვნმა, დარჩენილი რუსი მოაგარაკეები ფეხსაცმელებს იხდიდნენ და ახე მიბრძოდნენ სახლებისაკენ. ბიეებმა სადგურის პირდაპირ მიერუბებულ დუქანში შეუხვიეს. შორიდან მოიხმოდა ზღვის ხმაური. ქუჩქუიანი სამწვადის ერთ-ერთი ფანჯარა შარაზე გამოდიოდა.

ერთხანს უხმოდ იხსდნენ. მერე ლევანმა შავი ულვა და ორას-ორასი გრამი „ენისელის“ ბარკის კონიაკი შეუკვეთა. თითო ჭიქა მდუმარედ შეისვა. სიჩუმე ვაჟამ დაარღვია.

— რიგელზე ვადის მატარებელი?

— კიდევ მოელი საათია.

— ლევან.

— რა?

— მარტო იქნები ვაგონში?

— მე? არა, მოელი ქართველობა დღეს მოდის, მოკლედ, შენეი დაამშვენებ ავარაკს. ორივეს გაეცინა.

ბაკანზე ნახევარი საათით ადრე გავიდნენ. მათ ხხვა ქართველებიც შემოუერთდნენ. უმეტესობას ლოყებაწითლებულები რუსი გოგონები აცილებდნენ. გამოშშვიდობებაში დრო სწრაფად გავიდა.

საღამოს 8 საათზე სადგური დაცარიელდა, ვაჟა მარტო გამოუვეს: ავარაკისაკენ მიმავალ გრძელ გზას. ზეიმი შეწყდა, ბინდდებოდა.

ძალიან ეხიამოვნა ნაწვიმარზე ზღვის პირას გავლა, თანაც სულ მარტოს. შვებით ამოისუნთქა. აქამდეც ცალკე ცხოვრობდა, მაგრამ ამხანაგები არ ასვენებდნენ. ახლა მოაგონდა, რომ წელან ლევანმა წუწუა დაუძახა და გიერიმმ; თან გულში სიამაყე იგრძნო, რომ ცუდ ქალთან, გინდაც ცოტა შეუუხდავი ყოფილიყო, არ მივიდოდა; სხვები კი ერთ ამბავში იყვნენ, ყველა შემხვედრს კოცნიდნენ, სიყვარულა ეფიცებოდნენ, მაინც ცოტას გამოსდიოდა რაიმე. აგერ წასულმა ლევანმაც მოელი ათი დღე სდია პერეკისთი თმებგახუნებულ, ოყროსკბილებიან ოცდაათი წლის ქალს და მაინც არაფერი გამოუვიდა. ნოდარმაც ბევრი იწვალა, მარნალია, შედეგიანად, მაგრამ იმ გოგოსთან თავმიმწონე კაცი ახლოსაც არ მივიდოდა. ვაჟას გაიცინოოლა — ან როგორ ელაპარაკებოდნენ მით უმეტეს კოცნიდნენ და სიყვარულს ეფიცებოდნენ ეგეთებს. „მაგან ჯობია შენთვის იჯდეს, ან რა სავალდებულოა. თუ ქალაქში მოელი წელი ძლებს ზოგი ახე, რაღა ამ სიმშვენიერეში მოუნდებათ ქალი. მაგრამ ერთმანეთს ყვებიან, გაუგიათ რაღაცა და“. — ვაჟას სასმენი მოეკიდა და ჯავრობდა, „ახლა ჩავლენ და ტარბახით აიკლებენ ქალაქს. თავის მახინჯებს ანგელოსებად დახატავენ“

დაბინდდა. ტალღების ხმაურმა იმატა. ვაჟას ეხიამოვნა სიმარტოვე და ზღვის პირას ჩამოჯდა, აქაფებული ზხეფები სახეზე ეცემოდა. კარგა ხანს იჯდა ახე და არაფერზე არ ფიქრობდა. მერე ნელა შეიქცა მის შეგრძნებაში, რომ სურათები ჰქონდა გამოსატანი. მოაგონდა, რომ ერთადერთი გოგო, რომელიც ბან მოეწონა, სურათში ცუდად გამოსულიყო; გადაწყვიტა არ გამოეტანა. სასმენი გამორთული. მოწყენილობა იგრძნო სიმარტოვისგან, მაგრამ თავს არ გამოუტეტდა და ტურმაბრისაკენ გასწია. აქაც სიცარიელე დახვდა; ორშაბათს ცეკვები არ იყო. ბუფეტზე ნაღელვი შემოაწყო და ნაცინობ ხომხებთან ლუზვია; არც ისინი დახვდნენ სახლში — დიახლსოსმა უთხრა „სოჩაში“ წავიდნენო. ქუჩაში ნაწვიმარზე იშვიათად თუ ვინმე გაივლიდა. ხელები ჯიბეში ჩაიწყო და „ავარას“ სტვენით წავიდა რესტორნისაკენ; თან გოგონაზე ფიქრობდა. მწარე მოგონებებისგან სტვენა შეხწყვიტა, ახლაც ვერ მოენელებინა ელენას ახე გაშვება, თან რა გოგოსი. ხელი ჩაიქნია და მარტოკა შევიდა „ავარაცხაში“.

ჩვეულებრივ ხალხმრავალი რესტორანი მოწყენილი გამოიყურებოდა. ბუხიკოსები ერთმანეთში საუბრობდნენ. სადღაც დარბაზის ბოლოში ბუზები არეოთა ლოთობდნენ. ვაჟამ მოქეიფეებისაკენ დაიპარა ნახედვა. მაგრამ გადაიფიქრა, სკამზე დაეშვა. შავი ულვა და ორასი გრამი კონიაკი მოითხოოა. ბუხიკოსებმა ირიბად დაგდმიხედეს ბან და საცოდავად ააკვნესეს ფორტეპიანონ, ჩელო და აკორდეონი, მეოთხე საკმოფონის მსგავს ხაკრავზე უკრავდა. ჩქარა კვარტეტის მოწყენილი ხმებიც მიწყდა.

ვაჟამ კონიაკი გადაპარა და ულვა დაიყოლა.

ნუგზარ ფერაძეული

მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ

კიდევ მოითხოვა. მერე მომტანის ხელით მუსიკოსებს თხუთმეტი მანეთი გაუგზავნა. გაისმა „მაგდანის ლურჯადან“ ამოღებული შენახშირის მელოდია. მეხაკსოფონე დროდადრო წყვეტდა-დაკვრას და მთელი ხმით ამღერებდა „— ნახშირი-ი-ი, ნახშირი-ი-ი...“

რესტორანში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. დამკვრელებმა უხმოდ აკრიფეს თავიანთი საკრავები. ფორტეპიანო დაიხურა. „სსირცხა“ მაინც განაგრძობდა მუშაობას. დარბაზის ბოლოში გზის მუშები არეული ლოთობას განაგრძობდნენ.

ვაჟა დათვრა. კიდევ მოითხოვა კონიაკი და დაწოთლებული თვალებით შეათვალიერა მაგიდები. გულზე ნაღველი შემოწვა. განსაკუთრებული სიმწკვივით იგრძნო სიმარტოვე და ვინმესთან საუბარი მოუნდა. დაალპირა მუშებს შეერთებოდა; კიდევ ეჯა და კონიაკი მოუტანეს. იგი უზომოდ მიაშტერდა მომტანს, ახლოლა შეიგრძნო, რომ ის ქალი იყო. უზომოდ მოუნდა გოგო — ახალგაზრდა, თეკვსმეტი-ჩვიდმეტი წლის გოგო.

— მიანგარიშეთ, — ჩახლეწილი ხმით დაიწყო ვაჟამ.

— ახლავე, გენაცვალე, ახლავე, — ორმოცს გადაცილებული, შედეგილი, ბავგანიერი დიაცი თეძოების რხევით წვიდა ხაანგარიშოს მოსატანად. ვაჟამ თვალები გააყოლა. ახლა ისევ იგრძნო მოწოლილი ვინი.

— ხაოცი მანეთი, გენაცვალე, და რამოდენიმე კაპიკი, — ჩათვალა ქალმა. ვაჟამ უხმოდ დასდო მაგიდაზე ფული, მერე უთხრა:

— პატივცემულო, ერთი კონიაკი შემისვიო.

— არა, გმადლობთ, — ქალმა უშნოდ დახვეული თმები ზურგზე გადაიყარა, — ბევრთან საამუაო დროს არ შეიძლება, მერე სიამოვნებით.

ვაჟამ ხელი მოიდო მაჯაზე და მთვრალი კაცის სიჯიუტით დასვა სკამზე.

— დალიე, ჩემი სადღეგრძელო.

ქალმა ჭიქა აიღო, თავი მიაბრუნა და კონიაკი გადაკარა, მერე ხანში შესულის ულაზათო სიკეკლუცით მოშორდა მაგიდას, კარებთან მობრუნდა და კბილები გამოაჩინა.

ნახევარი საათის შემდეგ რესტორანმა „სსირცხამ“ მუშაობა შეწყვიტა. გზის მუშები ახლად ატაცებული „მენახშირის“ სიმღერით გაუყვნენ გზას. ვაჟამ გარეთ გამოსულ მომტანს ხელფასავი გამოსცა და დაიწყო: —

— უკაცრავად, მე იცით, რამდენი ხანია თქვენთვის დავდიოდი ჰე, თქვენ კი ალბათ ვერც მაჰჩნევდით.

— რას მეუბნებით, არა მჯერა, — ქალი მიაყვა ხელისკენ და მკერდზე მიეკარა ვაჟს.

ბალასკენ გადაუხვიეს. ერთად ისმოდა ტალღების შხეილი. შუალამეს წვიმა წამოვიდა, ჯერ წინწილავდა, მერე ინატა.

— კოკისპირულად წვიმს, — თქვა ქალმა დაკბის ხმორებით ადგა სკამიდან, გადაიკისკისა.

ვაჟამ ოქროს კბილებს მოაკრა თვალი და გვერდზე გადააკურკუა, მერე გამოუშვიდობებლად ნელი ნაბიჯით დაადგა გზას. უზომოდ სიამოვნებდა კოკისპირული წვიმა და სიმარტოვე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან სანიკიძე

ყოჩარქაფო ხმლები

●

სინდეთიც დაიპყრო „ბედისწერისგან თავდახსნილმა“ ნადირ შაჰმა.

სინდეთიდან ყანდაჰარს მობრუნდა.

ერეკლე გამოიძახა, წინ დაისვა და უთხრა: უსაზღვროდ მადლიერი ვარ შენის ერთგულებათ, სიმამაცით და გონგამჭრიახობითო; ვიცი, გული საქართველოსკენ მიგიწევს, ძალიანაც ეჭირვები შენს ქვეყანას და მეც ალარ დაგაბრკოლებ, — ნება მომიცია შენს ქვეყანაში წასვლისა და მარადის ჩვენის წყალობის მოიმედე იყავიო.

მძლავრად უცემდა გული ქართული ცისა და მიწის მონატრულ ბატონიშვილს...

1739 წლის 13 დეკემბერი იყო, ნაშუალამევის ოთხი საათი.

ერეკლე მოვიდა ალავერდს.

ცხენიდან გარდახდა, დაემხო და ეამბორა მიწა-ლვთაებას.

განადირება მონადირისა

სანამ ერეკლე ბატონიშვილი ნადირ შაჰის სამსახურში იდგა, მანამ ქართლის მიწაზე დიდი ცოდვა-ბრალის კალო ტრიალებდა.

ყიზილბაშები ადვილად ახერხებდნენ ქართველ თავადთა შორის მტრობის ჩამოგდებას, შინაქართული სისხლთა თხევასა და შინადაკცევას.

ყველაზე ძლიერნი — ქსნის ერისთავი შანშე და ზემო ქართლის მფლობელი გივი ამილახორი ერთიმეორეს დანასისხლად გადაკკიდებოდნენ და მათი მძიმე ეროვნული ხმლები უფრო მწარედ შინაურს ხვდებოდა ხოლმე, ვიდრე გარედან მომხდურს. ამილახორს ქსნის სერისთავი „სათათრეთზე“ ნაკლებ სამტრო ყვეყნად არ მიაჩნდა და არც შანშეს ეზოგებოდა საამილხაროს ქართველობა ყიზილბაშებზე ნაკლებად. ამილახორი ყიზილბაშებით შეიქრებოდა და აოხრებდა ქსნის ხეობას, შანშეც ლეკთა ჯარებით ეხმოდა და აწიოკებდა საამილხაროს...

მკითხველს ახსოვს, რომ შანშე ქსნის ერისთავი 1737 წელს რუსეთში გაიქცა, სეფე-ხანისგან დამარცხებული. მერმე ისევ მობრუნდა, ვახტანგ მეფისგან გაწმენდილი.

მაგრამ ვიდრე შანშე რუსეთს იყო და სამეფოში ბრძოლა ბრუნდებოდა, მის ოჯახსა და საკმო-საპატრონოს ახალი უბედურება და ვაი-ვაგლახი დაატყდა თავს.

ყიზილბაშებთან ბრძოლას განაგრძობდა შანშეს უმცროსი ძმა, იესე. ბრძოლა ისევ იყო უთანასწორო და უიმედო, მით უფრო, რომ

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 1, 2, 3, 4, 5, 8, 9.

ენიზლაშაზეს ქსანელებთან ომში არაგვის ერისთავი უთრუთ ეხმარებოდა. ბოლოს, ძმისა და რუხუილი დაბპარების მოლოდინში, სახო წარეკვეთა იესეს. ბრძოლა დაადგა, ოჯახი აპყარა და კახეთს გიაკა თავშესაფრად.

ორ წყებად მიდიოდნენ ლტოლვილნი — იესეს ოჯახი და შაშვეს ოჯახი.

კახეთისკენ მიმავალ ქსანელებს გზა „მტრულ ქვეყანაზე" — არაგვის ხაერისთავიზე ედოთ.

უთრუთ არაგვის ერისთავს იმ დღეს ენზლაშაში სარდლები ჰყავდა ხაზუმოდ. ქართველი რის ქართველი იქნებოდა, თუ „უცნობთმოყვარეობის სასწაულს" არ დაატრიალებდა. კარგად, „ქართული რჭულით" რომ რჭულზე ანადია. მასუკან ბაზალეთის ტყეებში ხანადროდ გიიეანთა უთრუთ ერისთავმა „ძვირფასი სტუმრები".

და სწორედ მაშინ მოხდა ეს მანამდე გაუგონარი „ქართულ-ყეოდალური სიწამხდრე".

მონადირე ერისთავმა ბაზალეთის ტბასთან თვალი მოჰკრა კახეთისკენ მიმქროლავ „უცნო ცხენოსნებს".

გამოედევნენ არაგველები და შეიპყრეს ქსანელები.

„ძვირფასი ნანადირევი" აღმოჩნდა: იესე ერისთავის ცოლი და მისი მსახურეული ამალა.

ქალი ძალიან ლამაზი იყო.

ესეც ჩემს ძვირფას სტუმრებს მოუხდებაო, — გონება „გაიბრწყინა" არაგვის „სტუმართმოყვარე" მბრძანებელმა.

და ქართველი ქალი, მეზობლის ცოლი, საქართველოს დამაკეცვარ ენზლაშაზეს მიართვა „ქართველმა ვეფკაცმა".

ეს ათი წელიწადი გასულიყო ცოდვიანი „ბაზალეთური ომიდან".

ახლა ახალი სრცხვილით იწყოდა ბაზალეთის მიწა — განადირებული ქართველი ვეფკაცისგან ნადალატეკი ქართველი ქალის სირცხვილით.

განადირება გაგახეგულისა

დაბრუნდა შაშვე ერისთავი.

დახვდა საერისთავო აკლებული, ოჯახი ატირებული, ძმა და რძალი გაბახებული.

სახე დაილეწა სილაკის ცემით, წვერ-ულვაში დაიწიწკნა, სადაც კი ტბილი მიიწდინა — ხორცი ტბილით შემოგიჭრა.

ხოლო, როცა გონს მოეგო, მაშინვე „გონიერულ შურისგებას" შეუდგა.

ჭარში წავიდა, თორმეტი ათასი ლეკი წამოიყვანა და ხაარაგვის შემოუსია.

ჯერ ხაშმის ციხეს მიუხდნენ, ციხე აიღეს და „იავარ-ჰყვეს ხაკონელი ანუ ტუკე ურიცხვი".

უთრუთ ერისთავი ცოლ-შვილით, ძმებით, ხალეულეებით და არაგველთა ჯარიდან ციხეში ჩაიკეტა.

გარს შემოარტყეს ანანურს ლეკთა ჯარები შაშვემ და იესემ.

დღე და ღამე სცემდნენ თოფებს მოალეენი და „შიგნით მყოფნი ციხისანი".

მაინც სჯანმიდნენ მტერს ანანურისანი: „ამდენი ლეკი ამოსწყვიტეს", რომ ცოცხალი ლეკების მკვდარ ლეკებს გარშემო „სანგრად იკლებდნენ" და ისე განაგრძობდნენ თოფის სროლას.

ალეა გაჭიანურდა. ლეკთა გვამებით ნაშენი სანგარი იზრდებოდა, ანანური კი ნირშეუცვლელად ანანურობდა.

მაგრამ ბოლოს მაინც მოიმარჯვეს მოალეენი ბანაობანიანებული ციხე-სიმაგრის დაჩოქებას ყველთაძველი „წესი": შაშვემ ანანურის შემოგარენი მოაჩხრეკინა საგულდაგულოდ; ციხეში შემავალ წყლის ნაკადს მიაგნო და წამხვე გადაადგო კალაპოტიდან. მაცოცხლებელი ძარღვი დაეხშო ანანურს. წყალდამშრალ ციხე-სიმაგრეში მზე უარესად გახელდა და გაცეცხლდა. სიკვდილიც გაშინაურდა სიცხით და წყურვილით ხელდარეულ არაგველი შორის.

სხვა გზა ვეღარ იპოვნა უთრუთ ერისთავმა და შერიგება სცადა გამძვინვარებულ ქსნის ბატონთან. ძმებს გამოგიგზავნი მოსალაპარაკებლადო, ოღონდ წინასწარ უვნებლობის ფიცი უნდა მომეცეო, — უთვლიდა უთრუთი შაშვეს.

შაშვემ უვნებლობის ფიცი გასცა.

გამოვიდნენ ციხიდან უთრუთის ძმები — ბარძიმი, აბელი და გიორგი.

სამივენი მძევლებად აიყვანა შაშვემ და ახალი მოთხოვნა შეუგზავნა უთრუთს: თუ მართლა შერიგება გსურს, ახლა შენ თვითონ შენის ცოლ-შვილით გამოდი, შენმხედი და შევრიგდეთო.

არ ენდო უთრუთი მისგან გაბახებული მეტოქეს შემონათვალს და ანანურის უმაღლეს და უმტიკეს კოშკში ავიდა ცოლ-შვილით („შეუოვარ კოშკს" ეძახდენ არაგველები იმ სიმაგრეს).

მაშინ თავები დაიყრევნა შაშვემ სამივე ძმას — ბარძიმს, აბელს და გიორგის. ბარძიმს და აბელს ცოლ-შვილიც გაუწყვიტა, ხოლო გიორგის ცოლს ზურგზე ქვამარილი ატვირთა და ისე შეაგდო ლეკთაგან ნატყვევარ ქართველთა რიგში.

მასუკან „შეუოვარ კოშკს" მიუსია ლეკები შაშვემ. ცეცხლი შეუგზნეს საძირკველის გასწვრივ. ერთი დღე და ღამე განუწყვეტლივ აყრიდნენ შეშას. ერთი დღე-ღამე წვერს ზემოთ ელვნდოდა გოდოლის ხანაძირი.

უთრუთ ერისთავი ცოლ-შვილით ჩაიხრჩო და ჩაიწვა ცეცხლსა და კვამლში.

ბოლოს იქექა სიცხით გულგაპობილმა კოშკმა და ძირს დაენარცხა ნანგრევ-ნალეწად, ქვიან-მკვიდრიანად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიპრნენ ლეკები ანანურშ, „აიკლეს, აიოზ-რეს მონასტერი, დაამტვრიეს ხატნი პატიოსანნი, გამოსახნეს ესენი ფეთვითა... ეუვეს ყალთანი (ხოცვა-ეელტა) ქალით კაცამდის“...

სხვა რაღა უნდოდა შაშნე ერისთავს!

მისი „სიოცხლეი ჩამობანნი იყო“

ჩამობანნი ისევ ქართული „წვრილი ერის“ წმიდათა სისხლითი.

. . .

ლეკებმა ხაშმისა და ანანურის ციხეებში ნატყვეანი და ნაშოვარ-ნაალაფარი ახალგორში დაიბინავეს და მყისვე ქვემო ქართლისკენ წამოემართნენ „დამაკეხით“ სარბეველ და საძარცვაოდ. დმანისის ციხეს დაეტაკნენ, მაგრამ ძვირად კი დაუჯდათ. გამოუხდენენ მეციხოვნე ქართველები ქიბოხარო ყაფლანიშვილის სარდლობით. გამოუხდენენ და „შაშნეს ეგიქცევეს ლეკნი, ასე ამოსწყვიტეტს, რომ რისხვა ღვთისა დასცეს, ათს დღემდის ტყეში იმერდნენ მრავალს და მოყვანდაო ცოცხალი დმანისსა ციხესა შინა“.

ყიზილბაშებმაც მოუსწრეს განჯიდან სეფიხანის სარდლობით და იმათაც დაიდეს „თავისი წილი“ ლეკთა „მოსპოლვაში“.

სიკვდილს გადარჩენილმა ლეკებმა ისევ გაკუსლეს ახალგორისკენ.

გამოდევნენ სეფი-ხანი და ქართლის შაშნე-დელი გამგებელი ა ს ლ ა ნ ბ-ხ ა ნ ი (ტფილელ ქართველი, ორბელიანთა საგვარეულოდან).

ლეკებმა მოასწრეს ახალგორიდან ტყვეთა და ნაძარცვთა გაყოლიება და კახეთს გაღწევა, მაგრამ ახმეტასთან დაუხვდნენ ქართველები და ყიზილბაშები და ყველანი ამოსწყვიტეს, — სულ ათას ხუთასი ლეკის თავი „წამოიძღვანეს“ გამარჯვებულებმა.

. . .

იმავე 1738 წლის მიწურულს ასლანბაზ-ხანი და კიდევ „ორი სხვა ხანი“ მოუხდენენ ქსანზე შაშნე ერისთავს ყიზილბაშთა და ქართველთა მხეარობით. ძლიერად დაუხვდნენ ქსანელნი „ორივე მტერს“ — გადამთიელსაც და თანამოძმეებსაც. მაინც აიღეს და დაჰქიცეს ყიზილბაშებმა იყორთა და კუღანითი. შაშნე ერისთავი ვანათის ციხეში გამაგრდა. ოცდაორი დღე ამოოდ მიჰქონდათ იერიშები მომხდურებს ვანთის კლდეებზე. ქსანელებმა შიგნითან სროლით „ბევრი თათარი და ქართველი მოკლეს“. მერე ამბები აიშალა, თოვლი მოვიდა, ეინვამ მოუქირა, მოალეკებმა ვეღარ გაუძლეს ტარონის ბირეულოებას, აიყარნენ და ტფილისისკენ დაბრუნდნენ ცარიელ-ტარიელნი.

თვითონ ასლანბაზ-ხანმა ტფილისამდეც ვერ მიაღწია: გორს გარდაიცვალა მოულოდნელად. შაჰ-ნადირმა მის მაგივრად ქართლის გამგებლად გამოგზავნა ხვარსანელი ი მ ა ბ-ყ ი-ხ ა ნ ი, რომელსაც ეახლოვნენ მრავალთან და „მარჯვენა ხელად“ ტფილისში ისევ დაჰგდა ამდულა-ბეგი, იესეს ძე, ვახტანგ მეფეთაგან ძმისწეული.

იმამ-ყული-ხანმა შაშნე ერისთავის წინააღმდეგ ბრძოლა განაახლა და ქსანზე მოღალჭრე მხეარობას სწორედ ამდულა-ბეგი უსარდლა.

ამდულა-ბეგმა არაგვის სეიერისთავიშვილ გატარა ჯარი, ლომისპირ გადაიარეს და ცხრაძმისაზე დადგნენ. აიბრეგულ მიწა-წყალზე საზრდო ვერარა; მოიხელთეს, დაიმშენენ და უკანვე ისე ჩამობრუნდნენ, რომ „ვერა ავნეს რა ერის თავს შაშნეს“.

ჯარილში „ეირეეელობა“ არ იკმარა შაშნე ერისთავმა და იმერეთის საქმეებზეც ჩაერია: ლეკთა ჯარი მიაშველა იმაყარ მეფეს... თუმცა ამ ამბავზე ქვემოთ გიამბობ, ჩემო მკითხველო...

„მაინც არ შეუძლიათ უჭართველეგოდ“

ინდოეთის დალაშქრის შემდგომ ნადირ შაჰმა თურქეთსანი დაიპყრო, ბუხარა და სამარკანდი აიღო.

თემურ ლენგის მემკვიდრეობის დაპერის შემდგომ კავკასიისთვის მოიცალა მთლიანად.

ერანის ხელმწიფემ უწინარესად ლეკთა ქვეყნების დაპყრობა ამოიკრა ვულს. დადესტინისა და ჭარის დაუფლებით შაჰს შეეძლო გადაჭრით აღეკვეთა რუსეთისა და ოსმალეთის ეინიანი სწრაფვა ალმოსავლეთ კავკასიის დასაკუთრებისა.

აზიისა და ევროპის კავკასიური ეზაკვეთილი იმეამად ყველაზე ძლიერ ხელმწიფეს უნდა სჭეროდა „მაინც და მაინც...“

მაგრამ ესეც იცოდა შაჰ ნადირმა: ლეკებთან ბრძოლა ყიზილბაშებს უჭართველებიდ არასაბრძოლ არ გამოსდიოდათ. ნადირსაც კარგად მოეხსენებოდა ლეკთაგან ამ ოცი წლის წინათ ნათქვამი და „გაჰკვეესენებული“ სიტყვა: ოღონდ ქართველი ლომებისგან გადაგვარჩინა და ყიზილბაშების ხმლებისა ჩვენ ვიცოდეთო!..

ქართელი ერანის ყმა იყო და ტფილისშიც შაჰის ქვეშევრდომი ხანი იჯდა ხაინად. ამდენად, ყიზილბაშებს მათი „ეანონიერი უფლების“ ძალით ყოველთვის შეეძლოთ „მთავაოი საქართველოდან“ ლეკთა მზარავი ჯარების გაყვანა. მაგრამ ჯერ ისევ საქმე ერთთელებდა შაშნე ქსნის ერისთავი, რომელიც ლეკებთან „ძმობას“ განაგრძობდა და მათი თანადგომით ყიზილბაშებთან ბრძოლას მაინც არ ეელოდა. ლეკთა ბელადი მ ა ლ ა ჩ ი ეახლოესი „ძმა და მეგობარი“ გამხდარა ქსნის ერისთავისა.

ისევ კახეთი აღმოჩნდა „უფრო საიმედო“ ძალა ერანისთვის.

თეიმურაზ მეორე ნადირ შაჰის „ძმა და დო-

ლევან სანიკიძე
უჭარქავშო ხმლები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტი'' იყო, ხოლო ბატონიშვილი ერეკლე თეიმურაზის ძე — მისი „მოწყალე და გაბრდილი''.

მთავარი მაინც ის გახლდათ, რომ კახეთის მესვეურები ახლა ნადირ შაჰს კი არა, თუნდაც სატანას შეეკრძოლნენ კაკბრიად, ოღონდაც ლეკიანობის უბოროტესი ფესვები ამოეშანთათ კახურ მიწა-წყალზე.

ამიტომ თეიმურაზი „სიხარულითა დიდითა'' დაეთანხმა ერანის ხელმწიფეს ლეკების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაზე...

1739 წელს შაჰ ნადირმა ჭარის დასაპყრობად გამოგზავნა თავისი ძმა იბრაჰიმ-ხანი. ბრძანება მიიღეს და იბრაჰიმ-ხანს შეუერთდნენ: განჯის ბეგლარბეგი უღლი-ხანი, თეიმურაზ მეფე კახელთა ჯარით, ხანჯან-ხანი ქართლელთა ჯარით და ტფილისში მდგარი ყიზლებაშებით.

ჭარს მიადგნენ.

ქართველები წინ გაიძღოლეს ერანელებმა.

გამოუხდნენ ლეკნი, ცქაფად აღეპრეკილნი და ამხედრებულნი.

გაალმასებით შეუტიეს და უკუაქციეს ქართველებმა.

ცეცხლით, რკინით, ძარცვა-რბევითა და ტყვეობა-ოხრებით მოიდგნენ ყიზლებაშნი უმამაკაცოდ დაგდებული „ჭართველებუნელ ლეკთა'' და „გალეკებულ ქართველთა'' ხახლ-კარს.

კიკუსიონის ქედამდე მივიდნენ და ყველა ლეკური (თუ ქართული) ციხე-სიმაგრე დაანგრიეს და მოთხარეს.

რაკი ჭარი „საბოლოოდ დაიპყრეს'', ქართველების იქ ყოფნა ალარ დაინაპირეოს ერანელმა სარდლებმა და დიდი „პატივით გამოისტუმრეს'' თეიმურაზი თავისი კახელებით და ხანჯან-ხანი ქართველებთან.

(იბრაჰიმ-ხანმა და ყულული-ხანმა ან არ იცოდნენ, ან დაივიწყეს ლეკთა „გაჰკვეულებული'' ნათქვამი: ქართველ ლომებს თუ მოვარჩინთ, ყიზლებაშებისა ჩვენ ვიცოდეთო...).

ქართველების წასვლის შემდგომ ხამი დღე კიდევ დათარეშობდნენ ყიზლებაშები „დიდსა'' და „მცირე'' ჭარში. მას უკან სამხრეთისაკენ დაიშვნენ ნაალფაეევით და ნატყვევნავთ დატვირთულნი.

ყიზლებაშთა მხეცრობა წინ მოდიოდა. მოჩორებთან სარდლები მოპყვებოდნენ მცირე რაზმით, არხეინად და გულდანდობილად.

სადაც რომელიღაც მცირე მინდორი გამოჩნდა, ლერწმიანით გარშემოკარული. ეს „ადგილი შვენერი'' მოიერთა იბრაჰიმ-ხანმა ყალონისა და ყვინის მისარომეევად. ცხენიდან გარდახდა და ხაუზმე მოითხოვა. ულუფი-ხანიც დაქვეითდა. მცველი რაზმელებიც ჩამოხდნენ და ცხენები საძოვრად მიუშვეს.

ფეხი მოიჩოხეს. ჩიბუხები და ყავა გაიწეს.

და ლერწმიანიდან თოფმა იტეკა.

იბრაჰიმ-ხანი პირში ყალიონ-შეყენული დაემხო მიწაზ.

დაიგრიალეს ისევ თოფებმა.

წამოდგომა ვერც ულული-ხანმა მოასწრო, ვერც დანარჩენებმა. ყველანი უსულოდ ჩაწვნენ ერთფრთის მიჯრით.

ელვასავით გამოიკრნენ ლეკები ლერწმიანიდან, პატრონ-ამოწყვეტილ ცხენებს მოახტნენ და უფმთაუროდ დარჩენილ ხპარსთა ლაშქარს გამოედევნენ ავი ყდავალით. წამოეწიენენ. ჯერ უკანა კეფის ახრეხს უწყალოდ. ერანელებმა ხელის შებრუნებაც ვერ შეუბედეს ლეკებს, ისე დფრთხნენ ან ეკუსლეს დფანტულად უგზოდ და უმისამართოდ. მისდევდნენ ლეკები და ხსენდნენ დაუნდობლად. ვეღარც ერთმა ყიზლებაშმა ცოცხალის თავით ვეღარ გაასწრო ალაზნის მარჯვენა მხარეს.

ისევ მართალი აღმოჩნდა მორული ნათქვამი, რომელსაც ერთნაირად ამახდენენ მტრებიც და მოყვრებიც: ერანელებს უკართველებოდ ბრძოლის მოგება ჭეშმარიტად არ შეეძლოთო

ლეკების გამარჯვებით და ძმის „უკაკო ხიკვდილით'' გაცოფებული შაჰ ნადირი არდაველს მოვიდა და თეიმურაზზი გაიძახა კახეთიდან. თეიმურაზიც ეიძლა კახთა ამალით. უკენმა ქართველ მეფეს გულდასმით მოუსმინა და დარწმუნდა, რომ ჭარში დატრიალებული მარცხის მიზეზი თვითონ სპარსელი სარდლების უმკუოობა ყოფილა: იმ უბედურებმა ქართველები მოიშორეს, ქართველთა გამაოჭვების ნაყოფიც დაჭკარგეს და საკუთარი სიცოცხლეც ზედ მიაყოლეს.

რაკი ასე მოხდა (და თითქმის ყოველთვის ასე ემართებათ — „უქართველებო ერანელებს''), ახლა თვითონ ქართველმა მეფემ უნდა უსარდლოს „საკუთრად და დამოუკიდებლად'' ჭარის დალაშქვრას და დაკავებას. თეიმურაზ მიიღეს ყიზლებაშთა ჯარს, თავის კახელობასაც შეეერთებს და გიუშრება ჭარისაკენ. ახეთი გახლავთ ნება და ბრძანება ნადირ შაჰისა.

შემოიყარა თეიმურაზმა კახთა და ყიზლებაშთა მხედრობა და შეეესია ჭარს. დაამარცხა და აწყვიტა ლეკთა ჯარები, დაანგრია და დააკცია მთი საბუდარი და სახიზარი სიმაგრეები, დიდძალი ალაფი აიღო, მრავალი ტყვე აიყვანა და ყველა და ყველაფერი ნადირ შაჰს მიართვა.

გიხარია ნადირმა. ნადავლი ნადავლად ინო

საგოდებელი შანშე ერისთავისა

იმავე წელს ნადირ შაჰს ქართლიდან ერთი მეტად სასიამოვნო ამბავი მოუვიდა. აჯანყებულ შანშე ჭინლის ერისთავს შვილი — ი ო ა ნ ე გამოქცეულა, ტფილისში იმამ-ყული ხანს სწვევია, ირანის ქვეშევრდომობა შეუთავაზებია და შაჰთან შეხვედრის შუამდგომლობაც უთხოვია. იმამ-ყული-ხანმა „ვანიხარა ფრიად და მიიჩნივა პატივით, დაიკენა მემანდარად, გაუწესა ულუფა, დაპირდა ხელმწიფისაგან დიდსა წყალობის მოტანასა".

მართლაც „დიდი წყალობით" შეხვდა შაჰ ნადირი ჭინლის ერისთავის მოდალეტე შვილს.

(აკი ყოველთვის დიდად ფასობდა მოღალატე ქართველი საკართველოს მოსისხლე ხანელმწიფოთა კარზე).

სხვა ქართლელი დიდებულებიც ეახლნენ ნადირს — გივი ამილახორისა და სარდალ ქაიხოსრო ორბელიანის მეთაურობით, იმამ-ყული-ხანნიც იქ იყო — ქართლის ნაიბი-გამგებელი, აბდულა-ბეგიც, იესეს ძე, ყიზილბაშთა ბატონის „მარჯენა ხელი".

„ქართლის ქალაქ" ორი საჭიროელი მოახსენეს ქართლის მესვეურებმა ნადირ შაჰს — „ქკეთნის გაოხრება ლეკისაგან" და შანშე ჭინლის ერისთავის აქამდე გაუთავებელი აჯანყება.

ლეკსა და მის დაღესტანს სულ მალე მოვუღებ ბოლოს, ხოლო შანშე ერისთავი თქვენ უნდა დამიჭიროთო, — ბრძანა ყაენმა.

ბრძანა და მაშინვე დასძინა ლბილი, ნოტიო სიტყვეთ:

„თუ შანშე დამიჭერთ და მომგვრით, მე აღვასტურებულ თქვენს ყოველ საწადელსა და მოგცემო წყალობას უშურველსა!"

მაინც ვის უნდა „დიეპრა" მამაცი და თავზეხელაღებული შანშე ერისთავი, — ამთავარ რომელს, ქართველს თუ სპარსელს? რასაკვირველია, მაინც ქართველს, რამეთუ არავის ისე არ ეშინჯვება ქართველის დამარცხება, როგორც თანამამძე და თანამომტერე ქართველსს..

გივი ამილახორს დაადგა თვალი ყაენმა.

აი, ვის შეუძლია შანშე ერისთავის „დაეპრა!" — გივი ამილახორი, მძლავრტანოვანი და მძლავრგონებრივანი, პატივმოყვარეობით აღვსილი ქართველი თავადი. მეზობელი ჭინლის ხეობის დაურწყულებელი ეხოხარბე და შანშე ერისთავის დაფძინებელი მეტოქე.

მერე — გივი ამილახორი სიამაო გახლავთ შაჰ ნადირისა. ხომ გახსოვს, ჩემო მკითხველო, 1735 წელს სოფელ ჯალაში დატრიალებული დრამა: სპარსელმა ჩაფრებმა სასიძოს, რომ საცოლე წაართვეს და ერანის მბრძანებელს მიბაგვარეს, სასიძო ხომ თეიმურაზ იესეს ძე იყო, შემდგომში ანტრეს კათალიკოსი, ხოლო საცოლე — გივი ამილახორის ასული, იმ დღეიდან ნადირ შაჰის ერთ-ერთი ქართველი ცოლი (მანამდე ნადირს ცოლად შეერთო თეიმურაზ მეორის ძმისწული, დავით მეფის ასული-ანა).

ეა უთხრა შაჰ ნადირმა, გივი ამილახორს: დღეიდან შენთვის მიბოძებია ჭინლის ერისთავობაც და შანშე ერისთვის წინააღმდეგ ბრძოლის ბელადობაკი.

სიხარულით ლაშის ხაგულიდან ამოუვარდა გული ამილახორს.

დაიმუხლისთავა და ეამბორა „მწყალობელი ხელმწიფის" კალთას.

იმამ-ყული-ხანს მიუბრუნდა ნადირ შაჰი: შენ ამდენ ხანს ქართლის ნაიბი იყავი, ახლა ბეგლარბეგობაც მიბოძებიაო. შენი თანაშეწყე და თანამდგომი ისევ აბდულა-ბეგი იქნებაო.

აბდულა-ბეგს ცხვირი და გული დაეძმარა, „მოადგილეობაზე" მეტი წარჩინება რომ ვეღარ მიიღო „ამდენ ხანს".

ისევ იმამ-ყული-ხანს უბრძანებდა ყაენი: შენი მთავარი საბრუნავი ახლა ის იქნებაო, გივი ამილახორს შეუდგეს მხარში და ერთობლივად მიეხითო შანშე ერისთავსო; შანშე დაიჭიროთ. მე გამომგზავნეთო და ჭინლის საერისთავოს გივის დაუმორჩილითო; იმედი მაქვს, ორივეს — გივი ამილახორსა და იმამ-ყული-ხანს, ერთი გათავნებდებული თავადი ლუმაგდ არ ეეკოფათ და თქვენი ქართლიდან დაღესტანშიდაც გამომგზავნეთო ჯარებსო. მე ახლა დაღესტნის დასასჯელად მივდივარ და ძალიან დამჭირდება ქართული ჯარებო.

ყაენმა დაამთავრა, და პასუხს დაელოდა.

იმამ-ყული-ხანს პასუხი შეუდგაინავა.

ნადირი უძრავი თვალით ჩაეცივდა გაქვავებულ ყმას.

გივი ამილახორმა ჩასჯარა უამური მდუმარება: ქართლი ისე ამოწყვეტილია, არაფე თუ დაღესტანს, არამედ ჭინლის დასაპყრობადაც გახჯირდება საკმარისი ლაშქრის შემოყრაო, — ჯიქურად უთხრა სიმამრმა სიძეს.

„ამამ-ყული-ხანმაც გაბედა და მოახსენა: გავწყდებით და შანშე ერისთავს ვერ მოვიერევთ, თუ ახალი ჯარებით არ დაგვადგა საშველია.

ახალი ჯარებიო? — ჩაფიქრდა შაჰი.

მოგართმევთ ახალ ჯარებს, ისეთებს — საქართველოს მიწაზე აქამდე რომ ფეხგა არ დაედგათო, — თქვა ნადირმა სიცილით.

მაშინვე ბრძანებაც გასცა: საქართველოში გაიგზავნოს ინდოელი და ავღანელი მხედრობანი, რამეთუ მოისრას შანშე ერისთავი და სამუდამოდ დაწესარდეს მუდამ დაუწყნარებელი გურჯისტანნი.

. . .

იდგა 1740 წლის ივლისი.

ყოველისმომწყრე და ყოველისმხილველი ტფილისელები გოოცებით, შეცბუნებით და ცნობის-

---

ლეშაკ სანიკიძე
უქარაგმო ხმლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყვარეობით უკვირეტდნენ ქალაქში შემომავალ უცხო რჩულის ჯარებს.

წინ მიდიოდნენ „ინდოელნი, ლაურელნი და ფაშაურელნი. ოთხი ეული ექვსის ათასის კაცით... შემდგომად ამისა მოიწევნენენ ჯარი ავღანთა, იყვნენ კაცნი შავნი და დუხჭირნი, შაშველნი, მცირე რამ ხანაფდნელი ეფარათ ტანსა ზედა, ვითარცა ზერდაგი, გინა ზეწარი ჩამოე ფარათ თავსა ზედა, მსგავსად ფიდათა ფუოველთ-ოანა“.

აგვიტარ დამდგეს მუზრახს შეიკარა ყველა რჩულის მხედრობანი: ქართველნი, ყიზილბაშნი, ინდოელნი და ავღანელნი.

მოავარსარდალთა გივი ამილახორს ეგბარა, რადგან თვითონ შაჰ ნადირს „ბელადობა მის თვის დაედვა“.

ამილახორმა სამად გაყო ლაშქარი: ერთის ბეგან არაგის ერისთავი უჩინა სარდლად და ლეშისაზე გაგზავნა, მეორე — სულ ყიზილბაშნი, ინდოელნი და ავღანელნი იმამ-ყული-ხანის მთავარეობით ლიახვის ხეოთას შეუსია, ხოლო თვითონ სამმალეხეროს ჯარით პირდაპირ ქსანისაკენ დაიძრა.

ახე, სამის მხრიდან „უყვეს თარეში, ათიზრეს ქანა, დაწვეს, ცაცხვ ططეს და ამოწყვიტეს ურიცხვი, დაიკ�ეს ციხეები, ან ს

წეობა. იანიჩარებმაც გამოიღეს მფარველობის ხელი.

მაშინ შეეარდა ციხეში თვითონ უსუფ ფაშა და ძალით გამოასხნა შანშე და იეხე გარეთ.

ორივე ძმას და „მაშ კაცებს“ ციხეზე, ხელებზე და ფეხებზე უმძიმესი ბორკილები დაადეს და აგრე „ერუფლად“ გამოუყვანეს ტფილისიასკენ.

ფერსლიშნი ცოლები უცდიდნენ ქმრებს. მაგრამ ყიზილბაშებმა არ შეიხვედრეს მეუღლენი ერთმანეთს. ერთიმეორის „მი-მო-ხლეხა“ არაფერი იცოდნენ, იხე გაუყვენს დარუბანდიასკენ, ცალკე ძმები და ცალკე მათი ტანჯული თანამეცხედრენი.

ნადირ შაჰს წარუდგინეს „ეროული“ შანშე ერისთავი.

დიდხანს შესაკეროდნენ ერთმანეთს მდუმარენი.

შანშე ელოდა, რას ბრძანებდა ყაენი. ყაენი ეკითუბად სდუმდა და თითქოს თვითონ ელოდა პირველ სიტყვას ამ „ადენიერი და უტეხი“ ქართველისაგან.

ბოლოს დახძარა სიტყვა შანშე ერისთავმა.

მაგრამ დახძარა თუ არა, წამსვე ჩაიწყვეტინა ნადირმა: თავის მართლება საჭირო არ არიხო!.. ქართველებისკენ შეპარუნა მზერა შაჰმა.

აქ იდგნენ: ბატონიშვილი ანდოლა-ბეგ იესეს ძე, გივი ერისთავი, გივი ამილახორი, ოთარ ამილახორი, აკაკი ბაბაშვილი, ქაიხოსრო ციციშვილი, ლუარსად თარხანი და ორბელიანნი — — ქაიხოსრო, ელიზბარი, დავითი, უფფლანი, ხელნანი და რეკაზი.

ყველა მათგანს წელან, შანშე ერისთავის შემოყვანამდე, ახალი თანამდებობა და ახალი ჯაგაური გაუჩინა ერანის „მწუალობელმა ხელმწიფემ“.

ახლა ყველანი მდუმარედ დგანან და გაყიფული თვალებით უცქერიან სატანჯველად (იქნებ სასიკვდილოდ) განწირულ თანამოძმეს.

უცქერიან და ალბათ ამ უსუფგაუფო რენეგატთა შორის არც ერთი არ ფიქრობს, რომ მათებრ ღალატი ნაყიდ, ნაწყალობეკ და ნამთხოვრად კეთილდღეობას მაინც შანშე ერისთავის ელის გვრიგვინი და სამომავლო შარავანდედი ხკობს.

იხეე შანშე ერისთავზე გადაიტანა მზერა ნადირმა. მერე „მოღალატე ქართველისგან“ კვლავ „ერთგული ქართველებისკენ“ შებრუნდა და მოფლოდნელად შესაძახა:

— თუ თქვენს შორის ერთიც აღმოჩნდება, რომელიც შუამდგომლობას და თავდებობაზე ეკისრებს, მე შევუნდობ, ვაპატიებ და თავისუფლებას მივანიჭებ შანშე ერისთავსო.

სამარეული სიჩუმე და სიკმუნე ჩამოწვა.

ქართველებს (ანუ „ნაჭართველარებს“) სახეზე ნაცარი დაედოო, მაგრამ არც ერთს არ უცდია პირიდან სიტყვის წაცდენა.

— მაშ, არავინ არ ეისრულობს, არა?

„შანშე ერისთავი რომ სპარსელი იყოს, შანშე ალბათ ერთიმეორეს არ დაანებებდნენ — არა მე ვიკისრებ და არა მეო! ამნაირი არიან ქართველები — თავისი სისხლის მომტერენი და უცხო სისხლისთვის თავგადაკვდარნი! მადლობა ალლაჰს, რომ ახეთები არიანს!“ — ფიქრობდა შაჰი...

ბოროტად გაიცინა და სიცილი რომ ჩაითავა, ეს ბრძანა:

— რა გაეწყობა, — რაკი თავდებობა არც ერთმა ქართველმა არ იკისრა, შანშე ერისთავი და მისი ძმა იეხე, ახე ბორკილდადებულნი, ბოლასანს წაიყვანეთ და იქ დაჰკარეთ სიკვდილამდე ხაცხოვრებლად!

ბორასანისკენ მიმავალი „შაჰ რა“.

სიცხით მუცელგაფატრული მძვინვარე მზე. ალმურით მოთახთახე უდაბნო.

ტყვეები მიდიან, ბორკილდადებულნი და ყიზილბაში მეიმრებით გარშემორტყმულნი.

წინ ორი მამაკაცი მიპყავთ.

უკან, ორი ვერხის დაშორებით — ორი ქალი. არ იციან წინამავალთა: ვინ მიპყავთ უკან?! არ იციან უკანმავალთა: ვინ მიპყავთ წინ?! როგორც იქნა, ჩავიდა, ჩაშვავდა და ჩაშვავდა დორბლიანი მზე.

უკუნი ჩამოწვა.

ღამე განზოგადდა.

უეცადმა ხმაურმა, იარაღის ელრიალმა, ყიზილბაშურმა ყიეფლმა და წვიალ-ყიეფლმა მოიცვა გარემო.

— ტუსაღი გაგვექცაო!

— შანშე ერისთავი გაგვეპარაო!

— წეეული გურჯი თვალსა და ხელს შუა გაგვიქრაო!

იეხე წამოაქციეს და გულზე დაჰკდნენ ყიზილბაშები.

დილამდე იდგა გნიასი უდაბნოში.

დილით მოთრიეს შანშე ერისთავი.

სადღაც ქვიშაში ეპოვნეთ ჩაჩუმქრეული, მძიმე ბორკილებიან არაქათმიხდილი და ხელ-ფეთ-დაწყვეტილი.

უკანასკნელი დილა იხილეს იმ დღეს ძმებმა ერისთავებმა.

ეხიე — დილა უცხო ცის ქვეშ.

ორივე ძმას გახურებული თოფის ზუმბენით გამოთხარეს თვალები.

ხორასანს რომ მიაკანეს, ცოლები მიუშვეს ბრმა ქმრებთან.

— უკანასკნელად აწერის ციხეში გიხილე, ხოლო ამიერიდან ვეღარც შენ გიხილავ — ჩემს მეუღლეს, ვეღარც შვილთა ჩემთა, ვეღარც სამშობლოს ჩემსას! — უთხრა თვალდაშრეტელმა შანშემ ცოლს.

მაინც ბედნიერი იყო შანშე ერისთავი, რამე-

ლევან სანიკიძე
ქართველი ხელები

„მოსვლა მუმეიზისა“

ნადირ შაჰს ეგონა, რომ „თავის ეთვნილ“ დაღესტანს ხმლის ერთი მოქნევით დაიპყრობ-დებდა. მაგრამ ყოველ ნაბიჯზე ჯარეული ომები გაჯიანურდა. მიუვალ მთებსა და ტყე-ღრეებში ჩასაფრებული ლეკები ადვილად ახერხებდნენ მრავალრიცხოვან ირანელთა შემოტევების გაკეთ-ნეულებას. ადალ-ფორანიც მოეშალა ნადირ შაჰს, ხუთსაათი ხანგრძლივ შემოტევას, ჯარები დაეშმნ.— ისე დაეშმნ, რომ შიშშილით გამგელებული მეომრები დახოცილთა გვამებსაც ეტანებოდნენ საკმელად.

ეპიდემიური სნებაც შეიპარა ადამიანის ლეშზე მიმდგარ ლაგერ ასარსთა ბანაკში. ხალმარა ბრძოლისიხენარიანობა და შინამუდრული განწყ-ობებაც მოიშალა, ჯარიდან გაქცევაც გახშირდა. მარიდორობაც (მკედრთა ძარცვა), მეთაურის წინაშე ხელქვეითის ურჩობაც...

ისევ ძალიან „დაბეერდა“ საქართველო და ქართველები შაჰ ნადირს. „ეალერცხებოდა“ და ეუბნებოდნენ მასთან „მარად ზდგარ“ ქართველებს

დერბენდში ქათალიოსი დომენტი ეწვია შაჰს. როგორც იქნა, დახსნილა იგი ზრნერის მთავრობას ხტამბოლის ტუვეიშიდან. დიდი „პატივით შეწყნარა“ ნადირმა დომენტი და „წარმოაელინა ქართველსაკე ქათალიკოზად“.

მაგრამ ამნაირი „შემწყნარებლობა“ ვერ გაუძღებდა კუჯს შიშშილით ანმეხილილ ირანულ ლაშქარს. და უფრო მეტიც განაწრახი გამოიღო შაჰ ნადირმა.

მან მანამდე გაუგონარი სიმძიმით და სიხასტიკით დახარკვა საქართველო. ჯერ მუმეიზი (ალმწყრალი) გამოგზავნა, ქვეყანა ყოველი სულიერი და უსულო საგნით, ყოველი უძრავ-მოძრავით, ყოველი ეკრაგისით და უეკრაგისით აიწერინა, ანაზღაურა, აიწონინა, ათვალვინა და ისე დახარკვინა.

ხარკი დაადეს ყოველ სოფელს და ნასოფლარს. ყოველ შენობას და ნაშენობარს,

ყოველ წისქვილს — დოლაბსაც და ბუეულასაც, დაბეგრეს ყოველი ცხოველი: ცხენი — ულაყიც და ჭაკიც, რქოსანი — მეწყალიც და უწყალიც, კამეჩი — ზაკიანიც და უზაკოც, ღორი — გოქიანიც და უგოქოც, ეირი — მუტრუკიანი და უმუტრუკო, ცხვარი — ეარკვინი და უეარკო, თხა — თიკნიანი და უთიკნო.

მიწა საბელით ზომეს და ერთი გოკიც არ დარჩენიათ დაუხარკავი.

ვაზები თვალეს და ყოველ ძირ ვაზს ჩ.ადასახადიდ დაადეს თითო ბისეი.

ხეხილიც თვალეს და ყოველ ძირ ხეხილსაც ხადად დაადეს თითო ზაური.

ადამიანებსაც დაადეს გადასახადი ასაკის მიხედვით: სრულასაკოვან კაცს ორი მანეთისაგანი (ორი მანეთი) უნდა გადაეხადა, „ასაკოვან ყმაწვილს“ — ხუთი ანაზრი (ერთი მანეთი), „ხარჩი ყმაწვილზეც“ (ათ წლამდე).

ასევე — „პირუტყვზე ყოველს ზედან განაწესებს, პოსტანაა, წისქვილსა, ყოველს ფერს შენობასა ანუ ოხერს ადგილს ასეთი ხარკი დასდეს, რომ ყოველის კაცისაგან დიდად შეუძლებელი იყო“.

უმძიმეს თურქულ გადასახადებსაც გადაეჯარა სისასტიკეანი ნადირ შაჰის ახლანა ხაგადასახადო განწესებაშ.

გამწარებულმა ქართველმა ეროვნმა ჯარი ხაუთარ, ღონელ ნაკრინაბულეეე მეუფრეეეობაზე „ეიარა“:

„ამა ამბავეთა შინა მრავალი ხული ანეკარა, ბევრი ადგილი უმეტესად აოხრდა. მრავალი კაცი ვენახებსა და ბაღებსა თავისის ხელითა კაფიდის და აოხრებდის. ვინც დარჩა, ეიდეკ ამისი ი

ბას და გადიოდა „ნოკარის“ სახელით ქართული ჯარი ყიზილბაშთა სამსახურში; გადიოდა ორმაგი ხარკით — ხარკით თავისთვის და ხარკი ყიზილბაშთა ჯარისთვის.

„ყიზილბაშობა“ მძაფრად „ყიზილბაშობდა“ ქართლის მეწაღე.

მაგრამ უქარაქაშო ხმლებიც იხეკ იკედებოდა ქართულ ქუჩაზე.

გამოსვლა გივი ამილახორისა

1741 წელი ახალი დამდგარი იყო.

ნადირ შაჰს ებრძანებინა, ქართლის თავადებმა თავიანთი ჯარებით და ოჯახებით ტფილისში მოიყარონ თავი.

იგულისხმებოდა: ქართული ჯარები ლეკებზე სალაშქროდ სპარეტელთა ყიენს, ხოლო პოლაშ-ქრე თავადთა ცოლ-შვილნი — მძევლებად („ყოველ შემთხვევისთვის“).

ქართველებმა ბრძანება აღასრულეს. ტფილის მობარდნენ და შაჰის ახალ ბრძანებას დაელოდნენ.

ერანის ხელმწიფის მორიგი განკარგულების მიღებამდე გარდაიცვალა კათალიკოსი დომენტი. დაკრძალეს მცხეთას. ქართული ეკლესიის მომავალ საკეთილოდ ხელმწიფის სიყოცხლეშივე ეგზავნებოდათ ანტონი, ერისკაცობაში თეიმურაზ იესეს ძე (ნადირ შაჰმა რომ საცილე წაართვა — გივი ამილახორის ასული), მაგრამ ანტონმა „არა რა ინება და არღარა მიიღო უმაღლესი ხარისხი სიმდაბლისა და ხალნოებისთვის“. რაკი ანტონმა არ ინება, დომენტიმ სიკვდილის წინ საკარიველის კათალიკოსად აკურთხა ურბნელი episkopoსი ნიკოლოზ ხერხეულიძე.

ახალი კათალიკოსის კურთხევის ჟამს დიდძალი შესაწირავი შემოვიდა მცხეთის ტაძარში. სიხარბემ გაიხელა ქართლის გამგებელი იმამ-ყული-ხანი, იასაული გაგზავნა და სტეტიცხოველში დგროვილი სიღვთო სიმდიდრენი, ფქელიც და ახალიც, მოაბრკვინა და თავისთან სახლში მიატანინა.

თავი გამოიდვეს რეკვაზ და ქაიხსრო ორბელიანებმა: და გივი ამილახორმა. იმამ-ყული-ხანს მიადგნენ, მინაბაკეებზე ხელი აიღებინეს, „ისე დაიხსნეს და მიაბარეს უკლებლივ კათალიკოზს საკრნელი მცხეთისა“.

ბოლოს მოვიდა ტფილისს ახალი ბრძანება „მსოფლიო მბრძანებლისა“:

ქართლმა ერანისთვის სასწრაფოდ უნდა „გამოიღოს“ სამასი ახალგაზრდა ქკრიები ქალი, სამასი გოგო-ქალწულები, სამასი ვაჟი-უმაწვილი, ხუთასი კომელი კაცი და ოცი ათასი ხარვარი პური!..

ეს სწორედ მეტისმეტი იყო.

ხოლო, ქართველებსაც ეს ბრძანებად მოსდგამთ სწორედ „მეტისმეტ დაწოლას“ მამაზეციერსაც ეკედარ მოუთმენენ და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას მიეცემოან თავდადგიწეულებთან...

. . .

იმ ღამით გივი ამილახორი ეთათბირა დანაოჩენ ოთავდებს.

უმტკიცესი იდუმალებით განეცხრულა თათბირი ესე.

ყველაზე მტკიცედ, გამორჩეული და დაეინებით გაიხმა სიტყვა:

„ბარალნა თერმეტმეტა, ღამესა ბზობიბახალ!“..

შეთიკქვნენ და შემტკიცდნენ ფიცითა მტკიცითა.

მეორე დღეს გივი ამილახორმა ურჩია იმამ-ყული-ხანს: ბარემ გავეშეოოთ ჯარნი სალაშქროდ, ჯერ შენ დაიძარ სპარსთა ჯარებთან, იერის ზეობაზნი დამეფილდე და მეც იქ გეახლები ქართველთა მხედრობითო.

„ეი მაგრამ, რატომ რჩება და ახლავე არ მიპკუეება ამილახორი სპარსელთა სარდალოს?!“

„იმად არ მიპკეება, რომ ჯერ გივიმ შაჰის ბრძანება უნდა ალასრულოს. ნაბრძანები სამსახეულ-ხუთასეული ქართველობა შეიჯარის, ერანს გაგზავნის და ამის შემდეგომ გამოცხადდება ამილახორი იერის ბანაკში“.

იმამ-ყული-ხანმა „შეიხმინა“ ამილახორის გასნახაკი და სპარსთა ჯარებს ლაშქრად გასელა უბრძანა. მაგრამ ბოლოსდე მაინც არ ენდო, გივის ქართველი თავადები „წაართვა“ და თან წაიყვანა იერაზე.

გივი ამილახორი მარტო დარჩა ტფილისში.

ძლივს გაითარა წელი კიდევ რამდენიმე დღემ. მერე, როგორც იქნა, დადგა თერმეტი აპრილი, — დადგა, მიიწურა და შემოვიდა ღამე ბზობა-დღესასწაულისა.

და ერთბაშად გაჯარდა ხმა ტფილისის ციხეგვიში: თურმე გივი ამილახორი „ქალაქიდან ღამე გაპარულა“, თავისი ცოლ-შვილიც წაუყვანია, პაატა ანაბიშიანა და ხარიდან ერისთავის ცოლების გაუკანაც მოუბრიხებია.

იმავე ბზობის ღამეს იერის ბანაკიდან გაიქცნენ ბაკაკ ანაბიძე, ხარიდან ერისთავი და კიდევ „ზოგი ვინმე თავადნი ზემო-ქართლისანი“. გაიქცნენ და მტკვრისა და არაგვის შესაყარში შეეყარნენ ტფილისიდან მოვარდნილ გივი ამილახორს.

ასე დაიწყო გივი ამილახორის ალაკება.

მცხეთასთან ბეეან არაგვის ერისთავი ჩამოეგებით ჯარით. მცხეთის ხიკი დდიდებულ ზვიადრეს ჩაენგრია. ბეეანმა ნავტიკები დაუბეგრა ალაკებულებს, ყველანი უვეიბლად გადაიკვანა და დუშეთისკენ წარუძღვა, ვითარცა მსპანძელი და ალაკებლის თანამდგომი.

დუშეთში გივი ამილახორმა „შემოიკარა ქსნისა და არაგვის-ხევის ,ყაცნი, მისცა მისაცემელი

ლევან სანიკიძე
ქარაქაშო ხმლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გამოართვა ფიცი და იერუსალიმ, ყოველნი თავადნი ზემო-ქართლისანი გიორგოთ".

გაეცოფებულმა იმამ-ყული-ხანმა ქართველები, — რომლებმაც ამილახორთან გაქცევა ან ვერ მოასწრეს, ან საერთოდ სპარსელთა ღალატი არც უფიქრიათ — შეიპყრო და ტფილისის „მაღალ ციხეში" ჩაჯარა. მათი ჯალაბნი ცალკე სახლში დაამწყვდევინა და ძლიერი ყარაული მიუნიანა.

მას უკან იმამ-ყული-ხანმა თავისი მოადგილე, აბდულა-ბეგ იესეს ძე აიყოლია და განჯაში აზერბაიჯანის ბეგლარბეგთან, ფათალი-ხანთან ჩავიდა და ქართლში დატრიალებული ამბები შეატყობინა.

ფათალი-ხანი ყაენის ცოლისძმა იყო და ამიერკავკასიის მმართველთა შორის, თეიმურაზისა და ერეკლეს შემდგომ, ნადირი ყველაზე უფრო მას ენდობოდა. ამიტომ იმამ-ყული-ხანმა და აბდულა-ბეგმა სწერეს ფათალი-ხანი ირჩიეს „შუამავალ მაცნედ" მრჩახნე ყაენთან.

ფათალი-ხანი პირადად ეწვია შაჰს და ყოველივე ისე მოახსენა, როგორმე ხელმწიფე ნაკლებად შემოწყრომოდა „ერთგულ იმამ-ყულის და აბდულა-ბეგს".

შემოწყრომა მართლაც „არ ინება" ნადირ შაჰმა, მიჯრამ ქართველი აჯანყენის აფეთქებამ სწორედ რომ ძალიან დააფრთხო და დააღონა.

ქართველთა აჯანყება ერანელთათვის ისედაც „პირველი რიგის საფრთხედან" ითვლებოდა ყოველთვის. ხოლო ქართველთა აჯანყება ახლო დროს შეიძლებოდა უაღრესად საბედისწეროც გამომდგარიყო „მსოფლიო მბრძანებლისათვის".

დაღესტანში ლაშქრობები უშედეგო მსხვრევლად დაუჯდა და მეტი არაუერი;

დასავლეთიდან თოფჩეთი იმუქრება;

ჩრდილოეთიდან ისევ მოიწევს დიდი რუსეთი.

ქართველი უფლისწულიც — ბაკარ ვახტანგის ძე ძე მოსკოველად ასტრახანს ჩამოსულთა და „ეუფლნილი ტახტის" დასაუფლებლად საკარაველოსკენ აპირებს თურმე დაჯერის.

რაღა თქმა უნდა, ქართველის „მძლავრი ზეგი" ისევ და ისევ არის რუსეთი...

ეჭვი არ არის, რომ გივი ამილახორი კავშირს შეერევა ერანის ყოველ მტერთან — ლეკოან, თურქთან, რუსთან და რუსთა მფარველობის ქვეშ მდგარ ქართველ ბატონიშვილთან.

ყოველთვის ძნელი „ქართული ომი" ამნაირ დროს გამორჩეულად ხანძელი იქნება ერანისათვის. ამიტომ იქნება როგორმე ისე გასტეხონ ქართველები, როგორც აკამეე გაუტეხნია, ისე— თვითონ ქართველები რომ „ციხის შუბნიდან გატეხვას" ეძახიან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შემოუფალა შაჰ ნადირს იმამ-ყული-ხანს; ქართველები რომ ციხეში ჩაგიყოია და მათი ცოლ-შვილიც დაგიმწყვდევია. ახლავე გამოუშვი, პატივით იყოლიე და განდგომილ თავადთა მიმართ ან სამშვიდობოდ „გაიხარჯე", ან სამტროდ. მერე, გიიგე, რაც აგვიჩენიეს თვითონ გივი ამილახორი, რას გვერჩის, რა დავუშავეთ ასეთი მეტი რა გვიჭირა მისთვისო,...

იმამ-ყული-ხანმა ქართველები, თავიანთი ოჯახებით, საპატიმროებიდან გაათავისუფლა და ამილახორთან „შეეთხზა" გაგზავნა: რა მოხდა და რატომ „წახვედი" ჩვენგანო?!

მობრუნდნენ შუამავალნი და მოიტანეს გიკი ამილახორის პასუხი: ერანელებმა იმოდენი გადასახადი დაგვადვეთო, ჭკუაკნა ერთიანად გალეტაკდა და გაობდა, თქვენ კიდევ არ იმლით და კიდევ მოითხოვთ, ჭკუანასან კი ალარ შეუძლია თქვენი ხელმწიფის ახალ გადასახადია გადახდა; მეც ვეღარ შევიდეს საქსახური ხელმწიფისა ღა ნუ ვეფალო.

ეტყობოდა, გივი ამილახორი ჭერეკერობით შერიგებისკენ პირს არ იჩენდა. იგი გორისკენ მიეშურებოდა აჯანყებულთა ჯარით.

იმამ-ყული-ხანმა „ციხის შუბნიდან გატეხა" სცადა. გივის ბიძაშვილი გამოიძახა — რეკვაზ ოთარის ძე ამილახორი. გამოიძახა, განდგომილი გივის სამფლობელოები აღუთქვა და გორისკენ აფრინა ჯარით — ვინძლო დაასწრო და შენ დაიკავო ჭოროს ციხე გივის ნაცვლადო.

რეკვაზ ამილახორის შაშა, ოთარი, სხვა ქართველ თავადებთან ერთად, ადრე ღარუბანდში ეწვია შაჰ ხადარის. ქეშელჩიბაშიბა უბოძა მაშინ ნადირმა ოთარს. უკან დაბრუნებისას ოთარი გზაზე გარდაიცვალა და ქეშელჩიბაშობა მის შვილს გადაეცა „მეშკვიდრეობად".

აი, ახლა ეს ქეშელჩიბაში ამილახორი მიაკენებს ცხენს გორისაკენ.

გივიც მოფრინავს თავის მხედრობით.

რომელი მისაწრეს და რომელი შეასწრეს გორის კარიბეგში?

ორივემ „მისწრო".

ზეიდ ქალაქს კარიბეგსთან შეხვდნენ ერთმანეთს.

გივი ამილახორის ჯარი ხათრად შემპრალიყო. ყველა ხმალშეშვებული და შუბგაწვართული.

რეკვაზ ამილახორის სპათაგან არც ერთს ხმლის ვადა არ შეეწუხებია.

რეკვაზი ცხენიდან გარდახდა, გივის ეახლა და მუხლზე ეამბორა.

გივი ხასწრაფოდ დაეკვეთდა და სიხარულით ატანილმა ჩაიკრა მკერდში ბიძაშვილი.

ორივე ჯარი შეერთდა.

ბიძაშვილები ერთად შევიდნენ გორში.

საკარაველოს მტრებს (შინაურს და გარეულს) ამჯერად არ გაუმარჯვია: ცოხე შუბნიდან არ გატეხდა.

გივი ამილახორმა გორიდან ასტრახანს თავისი მეორე ბიძაშვილი, ბარძიმ ამილახორი გაგზავნა და ბაკარ ბატონიშვილს შეუთვალა: ნუღარ დააცოცხენინ, მობრძანდით და ბარეგმ ჩაიბარეთ ქართლის მეფობაო.

ისევ დათმობა არჩია ნადირ შაჰმა. ამჯერად ბარდის ხანი გამოეგზავნა გივისთან შესარიგებე-

ლად. ბევრი ეჩიჩინა ბარდელი, ბევრი ეფიცა და ემტკიცა — წამოდი, ეახელი ყაენს და ეუკეკლად შეგირიგებს, არადერის გავნებს და არარის დგაზნიანებსო, მაგრამ გივი ცივ უარზე დადგა და აღარ გადადგა.

მეხამედ წარმოგზავნა ნადირმა კაცი ამილაბორთან, გამოგზავნა საკანგები, „ეღალატო" რაყამთი, რომელშიც ეწერა: ოღონდ ჩემთან ჩამოდი, შეშხედი და ყოველი შენი ცთომა მოგვიტევებიაო. ისევ გადაჭრით უარი შეუთვალა გივი ამილაბორმა ნადირ შაჰს.

რისხვით ბალანშლილმა ყაენმა გივი ამილაბორობიდან „გადაიყენა" და მის ნაცვლად ამირინდო ამილაბორი „დაიყენა". ამით ნადირმა უბრალოდ გული თუ მოიფხანა, რადგან ამირინდო ამილაბორი მცირე ზომის ყურმოჭრილ ყმად შედიოდა სპარსელთა სამხედროო სამსახურში. ეს იყო და ეს გივი ამილაბორის წინააღმდეგ ისევ ქართლის გამგებელი უნდდა გამოსულიყო და უბრძანა შაჰმა იმამ-ყული-ხანს. ილაშჭრე ამილაბორზე, აიოხე, ძარცვე, აიწიოკე და დაიქციე ქართლის განდგომილი სოფელ-ქალაქებონო.

„გაუცხოებულ ქართველთა უნარი"

და ისევ აღიძრა და ავორდა ყიზილბაშური ურდო ქართული მიწა-წყლის საკიჭვნად და ხ ტანჯველად.

ბორხისენ მიუძღოდა იმამ-ყული-ხანი ჯარებს. ხოლო, „რა მიეახლა ხანი გორს, დაუწყო რბევა ქართლსა და წვა მოსავლისა გორს".

თვითონ გორი მედგრად დაუხვდა და უკუჰყარა გარს მომდგარი მტერი. თუმცა გივი ამილახორი გორში არ იმყოფებოდა იმჟამად. იგი ზემო ქართლის ციხეებს ამაგრებდა გაცხოველებით. გამორჩენით სურამი გაამაგრა და გაამზადა მტერთან ხალმოდ. სურამის ციხეში რომ „თვისი მისანდო კაცნი" ჩააყენა, მას უკან ბორჯომის ხეობაში გადავიდა და პეტრეს ციხე განამტკიცა ხალმაღი განწესრიგებით.

იქიდან ოსმალეთთან გაავა კავშირი ამილახორმა. ხელთანის ბრძანებით, სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყებულ ქართველებს ჩვეულებრივ ახალციხის ფაშა ეხმარებოდა ყოველთვის. ეხმარებოდა ტყვეა-წამალით, იარაღით და ზოგჯერ ჯარითაც. ახლაც ახალციხის მბრძანებელმა, უხუფ ფაშამ გივი ამილახორს უხვად მიხცა ტყვეა-წამალი და „სხვა დახმარებასაც" გაუკირდა.

ახალციხიდან გივი ამილახორი ისევ ზემო ქართლს მოვიდა, ცხინვალისა და სხვა ციხე-სიმაგრეთა ბრძოლისუნარიანობა ისევ მოსინჯა, განამტკიცა, მერე სხვიერს ციხეში მივიდა და იქ დაბანაკდა.

შაჰ ნადირმა ბრძანება გამოუგზავნა განკისა და ერევნის ხანებს, თქვენი ჯარებით სასწრაფოდ მიეშველეთო იმამ-ყული-ხანს და გივი ამილახორს დროზე მოეღეთ ბოლოო.

წამოვიდნენ განკელი და ერევნელი ხანები დიდძალი მხედრობით და შეუერთდნენ იმამ-ყული-ხანის ყიზილბაშობას.

ამირიდან ხამიე ხანი ერთად მიდიოდა ნაომრად. ყოველდღე გიეხოდნენ „მთის აქეთ ქართლს", ყოველდღე არბევდნენ, ძარცვავდნენ, ყაენებს წვავდნენ, ვენახებს სჩეხდნენ, ქვა-ქვაზე მდგარს შლიდნენ და ანგრევდნენ.

ჭვეყანას ცეცხლი ეკიდა.

აჯანყების ცეცხლი კი არ ქლებულობდა.

ისევ სცადეს ყიზილბაშებმა „ციხის შიგნიდან გატეხა".

ისევ მიუგზავნა შუამავალნი იმამ-ყული-ხანმა გივი ამილახორის თანამებრძოლ თავადებს, „დაპირება წყალობასა უშურვეს, მისცა ფიცი უშიშობისათვის" და გამოიღო ნაოფი ყიზილბაშნი ხარდლის ხალალტო ფანდმა და ხერხმა. „მოვიდნენ ზოგნი ვინმე თავადთაგანნი" აჯანყებულთა ბანაკიდან, — მოვიდნენ, ყიზილბაშთა წინაშე „შეცოდებანი" მოინანიეს და ერანის ხელმწიფისათვის „თავგადამკვდარი სამსახურის" პირობა დასდეს.

აფოფინებულმა იმამ-ყული-ხანმა ისინი „დადხულთნურად შეიწყალა", განდგომისათვის „არა ავნო რა" და ყველას თავისი ხელით ჩააცვა სპარსული ხალათი — ხიმპოლო „მარადიული სპარსელობისა", გინა „თათონობისა".

იმამ-ყული-ხანმაც კარგად იცოდა, რომ „გაუცხოებული ქართველი" საჭართველოსთვის ყოველ „ხისხლიერ უცხოელზე" უარესი მტერი იყო.

აბეკეცი ძალით ვლინდებოდა მსხვერპლზე დაცემული „გაუცხოებული ქართველის" ნიჭი, ხამმაცეც, თავზეხელაღებულობა და „ილათიანობა". ხოლო, გამორჩენით მაშინ, როცა „მსხვერპლი იგი" იყო თვითონ მშობელი საქართველო...

იმამ-ყული-ხანმა თავადი ზაალ როსტომის ძე ავალიშელი ამოარჩია „შიშნაურებულ ქართველთ თავად". ამოარჩია, „მისაცემელი ალუთქვა" და პეტრეს ციხის ახალებად გაგზავნა, ბორჯომის ხეობისკენ.

„მიეპარა" პეტრეს ციხეს ზაალ ავალიშვილი, მიეპარა და „შეაპარნა კაცნი. აიღო ციხე და გამოახსნა კაცნი ამილაბვარისანნი, შეიყვანნა კაცნი თვისნი" (გინა ყიზილბაშნი).

ახლთი „გზრარბისთვის" იმამ-ყულ-ხანმა ავალიშვილს „უბოძა ხალათი და უიმედა წყალობა ფრიალ".

მტრისთვის გაწეული სამსახურის „მოცულობა" არ იკმარა „დიდმა ზაალ ავალიშვილმა" და ისე, არავის რომ არ მოუთხოვია, მძეკლად შვილი გიუგზავნა სპარსელთა ხარდელს.

ლევან სანიკიძე
უფროსი ხელმეცნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიიბარა „ქართული თავდადებით“ განცვიფრებულმა იმამ-ყული-ხანმა. ზაალ ავალიშვილს სპასუხოდ „გაუგზავნა წიგნი წუალობისა“, ხოლო ლანარჩენ ქართველებს მიანიშნა, მიეგებაო „დიდი ზაალისათვის“.

სამშობლოსგან განდგომილებს „მიბაძეა“ ალარ გასჭირვებიათ. ბევრი მათგანი მხოლოდ შურმა შეაწუხა, ავალიშვილმა რომ „აჯობა“ და დამპყრობლის თვალში „სანიმუშო მისაბაძის“ ტიტულით „დაწინაურდა“.

მხოლოდ ვახუშტი ბაბაშიძეს „დავიწუნია“ შვილების მძევლად გაგზავნა. იმამ-ყული-ხანმაც წერილის წერილი გაუგზავნა „ბულშავიწუ“ ქართველს: რაკი შენი შვილები არ გამოგიგზავნია, არც ჩვენი ხელმწიფის ერთგული ბრძანდებიო.

თავი გამოიდო ვახუშტიმ, იმამ-ყული-ხანს ეახლა და იმდენი იფიცა და „ოდვა ყოველი სახსაჭური ხელმწიფისა, დაჯერა ფიცით და განუტეკეს მშვიდობიო...“

ისევ — ქართველები ქართველებზე

ისევ ვიძიერ იმამ-ყული-ხანი „ჯარითა მძინთა“ გიჯი ამილახორის წასახლენად. ამჯერად ჯალალ მიაშურა „ამილახორთა მთავარ „ხატახტოს“.

გიჯი სხვილოდან გამოვიდა და ჯალასთან ახლოს დასვა ბანაკი.

ყიზილბაშებიც მოახლოვდნენ და დაიბანაკეს.

ხუთი დღე დადგნენ და ირიონი ერთმანეთს ვერ შეუბედეს.

ხუთი დღე მხოლოდ ფალავნები გამოდიოდნენ ორივე მხრიდან, ერთმანეთს იწვევდნენ, ზედ ასდებოდნენ და აწუდებოდნენ ერთიმეორეს.

ხუთი დღე ასე ჩალიბ-ჩალიბად ბრძოლაში „დაიბოკვნა ორგნითივე ურიცხვი“.

განერიდა გადამწყვეტ ბრძოლას იმამ-ყულიხანი. ჯარი ამყარა და მუხრანს ჩაიყუანა. მუხრანიდან არაგვის საერისთავოსაკენ გაემართა.

დროზე შეიტყვეს არაგველებმა და „რაც შესავალი გზები იყო, ხელ შეუკრეს“ მტერს. ოტია ერისთავშვილი მოუძღოდა საარაგვის ჯარს.

პირველი ძგერებით არაგვის შვილებმა მრავალი ყიზილბაშები ჩაბოცეს და დანაჩენები გამოაყენეს თავმარისმტკრეკვით.

რა გიგუოუბა, — სპარსელებმა ვერ შევძელით და ისევ ქართველებმა „მოუარონ“ ქართველებსო,— გიყვლო იმამ-ყული-ხანმა და მოიხმო რევაზ ორბელიანი.

„აბა, მიდი და მიუძღე სბარაითაშვილოს ჯარებსა და შეუტევეთ ისე, ვითარცა შვენოდეს სიკეთესა, სიმამაცესა და სიმხნეობესა თქვენსსახა!“ — უთხრა ყიზილბაშმა მთავარსარდალმა ქართველ სარდალს.

და გაუძღეს რევაზ ორბელიანი ქვემო ქართლელთა ჯარს.

და მივიდნენ ქართველები ქართველებზე.

და უცქერდნენ ყიზილბაშნი გაოცებულნ. გაშტერებულნი და მწყურვალე წადნიერებით ქართველთა რაკრახს.

მძვინვარედ სჩეხდნენ ერთმანეთს ქვემო და ზემო ქართლელნი.

უკუიქცნენ არაგველები.

ორბელიანის მეომრებმა საარაგვოს ყველი გზა დაიხელთაეს და ყიზილბაშთა სარდალს მიარტყეს.

„ფასი არ აძევს ქართველთა ძალას, გამორჩენეთ — ქართველთნი წინააღმდეგ“. — ფიქრობდა იმამ-ყული-ხანი.

მან არბეინად გაიკარა სპარსელთა მხედრობა ქართველთა ხელით დაქცეულ ქართულ სისხლზე.

დუშეთზე იერიშნი მაინც ვერ გაბედეს და ბაზალეთის პირას გავიდნენ, „შეკრეს მაგარი სანგარი და დადგნენ მაზიგან“ სპარსელნი.

ოტია ერისთავშვილიც მოვიდა არაგველთა ჯარით და დასცა ბანაკი მტრის პირისპირი.

ისევ დაიწყო და გაბურდა საფალავნო ბრძოლა — ჩალიბ ჩალიბს, ნუკილეულად, გაბელეში და ვალმასებით.

ქვერი გულადდებულ არაგველებს იმამ-ყული-ხანმა ვეღარც სპარსელეთნი შეუტევდა ბრძოლა და ვეღარც ქართველებნი. საფალავნო ბრძოლათა მეთხუთმეტე დღეს მან ბაზალეთის სანგრებიდან ჯარი ამოჰყარა, მუხრანს ჩავიდა და იქიდან გორისეენ გაუტია.

გორის მახლობლად დანაკაკებულმა ყიზილბაშმა სარდალმა „ფაიბარა ვეკელ-ვეზირი და მუსტაფეი“ და უბრძანა მათ „ახალი რიგება და მალეკკთა“ გაეწერათ ზემო ქართლის მოსახლეობაზე.

ახალი ხარკის ჩამოდებამ, როგორც იქნა, დაარწმუნა რენეგატი ქართველი თავადები, ძალლის კუდი რომ არ გასწორდებოდა და სპარსელი მოხელენი მათი კუთხე-ფეოდების სულის ამოხდას არ დაიშლიდნენ. ამიტომ, სანამ უფრო არ დაგვიანებულიყო — თავისა და ტაკვის შველა გადაწყვიტეს...

ერთ „მშვენიერ“ დილას იმამ-ყული-ხანმა გამოიხედა და დაინახა, რომ „მისი ქართველებისგან“ უმრავლესობა ისევ გაპარულიყო!

მას სურდა შეემსუბუქებინა უკრაინელი გლეხის მატერიალური პირობები, ამიტომაც ასე დაეინტერესებია ფიქრობდა იგი საირეგაციო სისტემაზე, რათა ზმრი გვალვისაგან დაეცვა პოლტავშრინის პერის ყანები. მან დაამშეაკა საირიგაციო სისტემის თავისებური ვარიანტი. ასევე ცდილობდა უკრაინაში გადაენერგა ქართული ტიპის წყლის წისქვილები. ამ მიზნით შეადგინა კიდეც კონკრეტული გეგმაც და ცდილობდა მის პრაკტიკულ განხორციელებას.

ბოლო წლებამდე ჩვენ ზუსტად არ ვიცოდით კიდეც რამდენ ხანს იცოცხლა დავთ გურამიშვილმა ან სად განიხვენებდა სამეკვიდროდან სამუდამოდ მოწყვეტილი პოეტი, თუმცა მე-19 საუკუნის ქართველ მოღვაწეებს, რომელთა შორის ერთი პირველთაგანი აკაკი წერეთელი იყო, ცდა და მონდომება არ დაუკლიათ ამ მიმართულებით .

დღეს ორივე საკითხი სამოლოოდ გაირკვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ უკრაინელი კვლევარის დმიტრო კოსარიკეს მიერ ჩატარებული კვლევა-ძიება. დავთ გურამიშვილი გარდაიცვალა 1792 წლის 25 ივნისს (ძველი სტილით) 87 წლის ასაკში. აღმოჩნდა მისი სამარე და სამლოცველ წარწერაც. პოეტის ნეშტი დაუკრძალავთ ქალაქ მირგოროდის ღვთისმშობლის მძინარის ტაძარში.

1948 წელს გურამიშვილის საფლავს ერთი პირველთაგანი საგანგებოდ ესტუმრა ქართველ მწერალთა და ლიტერატორთა დელეგაცია. ამაღლებულად მოგვითხრობს გურამიშვილის სა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფლავზე გამართული შეკრების შესახებ მწერალი ლევან ასათიანი: „მიტინგის მონაწილეებზე უღრმეს შთაბეჭდილებას ტოვებს ზალვა დადიანის გამოსვლა. თავის სიტყვას ის იწყებს ქართულ ენაზე. იგი მიმართავს დავით გურამიშვილს აჩრდილს მუხლმოდრეკილი. დიდო მგოსანო, — ამბობს ის, — სამშობლოშ დაგვაბარა გადმოგცეთ შენ მშობლიური ქვეყნის უზომო სიყვარული. ამიერიდან შენ ადარა ხარ უპატრონო და მიტოვებული. შენს წმინდა საფლავს აფარია მოძმე ხალხის სიყვარულის სათუთი კალთა. ზალვა დადიანი მორთოლვაოე ხელით ხსნის პატარა პარკს, რომლითაც დელეგაციას მოტანილი აქვს თითო მუჭა მიწა მთაწმინდიდან, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას საფლავებიდან.

მშობლიური ქვეყნის მიწა, რომელზედაც მთელი ხალხი ცხოვრობდა პოეტი, ჩუმი შრიალით ეყრება მის საფლავს".

„დავითიანის" ერთ-ერთ პირველ სტროფებში ასე გოდებდა გაურკვეველი მომავლის შიშით შეძრწუნებული პოეტი: „ცოცხალიც არ ვის ვახსოვდარ, მკვდარს ვინღა მამიგონებსა?!"

ეს იყო მწარე დაეჭვება, რომელსაც საბედნიეროდ განხორციელება არ ეწერა.

მის ნათელ ხსოვნას ახალი ფურცლები ეპატება. გურამიშვილის პოეტური სიტყვა გასცდა მშობლიური ქვეყნის ფარგლებს და მარადისობისკენ მიიკვლევს გზას.

●

იხილე როგორც მისი ცხოვრება, მისი პოეზიაც რთული და ჯერ კიდევ ამოუცნობი სიღრმისეული პლასტების შემცველია. ალბათ ამ მიმართულებითაც ჯერ კიდევ ბევრი რამ ამოსაცნობი და ამოსაშიფრი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლირიკოსი

გურამ კანკავა

მიხეილ ქვლივიძე

როდესაც მიხეილ ქვლივიძის შემოქმედების შესახებ მსჯელობენ, ყველა ისწრაფვის თავიდანვე თქვას უმთავრესი, რომ მიხეილ ქვლივიძე — ლირიკოსია და, ამასთანავე, აშკარად გამოხატული ლირიკოსი. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ლირიკა — ოვითონ პოეტის ხმაა, მისი მთლიანგანცდაა. პოეტისთვის ლირიკა „ჟანრი" კი არაა, ცხოვრებასთან საურთიერთობო გზაა. აქ ავტორის ხმამ უნდა გამოხატოს გაფაქიზებული სიცოცხლისათვის გამოღვიძებული განცდა, გრძნობებით განგვიმარტოს, ახლებურად აგვიხსნას ჩვენი სიცოცხლე. უნდა განგვაცდევინოს ცხოვრების მძაფრი სინაზე და ბოლოს, შეკმნას სამყაროს ლირიკული სურათი — ლირიკული ვეღტბილი — რომელიც მკითხველისთვის ორიენტირად იქცევა.

პოეტისთვის ლირიკა — სიცოცხლის შეგრძნებაა, უძველესი მსოფლგანცდაა, როგორც უძველესი ადამიანის პირველი გაღიმება, ადამიანის ყოფიერების ყველაზე სათუთი სახეა. ლირიკა შინაგანად უხაზგასრო ეპითეტად ჟღერდა, როდესაც პოეტს უნდა გამოხატოს, რომ სიცოცხლე — ლირიკაა (ლირიკული ბუნებისაა) და არა მარტო სიცოცხლე. სიკვდილიც ლირიკაა. მხოლოდ უფრო სევდიანი:

> ჩუმი იყავ, უხმოდ ჭირთა მთმენი
> და შენ ისე განვლე შარა ღღეთა,
> რომ სიკვდილიც ვერ შენიშნე შენი...

ლირიკული მღელვარება უმთავრესი ადამიანური განწყობილებაა, რომელსაც შეიძლება თამამად გაჰყვე. ცხოვრების ხელიერ მეგზურად აირჩიო და გაკვიდეს, რომ გეზი მაღალ ღირებულებათა სფეროებისკენ გაკვლა აღებული. ცხოვრების სიღრმისეული წვდომა მისი პოეზიათვის ნიშნეული არაა. ცხოვრებისეული მოვლენები აქ დაბეგენილი ლირიკის საგანია და, ავტორის რწმენით, ცხოვრება იმდენადაა მშვენიერი, რამდენადაც იგი ლირიკული წვდომით შეიძლება ამოიწუროს. ყოველივე ლირიკაა — ამაშია ჩვენი ყოფიერების უცოდველი მომხიბვლელობა, მისი ნათელი სიმსუბუქე, ჯიუტ ჩაძიებისგან თავის არიდების უწყინარობა. ლირიკული ემოცია აღვიძებს ინტელექტს, ამძაფრებს ჩვენს ნებას. პირველითგან იყო ლირიკა.

ეს არ ნიშნავს, რომ ეპიკური აზროვნება მისთვის მიუწვდომელი ან უცნობია. მაგრამ ეპიკური ელი და მანერა მისთვის სიბრძნიდან მომდინარეობს, ლირიკულობა — სიცოცხლის უშუალო მდგომარეობაა და თვით სიცოცხლიდან მომდინარეობს. იგი ყოველივეზგან დამოუკიდებელია — სიცოცხლის ხმაა.

მის პოეტურ სალუქობას კიდევ ერთ ზარიხს სძენს მისი ხმის ქალაქური დაბეგენილობა. პოეტს არაერთხელ სიამაყით უთქვამს მამის სიცოცხლეში: — მამაჩემი ნამდვილი ქალაქური ყაიდის კაცია, ნამდვილი თბილისელი და ქალაქელია... მისი ოჯახის მაღალი ქალაქური კულტურა კარგად გარდატეხდა მისსავე პოეზიაში და მის ლექსებს დედაქალაქური მგრძნობელობა შეესძინა. მისი ღრმა რწმენით, ქალაქური მგრძნობელობის გარეშე არ არსებობს სრულფასოვნების განცდა. პოეზიის მაღალი კულტურა; საერთოდ, კულტურა ფუფუნება არაა, არამედ ის მინიმუმია, რის შემდეგაც იწყება ადვილი. ლიტერატურაშიც და პოეზიაშიც ქალაქური კულტურა მინიმუმია, რის

შემდეგაც ლექსში იწუება სრულიაოფის განცდა, როდესაც გრძნობა იძენს ღირებულებას, ხოლო აზრი — ადამიანის ყოფიერების სისავსეს.

მიხეილ ქვლეივიძის პოეზიაში ქალაქურობის ეს ელვარე ნიშნები — პროგრადიცია და განსაკუთრებულ პლასტიკურ ასპექტს შეიცავს. პლასტიკური ტაქტი, რომელიც გვხვდებაგს მის ლექსებში, აქედანვე იღება სათავეს. ამ მოვლენას იგი სიტყვასთან დამოკიდებულების განსაკუთრებულ კუთხით ქმნის. სიტყვის ფეიქურის განსაკუთრებულ განცდაში ზედავს. თავის წიგნში „ფეიქრები... ფეიქრები",1 რომლის ეპიზოდი განსაზღვრა ერთი სიტყვით, ალბათ, შეუძლებელია, იგი ამ მიმართულებით შენიშნავს: „თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში აზრისა და სიტყვის კონფლიქტი შეინიშნება. დღეკვანდელი აზროვნების შესატყვისი მეტყველების შექმნა და დამკვიდრება — მწერლის უპირველესი ამოცანაა". მართლაც, ისისათვის, რომ გამოხატო დღევანდელი ადამიანის ცნობიერება, „სიტყვას" კონფლიქი არ უნდა მოუვიდეს მასთან, იმიტომ, რომ წინაადმდეგ შემთხვევაში, „სიტყვას" (პოეტურ მეტყველებას) საერთოდ არ შეეძლება გამოხატოს იგი (თანამედროვე ადამიანის ცნობიერება): გამოხატვის ვერბალური სიზუსტე ხომ გულისხმობს გამოხატვის მნიშვნელობისა და მისი პრესტიჟის დაცვას. თუკი პოეტს სურს შექმნას უტიუარობის ილუზია, სიტყვის ვერბალური რეალობა ამის წინაპირობა უნდა იყოს და „სიტყვაში"... ლექსის შინაგან ფორმაში — უცცხო სხეულები არ უნდა შეიმჩნეოდეს (ამ უცცხო სხეულაკებში ჩვენ ვგულისხმობთ არა იმიდენად ე.წ. ნეიტრალურ სიტყვებს ან საერთო ხასიათის პოეტიზმებს, არამედ უფრო არადედაქალაქურ-კუთხურ ნორმებსა და კილოებს).

მიხეილ ქვლეივიძისათვის დედაქალაქური მეტყველების სტანდარტა გამორიცხავს, აგრეთვე, თვით გარეუბნული ნორმებით, მისი კოლორიტ-ით დახარბებას; ეს მეტყველება მაღალი ლიტერატურის ფუნდამენტური ნაწილია, ლიტერატურული არტისტიზმის უველაზე კეთილშობილი მასალაა, მეოცე საუუუნის ენაა. ზოგადქართული მსოფლგანცდა იწუება დედაქალაქური კულტურული წიაღიდან. პირველის ყოფიერების განსაზღვრას მეორის კონსოლიდაციის სიმყარე, ხელშეუხებლობა, სიწმინდე...

მიხეილ ქვლეივიძის ლირიკა თავის აშკარად გამოკვეთილობას და ინდივიდუალურ იერ-სახეს იღებს იმითაც, რომ მასში ბატონობს ვიზუალური აზროვნება, ხედვითი წარმოსახვა„, გარეშო სინამდვილის ფერწერული მოაზრება. პოლ ვალერისაგან დამოუკიდებლად, მ. ქვლეივიძე წერდა: „ჩემი მხედველობა — ყველაზე ხაიმდენ ზუამავალია ფიქრსა და სინამდვილეს შორის" (ყველა ჩვენ შეგრძნებათა შორის ამ დველობა ვალერისთვის ყველაზე ინტელექტუალური შეგრძნებაა). მ. ქვლეივიძისთვის თვალი სინამდვილის ხატოვან ინტერპრეტაციას ემსახურება ამაში არაორაზროვანი როლი ძაუძეკვნ იმ ფაქტისაც, რომ იგი ჩამოყალიბდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, როგორც გრაფიკოსი-პეიზაჟისტი. ამიტომ მისი პოეზია ვარბად შეიცავს გრაფიკულ და ფერწერულ ელემენტებს. ეს პოეზია — ხედვითია. პოეტი მზერით, საკუთარ წარმოსახვაში ქმნის სურათის, რომელიც მკითხველსაც ანეგე ხელშესახებად სურს დაანახოს მის ლექსებში ცოცხლად მხატვრული ნახატის ენერგიული ახრისები.

ერთ-ერთ თავის ჩანაწერში (წიგნიდან „ფიქრები... ფიქრები") იგი, ალბათ, მეტაფორულ პლანშიც, თავისი ლექსის ხტრაქინებს რიკის ბრტყელ ქვეგზე ლურსმნით ამოკაწრული სიტყვების რიგს ადარებს. მართლაც, კარგად მიგნებული შედარებაა: იგი თვალსაჩინოდ გადმოგვცემს მისი პოეტური ხატების ტკბილეულ, ხელშესახებ და მოცულობიან თვისებებს. წინადან და მეღერი ბრტყელი რიკის ქვეგის ხატოვანი დაკავშირება პოეტურ სიტყვასთან — პლასტიკური წარმოსახვის ეკუმენიური მიგნებაა.

ამავე ჩანაწერში იგი წერს, თავის პოეტურ, მხატვრულ დროზე, რომელიც შემოქმედის სუბიექტურ ფსიქოლოგიურ დროსაც წარმოადგენს. ხელოვნების დრო არაფრით არ შეესატყვისება ობიექტურ, რეალურ (თუმას მანის სიტყვით, „ვუფგარიულ") ანუ კალენდარულ დროს. პოეტს გააჩნია არა მარტო საკუთარი სასიცოცხლო და შემოქმედებითი ალგორიტმი, არამედ საკუთარი მხატვრული დროც, რომელიც მოწოდებულია, ზოგ შემთხვევაში, დროისა და სივრცის სუბიექტური განვრცობით „გაანგარძლივოს" სიცოცხლის განცდა (ვთქვათ, გამოსტაცოს" წამები მარადისობას, ანდა პირიქით: საუკუნეთა მანძილზე შეკუმშულ დროში გაატაროს მეთხველი...), გაზარდოს სასიცოცხლო არეების იდეალური მოცულობა.

აი, პოეტის ეს ჩანაწერი, რომელიც შემდგომ კიდევ უფრო ხატოვანი და დრამატული სახით ასახავ მის ერთ-ერთ ლირიკულ ლექსში: „ზმირად ვეკითხები ჩემს თავს: რატომ ვწერ ლექსებს? რა ძალა მაგდა, რომ ამ უცნაურ „ჩიტის ენაზე" გამოვთქვამ ჩემს ფიქრებს და განცდებს? იქნებ, ლექსის წერა ჩემს ნებაზე არაა დამოკიდებული? იქნებ „პოეტობა", წინაადმდეგ გამეფებული ბრძანა, პროფესია კი არაა, ხასიათის თვისებაა, ახირებული ჩვეულებაა, ან უფრო სწორედ — ადამიანის გარდაუვალი ხვედრია?

პოეზია ცოცხალი სინამდვილის გადარჩენის, მისი შენარჩუნებისა და გახანგრძლივების ცდაა.

---

1 მიხეილ ქვლეივიძე „ფიქრები... ფიქრები" თბ., 1978, გვ. 70.

ბუნამ ანანავა
ნინიკილ ქვლეივიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შშეენიერი ხარ, წამო, შეჩერდი!" — ესაა ხელოვნების ფორმულა.

პირველი ლექსი თორმეტი წლისან დაუწერე. შაფდული იყო და სოფელში ვისეენებდით. თორმეტზე წყვეი სათვეზოდ იკ. შემთხვევით, რადაც-ან შეეხედე, მომეწონა, ხ ა ხ ე ლ ი დაკარკი ფა ფრაზას, რომელიც ჩემში იშვა, მერიტე მოპეკა. ორი სტროიკონი ერთმანეთს გაეერთმა და ამ თა ნ ა ზ მ ა იმდენად გამოტაცა, რომ ეკელფაერი დამავიწყა: ანეკეიც, კიაეკელებიც . ერთი საზრუნვაეი ჭმონდა: ჩემი გამოგონილი სიტკვები არ დამეფუეებოდა და რაკი ქაღალდი არ აღმოჩჩნდა, რიეის ბრტკეულ ქვეშეე ამოკკაწრე ის სიტკვები და ქვეშით დატკირთული შინ დავბრუნდი. მაშინ მივბედი, რომ პოეზია ძმიმე ტკერთიც ყოფილა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ისევ და ისევ ვეკოთხები ჩემს თავს, რაკომ ეწერ ლექსებს? მარტო ამიტომ, რომ მსიამოვნებს? რასაკვირველია, არა, რადგან ზოგჯერ მეონია, რომ დაწერილი არა მარტო მე, სხვებსაკ ეარდება ღა მაშინ, ამ გრძნობას აეოლილმა, ლამის არ დავიკრო, რომ ზუნტი ცოდხისა და პრაკტიკეეი გაანგარიშების ეპოკაში, პოეზიას შეუძლია დაიცვას და გადაარჩინის ადამიანი „ტკეზიკური გაეელურეებისაგან".

ეს ბიოგრაფიული ხასიათის მოგონება-ფრაგმენტი აეტორსა პოეზიის თემად აქცია, მისი საშუალებით პოეზიის მეტაფორული სახე დაგვიხურათა და საკუთარი პოეტური ინდივიდუალობის საწუხისებიც დაგვანახეკ. ეს მოსდა მისი თეორი ლექსით შესრულებულ, ხასიათნაკ პაეეტიკოთა და ზმიერი რიტორიკულობით დაწერილ „პირველ ლექსს". აკ არა მარტო მშვენიერ პოეტურ ხატებს შეეხედეთ (რიეის თეკმეოვი ბრტკეული ქვეში — პოეზიის ფიცრებად სკლა-ხა ქცეულან; ჭრიჭინები ბალაზში დაკრეოლებენ თავის უზნოკკ ეაწუპანა მოტოციელეტებს; პოეზია იწკეება გოაცეებდან თუ გეოგნებიდან. „მიმოვიხედე... ასე მშვეელელს დაეედეს კაცი"...), არამედ მთავარ თემატურ თეზნიეხსაკ — „ჩემში ჩასაფეთ სიტკვებს მთელი დაეეარეთ სივრცე"... და სხვა.

ამ ლირიკულ პოემაში ავტორი მოგონებათა ლირიზმს ოსტატურად ერთავეს თხრობის ეპიკურ ტონს და ამით თემის მრავალმნიშვნელობანაკეკ ბაზს უსვამს, მეტი სერიოზულობის ატმოსფერო შემოაკეკს მასში. (ამ მკაკრი გემოვნებით შერთულებულ ნაწარმოებში მხოლოდ ერთი იაფფასანი სტროკონი. გვხვდება და ამცირებს სმენაზ: „რომელთა ეშხმა ასე უცდე დამსხეეულა"...) ეპიკური ტონის, ეპიკური თხრობის ამგვარი მიზნით გამოეეენება ლირიკულ ლექსებში მიმეილ კკლივიციისთვის ნიშნეულია, რაშია კკეკვით დაკრეშეფდებით. ლირიკული მელეფარება ოსტატურადაა ეაქ შეხამებული ეპიკურ სერიოზულობასთან, ვითარების აწალეტეეს ხასიათთან, დახეეწილ პათეტიკურობასთან, ამიტომ ამ ორი ეანრული „პლასტის" ერთმანეთისგან გამიეეა კკეკვა შეუძლებელია, იმდენად ორგანულნი გამხდარან ისინი ურთიერთისთვის.

„პირველ ლექსს" თავისი ეპიკური გაშლილობით, გონებრივი პლასტის ფარული მოძრაობით, ასეთივე ფარული პათეტიკით, რომელიც საერთოდ თეთრ ლექსს გააჩნია, თითქოს თავისი წინაპარი ჰკეეს მიხეილ კკლივიციის ადრეულ პოეზიაში. ეს არის მისი ცნობილი „უშბა", რომელმაც ზაბოლოკცის კონგენიალური თარგმანის შემდეგ საბჭოთა მკითხველთან აღიარება დაიმსახურა.

„უშბაკ" თეთრი ლექსითაა დაწერილი, რომელსაკ საკუთარი პოეტიკა გააჩნია მ. კკლივიციის პოეზიაში. ხშირად პოეტის თეთრ ლექსში გვხვდება უშუალო, პირველ პირში მიმდინარე თხრობა და ამიტომ მისი თეთრი ლექსი წარმოადგენს თითქოს მეტეველ პოეტურ „რეჩიტატივს", ხან საკუთარ თავთან გასაუბრებას, ხან უშუალო მიმართვას ლირიკულ გმირთან ანდა აზრით აღსავსე შინაგან მონოლოგს.

„უშბა" მხატვრულად დასრულებულ, სრულეოფილ ნაწარმოებს წარმოადგენს. ამ ლექსში ორიგინალურო მხატვრობით არის გადმოცემეული ერთი ქალის ცხოვრება, რომელმაც თავისი ბედი დაუკავშირა უფერულ, უმნიშვნელო მამაკაცს. ავტორმა გადმოგვცა ბიერგერული ყოფის ხელეური სიდუხჭირე. გვგაძლიონია, რომ ადამიანის სპეკაკ და ხელეუხლებელ სულს მოელის დადუმება („სდუმს შენი სული თეთრი სამეფო"...), თუკი ცხოვრებას არ შეეხდავს ისე, როგორც მთასელეი უკურებს მისთვის ყველაზე რთული მწვეერვალის დაკორობა. „უშბა" მხატვრულ კონტრასტებზე აგებული პოეტური ქმნილებაა, უადრესად საინტერესო პოეტური ხატებით, და მართლაც ერთ-ერთი მწვერვალს წარმოადგენს მ. კკლივიციის შემოქმედებაში.

...თოვლია, თოვლი... და არსაიდან
არ ისმის ხმა ან გამოძახილი...
მაგრამ, შეხედე: ვარსკვლავთა შუქზე,
თოვლზე დაყრილი საკენკის მსგავსად,
ჩანს ელიკა მგზავრის ნაეეხურები.
ეერც ზკავმა შთასთქა და ეერც გრიგალმა
ეერ ამოშალა იმათი კვალი.
ეეებერთელა ღამეულ ცისკვეშ
ნაფეხურებნი კვალია მხოლოდ,
როგორც წერეკა ასოთმაკოული
და მისი არ ჩანს — არც დასაწყისი,
არც დასასრული...
შენ ახლა ეძინავს. შენს ახლო, ოქვე,
სძინავს შენს ბავშვსაკ, პატარა თ ე ა ს.
შენი სიზმარი არი ნათელი,
ეეთ სიყვარული შენი — მისადმი,
და შენი სული, უშბას თოვლივით,
არი სპეტაკი და ხელეუხლები.
მაგრამ, შეხედე: ვარსკვლავთა შუქზე,
თოვლზე დაყრილი საკენკის მსგავსად,

შენს სულშიც მოჩანს ნაფეხურები
მტკიცე ნაბიჯით გავლილი კაცის.
ვერც ზვავმა შთანთქა და ვერც გრიგალმა
ვერ ამოშალა იმათი კვალი.
სდუმს შენი სულის თეთრი სამეფო.
ნაფეხურების კვალია მხოლოდ,
როგორც წარწერა ასომთავრული,
და მისი არ ჩანს — არც დასაწყისი,
არც დასასრული...

გვერდით ოთაშნი წევს შენი ქმარი.
იგი სრულიად არა ჰგავს იმას,
ვინც მწვერვალებზე სიარულს ბეჯავს.

ლექსში აშკარად შეინიშნება თემის გადაწყვეტის ორნაირი განზომილება, — ლექსის სივრცობრივი სტრუქტურა ორი თანაფარდი განზომილებითაა დამუშავებული. ნაწარმოებში თითქოს მკვეთრ თანაფარდობაში იმყოფება ორი კონკრეტული სივრცე: ოთახის, ქუჩის, ქალაქის — ასე ვთქვათ, ბიუროგრაფული, ჩაკეტილი სივრცე და მეორე მხრივ, გახსნილი, უკიდეგანო მთაგრეხილების სტაქია და ციური უსასრულობის ბასშტაბები. მაგრამ როგორ წაადგება ლექსი, რომ აქ მხოლოდ მათი შეპირისპირება მომხდარიყო და ავტორს „ბიუროგრაფული სივრცე“ ტრადიციულად დაბლა დაეყენებინა სტაქიათა სივრცეზე. რა თქმა უნდა, ამ ორი სივრცობრივი სტრუქტურის არა შეპირისპირება ხდება, არამედ ურთიერთშენაცვლება, ურთიერთილუსტრირება. აქ სინანდარეხოა ხაგოანი პარალელი და არა იაფფასიანი კონტრასტი.

უფრო კონკრეტულად ლექსის კომპოზიციურ-სტრუქტურული შინაგანი სახე ასე გამოიყურება. „უშბა“ ხუთი არათანაბარი სტროფისაგან შედგება, რომელთაგან პირველსა და უკანასკნელში დახშული ბიუროგრაფული სივრცობრივი ალანია დაცული, ხოლო მეორე, მესამე და მეოთხე სტროფები — გახსნილი სივრცის სტაქიური სახე. როგორც ვხედავთ, კომპოზიციურად ლექსი ისეა მოფიქრებული, რომ საწყისი და ბოლო სტრუქტურები ერთიანდებიან და ერთ სემანტიურ მთელს ქმნიან, მათ შორის კი მოქცეულია სამი სტროფი ღია სივრცობრივი სტრუქტურით. მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ამგვარი არქიტექტონიკიდანაც ჩანს, რომ ლექსში უფრო მეტ აზრობრივ და შინაარსობრივ დატვირთვას შეიცავს ნაწარმოების გამხსნელი და დაზაბოლოებელი სტროფები (თავისი „ბიუროგრული“ ხასიათით).

საქმე ისაა, რომ ლექსი ადამიანის სულიერ ფასეულობათა დადგენილი ზეალის კიდეე ერთხელ გადახედვასა, შემოწმებასა და დადასტურებაზეა აგებული: ეს სულიერი ფასეულობები აკი ისტორიულად ყალიბდება და დგინდება ვიწრო სივრცეში — შენობაში, ოთახში. ჭალაქში... ახე რომ, სტაქიურსა და ბიუროგრეულ განზომილებებს შორის დაპირისპირებას კი ანა აქვს ადგილი, არამედ აქ მეტაფორულ ურთიერთობას ელს უფრო ვხედავთ.

ლექსში ხუთი სტროფის გარდა არის კიდევ ერთი კომპოზიციური (და სხვათა შორის, ფრიად საგულისხმო) ელემენტი, რომელსაც, მუსიკალურ ტერმინოლოგიას თუკი დავეესესხებით, კოდა უნდა ვუწოდოთ. იგი სამი სტროკონიდან შედგება და ამოლოვებს ლექსს. ამ პოეტურ კოდას ლექსში შეაჯამ დრამატეგიული საწყისი. იგი საკვანძო დანიშნულებას ატარებს და ნაწარმოების აზრობრივ მხარეს მის გარეშე ვერ ჩავწვდებით.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ გასაგები უნდა იყოს, რომ „უშბა“ ეხება ქალის სულიერ ბედს, მისი გრძნობებისა და სულის ისტორიას, მისი წარსულისა და მომავლის შეუთავსებლობას. ეს ქალი, ლექსის მეორე ლირიკული გმირი, არის კიდეც თვითონ უშბა, მაგრამ მძინარი და მდუმარე, რომელიც ალარ გამოფიზზოდება (ლექსში სრული პანქრონიაა, ე.ი. დრო უცვლელია, მუდმივი ღამეა, რომელსაც ხდეს უმოქმედობა, ძილი და ყოველივეს ძილქუშში დასწოლია). ლექსში ორი უშბაა. ერთია ტოპონიმიურად ცნობილი სვანეთის ულამაზესი მწვერვალი და მეორე — ქალი, სულიერად ისეთივე აუღელვებელი, მშვენიერი და თოვლივით სუბტაკი.

ამ ორ უშბას ერთიანებს ლექსის ლირიკული სუბიექტი, თვითონ ავტორი, როდესაც იგი „მთასხელელად“ გვეგულინება და საკუთარ სიცოცხლეს, ქალის სულს თუ შემოქმედებით ძიებებს ისე ეკიდება, როგორც მთასხელელი — ყველაზე მიუდგომელი და უმაღლესი მწვერვალის დაპყრობას.

ლექსის დრამატული სიმძაფრე ყოველ სტროფში თავისებურად და ამავე დროს, თანაბრად იქნებოდა აღბეჭდილი, რომ არა შემდეგი გარემოება: პირველ ოთხ სტროფში დრამატიზმის სიმწვავე შექმნილი განწყობილების დონეზეა გამოხატული, მაშინ როცა ბოლო სტროფი და, აგრეთვე, კოდა — ადამიანის ბედსა და გულისხმიერებელ ბიოგრაფიულ მონაცემებს გამოხატავს. საქმე ისაა, რომ „უშბას“ გმირი ქალი არა მარტო მშვენიერი უშბაა, არამედ, ასევე, „ტაბუოა რაზა“. — სული სუფთა ფურცელი, ხელუხლებელი, ფაწურული დფფა. მხოლოდ ერთხელ შეეხენ მის სულს, ერთხელ აგრძნობინებეს ყოფიერების სისავნის განცდა („მაგრამ, შეხედე: ვარსკვლავთა შუაზე, თოვლზე დაყრილი საკენკის მსგავსად, შენს სულშიც მოჩანს ნაფეხურები მტკიცე ნაბიჯით გავლილი კაცის“...) და ეს მადლი, რომელიც სამუდამოდ მასთან დარჩება, არავითარ კავშირში აღარაა მის რეალობასთან, მის აწმყოსთან და მით უმეტეს, მომავალთან.

„უშბაში“ ვხვდებით მ. ქვლევიძისთვის დამახა-

ბურაბ კანაკაბა
მიზეილ ქვლევიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიათებული სივრცობრივი პლანის იმგვარ ორგანიზაციას, რომელიც ტელისმბრმს სწორედ მის შემოდახვეულებულ პრინციპს, რომ „პოეზია ცოცხალი სინამდვილის ელდარჩენისა და გამჯერმძლიერების ცდაა...“ ლექსის მეორე სტროფში ფერადი სივრცისრივი ასოციაციები ქმნიან ისეთ მოლიან ჯრანდიოზულ მხატვრულ პანორამას, რომლის ალქმა მეთხეველში მართლაც აფართოებს და ანაზღაურებს სიცოცხლის განცდას. ზრდის თვით ალქმის მოცულობას („მაღლითკი ყველას. შენც. შენს ჭეშმარიტ, ქალაქს და ქედებს მის გარეშეთო, ქედების ოქით — გზებს და საფეხურებს, მინდვრებს და ჭალებს, და ალვის ხეებს, ლიანდაგებს გასწვრივ დარაულებს, სოფლებს, ქალაქებს, მთელს საკრთველოს კაკვალითნის მკლავებზე ძინარს, — დასაკერის ზღვა უზარმაზარი...“). დროულ-სივრცობრივი ხატების კონკინუუმი, ნაწარმოებში ყველაზე მეტადელი და შუამბეჭდავი სტრუქტურებია.

ხოლოდ თანამედროვე იერ-სახე აქვს მეტაფორულ შედარებას „ოოოლზე დაერილი საყვარელ მსგავსად“... საყვარეა სემანტიკურად უკავშირდება მაღლს, ხვავს; თოვლი — უნაკოფოობას და სტერილობას. ამ ხატების თანაგრძელობაში უკვე მოცემულია ლექსის ემოციური და იდეური ბირთვი. „უშუაბრ“ აშკარად იგრძნობა ვიზუალური აზროვნების კეთილისმოფელი ნიშნები, რომლებიც აკტორისთვის პოეტური ხილვის საფუძვლად იქცე

სანიშნავი ფერწერული სახეებია. მაგრამ ლექსი ამ ხატოვანი სურათებისთვის კი არაა, უპირატესად, დაწერილი. არამედ ლირიული სუბიექტის (ავტორის) იმ სასიცოცხლო მოუთმენლობისა და წუთრეული გამოხახატად, რომელსაც გაზაფხულთან, ბუნების ვანახლებასთან შეხვედრა ბადებს: გაზაფხულის პოეტური პანორამა — სიცოცხლის პორტრეტიცაა და ლექსში ემსახურება ბუნების გაღვიძებულ ხასენთან ავტორის განსაკუთრებული (მაგრამ არა ესთეტური...) მიმართების გამარილებას. ბუნებასთან შერთვის ეს მეტაფიზიკური გრძნობები იქნება ყველაზე ღირებულია მათ შორის, რაც კი საერთოდ პოეზიამ გამოიმუშავა და მოიპოვა; ბუნების პოეზია — ყველაზე დიდი გამარილებაა მისი (თავად პოეზიის) არსებობისა და ალბათ, ყველაზე ღირებულია მის გონით დანიშნულებებს შორის. ბუნებისკენ ლტოლვა — აქ არა მარტო სიცოცხლის მიღება, სიცოცხლის წყაროებთან და ხაწყისებთან უშუალო შებრძა. არამედ სიკვდილის მეტაფიზიკური წინასწარგანცდაა: მისი, როგორც სიცოცხლის გაგრძელების განხილვაა.

ერთი ფრანგი მეცნიერი წერდა, იმისთვის, რომ ადამიანს შეეძლოს ცოცხრა, მისთვის აუცილებელია სამგვარი სიყვარული: ბუნების სიყვარული, ცოცველების სიყვარული და წიგნის სიყვარული. სამივე — შეძენილი გრძნობაა და გონიერი ადამიანის საკუთრებაა.

მ. ქვლეივიძისთვის ბუნება — მისი წარსულია და მისი მომავალია. ამიტომ ლექსში ეს მსოფლშეგრძნება შედარებით ესთეტიზებულად გამოიყურება, ლექსში „გაზაფხული" პოეტი წელიწადის ამ დრო ეგებება, რადგან იგი საოცრად მომბიბლელია და ბუნების სახე მის მიხედვით სურს ნარმოიდგინოს. აი, ბუნებისადმი პოეტის მიხაგებებელი ემოციები:

მოვიდა! მეცნო! მეღრარსა ნახავ!
მე ვეღარ ვმალავ ხალისს უნებურსს...
და ეკვებები ამ ბრაკა ახალს,
როგორც ოფიდან ძმას ხაბრუნებულს!

ეხვა ლექსში („დილით, ხევში, რაღაც ლურჯი ილეკება"), რომელიც, აგრეთვე ბუნების ეგრძნებეს ნიმუშს ნარმოადგენს. უფრო გარკვევითაა მანიფესტირებული ის მსოფლგანცდა, რომ ადამიანისთვის ბუნება მისი შემდგომი სიცოცხლეა, რომ ადამიანის მიერ სიკვდილი მხოლოდ ასე, მეტაფიზიკურად უნდა განიცდებოდეს. ორიგინული სუბიექტი, გაბრაუული ბუნების თვალმომკრული სურათებით, ექსტატიურ მდგომარეობაში თანმხვედა უკვდავ ბუნებაში ცხოვრებაზე. ავტორი, მართალია, ხავსებით გაუცნობიერებლად ნარმოსთქვამს, რომ ბუნებასა სულთან შერწყმა — ეს არის „სიცოცხლეში — უკვდავების დამოწმებათ", მაგრამ თუკი ამ პოეტურ დებულებას დავაზუსტებთ, აქ აგრეთვე ლამარაკი უნდა იყოს „ბუნებაში უკვდავების დამოწმებაზე": ბუნებას თავისებური ლი სიყვარული — ადამიანის სიცოცხლის უსასრულო „შიმავალზე" ფიქრიცაა. ბუნების დიდზე დიდი სიყვარული, რომელიც, საერთოდ, ქართულ მწერლობაშია გამოხატული. ადამიანის სიცოცხლის უმძაფრეს განცდასთანაა დაკავშირებული.

მოგიყვანთ მოლიანად მ. ქვლეივიძის პეიზაჟურ ლექსს „დილით, ხევში. რაღაც ლურჯი ილეკები", რომელშიც ანტროპომორფიზეფილი ბუნების სიყვარული საკმაოდ გათანაბრებულია ადამიანისა და სიცოცხლის ალტაცებულ სიყვარულთან:

დილით, ხევში, რაღაც ლურჯი ილეკები
და ბზის მოსკლას ეუფლ უკნეკენ ძაღლები.
გზები, გზები, დაწუკეტილი ბილიკები.
კამათლებად გასროლილი სახლები.
მწვანე მოლზე ხე—მოხრილი მთესველივით,
მტკეანში ლოდი — გუთანივით გახრილი.
აქ ოცნება ირწიეკივით მთებს ეკლება
და ბელს ესმის წინაპაპთა ხმა ვმრეული.
დაეხარ მთაზე, ლორბლებს კეტით ერეკეკ,
გინდა ზეკას დაეკოცნო ღაწვები.
გზები, გზები, დაწუკეტილი ბილიკები.
ცამდე რეკებით ზმდელი ნაკვები...
ამის მეტი სიხარული და ოცნება,
ალტაცება და სიცოცხლის მიგნება,
სიცოცხლეში — უკდავების დამოწმება
არც ყოფილა, არც არასდროს იქნება!

პოეტის ამ ადრეულ ლექსში კარგად ჩანს ზოგი მისი ფერწერული თავისებურება, „ფუნჯის" მოსმის ტექნიკა („დილით, ხევში, რაღაც ლურჯი ილეკები"); ფუნჯის ამ სჯელ მოსმას ცვლის გრაფიკულად შესრულებული, ალბათ, რომელიღაც დასაზღვეული ფერფლის მკრთალი, მაგრამ რიტმული ამრიები („გზები. გზები. დაწუკეტილი ბილიკები. კამათლებად გასროლილი სახლები"); ბუნება, როგორც წესი, ანტროპომორფიზეფულია და იგულისხმება, რომ მასში სიცოცხლის სახიერებათა ძიება არ წყდება („მწვანე მოლზე ხე — მოხრილი მთესველივით..."); ბუნების გაღვიძება შეიძლება მხოლოდ სიყვარულით. პოეტი მძაფრად, „ალბურად" ასრულებს სიყვარულის პოეტურ რიტუალს და მთიდან კეტით ერეკება ლორბლებს; შემდეგ კი დგება მეტი სინაზე („გინდა ზეკას დაეკოცნო ღაწვები..." დასკვნით სტროფში პოეტი თვლის, რომ ბუნების სახით მან დიდ სიცოცხლეს მიაგნო („ამის მეტი სიხარული და ოცნება, ალტაცება და სიცოცხლის მიგნება..."); და ბუნებასთან ასეთი ჭვიერი სულიერი თანაცხოვრება — უკვდავების დამოწმებაა.

თავისი შემოქმედების პირველსავე პერიოდში იგი ქმნის პეიზაჟურ ლექსებს, რომლებმაც ბუნე

ბის ახალი წარმოსახვა დაამკვიდრეს ჩვენს თანამედროვე პოეზიაში. ამ ხახოვის ლექსებში იყო ისეთი სიახლეები პოეტური პლასტიკის თვალსაზრისით, რომლებიც მკითხველს აფიქრებინებდა სრულიად თვითმყოფი პოეტის დაბადების შესახებ.

ცეცხლი გაკაჰაღეთ და შემქრთალ კაცივით
სიბნელეშ ერთბაშად უკან დაიხია...

ამავე ლექსში („ვენახი") გვხვდება ადამიანისა და ალწერილი ბუნების სურათის საოცარად ერთიანი მხატვრული განზომილებით აღქმა. მათი თავისებური გაერთგვაროვნება: „შემოდის მეველე და ჩოხის კალთებით ნაწვიმარ ქედების სურნელი შემოაქვს". მეველეს ჩოხის სველი კალთები მკითხველის ცნობიერებაში ბუნების დეტალად — ნაწვიმარი ქედების ქაო

ლობითი არსებულის ერთ-ერთი მეტყველი გამოვლინებაა: ლექსში „თოვლი“ იმპრესიონისტული სტილის საკმაოდ მკვეთრი მხატვრული ნიშნებია, იგრძნობა მათი დახელოვნებული გამოყენება.

> ცა ამეტყველდა ტუჩების თრთოლვით,
> გულისნადები ფიფქს დაადარა...

ჩვენ „ვხედავთ“, რომ თოვლის ცვენა ცის ამეტყველებასთან, მისი ტუჩების თრთოლვასთან არის შედარებული, ხოლო დათოვლილი თანამედროვე ქალაქი — ზვავით მოცულსა და დადარულს ჰგავს. როგორც ეს სიმბოლიტურ დრამებში ხდება, ყოველისმომცველი სითეთრე აქ სიმარტოვის ესთეტიკას გადმოსცემს, ხოლო ქალაქს გარინდება ბუნების ცივ გარემოცვაში დუმილის მეტაფიზიკას უახლოვდება („თოვდა... და როცა უზარმაზარი წამოეწია ქალაქს საღამო, როცა დიეცა, როგორც თავზარი, ქუჩებს დუმილი დაუსახამ...“).

ამ დიდი ქალაქში საღამოები უზარმაზარია, მათი დუმილი თავზარსა სცემს ის ადამიანებს, ვინც ქუჩებს; შინიდან გამოდის თავდაბრილი შეუვარებული ქალი, რომელიც მიჰყვება თოვლში გაკვალულ ნაფეხურებს და უცნაური ღიმილით იგონებს თავის სატრფოს. სიყვარულის ფრაზა იმგვარად განვითარდა, რომ ახლა მას მხოლოდ ექვები ეუფლებიან და აწვალებენ. თოვლში გამოსულ ამ ქალს ერთი გამოსავალიღა დარჩენია — დაივიწყოს თავისი წარსული და როგორც ქალაქის ქუჩებში, მის მოგონებებშიც ჩამოწვეს თოვლი, რომელიც ახლა თეთრად აცვია... ამ ლექსში („თოვლი“?) გვხვდება რეალისტური დეტალები და ადამიანთა ურთიერთობაც (ლირიკული სუბიექტი, ქალი) ყოფით სურათოვნებას უახლოვდება, მაგრამ ირრეალური განწყობილების სიმძაფრე და ზოგიერთი სიმბოლისტური ხატის სრულოფოლება ქლასტიკური სიცხადითაა ფარმოდგენილი.

ამავე ხანებში დაწერილ ლექსში, რომელსაც, აგრეთვე, „თოვლი“ შეიძლება რქმეოდა, მაგრამ უსათაურია („ბარდნის, ბარდნის, ისევ ბარდნის“...), იმპრესიონისტული მხატვრობა შესაფერის ოსტატობას მოკლებული არაა. ამ ლექსში საოცრად გრძელი ინტერვალებია დაცული ერთ პოეტურ ხატსა და მეორეს შორის, რაც, როგორც ვვახსოვს, სიმბოლიზმის ესთეტიკამ მოგვიტანა, და ეს ვრცელი, უგრძესი ინტერვალები პირდაპირ პროპორციულია მათში ნაგულისხმები გრძნობის ინტენსივობისა. ინტერვალი ორ მომიჯნავე ხატს შორის — ეს არის უთქმელი ან გამოუთქმელი გრძნობის ხარისხი. (ისევე როგორც, ტრაქტორია, შემაერთებელი ორი მომიჯნავე, მაგრამ სრულიად არათანმსგავსი ხატისა, შეიცავს გრძნობათა უმდიდრეს პალიტრას).

ლექსი „ბარდნის, ბარდნის, ისევ ბარდნის...“ თითქოს იმპრესიონისტული მუსიკის კანონთაა დაწერილი. იგი ძალზე არამატერიალური საგნების მუსიკას გადმოგვცემს. ყველაზე ძლიერი ხმაა — „ცის მსხვრევა“, ცის ფიფქებად ... რევა. ლექსის შინაგან მუსიკაში „ისმის“ ფიფქების ცვენის ხმა. შემდეგი „მუსიკალური“ თემაა — თვითონ ლექსი, რომელსაც, შესაძლებელია, საკუთარი ტონალობა არ გააჩნია, რადგან ფიფქების ცვენის ხმებისგანაა შემდგარი. შემდეგი წამყვანი მოტივი — ქალის სიყვარულია, რომანტიკული და თოვლივით მსუბუქი (თუ თეთრი). ახეთივე მერხევი და რწევადი კონტურები აქვს „იმ სახლების შავ ნუკუბს“, რომელსაც პოეტის ქალაქში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. თანამგზავსი „მუსიკალურია“ თემებია პოეტის ხიზმარი, სულის თეთრი სიბნელე და ა. შ.

თქმა არ უნდა, ლექსი „ბარდნის, ბარდნის, ისევ ბარდნის“ განსაკუთრებული სისათუოთთან ხასიათდება და ძალზე მელოდიური, მაგრამ თვით ლექსის მელოსი, ინტონაციის ფაქიზნი მოდულაციაა, თუ ზოგი რიტმული ფიგურა ხაზგასმულად თანამედროვეა და ამ თვალსაზრისით, ზოგი ფრაზა მუსიკალურ სინკო

„ფიქრები... ფიქრები..“ იგი ამ მიმართულებით წერს: „რუსული ენა კარგად ვიცი და ხშირად მეკითხებიან: „შენ თვითონ რაკომ არ თარგმნი საკუთარ ლექსებს რუსულ ენაზეო?!“ უცნაური შეკითხვაა- ამა რა ვიცი, რა წარმოდგენას აღძრავს ჩემს ფიქრებელ ჩემი რუსული სიტყვა? მე ქართველ მკითხველთან მაქვს ურთიერთობა და ამიტომ წინასწარ ვიცი, რა წარმოდგენას შექმნის მასში ჩემი ნათქვამი ქართული სიტყვა“. მაგრამ რუსული პოეზიის ნაყოფიერ გავლენაზე ლაპარაკი უდავოდ, რეზონიანია. ჩვენ მოვიტანთ ლექსს მ. ქსლეკინის წინადროინდელი ლირიკიდან არა მარტო იმ მოსაზრებით, რომ მასში ჩანს რუსული პოეტური მეტაფორების ზოგი სინტაქსური ნიშანი, არამედ უფრო იმ მიზნით, რომ მკითხველი დავარწმუნოთ — რამდენად ორგანულია ასეთი ლექსი პოეტის მხატვრული აზროვნებისათვის. ლექსს ეწოდება „ეს დღე“. იგი ქალაქური სულისკვეთებით აღბეჭდილი თემაზეა დაწერილი, თუმცა მოქმედება ქალაქში არ ხდება. ლექსმა მიიკოკუსის ადრეული ლირიკის რემინისცენციებიც აღგვიძა („Мама и убитый немцами вечер“). მაგრამ მთავარი ეს არაა. მთავარია აქ სინტაქსური თუ ინტონაციური ფიგურების უჩვეულობა, რომლის დამნერგავადაც ამ შემთხვევაში პოეტი გვეკონება.

ეს დღე ღილიდან თავს იკავებდა
(ამინდი ჭგავდა დახუული კოლოფს),
ნაწყვეტი ბაგშვი იდგა კარებთან...
ეს დღე ღილიდან თავს იკავებდა —
სასოწარკვეთით ატირდა ბოლოს.
და უცვალ: ფიქვთა ხმა სასაკრო
შეწყდა. სანთლები წვიმას ჩაეკრო.
სიჩუმე იწვა წაკითხულ წიგნით...
წვიმდა და წვიმას სურდა გაეგო,
თუ რა ხდებოდა ოთახის შიგნით.

მიხეილ ქვლოვიძის პირველი შემოქმედებითი ეტაპის სულისკვეთების გამომხატველია, მაინც მისი ცნობილი „ანანი“. იქნებ არც ერთ ადრეულ ლექსში ასე დაწერილად, თავმოყრილად და თამამდეკერულად პოეტს არ გამოუთქვამს არა მარტო თავისი ცხოვრებისა და თავისი პოეზიის არსებითი ზნეობრივი და ფილოსოფიური საკითხები, არამედ მთელი მისი თაობის გულისნადები და სატკივარიც. თავის დროზე, მახსოვს ლექსი იკითხებოდა, როგორც მცირე მანიფესტაცია; მეორე მხოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო. მაგრამ მისი მკაცრი სუსხი ყოველდღიურობაში ისევ ძალუმად ჩარჩენილიყო და იგრძნობოდა, სისხლდაწრეტილი ცხოვრება, რა თქმა უნდა, ლაღი და მრავალფეროვანი ვერ იქნებოდა. გარდახდილი ომის ნაკვალევი ცხოვრების სახეს ღრმად ემჩნია და როგორც იტყვიან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე თავს იჩენდა. მაგრამ მიდიოდა ახალი თაობა. იგი, ბუნებრივია, თითოდა სისხლსავსე ცხოვრებას, კეთილდღეობას, ყოველივე სიკეთეს. და რაც ომმა გამანადგურა, მოისულ თაობას საკუთარი პიროვნული ინტერესი, ხულიერი იმპულსებით, ზნეობრივი სიმხნევეთია და სილამაზით უნდა აეღორძინებინა. მაშინ ეს თაობა „თავს აფარებდა“ პოეზიას, ლიტერატურას, ხელოვნების დარგებს. რთა „ხელოვნებაში ცხოვრებით“ შეექმნათ სრულქმნილი სინამდვილე, სილამაზის, თავისუფლების საკუთარი განცდა.

„ანანი“ სწორედ ეს საკითხებია აღძრული. ანანი, რომელმაც, როგორც ვიცით, შექმნა სალამური და კარგადაც უკრავდა მასზე, ლექსში წარმოსახვით დაჯილდოებული ადამიანის, პოეტისა და შემოქმედის სიმბოლური ფიგურაა. ლექსში მითოსური ანანს კიდევ ერთი თავისებურებაა გამოყენებული: ანას უყვარდა თავისი ადგილ-სამოფლის მიტოვება, ზეიგერ იცოდა განმარტოება და მაშინ არასგზით არ დაუშვებდა, რომ შეეწყვეტინათ. თანამდროვე პოეტი იმით ნაგაგის ტუეებისა და სამყარების ღმერთს, რომ იგიც დროდაღრო განმარტოებულია საკუთარ ხელოვნებაში, საკუთარ სულიერ სინამდვილეში, სილამაზის მხატვრულ წარმონაქმნებში („ქალაქი მთების გადადმა დარჩა, რკინა-ბეტონის ლოდებში მჭდარი. მადლობა უფალს, აქედან არ ჩანს და არც იქიდან უბერავს ქარი!“).

ამ რომანტიკულ ლექსში ახალგაზრდა ხელოვანი უღრმესი შემოქმედებითი ძალების შემოტევას გრძნობს; მაშინ იგი ტოვებს რკინა-ბეტონის ნაცრისფერ ქალაქს და თავისი შემოქმედებითი მადლის საგრძნობლად დაესახლება მივარდნილ ლოშში საკუთარ მხატვრულ ძალებში ჩახაძირად. მისი ჩაგმეოლა მზრონა: წელზე შემორტკუმული აქვს ხელის ბაბარი, ხელში კი გასილული ჯოხი უჭირავს. მაგრამ სულიერად იგი ტოლს უდგმს მზოლოდ მთის სტიქიას, ღრუბლების ქროლას და ყოფიერების უმაღლესი თავისუფლების განცდას. ეს იყო ლექსი, რომელიც ჩვენს თაობას თავიდანვე მოუწოდებდა საკუთარ სულიერ ძალებში ქვეთქვირიყვნი გამაგრებას.

ძალა მაქვს — მუხას წნელივით მოვბრი,
და ცაში არწიეს მიეწყდები ხელით.
მე ტყეში მიდგას პატარა ქოხი,
გარეშოლეკეო ოენებით ძველით.
მე ტუის კაცი ვარ... დავდიკარ უქმად
დათეის ბეწვეიით დაბურულ ტყეში
და როცა მშია, სისხლიან ლუკმას
ვეძებ ნადირის დაცდილი გეშით.
ღამით კი, ბუხარს ზღაპრებით ვართობ
და მიხარია: ვარ ასე — მარტო...
ქალაქი მთების გადადმა დარჩა,
რკინა-ბეტონის ლოდებში მჭდარი.
მადლობა უფალს, აქედან არ ჩანს
და არც იქიდან უბერავს ქარი!
მარჯვენე გავხედავ — ლურჯია ფარდა,
მარცხნივ — ღრუბელი მთის დასწოლია
და კიბერიტ: ამ ღრუბლის გარდა

ქეკუნად ნაცნობიე არა მყოლია!..
ხელში კვერთხივით მიეჭიავეს ჯოხი,
წელზე მარტყია სელის ბაწარი...
მე ტყვში მიდგას პატარა ჭოხი —
თავისუფლების დიდი ტაძარი!

მიხეილ ქვლევიძის შემოქმედებაში საგანგებო ადგილი უკავია იმ მტკივნეულ გამოძახილს, რომელიც მასში გამოიწვია დიდმა სამამულო ომმა. ეს ომი მისთვის ამოუწურავია და გასდევს მი- ნი შემოქმედებითი გზის ყოველ მონაკვეთს. ყოველ მოსაზრებეს. ომის თემას იგი ორმაგი სიმძაფ- რით განიცდის: როგორც სახალხო მოვლენას და, აგრეთვე, როგორც ღრმად პირადულს. ლე- ნინგრადის ბლოკადა და ლუგანსკის ოლქის ტრა- გედია, სამხედრო მოსპატლის სიმძიმილი და რა- ინსტაგის ალება — მისთვის არა მარტო პოეზია, სასიცოცხლო თემებიკაა, ერთსა და იმავე დროს. ამ ლექსებში იგი თითქოს ყოველი დაცემული ჯარისკაცის სიცოცხლის გათავებას განიცდის. ერთ-ერთ მათგანში („სოფლის შარაზე მტრის ჯარისკაცებს"...) ავტორს წარმოდგენილი მტრის ჯარისკაცების მიერ ადამიანის დახვრეტა. ჩვენ არ ვიცით ვინაა ეს კაცი: სამხედროა თუ მშვი- დობიანი მოქალაქე, აქვს რაიმე კონკრეტული და- ნაშაული, თუ მტრის წინააღმდეგ ჩვეულებრივი მებრძოლია. ლექსის კითხვისას ფიქრობს: იქნებ ავტორმა საკუთარი თავი წარმოიდგინა მსხვე- რპლის როლში, თუ როგორ მიმკუთვნი იგი დასა- ხვრეტად. ლექსის დრამატიზმი აგებულია არა სიკვდილის მოტივზე, არამედ სიცოცხლის უძ- ლეველ სურვილზე. სიცოცხლით დახარბებასა, მისი ყოველი ნასურეტითა და პორით შეწოვის აუხდენელ სწრაფვაზე, რასაც კიდევ უფრო ამ- ძაფრებს მოაზლიანები სიკვდილის წუთები. ავტორის თქმით, ამ განწირულ ტყვეს უკვე არც რაიმე სურდა, არც არას ელოდა და არც ფიქრის უნარი შერჩენოდა; იგი მხოლოდ მზერით ცოცხ- ლობდა, თვალებით ეშიდებოდა ცხოვრებას „და რასაც იგი ხედავდა ამ დროს, ანუგეშებდა უკვე განწირულს"... მას „ანუგეშებდა" გზად შეხვედრილი ნაცნობი სახეები, რომლებიც სიკ- ვდილის ულაზნი სახის წინაშე, მასთან შედარე- ბით, ახლა დიდად ახლობელნი გამხდარიყვნენ. ეხლენა: გზად შეხვედრილი ნაცნობი სახლები, მათი სახურავების გადადმა დაკიდული ღრუ- ბელი, მეზობლის გოგო კალათით ხელში, სამ- ეკედლოს კართან დგადგიული ძველი გუთანი, ბოლოს, მთების ნაცნობი მოხაზულობა...

ლექსში აღწერილი მოქმედებების ფსიქოლო- გიური მოტივირება იმაშიც უნდა მდგომარეო- ბდეს, რომ ადამიანი თითქოს, რამდენადმე ალი- ბეკდება ნაცნობ და ახლობელ საგნებში, „ანა- ბეკდის" სახით იცოცხლებს მათში. ისეთი უძ- ლები და ძლიერი იყო ხედვის, ყოველივეს ყნდოობისა და ნახუნში აღბეკდვის წყალი, რომ ერთადერთ იმედს ახლა ეს გარეხნამდვი- ლი წარმოადგენდა. ბოლოს, ტყვეს მხოლოდ სი- კვდილისგან გაქცევა კი არ ამოძრავებს, ყოველივე ესენთან ერთად — ზეიცდეს სიკვდილისაგან, ... ებში ჩახედოს, ფიანსწროს მისი ზეცნარა. ... ესაა „ხოლოს ბრძანება გასცეს და მიწას დ.ს- ცეს გუთანგაბმილული, — კაცს გაბეულილი დარჩა თვალები, თითქოს სიცოცხლის მიჯნასთან მის- ულს — მას თვით სიკვდილის დანახვაც სურ- და..."

ავტორს სურს გვაგრძნობინოს თუ როგორი ინიციატივიანი გამხდარა სიცოცხლისთან გამო- სალმების წუთები, როგორ ინტენსიურიდა თვა- თონ სიცოცხლის შეგრძნება სიკვდილის სახის წინ და რამდენად უფრო სასურველია სიკვდილი როლისაც იგი ბუნებისაგან კი არ ბომდნარე- ობს, არამედ ადამიანებისგან.

არანაკლებ შთამბეჭდავია მ. ქვლევიძის ლექ- სიტ-ტიკატები „დაკარგული სიფლავი", რომელ- საც მან ეანრული ხასიათის მიხაკებად ბალად უწოდა. ეს ტრიკტიკი ეძღვნება მ. ქვლევიძის ომში დაკარგული უფროსი ძმის ტრაგიკულ ხსო- ვნას და თუკი ამ ლექსებს ავტორი ბალადის ეანრით გვაცნობს, შეიძლება იმიტომ, რომ პო- ეზიის პირობითი ჩარჩოებით შეარბილოს შეუ- რიგებლობის გამოუთქმელი გრძნობა. ამის საკ- ვდილი ბალადის თემად ქცეულა. თემის ეს ამა- ღლებულობა თითქოს ეხმარება ავტორის ბი- რადი ტკივილების მოშუშებას. საერთოდ, მ. ქვლევიძისთვის ბალადის ეანრი ინტენსიური ... ადეკტური გამოხატვა, ემოციურ უკიდურესობა- ა კულტივირება. მისი პოეტური ექსპრესიულ- ობის ძლიერი მხარეა — სირბილი, მოუთოდ- ნელი სალუქობა, გრძნობის არა გადამეტება, არამედ საკმეტლთან შედარებით მორიდებულად გამოთქმა. ეს ხელოვნება იგრძნობა ტრიკტის- შიც „დაკარგული სიფლავი". ის რაც იქცა ბა- ლადად — გრძნობისა და თხრობის ეპიოურობას, თავშეკავებულ გადმოცემასა და ობიექტურ გა- სსკას მოითხოვს. ყოველივე ეს კარგი ხელოვნე- ბით შესრულებული ზღუდეებად იქცევა ავტო- რისეული სუბიექტივიზმისთვის, მოკაბებული სევდისათვის, რომელიც ლექსის ბოლოს გრო- ტესკშიც გადაიზრდება.

როგორც ბალადის ეანრს შეეხაბიმება, ნაწარ- მოებში სიუეტიური ელემენტი სახეზეა. ომის დასრულების შემდეგ ლირიკული სუბიექტი, ანუ ავტორი, უნებურად მიიწევს იმ საბედისწერო ადგილისკენ (ლუგანსკის ოლქში რომ იმყოფე- ბა), სადაც სისხლისმსმენელი ომების შედეგად, მრავალრიცხოვან მსხვერპლთა შორის, მისი ძმა დაიღუპა. ფაბული ლირიკული მეფეთვრებით დაწერილ ამ ტრიკტიზში ნაჩვენებია ავტორის საოცარი მოგზაურობა ისტორიული ადგილების- კენ, რომელთაგ კარგებულად აღარაფერი შერ- ჩენილი ისტორიულობისა და სახოფლო-სამეურ- ნეო პლანტაციად ქცეულნა. მოგზაური იმ ადე-

ბეჭრამ ანანავა
მიხეილ ქვლევიძე

დით მიდის სამეფოსწერო ადგილისკენ, რომ ის რაიმე ნიშნით იქნება გამოყოფილი გარეშისაგან; ან მიწას ბორცვით, ან ქვის ობელისკით, ან ძმათა სასაფლაოზე დამაგრებული ვარსკვლავით, ან თუნდაც უკაცრიელი ტრამალი დახვდა; მაგრამ აღმოჩნდება, რომ ეს ადგილები ათვისებულია, აჩ ჩქარა თოხნა დაიწყება და ჯარ-ლის პლანტაციები გაშენდება. ლირიუელი გმირი არ ელოდა თავისი მოგზაურობის ამგვარად წარმართვას, არ წარმოედგინა ახეთი სურათი, იგი ვერ მალავს განცდის სიმძიმეს. მაგრამ ეხი ჩამოსვლის მიზნები ამისაგან არ ირღვევა. უპირველეს ყოვლისა, მან უნდა აცნობოს ძმას, რომ ომი დამთავრდა: „მინდა მოვიდე და მინდა გეოხო: გთავაზა ომი, იცი თუ არა?" შემდეგ მან დაღუპულ ძმას ისიც უნდა აცნობოს, რომ დედა ალარ ჰყავთ, და რომ დედას ხაფლავში ჩაჰკვანიმედი უფროსი ვაჟის დაბრუნებისა. უნდა აცნობოს და გადასცეს დაღუპულ ძმას „ჯვრისაგან გაკვეთებული" მოზეკი ამბის ოხვრა:

> მშვიდობით, ძმაო! თუმც შენს საფლავზე
> საცვა უნდა დაიწყოს თოხნა, —
> მე მაინც მინდა ადგილს გადაეცეს
> ჩემი სალაში და ამბის ოხვრა.

უფრო მოგვიანებით, პოლონეთში, იგი ხავსებით უჩვეულო და განუმეორებელი სცენის მოიმწირე გახდა, რაც ლირიუელი პროზზეი შესრულებულ პოეტურ მინიატურაში გამოსთქვა. ამ პოეტურ მინიატურას თუ პროზზეი შესრულებულ ლექსს ეწოდება „პოლონეთი". ბახში თითქოს ხალხის ხასიათიც არის გადმოცემული. მოგვავლს იგი მოლიანად: „ხის ობელისკზე სახელი და გვარი ეწერა... „ომის დროს ამ კაცის ნაწილში პოლუჩიკად ვმსახურობდიო", — მითხრა ჩემმა თანმხლებმა. თმაკაღარა პოლონელმა და გაიუფდა. ზასკლისას ქუსლი ქუსლს მიაბჯინა, ხელი აიღო და მხედრულად მიმართა სალუტეს: — ნება მომეცეთ, ჭავიდე, ბატონო პოლკოვნიკოს!.. და მე მომეჩვენა, ქართულად წარმოსთქვა ეს სიტყვები".

ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს ლექსების ციკლი ლენინგრადის დაცვის შესახებ. ამ მცირე ფორმის ლირიკულ ნაწარმოებებში, როგორც მოსალოდნელი იყო, პოეტი გვაუწყებს ქალაქის თავსამახსოვრებელ კონტურებს, მის განუმეორებელ ჩრდილოეთურ კოლორიტს, „თეთრი ქალაქის" დამახასიათებელ სიმშვენიერეს. პოეტი ლენინგრადში სამამული ომის დამთავრების შემდეგ მოხვდა. მისი ფანტაზია დაატკეცვა გმირი ქალაქის უდრეკმა სულმა ბლოკადის განსაცდელით აღსავსე, დრამატულ დღეებში. ჭაიოკა ზნეობრივმა სიმამაცემ, რომელიც მისმა მოსახლეობამ გამოიჩინა. იგი თითქოს საერთო თვისებებს ამჩნევს ამ ქალაქის გარეგნობასა და მის მკვიდრთა ხასიათს შორის; ლექსის მხატვრულ მასალად იქცევა ბრინჯაო, გრანიტი და ნევის სიფაღთოვე — „მდინარე, როგორც მკლავის მოკვეცა"... მისი ნატიფადგაფრენილ ხლებას კედლები, სასახლეთა თეთრი ... რომლებიც მდინარეში ირეკლებიან, მეტეფელი სული, რომელიც მის უკვდავ ნაგებობებში ჩანს, ავტორს აგონებს მის დაცველ ხალხს. „აჯ ადგილია გმირთან შეხვედრა" — აცხადებს იგი.

ლექსში „ლენინგრადელი გოგონა" მ. კელვიციმემ თითქოსდა მიუძღვნა ყველა ამ პატარა რუს ბავშვს, რომლებიც სასიკვდილოდ დაეცნენ ამ ქალაქის სისხლით განწმენდილ მიწაზე. ამ პოეტურად ჩამწვდომ ნაწარმოებში ავტორი ბავშვის რუსი გოგონას ვაჟაცურ საქმიანობას. მას, როგორც ჩანს, მშობლები ომში დაეხოცა, ტანზე მამის გაცვეთილი კრტელი ეცვა და ქერა თმაზე წითელი თავსაფარი ჰქონდა მოხვეული. უჩვეულოდ მხლილი მისი თვალები გამოიყურებოდნენ — კრთოდნენ როგორც ვარსკვლავები ღა ასევე უჩვეულო იყო მისი გმირული თავგადასავალი, როდესაც იგი ძოვიდა ქალაქის დასაცავად და „ვაჟაცური ხელი გამოუწოდა". ლექსის ბოლოს ავტორი გვამცნობს მისი სიცოცხლის პერიოდულ მნიშვნელობასაც.

ომის თითქოს უშუალო შეგრძნება, გამოწვეული მისი ნაკვალევის იმხანად ჯერ კიდევ თვალნათლივი არსებობით, თეთრი ღამეების სუტი შუქი. ქალაქის „ბრილიანტი ხელები" და „თეთრი ქალაქის" რომანტიკა პოეტში იწვევს ამა თეორიული ხასიათის სიმბოლოებსა და განზოგადებებს, არამედ გრძნობათა მეთხიერ ამოძრავებას, უჩვეულო პირად განცდას.

ცოტა აღმოჩნდება ამგვარი შინაგანი პროტესტითა და შინაგანი სამდურავით დაწერილი ომის საწინააღმდეგო და ანტომილიტარისტული სულისკვეთებით ნასაზრდოები ლექსი, როგორიცაა „უუმბარა და ბავშვი". ავტორი მოელის დაფუძნგავი თვალსაზრისოებით გადმოსცემს იმ სცენის არაადამიანურობას, ხადაც გათენების ჟამს პატარა ბავშვს მტრის უუმბარა სიცოცხლეს ასალმებს. მ. კელვიციის ეს ლირიკული ნაწარმოება ომის ბარბაროსული, ამაზრზენი სახის მცირე, მაგრამ შთამბეჭდავი სურათია. ამ მცირე ქექსში, როგორც მომენტალურ კადრში, მკითხველის მიერ „დანახულია" სიცოცხლის გაკრთება, მისი ნამსხვრევებად ქცევა, აღგვი პირისაგან მიწისა. ადამიანი ესერის ბავშვს. ნორჩ სიცოცხლეს. როგორია, მაშ, სიცოცხლის მერმისი, საერთოდ, სიცოცხლის მომავალი?

> ცეცხლისფერი, მეწამული ალი ეცვა
> (ბავშვს ეგონა — ფიალამ ქუჩას ბზა ანარა!)
> და როდესაც შერდულივით ქვას დაეცა
> და ზხეფები სახლს სახეში შეაყარა, —
> მიხვდა ბავშვი... მიხვდა, თუმცა არ უგრძვნია
> საუკუნეთ გვერდით როგორ ჩაუარა.
> ...ქარმა თმები ცივ შუბლიდან გადაუწია
> და თვალებში ვარსკვლავები ჩაუყარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიჩქარე იქცა ჩვენი დროების არსად, ჩვენი საუკუნის სიმბოლოდ.. ტემპის უსასრულო ზრდა მოგვევლინა პანაცეად არა მარტო ცხოვრების მატერიალური საჭიროებისთვის, არამედ ადამიანის სულიერი დაშშმინებისთვისაც. სიჩქარე იქცა ცხოვრების საზრისად. მსოფლიო შეთანხმებული, რომ უნდა განვითარდეს სულ უფრო მეტი სისწრაფით. თუმცა ტექნიკური რომანტიზმის, ტექნიკური პროგრესის აღორძინების ამგვარ ფიზზე, როგორც ვნახეთ ეუმბარას უმიზნენენ არასრულწლოვან თაობას.

ერთმა მახვილგონიერმა ზვეიცარიელმა ავტორმა ცივილიზაციის განვითარების ეს დისპარმონია მეტად სახოვანად გამოხატა, მან ზეიმუშავა ხატოვანი სქემა, რომელსაც უნდა გადმოეცა კონფლიქტამდე მისული შეუსაბამობა, რომელიც ადამიანსა და მის მიერვე შექმნილ ფასეულობებს შორის იჩენს თავს. ეს ზვეიცარიელი ავტორი, ალიფბერგი, ცნობილი ინფინერი და ფილოსოფოსია. მან კაცობრიობის ისტორია თვალსაჩინოებისთვის შეადარა თავისებურ მარათონსულ რბენას, რომლის თავისებურებაც იმაში მდგომარეობდა, რომ რბენა სულ უფრო მზარდი ტემპით წარიმართებოდა. კაცობრიობის მიერ განვლილი მილიონი წლების საოცარი სურათიდან მან მიიღო არანაკლებ საოცარი მოდელი (ამავე დროს, საოცარი პარაბოლიც...) ჩვენი არსობისა. ალიფბერგის ამ მოდელში პრეისტორიიდან ისტორიაში ადამიანის გადასვლა და საუკუნეების სრბოლა — ტექნიკური ხასიათის დეკორაციათა ცვლას ემსგავსება, ხოლო მარათონულ რბენაში ჩაბმული ადამიანი-მორბენალი, იმავე მორბენალად დარჩა და მასში ცვლილება თითქმის არ მომხდარა.

„ვარაუდობენ, რომ კაცობრიობის ასაკი დაახლოებით 600 000 წელს უტოლდება* — წერს ალიფბერგი. წარმოვიდგინოთ კაცობრიობის მოძრაობა მარათონული რბენის სახით 60 კილომეტრზე, რომელიც, იწყება რა ხადიკე, მოემართება ერთ-ერთი ჩვენი ქალაქის ცენტრისკენ, როგორც ფინეშისკენ,

60-კილომეტრიანი მანძილის უმეტესი ნაწილი გადის საკმაოდ მძიმე გზაზე — წარფფებსა და ულრან ტყეებში, ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცით, რადგან მხოლოდ სულ ბოლოში რბენის 58-59-ე კილომეტრზე, ჩვენ ვპოულობთ პირველეფოფელ იარაღთან ერთად გამოქვაბულის ნახატებს, როგორც კულტურის პირველ ნიშნებს, და მხოლოდ გზის უკანასკნელ კილომეტრზე წარმოჩნდება სულ უფრო მეტი ნიშანი მიწათმოქმედებისა.

ფინეშმედი ორასი მეტრის დაშორებით გზა, დაფარული ქვის ფილებით მიემართება ,,ორმოცი ლი სიმაგრეების ახლო.

ახი მეტრის დაშორებით ჩვენს ბორბენლებს შემოერტყმის შუასუაუფეიობრივი ქალაქური ნაგებობები..

ფინეშამდე რჩება კიდევ ორმოცდაათი მეტრი, იქ დგას ადამიანი, ალღოიანი და ჭკვიანი თვალებით რომ თვალფურს ადევნებს რბენას, — ეხსა ლეონარდო და ვინჩი.

დარჩა მხოლოდ ათი მეტრი! ის იწყება ჩირაღდნების შუქზე და ზეითის ჭრაქების მბეუტავი განათებით.

მაგრამ უკანასკნელი ხუთი მეტრის გარბენისას ხდება განსაცვიფრებელი სასწაული: სინათლითაა მოცული ღამეული გზა, ურაცხი ოთხთვალა — გამწვეი საქონლის გარეშე მიჰქრის მათ გვერდით, მანქანები ხმაურობენ ჰაერში და გაოცებული მორბენალი დაბრმავებული ფოფო და ტელეკარსპონდენტების პროეეკტორთა სინათლით...“

მართლაც, ტექნიკურ იდეებსა და მიღწევებს მათგან გაოგნებული, მათგან „დაბრმავებული“ ადამიანი ეკიდები, როგორც მის მიღმა, მისგან დამოუკიდებლად არსებული. ერთი ფილოსოფოსი წერდა: მეცნიერული და ტექნიკური იდეები ადამიანს აწვდიან ცოდნას გარესინამდვილეზე. „მაგრამ მეცნიერებისა და ტექნიკის ეეშშრიტებანი ცივად მიუკერძოებელნი, ანონიმური არიან. ისინი ადამიანის მიმართ არსებობენ ობიექტურად, დამოუკიდებლად. მეცნიერებისა და ტექნიკის იდეები ადამიანმა „ი ც ნ“, მოვალეა მათ ანგარიში გაუწიოს, მათ გარეშე ადამიანის არ შეუძლია იცხოვროს თავისი დროის დონეზე. მაგალითად, ფიზიკა და მისი აზროვნების წესი ერთ-ერთი შინაგანი მამძიძავებელია თანამედროვე ევროპელი ადამიანის სულისა მაგრამ კულტურის იდეებით ადამიანი „ც ხ ო ვ რ ო ბ“... კულტურა — ესაა სფერო აქტიური მრწამსისა იმის შესახებ, თუ რა არის მსოფლიო და რანი არიან მოყვასნი, შესახებ იმისა, თუ როგორია იერარქია საგნებისა და მოქმედებებისა. კულტურა — ესაა იდეათა ერთობლიობა, რომლითაც დრო ცხოვრობს“.

ამ მხრივ, კულტურა არაა მეცნიერება — გაგაგრძობს ფილოსოფოსი. კულტურის იდეები მოწოდებულნი არიან შეეშველონ ადამიანს მის შინაგან ორიენტაციაში. კულტურა — ცხოვრების ინტერპრეტაციაა. მის ეეშშრიტებებს აზრი აქვთ. თუკი იქცევთან ადამიანის ხასიათცხლო მოქმედების ნაწილად. კულტურული ფასეულობანი ადამიანისთვის არსებობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანს ისინი პირადად შეეხებიან, თუკი ადამიანი თავისთვის შეკმნის მათ, შეიტანს საკუთარ სამყაროში, პირად კუთვნილებად გადაკანცეს.

---

* როგორც ვიცით, ღღეს ეს ასაკი მილიონ წლამდე გადაიწია (გ. კ.).

ბერაბ კანკავა
მიხეილ კვლივიძე

ერთ-ერთ თავის ადრეულ ლექსში, რომელსაც „თანამედროვე ბალადა“ ეწოდება, მიბეილ კკლოვიდე ტენეი

შეენარჩუნებინა. ისე, როგორც იგი ეკიდება თავის შვილებს, ისევე მოეკიდება მოყვასთა შვილებს; ისე, როგორც იგი ეკიდება საკუთარი პიროვნის ფაქტებს, ასევე უნდა მოეკიდოს სხვაც პირველშობილი სიცოცხლისა და ხელოვნების ფასეულობათა შეპირისპირების ხსენებულ ალტერნატივას. სიცოცხლის, პოეზიის, ჰუმანიზმის სახელით.

ის, რომ პოეტი ხალხის მოკრძალებულ უნდა იყოს, ამ თავის მოწოდებას იგი ხაზგასმული რიდითა და მოკრძალებით გამოთქვამს და ამ მოკრძალებას ხაღოვნ გამოსახულებას უპოვნის. ამ მხრივ, მას, მის ამ აღიარებას, თითქოს მენაგვის მეთოდურმა საქმიანობამ ბიძგი მისცა და მის სილუეტს ამოფარებულმა, თავისი ხალხისადმი ქვეშეურდღომელი გრძნობები გამოათქმევინა. ლექსს „მენაგვეს" იგი იწყებს პოეტის გვიანნ შემოქმედებითი საათების დასრულების აღწერით. ლირიკული სუბიექტი (ავტორი), მთელ ღამეს ერთი ფიქრით ნაგვები, განთიადთან ერთად უჩვეულო გრძნობით ეგებება მენაგვის ზარს, რომელიც მის ცნობიერებაში მისი ეზოსა თუ ხალხისთვის ახალი შრომითი დღის დასაწყისის მაუწყებელია. როგორც კეთილი მნათე, ეხმაინება იგი ხალხების წუთას და როგორც ყველაზე უდრტვინველ ადამიანნ — მიაკვლ ამ ხალხებიდან ნაგავი და უსუფთოობა. ავტორისთვის იგი თითქმის კეთილი სული და მისგან სურს ისწავლოს ის ადამიანური ნიჭი, რომელსაც მოთმენა ჰქვია და ზნეობრივ რესიგნაციამდე მისული თავმდაბლობა, რომელსაც ხალხს სამსახური ეწოდება.

...მე ეს მენაგვე მნათეს მაგონებს,
ყურს ვუგდებ მისი ზარის კეთილ ხმას,
და ვფიქრობ: ეაცი ნაგავს აგროვებს...
რად არ ემდურის თავის ბედ-იღბალს?!
ჩია მოხუცი, მეშტისოდენა,
დადის, თავისთვის ჩუმად ფაფხურობს...
ღმერთო, მასწავლე მისგან მოთმენა, —
მასავით მინდა ხალხს ვემსახურო!
ზარის ხმა გულზე მასრ ბრეკალებს
გამქრავს,
ჩამძახებს თითქო: — არ დაავოგნო!
გავრბივარ... სახლში დაგროვილ ნაგავს
მსურს სულის ჭუჭყიც დადავაყოლო!

ამ მორჩილი, უდრტვინველი თვინიერების გარეშე მას ვერ წარმოუდგენია სერიოზული და დიდი საქმიანობა. დაახლოებით ერთი ათეოდე წლის შემდეგ ზნეობრივი რესიგნაციის თემა მთელი ძალითა და გაკანკენთი განხორციელდება შესანიშნავ ლექსში „ხელოსნის მონოლოგი". დიდი ხანია, სპილოს ძვლის კოშკები და უმაყვალკაცური ილუზიები დაიმსხვრა, ავტორისგან ბანკროტად გამოცხადდა და ხალხის სამსახურის ეკსტატიურად დამუშავებული თემა მას ზნეობრივ შეებად მოეკითხა.

საერთოდ, ხალხის მსახურების იდეა შედარებით ვვიან ცნობიერდება პოეტის შემოქმედებაში. პირველ ხანებში, თითქოს, ყველაფერი იქით მიემართება, სამყაროს სურათი — პოეტური ვეფხვიდან — ვაგდილ რომანტიკულით და ცივსფერი-ლურჯი რიტუალურ ფერად გამოიკვეთოს. შემდგომ, რომანტიკულით და პოსტრომანტიკული მსოფლგანცდა თითქოს ერთგვარ გაუფასურებას განიცდის, რადგან ახლა მთავარი გამხდარა თვითგამოხატვა, სრული თვითგამოთქმა. თვითამოწურვა. თვითგამოხატვა კი ეკუთვნში არ მოხერხდება. თვითგამოხატვა არის, პირველ რიგში, მხატვრული პიროვნების თვითგამოყოფა ეარტინამდეველიდან, ნინამდველის მხატვრული „დაძლევა" საკუთარი ძალისაბმეთვით. ესაა თვითდამკვიდრების ახალი საფეხური და უმაყვილაკცურ სრულ მიმნდობლობაში გადამწყვეტი კორეტივის შეტანა. პოეტური თვითრეალიზაცია მისგან მოითხოვს ძალთა სრულ დაძაბვას. ეს მომენტი მეტად არსებითია ჩვენი ავტორის ინდივიდუალურ ჩამოყალიბებაში.

თვითგამოხატვა, ეს ძალზე რთული შემოქმედებითი პროცესი, არის ნინამდველის რეალობასთან პოეტის შერწყმა — მასთან დაპირისპირების მედგარი გზით. ეს დაპირისპირება ხომ, უდავოდ, იძლევა საკუთარი ადგილის მოძებნისა და დაუფლების შესაძლებლობებს. თვითგამოხატვა ავტორისთვის ხდება ცნობიერების დინეზე (არაცნობიერს იგი, თითქმის, გვერდს უვლის) და გულისხმობს მხოლოდ რეალისტურ მსოფლგანცდას. ზოგჯერ ავტორის მგრძნობელობა არ სცილდება მტკნარ ნატურალიზმსაც და ავტორის ეს უვნებობა აღიქმება ერთგვარ პოეტურ ანეკდოტურობად. აი, როგორ გამოიყურება პოეტის ნატურალისტური კრედო: — ჩემი შინაგანი სამყარო ოდენტურია თქვენთვის ცნობილი ყველა ყოველდღიური სისუსტეებისა...

და დგება რომელიღაც დღე (ალბათ, სავსებით გაუცნობიერებლად, თითქმის სტიქიურად, მოულოდნელად და წინასწარ გაუთვალისწინებლად), როცა აღმოჩნდება, რომ არსებითი შედეგი, რომლის უკან დგას ყოველი მისი ძიება, ყოველი ეზის ბაკვალეკ, თვითგამოხატვის ყველა მანერა, ყოველი პროფესიონალური ცდა, ყველა შემართება — სახალხო ღირსებისა ყოფილა. ეზეშმარიტი პოეტი ცნობიერად, ალბათ, არ მიისწრაფვის ამ დღისკენ, ამ დღეს ქმნის მისი პოეზია, ამბობენ, ეს დადგინება ეზეშმარიტებისა ხდება ისე „გვიან" — ისეთი ვრცელი გზის გავლისა და იმდენი საბრძოლი ეერიშების მოგერიების შემდეგ, რომ პოეზიის სახალხო ჯტკენ ქცევის დრო, დონე და ღირსება ავტორის მიერ ჩქვეთრად აღარც შეიგრძნობა...

ზურაბ კანკავა
ვიზიეილ კვლიეიძე

მაინც, პოეტის მოქალაქეობრივ სულსა და ზნეობრივ შუბლს ყველაზე მკაფიოდ გვაცნობს ციელი ლექსებისა, რომელთაგან პირობითად „უცბიური რეფლექსიდან“ ეწოდება. ეს არის თემატიკურად გაერთიანებული ლექსების თავისებური კრებული (სულ ცხრა ლექსია), რომელიც ტოტალიტარული ქვეყნების უმძიმეს ცხოვრების წესსა და პირკეშე სულისკვეთთას გამოხატავს. პირველ ლექსს, მართალია, ეწოდება „ეს. პანეთი. 1939“, მაგრამ მისი პოლიტიკური შინაარსი და პუბლიცისტური პათოსი ეხება არა მარტო ფაშისტურ ესპანეთს, არამედ ყველა იმ ქვეყანასა, სადაც ტოტალიტარული რეჟიმი ძალაშია. როგორ ცხოვრობენ და ზნეობრივად როგორ გრძნობენ თავს ამგვარ ქვეყნებში ადამიანები? ძნელია ამის გამოთქმა. ამ ქვეყნებში ყოველ ღიმილის თან სდევს ოხვრა, — წერს პოეტი — და ეს არაა გასაკვირი: პროტესტის უფლება ადამიანს წართმეული აქვს, მისგან მხოლოდ ქედმოხრას მოითხოვენ, ხოლო მორჩილებასა და უთქმელობას ადამიანი ზნეობრივ კასტრაციამდე მიპყავს. და მართლაც. ადამიანში დარჩებოდა მხოლოდ არსებობის ზენაბრუნების ინსტინქტი („ერთია ჩვენთვის: მარჯვნივ თუ მარცხნივ, — ოღონდ ვიარით“), მაგრამ მათ, ვისაც სულიერი ძალა კიდევ შერჩენია, მომავალს მათ თვალში ღირებულება არ დაუკარგავს და იმედი ფარულ ვარსკვლავად თან დაჰკვნა:

ცას ჩამოვწყვეტოთ ვარსკვლავი ერთი
და სიკვდილმდე უბით ვატაროთ!..

ბიოგრაფიული ხასიათის სხვა ლექსში („სვედიანი ბალადა“) ნაჩვენებია სულის ისტორიის ერთი ფრაგმენტი: თუ ადამიანი სულიერად ოგორ გაიყლის ჯოჯოხეთს და სულიერ განსაწმენდელს რა ფასად მიაღწევს. კოლლაბორაციონისტის ცხოვრება — ცხოვრება ალარაა, იგი ჰკარგავს ძირითად ძალებსა და შესაძლებლობებზე დაყრდნობის აუცილებლობას და პიროვნულ თუ ზნეობრივ წონასწორობას მოკლებული, საბოლოოდ ეშვიდობება თავის ნორმალურ სახეს — იქცევა გამცემად. რა ნებისყოფაა საჭირო, ახეთ მძვინვარებაში გიქცევ ხაშინელ ხვედრს და მოკქალი ის ნაწილი შენში, რომელსაც ტოტალიტარული საზოგადოება ზრდის შენში და ითხოვს შენგან.

ნაცეთ, როგორი უსულგულოა ბავშვების ყოფა და მდგომარეობა ავტოკრატიულ სახელმწიფოში და მაშინ თქვენ წარმოიდგენთ ბევრად უფრო მძიმე სურათს, თუ როგორია ზრდადასრულებულთა ზნეობრივი მდგომარეობა, რომელთაც უკვე აღარცერთი ილუზია ალარ შერჩენიათ. თუკი ბავშვებს მიმართ იჩენენ უსამს გულგრილობას, იჩენენ განურჩევლობას, იმ ქვეყანაში ყველა ჰუმანური თვისებაა გაუსახურებული. გაცარცხფერებული და დამდაბლებული („ბავშვები“).

ლექსში „ფერწასული კაცები“ ლირიკული ხალხის ჯალათებზე, დახატულია მათი ფერწასული პორტრეტი, რომელიც ოდენტერია მათივე ინსტინქტების სამყაროსი, ეკონომიალური ლტოლვებისა. არ შეიძლება ადამიანი იქცეს ხალხის ჯალათად, თუკი მასში ჭკვის ხანის პროესტორიული ინსტინქტები და სწრაფვები არ აღსდგა და არ გამძაფრდა. ამგვარი ხაზოგადოება ამძაფრებს ჭკვის ხანის ინსტინქტებს. ეს ჯალათები დადიან ადამიანთა შორის, ხალხში, ქუჩაში, მათ გარეგნულად სცნობენ და სთვლიან ქვეყნის მესვეურად და, აგრეთვე, შიშის წყაროდ, რომელიც მათგან ახე ახლოა. მათი გაჯანთხვის მიხედვით გადაწყდა არაერთი თაობის ხასიათსაც ბედი.

ფერწასული კაცები ცივი თვალებით,
დაკეცილი გაზეთებით ხელში,
სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილნი,
რაღაც იღუმალი სამხედრო იერით,
რომელიც მყოვანდება სიარულში...
ფერწასული კაცები —
ულვაშებიანნი და უულვაშონი,
სისხლით რომ იკვებებიან
და მტრომ მკვდრისფერი ადევთ სახეზე...
მე მინახავს
ცივი ცეცხლით ანთებული მათი თვალები.
ამ თვალების ცეცხლში დაიწვა
არაერთი თაობის ახალგაზრდობა.

მაღალი მოქალაქეობრივი აზრითაა ნასაზრდოები ლექსები: „კოსმონავტები“, „პუშკინის მონოლოგი“, „საბალწყნო ამბავი“, რეცენზიის მაგიერ“ და მრავალი სხვა. თავის წოგნში „ფეკრები... ფეკრები“ იგი წერს: „სიმონ ჩიკოვანს უნდა ვუმადლოდეთ, აგრეთვე, იმასაც (და ყველაზე მთავარი, ალბათ, ეს არის) თუ დღეს ჩემს მოკრძალებულ ლიტერატურულ შრომას რაიმე საზოგადოებრივი ეღერადება გააჩნია.

სიმონმა იცოდა ჩემი კახური წარმოშობის შესახებ და ამიტომ, როდესაც სამგორში პირველად წყალი მოვარდა, თავისი წმენდა ვილისთან წამიყვანა იქ და დამაწერინა არსებითად პირველი ლექსი, სადაც ჩემი გულისთქმა მზრობელი ხალხის შრომას და გარკვან დაუკავშირდა...“ „სამგორი“ ეს არის, მართლაც, ჩაბმა სოციალური ხასიათის ქართულ პოეზიაში. მწენებლობის თემაზე დაწერილი ეს ნაწარმოები საინტერესოა პოეტურადაც, როგორც მხატვრული თვალსაზრისით რთულად გადასაწყვეტი თემა. ამ ლექსში, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება, შესაბამისად, პოეტს ნაამბობი აქვს სამგორის ველის უნაყოფო წარსულისა და მისი ბარაკანინი მომავლის შესახებ. პოეტმა, არსებითად, ლირიკულ ლექსში შესხლო მოეთავსებინა ეპუნების გარდაქმნის, ადამიანის ნების ყოვლისმძლეობის სურათი, რაც უფრო ეპიკური ჟანრის ნაწარმოების კუთვნილებას წარმოადგენს. ლექსი საყურადღებოა იმითაც, რომ მ. ქვლევიძის შემოქმედებაში იგი პოე-

ტური გზნებითა და მეტყველების ლაპიდარობით ერთი უველაზე ძლიერთაგანია.

ამ ნაწარმოებში, ისე როგორც ზოგიერთ სხვაში, ავტორი იყენებს პოეტური პარალელიზმის მეთოდს „სამგორის“ პირველ ნახევარში იგი აღწერს საკართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთის ნახევრად უდაბნის პეიზაჟს, სადაც ყველაფერი მზეში ცურავს და ლღვება. პოეტი გადმოგვცემს იმ დასიცხული წყურვილის განცდას, რომელიც სამგორის მიწას მზის დაუზოგველობისგან რგვია. სამგორის ბორცვები მას წარმოუდგენია სამ უსულო, მზეში დაშრეტილ კორძად ხოლო მოკრთოლიელი სიო — ამ სამი დამამობილებული არსების სამდურავად, რომელთაც სიცოცხლე გამოლევიათ. ავტორი სამგორის მიწის უსიცოცხლო წყურვილს ძლიერებით საკუთარ თავდაპირველ პოეტურ წყურვილს ადარებს, პოეტურ გამოუთქმელობას — მის უსიცოცხლოდ მზეში წვას. ჩვენ ორივენი უხმოდ ვიწვოდით მზის ქვეშ, — ამბობს პოეტი — და ჩვენი სიცოცხლე მხოლოდ მოლოდინს წარმოადგენდა. ავტორი, როგორც ირკვევა, შორს არ არის იმ აზრისგან, რომ თავისი პირველი ლექსები სწორედ ორის ნახვის, კახეთის მადლიანი ბუნებისგან მიღებულ შთაბეჭდილებებს დაუკავშიროს. პირველად ჩემში ორის ტალღებმა გასტეხეს გულის ფიქალი და ლექსი დამაწერინესო. სამგორის მიწა კი, მისი სიტყვებით, უფრო მეტანს ელოდა ორის და ძალზე დიდი ხნის განმავლობაში მის მტკრიან შარა გზას „ვარცხნიდა სიო თავთრის ქალივით პირშეზურვილი“.

მეორე ნახევარი ლექსისა დათმობილი აქვს ადამიანის აღმშენებლობითი შრომის გალამაზებას. ამ ნაწილშიც იგი ოიოლად აღწევს თავს მტკნარ აღწერითობას და მეტად ძუნწად, ცალკეული დამახასიათებელი ფართო მხატვრული შტრიხებით (რომლებიც მონუმენტალურობას არაა მოკლებული) იძლევა ბუნების გარდაქმნის ექსპრესიულ სურათებს. „სამგორი“ თავისი პოეტური შინაარსითა და მსოფლმხედველობით ხსნის ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების თემას, როდესაც ადამიანი და ბუნება ჯერ კიდევ ეკოლოგიურ მეგობრობაში იმყოფებიან. შრომა — ანუ მიწის სამუშაოების წარმოება, მშენებლობის მოტივი, ბუნების გარდაქმნა — აქ ბუნებისთვის „პირველი დახმარების“ აღმოჩენის სახით წარმოიდგინება, ბუნებაში სასიცოცხლო წონასწორობის აღდგენის სახელით კეთდება. ამ მხრივ, „სამგორი“ ავტორის აქტიური, ტემპერამენტიანი დამოკიდებულებით მთავარი თემისადმი, ერთ-ერთი სუფეთესოა ქართულ სოციალურ ლირიკაში:

> მზესუმზირები, კალო და ეკერი.
> შარაგზა — მტვერში მზემდე სავალი.
> არსად მენახა ესოდენ ბევრი
> მზე და ასეთი მზის მოსავალი...

ნაწარმოები, რომელშიც ლაპარაკია ადამიანის მარჯვენის ყოვლისმძლეობასა და შრომით სიდიადეზე, მთავრდება თითქოსდა ამოთეოზამაგვარი დასკვნით:

> ვდგავარ სამგორზე, ხეთა ჩეროდან
> ადამიანის დიდებას ვმღერი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოთა ლეკვეიშვილი

კიდევ ერთხელ

(ცნობები თამარ მეფის ნაშტის იერუსალიმში გადასვენების შესახებ და ვ. კორგბოს სამზადისი არქეოლოგიური გათხრებისათვის)

იტალიაში მუშაობისას კათოლიკე მოღვაწემ ვატიკანში, ქართველოლოგმა მიქელ თარხნიშვილმა თამარ მეფის ცხედრის იერუსალიმში გადასვენების მეტად საინტერესო დოკუმენტს მიაგნო.

იგი აღნიშნავდა: ვატიკანის ფონდებში არის მეტად იშვიათი სახეთი, რომლის ავტორია უცნობი ფრანგი ჯვაროსანი მხედარი; დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მონღოლების შემოსევის წინა პერიოდში საქართველოდან იერუსალიმში. გადასვენეს თამარ მეფის ცხედარი და თან წაიღეს ქართული სამეფო სასანლის ეანძეულობანი; ქართველთა ლაშქარს, რომელიც მიასვენებდა თამარის ცხედარს, მიუძღოდა ახალგაზრდა უფლისწული; როდესაც ლაშქარმა გაიარა ჯვაროსნების მიერ დაპყრობილი ტერიტორია, ჯვაროსანნი მათ შეეგებნენ, მოუსამძიმრეს სამშობლოს მძიმე მდგომარეობა და პატივით გაეცილეს თავიანთი ტერიტორიიდან; ლაშქარმა უბიფოთოდ მიაღწია იერუსალიმს და თამარ მეფის ცხედარი დაკრძალეს ქართველთა მონასტერში.

ამ დოკუმენტს კარგად იცნობდა რომის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წინამძღვარი („პონტიფიმ") ალბერტო ფორი, რომელმაც 1946 წელს, იერუსალიმის კათოლიკეთა პატრიარქად მისი დანიშვნისთანავე, მიიწვია ტალიელი არქეოლოგი ვ. ვირჯილიო კორბო; მან იერუსალიმში, იორდანის უდაბნოში დაიწყო არქეოლოგიური გათხრები ქართული მონასტრის სავარაუდო ტერიტორიაზე და დიდ წარმატებებსაც მიაღწია.

ჩვენთვის ცნობილი არ არის, რა სახით ან რა წყაროებიდან მოდის ვატიკანის ფონდებში და ცული და მ. თარხნიშვილის მიერ მოხსენებული მნიშვნელოვანი დოკუმენტის, მაგრამ პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკებში მოიძებნება შრომა, რომელშიც ამის შესახებ არის ცნობები სათანადო განმარტებებით. ამ შრომიდან ჯვაროსანი მხედრის წერილის ლათინური ტექსტი პირველად, 1893 წელს გამოაქვეყნა რერიხტმა თავისი შრომების კრებულში. ამ საინტერესო დოკუმენტს კომენტარი გაუკეთა ერთ-ერთმა მკვლევარმა. (ჩვენი ნაშრომის ბოლოს დართულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ფრანგი რაინდი გ... დე ბუა გადმოგვცემს: „თამარს სიცოცხლეში აღთქმა მიეცა იერუსალიმად წასვლისა; და მიიცვალა-რა, ანლა შვილმა მისმა დედოფლის ძვლები წამოიღო და ძლევამოსილი ლაშქრით წამოვიდა წმინდა ქალაქის მისაღწევად და სარკინოზთა შესამუსრავად, რათა დედა მისი ცოცხალი თუ არა, მიცვალებული მაინც შესულიყო იერუსალიმს".

ამავე წიგნში ნათქვამია, რომ საფრანგეთის ქალაქ ბეზანსონის პატრონსა და არქიეპისკოპოსს ამედე დიტრემლეს (რომელსაც ბეზანსონის მთავარეპისკოპოსის კათედრა ეჭირა (1195-1220 წწ.) წერილი მოუვიდა, ზღვის გაღმიდან გამოგზავნილი... რომელშიც ვინმე ფრანგი რაინდი გ... დე ბუა ლათინურად წერს შემდეგს:

„ღირსსა, ქრისტეს მიერ მამასა და მეუფესა (მადლს), ღვთის განგებით ბეზან (სონის) არქიეპისკოპოსს, მორჩილი მსახური გ. დე ბუა ამინ.

უკეთუ ჯერ არს შეგაწუხოთ ჩემი კეთილად ყოფნის (ამბით), იცოდეთ, რომ ღვთის წყალობით მეცა და ჩემი მეუღლეცა ჯანსაღად და უვნებლად გახლავართ. გადავწყვიტეს, მოკლედ გაუწყოთ აღთქმული ჭვეყნისა და მასზე მომდებარე სხვა მხარეთა შესახებ აღთქმული დარხეული ხმები, თუმცა ყოველი მათგანი როდია გაოცების ღირსი.

უწინარეს ყოვლისა, იცოდეთ, რომ იერუსალიმის სამეფომ მიაღწია დაზავებას სარკინოზებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან და რომ ანტიოქიის მთავარსაც, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ურიცხვ დევნასა და შეუწყნარებას განიცდიდა, როგორც ბაბილონის სულთანისაგან, ისე ათაბეგის მეფისაგან, ზავი აქვს დადებული ხსენებულ სულთანთან. მოიხსენიეთ აგრეთვე სხვა ახალი (ამბებიც), რომელნიც გოიცესის ღირსნი არიან. გავიგეთ და სანდო მაქვნია წულათნით ბეშმარტად მივიფაფეთ, რომ ვიღაც ქრისტიანები იბერიიდან, რომელთაც გეორგენებს (ქართველებს) უწოდებენ, ღვთის შემწეობით შეგონებულნი, ფუთადოვი მეომრით უში შიად აღსდგნენ ურწმუნოთა წინააღმდეგ, აიღეს 800 ციხე-სიმაგრე და 9 დიდი ქალაქი; ამათგან უმტკიცესნი ხელუხლებლად დატოვეს და ოვითონ დაიკავეს, დანაჩენი კი ნაცარტუტად აქციეს. დასახელებულ ქალაქთაგან ერთ-ერთი, ეფფრატზე მდებარე, ურწმუნოთა ქალაქებს შორის ყველაზე ცნობილი და დიდი იყო. მბრძანებელი ამა ქალაქისა — ბაბილონის სულთანის ქვეშემოსხენებულმა ქრისტიანებმა შეიპყრეს და თავი მოაკვეთეს, თუმცა იგი მათ აუოროცხელ ოქროს ფულს ალუთვლიდა. კიდევ რა უნდა ეთქვა დაწერილებით? ისინი, რომლებიც მოვიხსენიე, მოვლენ წმინდა იერუსალიმის გასათავისუფლებლად და დაიმორჩილებენ ურწმუნოთ, სახელ განთქმული მათი თექვსმეტი წლის მეფე მხვეთია ალექსანდრეში (მაკედონელისაა) შემართებითა და მოკრძალებულობით. რწმენით კი — არა, ამ ახალგაზრდას მოაკვს დედაშისს უძლეველი დეოოფფის თამარის ძალები, ვინაიდან (თამარის) მისთვის სიცოცხლეში ანდერძად დაუტოვებია, როცა მოკვდებოდა იერუსალიმში წასულიყო და მისი ძალები უფლის საფლავის ახლო დაეკრძალა. დედის სურვილის ღრმად პატივისმცემელს, მას გადაუწყვეტია დანაბარების აღსრულება და დედის ნეშტის წმინდა ქალაქში დამარხვა ურწმუნოთა ნებასურვილის მიუხედავად".

ფრანგი რაინდის ეს უთარიღო წერილი უნდა გნეკეოუთნეტოდეს 1220-1222 წლებს, როგორც ამას ალენზშავს მკვლევარი ჰ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილის მიერ ვატიკანის ფონდებში აღმოჩენილი საბუთების საფუძველზე.

ქართველოლოგი მიხეილ თამარაშვილი (1853-1911 წ.წ) საფუძვლიან შესწავლას აწარმოებდა იტალიის არქივებში დაცული ქართული კულტურის დოკუმენტებისას. მან მრავალი მნიშვნელოვანი საბუთი გამოაშუქა ოცდაოთხამ ხანელოვანი ურთიერთობის შესახებ, სადაც უეჭველია, იქნება ცნობები თამარის ნეშტის იერუსალიმში ჯვარცმის შესახებაც.

პროფეესორ ს. ყაკაბაძე ჯვაროსანი რაინდის ამ წერილისათვის მიუქცევია ყურადღება და მის განკარგულებაში მყოფ სხვა ისტორიულ ცნობებთან შეკრებილის საფუძველზე საგაზეთო წერილში გამოუთქვამს თავისი აზრი, იგი ფიქრობს, რომ გიორგი ლაშა ალეკსანდრეს შეარჩევდა მოხრებულ დროს, გადაახვევინებდა თამარ მეფის ნეშტს იერუსალიმში და ამით თავის ვალს ეხიდიდიდიდ დედის წინაშეო.

ამ საკითხებზე დამაჯერებელი აზრი გამოთქვა აგრეთვე აკად. ფ. ამორანაშვილმა. იგი წერს: „ისტორიული ცნობების თანაბმად, თამარ მეფე, რომელიც გარდაიცვალა 18 იანვარს, ჯერ მცხეთაში დაუსვენებიათ მცირე ხნით, შემდეგ კი მისი ნეშტი გადაუტანიათ გელათში... დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ თამარ მეფის აკლდამა დიდი ხნის განმავლობაში ცარიელი ყოფილა. თანახმად წესისა, ეოველდწლიურად, თამარ მეფის გარდაცვალების დღეს — 18 იანვარს ამდენენენ ფიქალს აკლდამას და თამარ მეფის მოსახსენებელ პანაშვიდს გადაიხდიდნენენ. ეს ჭეშმარიტი დადასტურდა არქეოლოგიური გათხრებით. ამიტომ ჩვენ სახეთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ფრანგი რაინდის ცნობა ლაშა გიორგის შესახებ ისტორიულ კეშმარიტებას წარმოადგენს. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ ლაშა გიორგი — ჰაბუკი მეფე სახელოვანი იყო, როგორც უებრო მებრძოლი, რაინდი, მაგრამ არა სარწმუნოებრივი გაწყალებლები, როგორც ამბობს ჯვაროსანი ფრანგი რაინდი, რაც ქართველი საისტორიო წყაროებით დასტურდება.

ამის შემდეგ კითხვაზე — შესაძლებელი იყო თუ არა თამარ მეფის ანდერძის განხორციელება, აკად. ფ. ამორანაშვილი აქვე უპასუხებს: „ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, უპირველეს ყოვლისა, ის გარემოება, რომ ბაკარიოველი XII საუკუნეში წარმოადგენდა უძლიერეს ფეოდალურ ქრისტიანულ სახელმწიფოს ახლოსელი აღმოსავლეთში. მის უშუალო მფარველობაში შედიოდა მთელი ამიერკავკასია — შირვანის სამეფო, სომხეთის დიდი ნაწილი, დღელებანი, ოსეთი და აგრეთვე თამარ მეფის მიერ ახლად დაარსებული (1204 წ.) ტრაპეზონის საკეთილო... კავკასიის ხეხრეთ საზღვარზე ბაკარიველთ არც აღმოსავლეთით და არც დასავლეთით ნაბიჯი მეტო�არ მყავდა. ამ პირობებში ლაშა გიორგის, შიარეულ ლაშქრობაში გამოცდილ ქართველთა მხედრობის მონაწილეობით, შეეძლო თავისი დედის თამარ მეფის ანდერძის განხორციელება". და შემდეგ დახმეინ:

„ყველაფერი ეს გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ გიორგი ლაშამ განახორციელა დედის უკანასკნელი ნებელი, ქართველი მხედრობის დახმარებით მან მიიტანა დედის ცხედარი ეერუსალიმში და დაკრძალა იგი ქრისტეს საფლავთან, ვინაიდან ქართველ ბაგრატიონთა ბაგაკარეულო გადმოცემაში, რომელსაც თვით ბერძნები, მათ შორის კონსტანტინე პორფიროგენეტი იზიარებდა, ქართველი ბაგრატიონები თავისი წარმოშობით და სისხლით ფაცით წინასწარმეტყველსა და თვით მაცხოვარს ენათესავებოდნენ".

ზურაბ ლეკავიშვილი
კანდ. ერუდიტ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის შესახებ, თუ სად შეიძლება იყოს დაკრძალული თამარ მეფე, აკად. შ. ამირანაშვილი ამბობს: „თამარ დედოფლის საფლავი უნდა ვეძიოთ მაცხოვრის ხალვიანის ტაძარში. შესაძლებელია, იგი მოიძებნოს, ვინაიდან ბერძნები მართლმადიდებელ მეფის საფლავს არ მოშლიდნენ.

ეს გარემოება გასაგებს ხდის მოთა რუსთაველის მისწრაფებას იერუსალიმში, მისი ცხოვრების მიწურულში, ჯვარის წინასტარის სავანეში დიდი პოეტი პოულობს განსვენების ადგილს".

კომპეტენტური მეცნიერის მ. თარხნიშვილი'ს განცხადება თამარ მეფის ნეშტის იერუსალიმში გადასვენების შესახებ (თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, რა დოკუმენტს ემყარება იგი), პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ფრანგი ჯვაროსანი რაინდის წერილი და ხაბეგოთა მეცნიერთა (აკად. შ. ამირანაშვილისა და პროფ ს. კაკაბაძის) მოსაზრებანი დამაჯერებელ საფუძველს იძლევიან ვიფიქროთ, რომ თამარ მეფის ცხედარი დაკრძალულია იერუსალიმში და მისი საფლავი, იქ უნდა ვეძიოთ.

ვატიკანის ფონდებში დაცული ცნობა ეფუძნ ველად დზიდო იერუსალიმში, იორდანის უდაბნოში, არქეოლოგიური გათხრების დაწყებას იტალიელი მეცნიერის ბ. ვირჯილიო კორბოს ხელმძღვანელობით 1946 წელს.

ალბერტო ფორის ვარაუდი სწორი და ზუსტი გამოდგა, არქეოლოგიური გათხრების შედეგად უკვე 1948 წელს აღმოჩნდა ბირ ელუუტის მიდამოებში ქართული მონასტრის არსებობის ნიშნები, ხოლო შემდგომმა დეტალურმა გათხრებმა 1952 წ. დღის სინათლეზე გამოიტანა უმნიშვნელოვანესი ქართული ტაძარი, პეტრე იბერიელის მიერ V საუკუნეში აგებული მონასტერი ქართული კულტურის უძვირფასესი ექსპონატებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ჩაჩანიძემ მიაკვლია იტალიის არქივებში დაცულ მასალებს ქართული კულტურის შესახებ და რამდენიმე წლის წინ მოგვითხრო მათზე. ასევე, უცხოეთში იგი საკუთარი დანაზოგებით იძენდა უნიკალურ ლიტერატურას მეცნიერების სხვადასხვა დარგში და სამშობლოში დაბრუნებულმა უანდერძა იგი თავის მშობელ ხალხს.

ამირან რობაქიძე

წერილების კრებული

თამაზ ჭილაძის ახალ წიგნზე საუბარი მინდა დავიწყო მისივე სიტყვებით, რომელიც მას აკაკი წერეთლის პოეზიის დახასიათებისას შენიშვნის სახით აქვს გამოთქმული. იგი წერს: „როდესაც პოეტი მეორე პოეტის შემოქმედებაზე ლაპარაკობს, უნებურად გამოჰყოფს მისთვის განსაკუთრებით ძვირფასს ანუ პირადად მისთვის დამახასიათებელ ნიშნებს, ან მიაწერს იმ პოეტს საკუთარ თვისებებს“.

აღნიშნული მოსაზრება კარგად ესადაგება თამაზ ჭილაძის წიგნში წარმოდგენილი წერილების უმრავლესობას, რადგან მათ ავტორს ბუნებრივია, სხვისი შემოქმედების დახასიათებისას ანალოგიური გზის გავლა უხდება. ეს გარემოება კიდევ უფრო თვალში საცემია თუ დავუკვირდებით იმ თავისებურებას, რაც თამაზ ჭილაძის წერილების დიდ ნაწილს, ლიტერატურათმცოდნეობით თუ მეცნიერული ღირებულების შემცველ სხვა სახის გამოკვლევებისაგან განასხვავებს (აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ თვალსაზრისით ცალკე დგას წერილი „შუშანიკის წამებაზე“, რომელიც აკმაყოფილებს მეცნიერული გამოკვლევის წინაშე დასახულ ყოველგვარ მოთხოვნას). იმ განსხვავების შესახებ, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, უნებლიეთ მიგვითითებს კიდეც თამაზ ჭილაძე თავისი წიგნის ავტორისეულ წინასიტყვაობაში, სადაც ნათქვამია: „წიგნი ოცი წლის მანძილზე იწერებოდა მოთხრობებსა და ლექსებთან ერთად, თუ შეიძლება ითქვას, ცხვებოდა იმავე ქურაში. ამდენად, უსათუოდ ატარებს ლექსისა თუ მოთხრობის ზოგიერთ თვისებას“. ავტორის მიერ აღნიშნული ფაქტი კარგად დასტურდება მისივე წერილებში ასახული კონკრეტული მაგალითების საფუძველზე.

თამაზ ჭილაძის წერილები სავსეა მხატვრული აზროვნებისათვის დამახასიათებელი მრავალი თვისებით. პირველ რიგში აშგვარ განწყობილებას გვიქმნის მეტაფორათა თუ შედარებათა ის მძლავრი ნაკადი, რომელიც წერილებში პოეტური განცდის უტყუარ ატმოსფეროს ქმნის. ლიტერატურის კრიტიკოსი თუ ლიტერატურათმცოდნე, რომელიც შემოქმედებით ნიმუშებზე დაკვირვების დროს ძირითადად ფაქტების ანალიზს ეყრდნობა, ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები ემოციურობა ჩააქსოვოს თავის სათქმელში. მის მიზანს არ შეადგენს, მეცნიერულ ნაშრომს მხატვრულობის პრეტენზია მიანიჭოს. თამაზ ჭილაძის წერილებში კი ეს მომენტიც საგრძნობია და ამ თვალსაზრისით მას მკითხველის თვალში გარკვეული უპირატესობაც აქვს მოპოვებული, თუმცაღა როგორც თვითონ აღნიშნავს, წერილების ის ნაწილი, რომელსაც იგი პროზის სახით გვაწოდებს „ძირითადად პირად შთაბეჭდილებას ეყრდნობა და რომელიმე მოვლენის საფუძვლიანი ანალიზის პრეტენზია არ გააჩნია“-ო.

ის, რაც თამაზ ჭილაძის წერილებს — ლიტერატურათმცოდნის მიერ შესრულებული საშუშანიკაგან განასხვავებს, განსაკუთრებული ღირებულების შემცველია. ეს იმიტომ, რომ მისი წერილები სინამდვილის შემეცნების გზაზე ადამიანური შესაძლებლობის უფრო სხვა უნარზე დაყრდნობით არიან აღმოცენებულნი, ვიდრე ამას წმინდა მეცნიერული თუ ე. წ. სილოგიზმებით აზროვნების ნებისმიერი ნიმუში დაგვიანატურებდა. ამ წერილების დიდი ნაწილი მწერლის მიერ უშუალოდ საგრძნობი შთაბეჭდილების ასახვაა, რაც ადამიანური ინტუიციის უტყუარი ალღოთია ნასაზრდოები. მხატვრული ნაწარმოების შეფასების დროს, სინამდვილის წვდომის სურვილის ამგვარი უნარით დაკმაყოფილება, რომელიც რასაკვირველია არ გამორიცხავს ინტელექტუალური მომენტის მონაწილეობას, გზას უხსნის ემოციის ნაკადს, რომელიც თავისთავად მხატვრული აზროვნებისათ-

ვის არის დამახასიათებელი. ამ თვალსაზრისით, თამაზ ჭილაძის წერილები სიტუაციაზმული მწერლობის ნიმუშები უფრო არიან და გარკვეული მიმართებით შემოქმედების იდუმალ სამყაროსთან წვდომის მეტ შესაძლებლობას ამყოლებენენ. ჩემი აზრით, ძირითადად ეს მომენტია წამყვანი თამაზ ჭილაძის წერილების უმეტეს ნაწილში მაინც, და მათი ღირებულების შემოწმება ამ მომენტის გაუთვალისწინებლად არ იქნებოდა მიზანშეწონილი.

ლიტერატურათმცოდნეს არასდროს არ მოუვა აზრად (ამგვარი შესაძლებლობაც რომ ჰქონდეს) მკითხველს მიაწოდოს მზატვრული ფანტაზიის ძალით ფრთაგაშლილი იმგვარი სტრიქონები, როგორც ამას წერილის ავტორი ახერხებს. აი ზოგიერთი მაგალითი: „მან (გალაკტიონ ტაბიძემ ა. რ.) ბარაბაშვილის ტემპერამენტიანი ფრაზა უულისავით შემოაკრა წელზე ლექსს და მკათთვის დაკერებული სიმწიფით გაადრა მკითხველი“. ან: „ანა კალანდაძის პოეტური ენა სენაკის სიცივეშია თითქოს დაბადებული და ამტკიცებს ოდნავ მკაცრია და სიმარტივეში გაზრდილი ყვავილივით ფართოდ (და არა ლაღად) გაშლილი რტოები აქვს“. პოეტური ფანტაზიით ამეტუველებული ამგვარი სტრიქონები მრავლდაა თამაზ ჭილაძის წერილებში გაფანტული.

თამაზ ჭილაძის წერილების პოეტურობა, კიდევ ერთი მომენტითაც დასტურდება. მხედველობაში მაქვს ის ფაქტი, რომ იგი თავისი აზრის სიმტკიცისა და დამაჯერებლობის ნათელსაყოფად, თითქმის არასდროს არ მიმართავს ცნობილი მკვლევარი-მეცნიერების მოსაზრებათა განხხილვა-დამოწმებას, მაშინაც კი, როდესაც ზოგიერთი მწერლის შემოქმედებაზე უამრავი გამოკვლევა მოგვეპოვება. თ. ჭილაძის წერილებიდან იგრძნობა, რომ მისმა ავტორმა კარგად იცის ალნიშნული გამოკვლევების არსებულობა-ნაკლოვანებები, მაგრამ შეგნებულად უფლის გვერდს მათ განხილვას. წერილების ავტორი ზშირად იმოწმებს პუშკინის, ვერლენის, ჰერედიას, ვან გოგის, ტოუტრეკის თუ სტაკოსკის გამონათქვამებს მისთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით.

თ. ჭილაძის ახალ წიგნში წარმოდგენილი წერილების ადრესატების საკმაოდ გრძელ სიასთან გვაქვს საქმე, მაგრამ სირთულე ალნიშნული წერილების შეფასებისა მარტო ამით არ ამოიწურება. საქმე იმაშია, რომ მწერალი ფლობს ცოდნის ისეთ მარაგს, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს თამამად, როგორც პროფესიონალმა ისაუბროს არა მარტო ლიტერატურის ურთიერთს საკითხებზე, არამედ ხელოვნების იმ დარგებზეც როგორიცაა თეატრი, მუსიკა და მხატვრობა. მის წიგნში ვხვდებით სტატიებს გალაკტიონ ტაბიძეზე და ვაჟა-ფშაველაზე, ფრანც კაფკაზე და ნიკო ფიროსმანაშვილზე, აკაკი წერეთელზე და გერონტი ქიქოძეზე, ანა კალანდაძეზე და იაკობ ცურტაველზე და სხვ.

ამ სტატიების ღირებულება არ ამოიწურება მხოლოდ იმით, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. ზოგიერთ მათგანში დაკერილია შემოქმედებითი ფანტაზიისათვის დამახასიათებელი ის ურთიერთი ნიუანსები, რომლებიც განსაკუთრებით ფასეულია ცალკეული მწერლის შემოქმედებაში. წერილების ავტორი ზშირ შემთხვევაში, თითქოს იოლად პოულობს იმ არსებითს, რომელიც ლიტერატურათმცოდნისაგან ხანგრძლივ და დაძაბულ მუშაობას თხოულობს. ყოველივე შემოთქმული ჩემი აზრით ქმნის პირობას თამაზ ჭილაძის წერილების წიგნი ცალკეული დარგის სპეციალისტებმა სათანადოდ შეაფასონ.

ირმელი ჯაბუა

სოფლის სიამაყე

„ნეტა იმ ქვეყანას, რომელსაც ჰყავს მზე დედოფალნი", — უთქვამს დიდ ილიას. საქართველოს მუდამაც ჰყოლია საამაყო და სათაყვანო ქალები, მაგრამ როდის, თუ არა დღეს, თუ არა ჩვენს ეპოქაში, ჰქონია ქართველ ქალს თავისი დიდი და მრავალმხრივი შესაძლებლობების სრულად გამოვლენის პირობები. სახალხო მეურნეობის, კულტურისა თუ მეცნიერების ყველა დარგში დღეს ახალგაზრდობი „ზნე დედოფალნი" იღვწიან და ამოავლენენ ჩვენი ხალხის ხელიერ და მატერიალურ სიმდიდრეს. მათგან ძალიან ბევრია ღირსი, მოელი საქართველოს საყვარულითა და ყურადღებით იყოს გარემოსილი, ყველამ გიგოს მათი ხასახელო საქმიანობისა და ლმაში ცხოვრების ამბები. ისინი ყველგან არიან, საქართველოს ყველა ქალაქსა და სოფელში.

მე პირადად ჩემს საპატიო მოვალეობად მიმაჩნია ნარკვევების სერია მოვუძღვნა ერთი რაიონის მოწინავე ქალთაგან ყველაზე რჩეულთ მაინც ზოგი მათგანი დიდ ხანია გაიცნო ჩვენმა ხალხმა, მათი გმირული შრომა ღირსეულად აქვს დაფასებული. ზოგი კი ახლა მიიწევს დიდი გამარჯვებებისაკენ, მაგრამ რაიონის მასშტაბით უკვე დაიმსახურეს დიდი სიყვარული და აღიარება.

ახალი ქალები ეროვნულები რიგია გეგეკორის რაიონში. რეპუბლიკის შრომით მიღწევებში შეტანილი წვლილის მიხედვით გეგეკორის რაიონი არასოდეს მდგარა უკანასკნელ რიგებში, მოწინავეთა შორის კი — არა ერთხელ. ამაში გეგეკორელი ქალების როლი მუდამ თვალსაჩინო იყო. რაიონში შრომობდნენ და შრომობენ ხოცალილური შრომის გმირი ქალები, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი და სხვა საპატიო ტიტულის მქონენი. მინდა მათზე გულწრფელად და უბრალოდ მოვუთხრო მკითხველს ზოგი რამ, მაგრამ მოვუთხრო ისე როგორც მათ შრომას, მათ ბნნებობას, მათ ქართველქალობას ეკადრება. ამასთანავე, არ შემიძლია არ ვალიარო, რომ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც არ მტოვებს ამ ნარკვევებზე მუშაობისას, ხშირად შიშის გრძნობადაც მექცევა ხოლმე... ვაი თუ ისე ვერ გავწვდე ამ საქმეს, ისე ვერ გამიმჟღავნა კალამმა, როგორც ჯერ არის და ამ ენშშრომიტად საინტერესო ადამიანებზე გულით სათქმელი სიტყვები მშრალ, სტატისტიკურ მონაცემებამდე ან ყალბ დითრამბებამდე არ დავიდეს-მეთქი უნებლიეად. რაც არა მარტო მე, როგორც ავტორს მომაყენებს ჩრდილს, არამედ ჩემი ნარკვევების გმირთაც დიდად აზარალებს მკითხველის თვალში, ამიტომ მკითხველს წინასწარვე ვთხოვ მენდოს, რომ თუ რამ ეხამუშა ჩემს მიერ მოთხრობილ ამბებში, არამც და არამც არ იფიქროს, რომ ამაში ჩემს გმირებს მოუძღვიან მისსალი ბრალი. ეუოველი ასეთი ადგილი ჩემივე ლიტერატურულ ჩავარდნებად ჩამოთვალეთო მბლილდ.

თუ მკითხველს ნაწილობრივ მაინც გადაეცეს: ის დიდი სითბო, სიყვარული და მოწიწება, რომელთაც ვწერდი თითოეულ ჩემს გმირზე ყოველ სტრიქონს, თუ ძირითად ფურცლებში მაინც შეეძელი მათი დახატვა, წყალში ჩაყრილად არ ჩავთვლი საამისოდ დახარჯულ დროსა და ენერგიას.

ბედნიერი პირველი ნაბიჯები

მინდა პირველი ფურცლები უმრწემესს მიეუძღვნა. აგრეთვე მოულეველ მოგითხრობთ იმ კოლექტივზე, რომლის საუკეთესო წევრიც გახლავთ ჩვენი გმირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან მინდოდა თვითონვე ეთქვა მეოთხველისათვის ცოტა რამ. ამიტომ გვიგეკერთან რაიონის გაზეთი „შრომის დროშა“ 1980 წლის სარკვიმარტო ნომერში დაბეჭდილი მისაუბარი ბატარა წერილის ნაწყვეტი უნდა ოფიციალურად:

„...რიგი მეცხრამეტე რვა მარტია ჩემთვის, მაგრამ განსაკუთრებით სახვიმი. შშობლიური რაიონის შშრომელებმა ერთხმად ამირჩიეს ბაკურთველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. თავს ვალდებულად ვთვლი ამ უდიდეს ნდობას შესაფერისად ვუსახურო, თავდადებით ვიშრომოდა ვიდვანო შშობლიური კუთხის საკეთილდღეოდ“.

აქვეა მისი ფოტოსურათი, თუმცა ძნელია გაზეთში, ისიც არც თუ მაღალ დონეზე დაბეჭდილი პორტრეტის მიხედვით ადამიანის ნამდვილი სახე და შინაგანი სამყარო წარმოიდგინო.

დარეკვან გაწერილია სსსიაშვილო გარეგნობის გოგონა ალმარჩხდა. ბუნებით თავმდაბალი და უპრეტენზიო, საუბარში ზშარად იშელეტებს ბავშვურ ღიმილს იმ სიტყვების ნაცვლად, რომლებიც უშუალოდ მას ეხება. ამიტომ თითქმის ყველაფერი, რაც მის შესახებ შეესაძლო მოგათხროთ, სხვებთან საუბარში გავიგე, ოღონდ ნაკლებით „სანდო წყაროებიდან“.

სერგეთელი კოლმეურნეების — ძაბული და ბადე გაწერილიყვნის მესაბე შვილია დარეკვანი. მის შემდეგ კიდევ შვიდი სალსლამათი შვილი დაიბადა ბედნიერ ოჯახში. ბატიანსანი და შრომისმოყვარე ადამიანები, როგორც წესი, ახეთივე თვისებებს უნერგავენ შვილებსაც.

გაზეთი „შრომის დროშაში“ ვნახე დედა-შვილის ნუსხათი. გმირი დედის ორდენი და მედლები უშშვენებდა ჩკერდს დარეკვანის დედას.

. . .

ის დიდი ნდობა, რომელიც რაიონის ამომრჩევლებმა დარეკვან გამოუცხადეს, დაუშახეგრძლილად არ მოსულა.

1978 წელს სერგიოთის ერთ ბედიან ხახელ ბის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე, მდ. ალაბარ ჭალაში, მარკვენა ნაპირზე აშენდა და ექსპლოატაციაში შვედი რაიონში პირველი მეცხოველეობის კომპლექსი. სათავე დაედო რაიონში მეცხოველეობის განვითარების ახალ ეტაპს.

კომპლექსის ენერგეთიკა მუშა-ხელი სჭირდებოდა. დარეკვანი პირველარის სკოლის მერხიდან მივიდა კომპლექსში, მისი ამოკრებილის პირველი დღიდანვე. მახთან ერთად ბევრი მისი გმირი დედაც. ერთი წლის მერე კი მათ ამოუდგეს ზხარში ხეირ, და ადრიდ — დარეკვანის უმცროსი ძმები. შრომისმოყვარე, დაუზარელი ადამიანების ბუნებრივი ნაბიჯია. ღილის 7 საათზე ვიწყებთო მუშაობას. მითხრა დარეკვანმა. ხალამოს 9 საათზე მივდივართო შინ. შრომას მიეჩვეველი ახალგაზრდები ვერაფერით შესძლებენ ამას. დარეკვანსა და მის დ-ძმებს კი შრომის ნიეკარეკი ადრევე ჩაუნერგეს შმობლებმა. ჩვიდმეტი წლის გოგონამ სწრაფად და ზედმიწევნით მწვეალვ-ოპერატორის შრომატევადი ხელობა.

მაღალ ნიშნებზე დაამთავრა სკოლა, მაგრამ სწავლის გაგრძელების დიდი სურვილი დროებით დათმო და შრომითი ცხოვრების რთული, მომკაცველი გზა აირჩია. ოჯახის მდგომარეობას თუ გაუწია ანგარიში. მასზე უმცროსებიც ხომ ჰყავდით შშობლებს. ბავშვებს მოვლა-პატრონობა უნდა. მარტო შშობლებს გაუჭირდათ ყველას რჩენა, თუ შვილებმაც არ შეეშველეს ხელ-ამაზე დარეკვანს სიტყვა არ ეთქვამს. ეს ჩვენითაც უნდა ვიგრძნოთ. ეს მისი ხასიათიდან ეთილშობილური ქვეტექსტია, მისი კეთილშობილებისა ბის დიდებული გამოვლენა. ზარშან მაინც ჩაბარა დარეკვანმა მისაღები გამოცდები. ქუდი ადაღლდა... რეპეტიტორები არ ეძებნია. ალბა ოთვის სოფელს, თავის საკმეს დაუბარუნდა. ნელ-ნელა ადგება გამოცდებზე. ძილისა და დასვენების დროს ჰპარავს თავის თავს და ისე მეცადინეობს. ახალგაზრდული ენერგია, მოსდომებასთან შეერთებული ყველაფერს შეასძლებს. დარეკვანი და მისი ძმები ერთ ბრიგადაში მხარდამხარ შრომობენ. მათ გვერდში დგას ქალბატონი ძაბულიც. ბრიგადაა კომკავშიოული ბრიგადის სახელს ატარებს. ცხრიდან შვიდი წელია სულ ახალგაზრდებია, ბრიგადირის — გულნაზი ჯიქიას ჩათვლით. მათ რიცხვში არიან მიმოსა ჯღარაკავა, მერი მოქავა, რაულ გაფერელია, 167 სულ პირუტყვს უვლიან ისინი. მაგალან 91 მეწველია. 1980 წელს 290 ტ. ტარე უნდა ჩამოწეველონ პირველი ბრიგადის წევრებმა. თქვენმეტ ფურს უკლის თვითონ დარეკვანი.

●

1979 წელი პირველი გვგეიური წელი იყო სერგიოთის მეცხოველეობის კომპლექსისათვის. 400 სულ პირტუკუნზე უნდა დაეკმაყოფილიყო კომპლექსი თავიდან. მაგრამ ჩამოსულნილი ჯიშიანი პირუტყვის ნაწილი უვარგისი აღმოჩნდა. სარგამო 320 სულ პირუტყუნზე ვიგიგეგმა. კომპლექსმა პირველივე წელს შეასრულა გეგმა. ამასთან წარმოებული რძის თვითღირებულებამ 38 კაპიკი შეადგინა, რაც რეგსაზღვრის საშუალო მაჩვენებლებზე უკეთესია. კომპლექსის თანოფელმა მუშაობა დიდი შრომის ენაო, ენერგია და პოსდომეზა გამოიჩინა. სერიოზული დამრკოლებების მიუხედავად მათ დავალება პირნათლად და პატიოსნად შეასრულეს. ამაში კოლმეურნეობის გამგეობის დიდი დამსახურებაც არის. გამგეობის თავმჯდომარე დემურ ჯელია 34 წლისაა. კომპლექსის გაჩნესის წელს, 1978 წელს ჩაუდგა იგი სათავეში სერგიოთის კოლმეურნეობას. მანამდე კი რამდენიმე წელს ხელმძღვანელობდა რაიონის ერთ-ერთ ისეთ დიდ და ძლიერ კოლეკტივს, როგორიცაა ნაგვაზაოს სტალინის სახ. კოლმეურნეობა. ახალგაზრდა თავაცცმა დიდი ორგანიზატორე

ნილი მუშაობა გასწია დღემდე იმისათვის, რომ ახალი, ძალზე მნიშვნელოვანი საწარმო გაშენდეს ნაიმდელ მუშა-ხელით დაკომპლექტებულიკომსომოლი ეკონომიკა. ეს ნიშნავს, რომ ორიენტაცია ახალგაზრდობაზე აღელა. კომპლექსის პერსონალის 70% ახალგაზრდებია. თვითონ კომპლექსის მმართველი, დაუზარელი ახალგაზრდა თემერ კაკულია 1954 წელსაა დაბადებული. ახალგაზრდებია ბრიგადირები, ლაბორანტი, საამქროს ოსტატი. სწორედ მათი ენერგია ხელიდან ამ ძნელ და დიდ საქმეს. დემერ ჭელია და თემერ კაკულია ქმაყოფილნი არიან იმით, რომ გეზი თავიდანვე სწორად იქნა აღებული. მუშაზეხლის დენადობის საფრთხე არ ემუქრება კომპლექსს. მინიმალური ყოველთვიური გამომუშავება 250 ბანერია. შრომის ნაყოფიერებისა და თვითღირებულების შემცირების კვალობაზე ეს დონე თანდათან კიდევ უფრო აიწევს.

უახლოეს წლებში კომპლექსის სიმძლავრე დაგეგმილ 1200 ტ. მიაღწევს, მაშინ როცა 1979 წელს რაიონმა მილიანად აწარმოა 1670 ტონა რძე. აქედან 615 ტ. ან კომპლექსზე მოდის. ამიტომ თვლეკა იგი რაიონის მეცხოველეობის გიგანტად. მსგავსი კომპლექსების მომრავლება მთელს რუსუფლოკაში მეცხოველეობის დარგში დღეს არსებულ სიძნელეებს აუცილებლად დასძლევს და პიოლნეკვა მეცხოველეობის სასურველი დონე.

სერგეიეთის მეცხოველეობის კომპლექსი ტექნიკის თანამედროვე ნაწილე მოწყობილი დიდი ხანწარმოა. დღეს საშუალოდ მისი ერთი მწველავა ოპერატორი წელეის იმდენ რძეს, რამდენსაც მთელი კოლმეურნეობა აწარმოებდა მანამდე, ამიტომ მრთ უფრო აუცილებელია დიდი ყურადღება და ყოველმხრივი ხელშეწყობა ასეთი კომპლექსებისათვის. ბევრისაგან მოვისმინე, რომ კომპლექსს შეუძლია გაკეთებული უკეთეს შედეგებს მიაღწიონ, სრულეყოფილად რომ იყოს მოგვარებული პირუტყვის ხაკვებით უზრუნველყოფა. კომპლექსი მოლიანად ბაგურ კვებაზეა გადაყვანილი. მწველი პირუტყვის პროდუქტიულობა კი, როგორც ყველამ ვიცით, უშუალოდ კვებაზეა დამოკიდებული. დღეში ძროხამ ყველა სახის 60 კგ-მდე ხაკვები უნდა მიიღოს, მით უმეტეს ისეთმა დიდმა ძროხებმა, როგორიც კომპლექსში ჰყავთ. ამჟამად კომპლექსში 630 პიროუტკვი. მათგან 250 ძროხა. კოლმეურნეობის ხარგებლობაში სულ 400 ha ხახნვია. უხეში ხაკვებით მზარები მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია მიწის ინტენსიური გამოყენება და არსებული ფართობის ნახეკარზე მაინც წელიწადში ორი მოსავლის მიღების უზრუნველყოფა. ხაკუთარი მეურნეობის ბაზაზე უხეში ხაკვების ხაკმარისი მარაგის შექმნა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასაც გამოიწვევს თავისთავად. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ რაც მათზეა დამოკიდებული, ყველაფერი დროზე გაკეთდება. მაგრამ ... ორიე საკითხი, რომელიც მათზე არაა დამოკიდებული: კომპლექსები ყოველთვის დროულად და ხაკმარისი რაოდენობით როდი ღებულობს კვებას. ის დღესაც ჩ. ქელია და თ. კაკულია ამ ხაკმეზე იყვნენ წასული. თითქმის ხელცარიელი მობრუნდნენ. მეორე დღეს ისევ უნდა წასულიყვნენ. თან როგორც გავიგე, ეს ისევითად როდი ხდება. ისეთ საწარმოებს, როგორიც ეს კომპლექსია, ყოველმხრივ უნდა დაეხმაროს არა მხოლოდ რაიონის ხელმძღვანელობა, არამედ უველის უწყება და ორგანიზაცია, ვისაც ეკანება ცალკეული ფუძემცები ამ მხრივ. აღნიშნული სიძნელე აუცილებელია სწრაფად და მოლიანად იქნას დაძლეული.

კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას მიზნად აქვს მიაღწიოს სანაშენე პირუტყვის გამოზრდას, რაც ამ საგების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება.

. . .

1979 წელს დარეკვან გაწერილიან 18 ტ. რძე უნდა ჩამოეწველა მან 23386 კგ. რძე ბაიბარა ხახელმწიფოს. ახლად შექმნილ კოლექტივში არა მარტო დაუღალავი შრომით, არამედ უშუალობით, ხალისიანობით, გულითადობით და ხაზრიანობით დაიმახსოვრა მან დიდი სიყვარული. ამდენ ენერგიულ და შრომისმოყვარე ახალგაზრდებში რომ გამორჩეულად შეუუვარდეთ, მართლაც ხაამაოა.

წელს დარეკვანის გეგმა 39 ტ. რძეს ითვალისწინებს. ამ დიდი ნდობისა და აღიარების ხაპასუხოდ, რაც რაიონის ამმაჩრეველებმა მის მიმართ გამოიჩინეს, დარეკვანმა 45 ტონა რძის მოწველთა ივალდებულა. ეს დიდი სითამამე ხაკუთარი ძალების რწმენისა და მის მიმართ ხალხის ნდობის ღირსეულად დაფასების გულწრფელი სურვილის გამოხატულებაა.

ადამიანებმა, რომელთაც არავითარი პირადი ინტერესი არ ამოძრავებთ, გულწრფელად მთელ ხალხს — მთელ სოფელს ახე უხარია დარეკვანის არრევა უმაღლესი ხაბჭოს დეპუტატად. როგორც თავისი ოჯახის წევრის, როგორც ხაკუთარი ადამიანის დიდი წარმატება და სიკეთე გაუხარდებათ კაცს.

სოფელი ათასი ფხიზელი თვალით უყურებს თითოეულ თავის შვილს. მას არც არაფერი მოეჩვენება და არც არაფერი გამორჩება. დარეკვანი ყველა კეთილი ოჯახის შვილი გახდა სერგეიეთში. უხარიათ მისი ყოველი ნაბიჯი, ყოველი გამარჯვება, მასზე თქმული და დაწერილი ყოველი კარგი სიტყვა.

სოფელმა იცის, ვინ და რისთვის შეიუვაროს.

იმედი ჯაბუა
ლოფლის სიამაყე

1. ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲘᲒᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲓᲔᲓᲘᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ

ᲩᲘᲛᲘᲗᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲣᲯᲔᲚᲔᲑᲘᲜᲝᲕᲜᲘ, ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲘᲣᲠᲘᲡ ᲩᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲑᲐᲕᲜᲝᲕᲐ ᲛᲔᲣᲠᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲨᲘ, ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲐᲠᲘᲡ ᲮᲘᲠᲘᲗ ᲓᲐᲯᲔᲠᲒᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲜᲐᲓᲐ. ᲬᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲮᲘᲠᲘᲗ ᲓᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘ ᲛᲘᲪᲔᲜᲐᲢᲘᲡ.

636 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲛ ᲛᲔᲣᲠᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲩᲐᲜᲘᲡ ᲐᲠᲜᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲚᲐᲠᲗᲘᲡ ᲜᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲘᲓᲘᲜᲐᲠᲘ, ᲐᲠᲐᲛᲘᲣᲠ ᲛᲨᲝᲛᲐᲚᲘᲡ ᲒᲚᲣᲮᲘᲡᲘᲡ ᲪᲘᲢᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲚᲘᲗᲘᲡ ᲮᲐᲓᲝᲒᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲔᲓᲔᲚᲘᲗ.

ᲑᲐᲒᲨᲝᲛᲝᲠᲩᲘᲜᲔᲑᲘ ᲗᲕᲘᲗ ᲐᲛ ᲫᲘᲒᲠᲔᲚᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲠᲘᲗ ᲩᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ — ᲨᲐᲥᲛᲔᲛᲬᲘᲠᲔᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲫᲔᲢᲘᲠᲔᲚᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲛᲝᲓᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲐᲜᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲠᲐᲕᲐᲜᲘ ᲫᲚᲘᲠᲓᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲘᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡ. ᲐᲛ ᲓᲘᲓ ᲓᲐ ᲣᲜᲓᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲕᲘᲗ ᲐᲠ ᲛᲐᲠᲗᲐ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲧᲣᲠᲔᲚᲘ ᲗᲮᲝᲡᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲘᲜᲘᲡᲬᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘᲗ. ᲐᲛ ᲓᲘᲓ ᲓᲐ ᲣᲜᲓᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲕᲘᲗ ᲐᲠ ᲛᲐᲠᲗᲐ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲧᲣᲠᲔᲚᲘ ᲗᲮᲝᲡᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲘᲜᲘᲡᲬᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘᲗ. ᲐᲠᲐᲛᲘᲣᲠ ᲛᲨᲝᲛᲐᲚᲘᲡ ᲒᲚᲣᲮᲘᲡᲘᲡ ᲪᲘᲢᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲩᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲔᲚᲘᲐ ᲛᲝᲬᲘᲠᲜᲘᲡᲗᲐᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲘᲭᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲣᲠᲔᲚᲘ ᲐᲛᲘᲗ ᲛᲘᲜᲐᲛᲓᲔ. ᲪᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲣᲢᲠᲘᲡ ᲐᲛ ᲤᲘᲠᲘᲗᲘ ᲛᲘᲬᲐ-ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘᲗ ᲓᲐᲓᲒᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲠᲘᲚ ᲛᲐᲚᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲘᲠᲛᲔᲑᲘᲡ. ᲒᲐᲬᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲧᲐᲜᲒᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲪᲘᲡᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲞᲘᲠᲨᲘᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲐᲠᲘᲗ, ᲒᲐᲓᲐᲮᲣᲚᲘᲡ ᲗᲣ ᲑᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲔᲚᲘᲐ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘᲗ ᲗᲝᲠᲜᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲣᲪᲚᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲔᲠᲒᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲔᲠᲒᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲘᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲗᲝᲠᲜᲝᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲚᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘᲗ. ᲐᲛᲘᲗ ᲐᲛᲘᲜᲔᲤᲘᲜᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲔᲚᲘᲐ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘᲗ ᲗᲝᲠᲜᲝᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲚᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲠᲔᲚᲘᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲐᲠᲘᲗ ᲩᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲛᲔᲣᲠᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲗᲝᲠᲜᲝᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲚᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲠᲐᲕᲐᲜᲘ ᲫᲚᲘᲠᲓᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲘᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡ.

ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲝᲬᲘᲠᲜᲘᲡᲗᲐᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲘᲭᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲣᲢᲠᲘᲡ ᲐᲛ ᲤᲘᲠᲘᲗᲘ ᲛᲘᲬᲐ-ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘᲗ ᲓᲐᲓᲒᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲠᲘᲚ ᲛᲐᲚᲔᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲘᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲗᲝᲠᲜᲝᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲚᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲠᲐᲕᲐᲜᲘ ᲫᲚᲘᲠᲓᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲘᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡ.

ᲩᲘᲛᲘᲗᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲣᲯᲔᲚᲔᲑᲘᲜᲝᲕᲜᲘ, ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲘᲣᲠᲘᲡ ᲩᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲑᲐᲕᲜᲝᲕᲐ ᲛᲔᲣᲠᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲝᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲓᲐ ᲛᲔᲣᲠᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲘᲒᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲪᲓᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲜᲐᲚᲙᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲗᲕᲘᲡᲓᲐᲡᲐ...

ᲐᲛ ᲓᲘᲓ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲗ ᲓᲘᲠᲘᲗᲔᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲮᲐᲖᲘᲗ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲔᲪᲘᲗᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲔᲜᲘᲠᲘᲗᲘᲡ ᲪᲓᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲜᲐᲚᲙᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲗᲕᲘᲡᲓᲐᲡᲐ...

ᲐᲛ ᲓᲘᲓ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲗ ᲓᲘᲠᲘᲗᲔᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲮᲐᲖᲘᲗ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲔᲪᲘᲗᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲔᲜᲘᲠᲘᲗᲘᲡ ᲪᲓᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲜᲐᲚᲙᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲗᲕᲘᲡᲓᲐᲡᲐ...

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲪᲔᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲮᲚᲔᲚᲐ ᲛᲘᲪᲣᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐᲗ ᲣᲩᲘ ᲓᲐᲯᲔᲠᲒᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲠᲒᲕᲐ. 1979 ᲬᲚᲘᲡ 210 ᲗᲕᲚᲘᲗ ᲡᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲠᲘᲪᲘᲡ ᲛᲭᲘᲜᲕᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲔᲜᲝᲑᲘᲡ. ᲬᲚᲘᲡ ᲙᲘ ᲨᲔᲣᲢᲐᲒᲘᲡ ᲝᲠᲯᲘᲠ ᲙᲘᲓᲔᲚ — 420 ᲐᲮᲘᲡᲐᲠᲘᲪᲘᲡ ᲐᲮᲚᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲣᲐ ᲒᲐᲛᲝᲯᲐ ᲥᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐ. 9 ᲗᲕᲔᲡ ᲑᲐᲠᲘᲡᲮᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲩᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲝᲛᲔᲠᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲠᲜᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲗ ᲧᲝᲕᲚᲔᲚᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲪᲘᲡᲐᲡ. ᲒᲘ ᲗᲘᲗᲘᲡ ᲥᲛᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲠᲘᲕᲘᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲣ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ — 3780 ᲗᲣ. 1981 ᲬᲚᲘᲡ ᲙᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ. ᲨᲔᲣᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲫᲘᲛᲔᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲠᲝᲡ. ᲐᲛᲘᲗ ᲐᲛᲐᲚᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓᲔᲚᲘ ᲓᲠᲝ.

ᲛᲔᲠᲘᲐᲜᲘᲗᲐ ᲣᲗᲝᲛᲪᲘᲠᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲘᲗᲝᲛᲪᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲐᲠ. ᲠᲝᲪᲐ ᲛᲔᲣᲠᲔᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲘᲬᲘᲡ ᲓᲐᲠᲩᲔᲚᲘᲡ ᲬᲧᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲛᲘᲜᲔᲚᲘ, ᲡᲘᲝᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲗᲔᲛᲘᲗᲘᲡ. ᲩᲘᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲚᲘᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲩᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲘᲗᲝᲛᲪᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲠᲐᲕᲐᲜᲘ ᲤᲠᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲛᲓᲔ. ᲛᲔᲣᲠᲔᲜᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲔ ᲛᲘᲜᲐᲛᲓᲔ ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲛᲘᲗ ᲛᲝᲛᲘᲡᲕᲘᲗᲔᲑᲐ ᲞᲝᲪᲔᲠᲓᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, 1980 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲗ 1600 ᲒᲠ ᲐᲠᲑᲘᲗᲣᲚᲘ ᲪᲐᲠᲘᲚ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲩᲐᲒᲠᲐᲠᲜᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲨᲘ, ᲐᲛᲐᲒᲗᲐᲜ, ᲩᲐᲜᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲨᲘ 4060 ᲢᲝᲜᲐᲡᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲬᲛᲔᲜᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐ. ᲞᲘᲠᲝᲜᲗᲐᲜ ᲐᲛᲐᲗᲐᲜ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ამ ხაქმეს ხავსებით გაჩწედება მარტო დიდი და მცირე მექანიზაცია. კრეფის სეზონს სრული მზადყოფნაში ხვედრეთ.

მეურნეობის მატაანე ხაამაეო ხახელებს უნახავს შთამომავლობას. მეურნეობის მაღალ წარმატებებში შეტანილი უდიდესი წვლილისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება ჩქონდა მინიკეფული მეურნეობის ყოფილ დირექტორს, ან გარდაცვლილს, მიხეილ მელუას. აგრეთვე ყოფილ მთავარ აგრონომს — ილარიონ გოგინავას. ორგზის დაჯილდოვდა ლენინის ორდენით მეურნეობის ყოფილი მუშა, ვეტერანი მეჩიკე ანა ხენდეკეანი. უკანასკნელ წლებში ლენინის ორდენით აღინიშნა მეურნეობის მექანიზატორის, რასის ჯეკებეძის შრომითი გაბედკეებები. შრომის წითელ დროშის ორდენის კავალერი გახდა ავთანდილ გოროშია...

მეურნეობაში ორი ბერი დედა ცხოვრობს და შრომობს — 11 შვილის დედა მედეა ნაჩუეანია და 17 შვილის დედა — მარუხია ევანია...

ამთი ოოდი ამოიწურები მეურნეობის ხახელოვან მშრომელთა სია, მაგრამ ამეამად სულ ხხვა მიზანს ვიხახავდი და უნებლიეთ გამიგრძელდა სიტყვა...

2. მაგული ლეკიშვილი

1978 წელს მახარაძის რაიონში გამართულ ტრადიციულ რეხუბლიკურ კონკურსში 50 თავის ხაქმეში დახელოვნებული მეჩიკე-მექანიზატორი ეპიეპრებოდა ერთიანთან. სულ 4 ახალგაზრდა ქალი იყო მათ შორის და 46 მამაკაცი. კონკურსი მხოლოდ 5 წუთს გაგრძელდა. გამალებით მეშვაობდნენ 50 „ხაქართველოს" ავტომატური თითები. მოკრეფილი მწვანე მახის უტეში ფოოლებისა და ღერო-ებისაგან გახეფთოვებია შემდეგ უნდა გამოვლენილიყო გამარჯვებული. შედეგი ყველასათვის მოულოდნელი გამოდგა. პირველი ადგილი მიეკუთვნა 25 წლის მაგული ლეკიშვილს, გეგეკკორის რაიონში პირველ და ერთადერთ მექანიზატორ ქალს, დიდი ჭკუნის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზაციული რგოლის ხელმძღვანელს. 5 წუთში მან 196 კგ ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა თავისი მანქანით.

17 წლისა მიუჯდა იგი ჩაის საკრეფი მანქანის „ხაქართველოს" ხაეტს და ათი წელია მელაქმოოლელთან მართავს მას. ეს ხაკმაოდ გაბედული ნაბიჯი იყო. მაგრამ დღემდე ერთხელაც არ გაუფლია ფიქრად, რომ არეკვანში შეცდა. პრიოქთი. სიამაკეთა და სიკეთარულთაა გამსკვალული თავის ხაქმის მიმართ. მანქანას ძვირფასი მეგობარივით შეეჩვია და ალბათ ძალიან დიდხანს ვერ დათმობს მას.

ბედნიერი დედაა მაგული. იხე შრომახაც არ ეკუნებოდა ხალისი. მაგული ლეკიშვილისა და დუგლას დგებუაძის ახალგაზრდულ ოჯახში პატარა ქართველი ეზრდება ხამშობლოს.

1979 წელი ყოველმხრივ ბედნიერი გამოდგა ამ ოჯახისთვის. ახალი ბინა, მსუბუქი ავტომანქანა და... ყველაზე დიდი სიხარული ქალელი ვა ეიშვილის შეძენა იზეიმა ოჯახმა. სწორედ ეს ვიაკაცი გახდა იმის მიზეზი, რომ ამ წელს მაგულიმ მეორედ ვერ მიიღო ორნაწილეო

იმავე კონკურსში, რომელიც ზუგდიდის რაიონში ჩატარდა ამჯერად. ჩვენი ბავშვის მოტივაცი ვერ შეელო. წელს კი აუცილებლად წავალ, სადაც არ უნდა ჩატარდესო —ასეთია მაგულის გადაწყვეტილება. მის ხასიათში მკვეთრადაა გამოხატული მებრძოლი, სპორტელი თვისებები. შეჯიბრში საკუთარ შეხალებლობებზე ეკმნება ადამიანს სწორი ფარმოდგენა. ყველაზე კარგად ამ პროცესში ვამოწმებო ჩემს უნარს, — ხალისიანად ამბობს იგი.

— მიმდევრები თუ გაკვეს-მეთქი, ადგილობრივ ქალაქშეკლესებში, — ეკითხე. ჯერ არავის გამოუთქვამს ამის სურვილი. ისე კი, ათ წელს მაინც შევძლებ მუშაობას „ხაქართველოზე", მერე კი ჩემს უფროს გოგონას დავსვამ ხაეკნოთანო, — ღიმილით დაუმატა მაგულიმ. დიახ, პირველქალესელია ჯერ მაგელის გოგონა. მაგულის კი ხაებარშიე ეტეოა, როგორი ნაზი და დიდი ხიკეკრულეთო ეუკარს თავიხი ამატარეები და ძნელი ხათქმელია -„ბავშეებს" თუ არა მექანიზატორის მძიმე შრომისთვის მათ, მაგრამ ერთი კი ნათელია — ხამშობლის ღირსეულ შვილებს გაუზრდიან მაგელი და დუგლასი. მე თვითონ დოოკანეხმან შემიშვალა ხელი სწავლის გაგრძელებაშეო, — წამოცდა მაგულის, მაგრამ ხამაგიეროდ მის შრომით გზაზეა მოხალოდნელი ნამდვილად დიდი გამარჯვებები. მისი უშრეტი ენერგია, ხაქმის სიეუკარეთი და უკვე მიღწეული შრომატეხ ბია ამის ხაწინდარი. შრომის წითელი დროშის მესამე ხარისხის ორდენით აღინიშნა მისი პირველი მიღწევები. 1979 წელს 33 ტონის ნაცვლად 42 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა მაგულის რგოლმა. 5 პეტკირ პლანტაციას უკლის მაგული რგოლის წევრებთან — დუგლას დგებუაძეს და ტრისტაბ მაისაიასთან ერთად წინა წლის მიღწევა წელს უკვე გეგმაა. ეცადე გამეკო, რამდენი ტონის მოკრეფა ჭკონდა გადაწყვეტილი გეგმის ზევით, მაგრამ დავწერენდი, რომ ჩანაფიერის წინასწარ გამბედა არ ახასიათებს მაგულის. სწორია, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან...

დავინტერესდი, თუ როგორ ახერხებდა მცირეწლოვანი ბავშვების დედა ვიეკაცის ხაფერ შრომასაც. დედამთილი მეხმარებაო, და მაინკელებელია, ზაფხულობით თავისუფალია და ისიც დიდ დახმარებას მიწევსო.

ივანე ჯაჯუა
ოფლის სიმაკაკე

მაგალითისგანვე შევიტყვე, რომ მისი და დედა ლასის ერთობლივი ნელიერი გამომშვავება ბელფასთან და პრემიასთან ერთად 8 ათას მანეთს აღწევს. არა ისე ცუდია ფუსდება მაინ გარეშ.

არც დაფასება და აღიარება აკლია მაგალის. მეოთხეც იქნა არჩეული რაიონული საბჭოს ფაპუტატად.

ოთეს უფლება ვერ მიეცი უფრო მეტი დრო წამებრამია მაგალისთვის. მისი პატარა იქნებ სწორედ ამ წუთებში ითხოვდა მისგან მოფეკებას. რა თქმა უნდა, შემდგომი ბედნიერება და დიდი გამარჯვებებიც ვუსურვე.

თვითონაც გულღიად დაგვემშვიდობა და თავისი მართველებისკენ გაეშურა.

მეურნეობის კანტორის ერთ-ერთ მოზრდილ ოთახში ჩემს გარდა იყვნენ მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე, სოფლის მეურნეობის გამოცდილ მუშაკი ალექსანდრე ანჯაღაია, მეურნეობის პარტკომის მდივანი ნუგზარ ოვანია და ამავე მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი დმიტრ ყკაშილავა. მათთან საუბარში ბევრი ხანი ტრფიალო რამ გავიგე. მოკლედ გავიხსენებ მთავარს.

3. იმედი ხვალის

მეურნეობის ხელმძღვანელობა ძირითად იმედს მუშა-ახალგაზრდობაზე ამყარებს. 275 კომკავშირელს თავისი წვლილი შეაქვს კოლეტივის წარმატებებში. უკანასკნელ წლებში რაიონს ორგზის გადაეცა რესტუბლიკის გარდამავალი დროშა. ამაში მთელი რაიონის ახალგაზრდობის შრომითმა მამაცობამაც შეასრულა დიდი როლი. დიდი ჯეროვნის ჩაის საბჭოთა მეურნეობასა და მის ახალგაზრდობას საპატიო ადგილი ეკუთვნის ამ გაბრაჭვებაში.

მეურნეობაში შექმნილია ახალგაზრდეული ბრიგადა, რომლებიც ტოლს არ უფდებენ გამოცდილ მუშებს. სულ ახლახან კიდევ ერთი ასეთი ბრიგადა ჩამოაყალიბეს ახალგაზრდებმა პირადი ინიციატივით. ბ იმედის მომცემი, ჯანმაგარი კაცუკა მასში გაერთიანებულიან. მათ გადაწყვეტილი აქვთ 135 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოკრეფა პირველივე წელს ხელით საკრეფი ამპარატებით. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 72 ტონისა. — სულ დარჩენილი ბიგებია. მეტსაც მოვეელთო მათგან — ამბობს ნუგზარ ოვანია. მაგალის წასვლის შემდეგ მოვიდა დმიტრ არახანია. მასზე უკეე ვიცოდი ზოგი რამ.

სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებულმა ეიღო ამ ჯანლონთა და შრომის სიყვარულით სავსე ბიჭუკა ჩაის საკრეფი ამპარატი ხელში. 1979 წელს კი 22 წლის დემენტი რაიონის გამარჯვებული გახდა — 9 ტონის ნაცვლად 24 ტონა ხარისხოვანი ჩაი მოკრიფა და პირველი ადგილი დაიკავა მცირე მექანიზაციით მკრეფავებს შორის რაიონში. 1980 წელს 30 ტონის მოკრეფა აქვს გადაწყვეტილი. ეგ ერთი ახალგაზრდეული რეკორდი ხელმძღვანელობ.

ლენინის ორდენოსან რანის დგებუაძეს ახალგაზრდეული ბრიგადებლის ხასიათი ფუნქცია აკისრია მეურნეობაში. მართლაც. შესაშურ მაგალითს აძლევს იგი ახალგაზრდობას. „ხაკარიოლეთი" 1979 წელს 70 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოკრეფა რანისმა. ამასთან, საშუალო საპეკტარო მოსავლიანობა 11 ტონამდე აიეკანა, რაც გაცილებით მაღალია, ვიდრე რესპუბლიკის მარეგნეველი.

მეურნეობაში ადგილობრივ მკვიდრებთან ერთად ცხოვრობენ რუსები, სომხები და სხვა ეროვნების წარმომადგენელნი.

ლარისა ჩახალინი ერთ-ერთი ახალგაზრდული რეკორდის ხელმძღვანელია. მისი და ლუდმილაც ძის ბრიგადიდან შრომობს. ლარისამ 1979 წელს ხელით მოკრიფა 8 ტონა ჩაი.

1980 წელის ანარიში დიდი ჯერონის მეურნეობა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საპატიო სიგელით დაჯილდოდეს.

მაგრამ მარტო შრომითი მიღწევები როდი კმარა ინსაოთვის, რომ ადამიანმა ღირსეულად იცხოვროს. განათლება, სპორტი, კულტურული დასვენება ოე მხატვრული თვითმოქმედება მეურნეობის ხელმძღვანელობის პირველხარისხოვან საზრუნავად განეკუთვნება. მეურნეობის ტერიტორიაზე 2 საშუალო, 3 რვაწლიანი და ეროვნული დაწყებითი სკოლა. მათ მეურნეობა უზეკეს შეუბამს.

მეურნეობის ახალგაზრდობის სპორტული მიღწევებიც რაიონსულ პირველობაზე ყოველთვის თვალსაჩინო იყო. ეს ტრადიცია დღესაც ისევე შენარჩუნებული.

1979 წელს მეურნეობის მუშათა ძალებით პროფკავშირული კლუბის ბაზაზე ხალხური სიმღერების წრე შეიქმნა. მისი ეკურეის მიერ შესრულებული სიმღერები უკვე გადაიეკა ხაკართველოს ტელევიზიით. მაღალ დონეზე გამოდიან მოსწავლეთა ოლიმპიადებზე მეურნეობის მუშა მოსამსახურეთა შვილები.

. .

აპრილის უკანასკნელი დღეები იყო. ბუნების ჭირვეულობა რომ არა, ჩაის კრეფა დაწყებულიც უნდა ყოფილიყო. ყველა სახის სამუშაოები დროულად ჩაეტარებინათ მეურნეობის ალეპკაციებში. მხოლოდ დუეეების წამოზრდა გვიანდებოდა. ამის დაჩქარება კი ბუნების მარდვილი ჭირვრობით არსებული შესაძლებლობებით, მოგეხსენებათ, კამრიცებელია. მაგრამ მაწვ, რომელმაც ასე ახარა და ალახარა ჩაის ძვირფასი ბუჩქი. შრომას მაინც არ დაუკარგავს ადამიანს.

მეურნეობისათვის 1980 წელი განსაკუთრებული. მეურნეობის დაარსების, პირველი ბარის დაკვრის 50 წლისთვის ღირსეულად აღნიშვნა აქვთ გადაწყვეტილი მის მკვიდრთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნება

ნანა ქავთარაძე

„პასიონები“ ვაჟას მიხედვით

სულხან ნასიძის სიმფონია „Passione“ კიდევ ერთი დადასტურებაა ქართველ კომპოზიტორთა სიყვარულისა და შემოქმედებითი დაახლოებისა ვაჟა ფშაველას პოეტურ სამყაროსთან. რაც უფრო იზრდება ამ სამყაროს ნიჭიერი მუსიკალური გადააზრების შესაძლებლობანი, მით უფრო მდიდრდება ეროვნული მუსიკის საბიერება და იბადება ვაჟას პოეტურ ხელვებთან დაახლოების ახალი გზები, მასშტაბები, მოდელები.

ქართულ მუსიკას არაერთი სიმაღლე აღუმარჯვავს ვაჟასთან კავშირში. ეს მით უფრო ითქმის სიმფონიურ ჟანრზე, რადგან სწორედ შ. მშველიძის „ზვიადაური“ იყო ერთ-ერთი პირველი ქმნილება ქართული სიმფონიზმი რომ აიყვანა ამ სიმაღლეზე. მანვე დაუდო სათავე მუსიკალურ ვაჟა-ფშაველიანას, მისი ინსტრუმენტული სფეროს ტრადიციას. თუ შევადარებთ „ზვიადაურისა“ და სულხან ნასიძის ამ სიმფონიის შექმნის დროს (1940-1978), ცხადი გახდება ის თვისობრივი სიახლე ვაჟასადმი დამოკიდებულებაში რომ მეჭაველდება და გაპირობებულია დროისა და თაობათა ფერისცვალებით, ქართული სიმფონიური მუსიკის ევოლუციით და რაკი თქმა უნდა, მუსიკისა და პოეტური სიტყვის სინთეზში საკუთარი გზების ძიების აუცილებლობით.

მუსიკალური ვაჟა-ფშაველიანას სიმფონიური სფერო რამდენიმე ნაწარმოებით წარმოგვიდგება: შ. მშველიძის სიმფონიური პოემები „ზვიადაური“ და „მინდია“, ო. თაქთაქიშვილის ვოკალურ-სიმფონიური პოემა „ცლდე და მდინარე“ და ს. ნასიძის სიმფონია „Passione“ ძნელი არ არის გარკვეული კანონზომიერების დანახვა იმაში, რომ ქართული პროგრამული სიმფონიზმის განვითარებამ მოგვიყვანა სიმფონიურ სტრუქტურაში ვაჟა ფშაველას პოეტური სიტყვის ჩართვის აუცილებლობამდე. იმდენად მასშტაბური და თვითმყოფადი იყო ვაჟას პოემების მუსიკალური გადააზრების პირველი მაგალითები, რომ ქართული სიმფონიური მუსიკის განვითარების გზაზე აუცილებელი გადადა ახალი ფორმების, ახალი საშუალებებისა და ხატოვანების მოძიება. სწორედ ამ გარემოებამ შექმნა პირობა იმისა, რომ ფშაველ ვაჟასეული სიტყვის მეიღო მონაწილეობა სიმფონიური მუსიკის სიღრმეებში განფენილი მხატვრული ჩანაფიქრის და მუსიკალურ-ფილოსოფიური კონცეფციების უფრო მკაფიოდ. ხელშესახებად წარმოჩენაში.

თანამედროვე სიმფონიურ სტრუქტურაში პოეტური სიტყვის ჩართვის მრავალი გზა და მეთოდი არსებობს, სხვადასხვა ვოკალურ ენერგიათან სინთეზში შეირყა სიმფონიის ტრადიციული სიწმინდე და გაუბერდა შემთხვევები, რადგანაც სიმფონია თავის უფლებებს უთმობს ხან ორატორიას, ხან ვოკალური ციკლის ან სხვა რომელიმე ჟანრის მორგანიზებელ ძალებს. სიცხადისათვის დავახასიელებ დ. შოსტაკოვიჩის სიმფონიებს № 13 და № 14, ს. ნასიძე სიმფონიისა და ვოკალური საწყისის სინთეზში ბეთჰოვენისა და შალერის ტრადიციას მიუვლია. მას სიმფონიაში შეაქვს ვაჟა ფშაველას ლექსები, რომლის პროეკციერებისათვის იყენებს გუნდურ ხმოვანებას — მამაკაცთა ბანებს, მაგრამ ვაჟა ფშაველას ლექსებში ჩაქსო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილ აზრს ის უპირველესად სიმფონიური მუსიკის გზით განაზოგადებს. თუმცა პოეტური სიტყვა სიმფონიური ქსოვილის უმეტეს ნაწილში (I და III ნაწილები) მონაწილეობს. ჩვენ საკმე ვგვაქს ნამდვილ სიმფონიასთან არა მარტო მისი ციკლიურობის, არამედ მასში მოქმედი სიმფონიური განვითარების პრინციპის გამო. ვიცი ფშველელს ლექსის სტრიქონები აკ უპირველესად მხატვრული კონცეფციის ნათელსაყოფად არის შესული. მეორეს მხრივ ეს არ არის სიმფონია. სადაც სიტყვა მუსიკის აუცილებელი დანამატი ხდება. აკ სიტყვა. ვოცალური პარტია სიმფონიური დრამატურგიის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია, მისი მორგანიზებელი საშუალებათაგანია. ნაწარმოებში არსად არ ირღვევა წონასწორობა ინსტრუმენტულ და ვოკალურ საწყისებს შორის, თითოეულს შესაბამისი მოკმედების არე აკვს.

ალსანიშნავია პოეტურ საწყისთან დამოკიდებულების მეორე მხრეც — კომპოზიტორის დამოკიდებულება ვაჟა ფშველას პოეზიისადმი სახელდობრ ამ სიმფონიის საფუძველზე. თუ მანამდე ვაჟა ფშველას პოეზიის მიხედვით შექმნილი მუსიკალური ნაწარმოებების ავტორები მიზნად ისახავდნენ პოეტის რომელიმე შერჩეული ნაწარმოების მუსიკალურ გარდასახვას, მისი მუსიკალური ექვივალენტების შექმნის და ამ პროცესში გამომდინარეობდნენ ვაჟა ფშველას პოეტური სამყაროს მისეული აღქმიდან, აკ ჯერუკე მოვლენასთან გვაქვს საკმე. ნასიძემ ჯერ ჩამოაყალიბა სიმფონიის მხატვრული კონცეპცია და მხოლოდ შემდეგ მოიძია ვაჟას პოეზიაში ორი ლექსი ამ კონცეპციის უფრო მკვეთრი სახეიერებისათვის. მით უფრო საინტერესოა, რა საწყისები შემოაკვს პოეტურ სიტყვას ზმნიდან ინსტრუმენტული მუსიკის სფეროში, რამდენად დაუბალანდა სიმფონიის მუსიკა ვაჟა ფშველას სამყაროს, დამოლის რამდენად სწორი აღმოჩნდა კომპოზიტორის არჩევანი.

ამრიგად, ს. ნასიძის სიმფონია „Passione" მუსიკალური ვაჟაფშველიანას ახალი სიტყვაა და თვით კომპოზიტორის შემოქმედებაში საინტერესო ნიასტაკი. მეორეს მხრივ არაერთი პარალელი მოიძებნება კომპოზიტორის სხვა ნაწარმოებებთან: პოეტურ საწყისთან კავშირის თვალსაზრისით ეს სიმფონია ანგითარებს ბაზს, რომელიც მოემართება. ნასიძის ორატორიისა: „ჩემი სამშობლო" და ვოკალური ციკლიდან „ქართული ხალხური პოეზიიდან". საკართველოს მთიანეთის მუსიკალური ფოლკლორის ინტონაციური მასალის გათავისებით და ზოგიერთი კომპოზიციური ბასაკით ის მოგვაგონებს კმენერ სიმფონიას, ხოლო პროგრამულობა, პრეზენტაციით სიმფონია „ფერისცვალებაზე". დაბოლოს, ამ ნაწარმოებში მეკავშირეობა ინტერესი ნიშნავს ნასიძის მთელ შემოქმედებას რომ გასდევს — ეროვნული ორიგინალობა, ე. ი. ფოკრითთა და განსაკუთრებული ყოფიერება, მისი ის მოვლენები, რასაც მუსიკოსის თვალთახედვა სწვდება. მაგრამ ეს პარალელები ამ ნაწარმოებში აკვანილია ახალ ხატოვან სიმაღლეზე.

განვიხილოთ სიმფონიაში ვაჟა ფშველას პოეტური სტრიქონების მოკმედების არე. უპირველესად აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ნასიძეს მიმართია ვაჟა ფშველას არა კმერეულ ეპოსს, ესოდენ მრავალმხრივად რომ ანასახავ ქართულ მუსიკაში, არამედ მის ფილოსოფიურ ლირიკას, პოეტის შემოქმედების ის ფფერის, რომელსაც მეტად მიესადგება მისთვის დამახასიათებელი მედიტაციურობა. დიახ, მედიტაციაა ის საწყისი ამ სიმფონიის მხატვრული სამყაროს მრავალი მხარე რომ განაპირობა: თემატიკის, ხასიათბრივი წყობის, დრამატურგიის ორიგინალობა. სიმფონია აღიქმება როგორც მონოლოგი წუთისოფლის მარადიულ კანონებზე და ამ დროს ვაჟას სტრიქონები ერთგვარი „ფილოსოფიური კომენტატორი" ხდება ამ მხატვრული სამყაროსა, რომელიც ორკესტრის, ეოკალისა და სიტყვის ჰარმონიამ შექმნა. არჩევანი განაპირობა აგრეთვე მუსიკოსის სწრაფვამ ეთიკური იდეალის გამოხატვისაკენ და აკ კიდევ უფრო მეტად ვგრძნობთ ვაჟა ფშველას სამყაროსთან კომპოზიტორის დაახლოებას მომენტს. სიმფონიის მუსიკა ადბეკნელია სიწმინდითა და სისადავით. შინაგანი ძლიერებითა და ამაღლებული წყობით, მაში ბა აკვს ადგილი ვიწრო ხუბიექტივიზმსა და ყოფითობას.

ნაწარმოები ვაჟა ფშველას ორი ლექსია ჩართული: I ნაწილი — „ხოფლისა წესი ასეა" და II ნაწილი — „გაეხედავ გამოელილ ჯვასა". მიუხედავად იმისა, რომ ორივე ლექსის ემოციური მხარე ვაჟას მიერ თითქმის ერთ ტონალობაშია გადაწყვეტილი, ისინი სიმფონიაში სხვადასხვა გარემოშია მოკეცული და ამიტომ განსხვავებულია მათი მუსიკალური კონტექსტი.

რაკადენაც ვაჟას პოეზიის სამყაროში შეედეკვრთო, — აღნიშნავს სიმონ ჩიკოვანი, — გიგანტური მთები თანდათან გარს ეკვრტეშიან.... და ვაჟა ფშველელ ინეკებს საუბარს მთის მწვეტრალებთან, როგორც (ეოცესალ არსებებთან, გაკაურებს ნისლს და წარმოუდგენია, თითქოს მთები ფიქრობენ. პოეტის მთებთან საუბრისა და ფიკრის ეს საოცრად იდუმალი სუფრათი დაგვიბატა ხელნაწ ნასიძემ ამ სიმფონიის I ნაწილში და აკ არსებითია არა იმდენად ვაჟა ფშველელს სიტყვების მუსიკალური გარდასახვის საზუტტე, რამდენადაც ვაჟასეული საწყისის — ბუნებისა და ადამიანის დიადი ჰარმონიის მუსიკაში განზოგადება.

ამ სურათის იდუმალებას სიტყვაკაშენი გაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხდია კომპოზიტორი. მთელი პირველი ნაწილის მუსიკა დაცლილია მოძრაობისაგან, მოკმედებისგან, კონფლიქტისგან. მთის მწვერვალებივით ნათელი, სადა და „შიშველია“ ამ ნაწილის პარტიტურა. როგორც ფიქრს ადევნებულ ფიქრი, ისე გაისმის სოლო საკრავთა ხანმოკლე მონოლოგები და ამხლოდ აზრის დაძაბვას მოაკვნს ფაქტორის შემშიდროვება და ხმათა შეპირისპირება. აქ თითქოს პერსონიფიცირებულია ყოველი სოლო საკრავი თუ ხმა და აუვანილია სიმბოლური სახიერების ხარისხში, ხოლო ტემბრი კი მუსიკაში იგივე როლს ასრულებს, რასაც მეტაფორა ვიუას პოეტიკაში. ტემბრის ეზოთ კომპოზიტორი სულდგმული ხდის თავვარ თემატურ სახეებს — მთებს, პოეტის ხმას და „ამა სოფელს“. ასე, ძლიერმა პოეტურმა განცდამ უკარნახა კომპოზიტორს სიმფონიის დაწყება საოცარი ხითბოთი ალსავე ალტის ფლეიტის სოლოთი. მის სემანტიკაში ერთგვარად აკეთებება თვით პოეტის ხმა ადამიანური ტკივილებსა და დაუსრულებელ სევდაზე რომ მოგვითხრობს. ეს არის მთის სიწმინდითა და მოკრძალებით ალსავე ინსტრუმენტი lamentoso. რომელიც ხელახან ნასიძის მუსიკის ხაუკეთესო მონაკოფარია ოიგს ციეკუოვნება. ნათელია ამ თემის ფრამატურგიულ დანიშნულება. ის გადაიქცევა მუსიკალური აზრის შემდგომი განვითარების ამოსავალ ინტონაციურ წყაროდ, ნაირნაირი გარდასახვების მოავარ მასალად სიმფონიური განვითარების შემდგომ ეტაპებზე რომ იჩენს თავს, რათა ერთ მხატვრულ მთლიანობად შეადეგლაბოს სიმფონიის ნაწილები.

პოეტის ხმას თითქოს მთანი უერთდებიანნი, პარტიტურაში ჩაერთვის მამაკაცთა გუნდი (ბანების დივიზი). ავტორს ჩინებულად უგრძვნია ვიუას სტრიქონებში „მოკმედი“ მუსიკალური პრინციპი რეპრეკეიის და ეკოალის რიტმი ზუსტად მიუსადაგებია სიტყვის თითოეული მარცვლისთვის. ასე გამოიკვეთა და „ამოიტეტივდა“ მუსიკალურ ქსოვილში ვიუა ფშაველას ყოველი სიტყვა, აზრი, ასე შემოვდა ამ სიმფონიაში ფსალმოდიერების ნიშანი. ბანების უნისონები ერთხა და იმავე ბგერაზე მთის მკაცრი რეპიკატივი ჟღერს, როგორც ადამიანზე გამოტანილი განაჩენი. ამ კიდევ ალსანიშნავია ერთი „მუსიკალური მეტაფორა“ — რეპიტაციია ოწუები კანონის პრინციპით, რის გამოც სიტყვები — „სოფელი წვნი ასეა“ გაისმის როგორც ეკო. როგორც ეკმსა და სიგრცეში განფენილი მარადისობის ხმა ეს არის არა მარტო I ნაწილის ვოკალური პარტიის დამახასიათებელი ხატოვნება. არამედ ის მთელი სიმფონიის მხატვრულ საფაარაზეც ვრცელდება, მით უფრო თუ გავიხსენებთ, რომ ყოველი ნაწილი მოავრდება ხმოვანების თანდათან ალსანიშნავი უხასრულობაში გადასვლით.

I ნაწილიდან ალსანიშნავია კიდევ ორი მუსიკალური ხაზე. მთი ქმედითობა შემდეგ ნაწილებში უფრო აზრიდა. ბუმბერაზი მთის მწვერვალებიდან. სამყაროს სიმაღლიდან რათ. დეკ ეფწეო და მიუსადაო ჩანს სოფელი — ამაზე მიგვანიშნებს ალტისა და ჩელოს სოლოების საოცრად ინტიმური და სევდიანი დუეტი, რომელიც II ნაწილის დრამატულ ატმოსფეროში ჩაკვარ მეტამორფოზებს განიცდის. მეორე სახეს — ტრომბონების მარშისებურ ეპიზოდს თავისი უეცარი მოძრაობით, უხეში ტოკატურობით შინაგანი დაძაბულობა შემოაქვს I ნაწილის ამალებულ ნუოობაში და ერთგვარი მაცნეა შემდგომი მძაფრი მოვლენებისა.

ამრიგად, პირველი ნაწილის მხატვრული ხფერო საკმაოდ მრავალსახეიერია ფშიანდა რუმენტული ფუოობით, თითოეულს განსაზღვრული დრამატურგიული ფუნქციია აკეკს. მათ არ აკლიათ მეტყველებითი ინტონაციების გამოძახილებიც, და მაინც, ამ თემების მოკმედების არე რამდენადმე რეგლამენტირებულია პოეტური სიტყვით, ის თითქოს ზემოდან დაჰკურებს მთელ მუსიკალურ ფაქტურას თავისი სიმახვილით, აზრით, ნუოობით და ფესაკეკი იმ მასშტაბისა, ამ ნაწილის სიმფონიური სფერის მაორგანიზებელი ძალაკი რომ სწყდებიან.

ვენეტიკური კავშირი სიმფონიის I-III ნაწილებს შორის მარტოოდენ ინტონაციური სიახლოვით არ იკმნება, ის განმტკიცებულია ვიუა ფშაველას მეორე ლექსში ჩაკსოვილი სიბრძნითაც.

გავხედავ გამოვლილ გზაკა
რა ჩქარა გამოვიარე

გაძლება გვმართებს ბენება
რასაც დაკვალებს ხარკადა

ხაელესტიო ზარების რეკვით ოწეება მაიშტაბური სამგალოვიანო სვლა — „ეგზა გოლგოთაკსენ“. მაგრამ ეს არ არის ტრადიციული სამოკლაკო გლოვის სიმფონიური სურათი, ეს არის გზა ბუნებით ხაზგზრული ცხოვრების ძლეკიაკენ, გზა უკვდავებისაკენ, სათაკენაკ. მიმავალი ვეინახავს შეუფრეკელი სულის, ბტიკეკ რწმენისა და ადამიანია ბედნიერებისთვის ზეკარაკად შეწირული — ვიუას მინეია. ალუდა, ზეიადეკი... ეს არის აგრეთვე გზა კათარზისისაკენ და ამას სიმფონიის ბოლოთქმაკ მიგვანიშნებს თავისი სიწმინდითა და შორს მიმავალი ბმოკვანებით.

ნანა ბაკამარაძე

„ვასილონები“ ვაჟას მიხედვით

თუ პოეტურმა სიტყვამ განაპირობა I ნაწილის მედიტაციურობა, ეროვნულად დაამუშრუმა ინსტრუმენტული საწყისის მოქმედების დრო, მოფინა მას ფრესკული სიღაბასილე და სიდიადე, III ნაწილში პირველად, სიტყვა ტემიელს აძლევს მუსიკის დინამიურობას. ეს ადარ არის მედიტაცია, თუმცა მაინც ნელი ნაწილის სფერული ვიმოფონები (Andante sostenuto). ამჯერად, ნელი ნაწილი გაჯერებულია როგორც განვითარების ახალი, ქმედითი ეტაპი, როგორც შედეგი წინამდგომარე დრამატული მოვლენებისა. ვოკალურმა პარტიის ოტტინატო ერთ ალმაკალ ტალღად შეკრავს ფაკტურის ყველა შრეს და ფსიქოლოგიურ კრეშენდოზეზე წარმართავს მოძრაობას კულმინაციისაკენ.

II ნაწილი (Allegro) წმინდა ინსტრუმენტული მუსიკის სფერია. ვოკალის მარწყვნებისგან განთავისუფლებულმა, მან შემთხვევით არ დაიკვა სიმფონიურ ციკლში დრამატული ცენტრის ადგილი. აქ მიმდინარეობს მუსიკალური სახეების ყველაზე მძაფრი დაპირისპირებები, გარდასახვა. აქ მოიყარა თავი სიმფონიური განვითარების ქმედითმა საშუალებებმა.

მოულოდნელი და სულის შემძვრელია მისი დასწყისი. I ნაწილის ამალლებული წყობის შემდეგ ზვავივით დაეცხრება ადამიანს სიცოცხლის უარმყოფელი საწყისი — ძალა ბოროტებისა, უმეცრებისა, გაუკეთხარბისა. ორკესტრში ბობოქრობს ლითონის საკრავთა ენერგია და ძალმომრეობა. საკუთარ ძლიერებაში დარწმუნების შემდეგ ის დროებით წყდება, თითქოს ვიღაცას ჩაუსაფრდაო.... და აი ის „ღვთის კრავიც"... ალტი და ფლეიტა ჩურჩულით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოიდგამენ ხმას, შემდეგ ხმოვანება იზრდება, ძლიერდება, ლიტონის ჯგუფის გარდა ყველა საკრავი აყოლიდება, ხოლო როცა ლითონიც შეუერთდება, ლირიკულ სფერონი შემოდის ახალი საწყისი — გმირული სახე. მას აქვს შემარეული, სიმტკიცე, მაგრამ წინ ეღობება პოლირიტმული ეპიზოდის საკმაო ძალა და ხელს უშლის აღმავლობაში. პოლირიტმული ეპიზოდი ახევე უსზობს გზას I ნაწილის საგუნდო პარტიიდან მოდინარე თემატურ სახეს (ვიბრაფონის და ჩელესტას პარტია), რომელსაც მოქმედების სფეროში შემოაქეს ემოციური განსჯის ნიუანსი. ახე აღსდგება დროებით ნათელი საწყისი, ვიდრე არ დაიწყება კონფლიქტის უკანასკნელი ეტაპი — დინამიური რეპრიზა. ასსუხს ამ ქმედების შედეგზე გვაძლევს რეპრიზის ბოლო ტაქტები. აქ დამშვარე პარტიის დასასრული ისევე მიუსაფარია, როგორიც იყო მისი დასაწყისი.

ახე მოიხაზა სონატური ფორმის კონტეკრები, რომელშიც სახეების განვითარებამ სონატური და პოლიფონიური პრინციპების ეტაპობრივი მოქმედების აუცილებელი ... შექმნა. სიმფონიერი ციკლში სონატური ფორმის ამგვარი გადაადგილება ძალზე მიუსადაგება ვეკას ეპიკურ პოემებში მოქმედ იმ პრინციპს, როდესაც თხრობის მზდადი ტონი უეცრად იცვლება დინამიური მოქმედებით. როცა გმირები გადაეშვებიან მძაფრი მოვლენების შუაგულში, რათა თავისი სულის სიმტკიცით და ძლიერი ენებით უარყონ ცხოვრების მიერ მათზე გაბატონებული კანონები. ამანაც განაპირობა თვით სონატური ფორმაში დამზმარე პარტიის მკვეთრი დრამატიზაცია და რეპრიზაში კულმინაციაზე მისი ტრაგიკული რეჩიტატივად გარდაქმნა.

მიუხედავად იმისა, რომ II ნაწილში პოეტური სიტყვა არ მონაწილეობს, ის გარკვეულ პროგრამულ ასოციაციას იწვევს. ვეკა იტყოდა— ამ წუთისოფლის თორნეში ბევრი სხვა რამეც ცხვებო, მაგრამ სოფლის ამ ტრიალდეღილში მაინც ურღვევია ადამიანისა და ბუნების კავშირი. ამ ერთობის სიმბოლური გაცხადება ხდება სონატური ფორმის თემატურ ნათესაობაში მათი სახეობრივი კონტრასტის მიუხედავად. მთავარ და დამზმარე თემებს ერთი და იგივე ამოსავალი ინტონაციური ძირი აქვთ (ალტის ფლეიტის თემა).

სიმფონიური ციკლი შედგება სამი ნაწილისაგან: I — Sempre sostenuto (ეპიკური), II — Allegro (დრამატული). III — Andante sostenuto (ტრაგიკული). სიმფონიური დრამატურგიის ახეთ გაჯარებაშიც ჩანს „ვეკეური" საწყისი, სიმფონიის მსაზვანი თავისი მრავალგეგმიანობით უაბლოვდება პოეტის ეპიკურ პოემებს, სადაც დრამატული ცენტრი ახევეა გადატანილი ნაწარმოების შუაში. ვეკა ფშაველას სამყაროსთან გვაახლოებს თანამედროვე საკომპოზიციო ტექნიკის საფუძველზე გადაზრებული ფოლკლორული საწყისებიც. განსაკუთრებით ითქმის სიმფონიის თემატიკაზე, ფაქტურაზე, ორკესტრობაზე. ფშაველესურული ხალხური სიმღერების მრავალ ტალღურ ფთვისებებთან ერთად მთა ახასიათებთ ამ ფოლკლორიდან მომდინარე გრაფიკული სისადავე და კოლორიტის პირველქმნილება.

ნასიძის სიმფონიასთან დაკავშირებით შეიძლება ლაპარაკი პოემურობაზეც, რაც უპირველესად განაპირობა მონოთემატიზმის პრინციპმა და საწყისების ინტონაციური გამთლიანებიანტენდენციამ. ალტის ფლეიტის თემიდან მომდინარე მრავალსახეიერება საშუალებას გვაძლევს ეს ნაწარმოები წარმოვიდგინოთ როგორც სიმფონიური პოემა, რომელშიც I ნაწილი ახრულებს ექსპოზიციის როლს, II — დამუშავების, III —დინამიური რეპრიზისა კოდით. მაგრამ როგორ საფუძველსაც არ უნდა ემყარე-

ბოდეს ნაწარმოების ფორმა, აქ მთავარია იდეური სფეროს ორი საწყისის — მარადიულისა და წარმავალის, სიკეთისა და ბოროტების შეპირისპირება-ერთობლიობის პროცესი. ამან განაპირობა სულხან ნასიძის სიმფონიის თანამედროვეობა. კომპოზიტორმა დაგვიახლოვა არა მარტო ვაჟა ფშაველას ფილოსოფიური შეხედულებები, არამედ სიმფონიური პოემისა და პასიონების ჟანრული ნიშნებიც და მოგვცა მათი საინტერესო გადაჯაჭვება თანამედროვე ინტელექტუალური ხელოვნის პოზიციებიდან.

ს. ნასიძე თავის სიმფონიას უწოდებს „Passione" („პასიონებს") ძნელია პირდაპირ ანალოგიებზე ლაპარაკი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე პასიონების ჟანრთან, მის სიუჟეტთან, სახეებთან, ფორმასთან. პასიონების სულიერი საწყისები მრავლად მოგვეპოვება ქართულ მუსიკაში, ხალხურსა თუ პროფესიულში, მაგრამ თავისი კონკრეტული ფორმით ის არ გვხვდება და მაინც სიმფონიის მხატვრულ სფეროში არის მარცვალი იმისა, რამაც აფიქრებინა კომპოზიტორს ამ ხახელწოდებაზე. ეს მარცვალიც ასხლოვებს კომპოზიტორს ხალხური რიტუალებისა და სახარების სიბრძნეში ღრმად ჩახედული ვაჟა ფშაველას პოეზიასთან. სადაც ადამიანის სულის უმდიდრესი მოძრაობა ისევეა შერწყმული სამყაროს უსასრულობისა და სიდიადის განცდასთან, ახალ პოეტურ სივრცეზე ისევეა გადაბრუნებული მათი ურთიერთობის ეროვნული, როგორც უძველესი კულტურის ხალხთა ფრესკებზე, როგორც მიქელანჯელოსა და ბახის ხელოვნებაში.

პასიონები ანუ ვნებანი, ტანჯვანი სულხან საბას განმარტებით „რომელ არს ტკივრობა", ბოლო დალის ლექსიკონში ის აგრეთვე ნიშნავს „საგმირო საქმეს, თავისთავზე შეგნებულად აღებულ ცხოვრების ტვირთს, წამებას". ყველა ეს ცნება საბოლოოდ უკავშირდება ერთ საწყისს — ეთიკურ იდეალს, რწმენისა და ყოვლისმძლეობის იდეალს და ჩვენც ამ სფეროში უნდა მოვიძიოთ ის მარცვალი, სიმფონიური მუსიკის სამყაროში, რომ შემოაქვს ვაჟა ფშაველას სიტყვებს.

სიმფონიაში ჩანს პასიონების ჟანრთან უშუალო დაახლოების კვალიც. ცნობილია, რომ პასიონების მუსიკალური დრამატურგია ემყარება ორი სფეროს ურთიერთობის: ესაა ქმედება და ამბის ემოციური შეფასება. განსაკ. ნასიძის სიმფონიის დრამატურგიაც ზომ ამ პრინციპით ჩამოყალიბდა. შეხების წერტილებად შეიძლება მივიჩნიოთ სიმფონიის II ნაწილი პასიონებიდან, „ხაშნელ სამსჯავროს" რომ მოგვაგონებს, სამგლოვიარო სალი, აგრეთვე გუნდის პარტიის ფსალმოდირება და თხრობის ობიექტური ტონი, რაც სიმფონიაში შემოაქვს „მახარობლის" როლში მყოფ ვაჟას პოეტურ სტრიქონებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან კინწურაშვილი

სცენოგრაფი თემურ ნინუა

„ულესდღეობით სამართლიან აღფრთოვანებას იწვევს ქართველ მხატვართა წარმატებები. გ. გუნიას, ნ. იენგაოვის, ო. ქოჩაკიძის, ა. ხლოვინსკის, ი. ჩიკვაძის, თ. მურვანიძის, მ. მალაზონიას, გ. ალექსი-მესხიშვილის, ი. გეგეშიძის, მ. შველიძის და სრულიად ახალგაზრდა თ. ნინუას სახელები უკანთო აღიარებით სარგებლობს" (ეფარნ. „ტეორჩენტვო", № 8, 1979, გვ. 11).

თემურაზ ნინუას სწრაფად და დამსახურებულად დაიკავა ადგილი თანამედროვე ქართული თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების მოწინავე ოსტატების გვერდით. მისმა ესკიზებმა თბილისში და შემდეგ მოსკოვში, გამოფენებზე გამოჩენისთანავე ინტერესი გამოიწვიეს და მხატვარს საერთაშორისო ასპარეზზეც დიდი წარმატება მოუტანეს — პრაღის კვადრიენალე 79-ის ოქროს მედალი კოსტუმებისათვის (დეკორაციებისათვის ოქროს მედალი მიენიჭა ზორსტ ზაგერტს დასავლეთ გერმანიიდან, ვერცხლის — ედუარდ კოჩერგინს; მთლიანი ექსპოზიციისათვის დიდ ბრიტანეთს, ვერცხლის — სსრ კავშირს).

ჩვენი მკითხველი ნაკლებად არის ინფორმირებული სცენოგრაფთა და თეატრის არტისტებტორთა ამ დიდი საერთაშორისო ფორუმის შესახებ, რომელიც 1967 წლიდან ყოველ ოთხ წელიწადში ეწყობა ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში. სპეციალისტებისათვის კი კარგად არის ცნობილი ამ გამოფენების და მათთან დაკავშირებული ღონისძიებების მნიშვნელობა. მათი ფართო მასშტაბი, აქ ვლინდება მსოფლიოს თეატრალური ხელოვნების უახლესი ტენდენციები. თუ იმასაც აღვნიშნავთ, რომ წელს მეოთხე კვადრიენალეში 19 სახელმწიფოს 700-მდე ოსტატმა მიიღო მონაწილეობა, ნათელი გახდება, რომ თემურ ნინუას ჭილდო ქართული საბჭომთა სცენოგრაფიის დიდი გამარჯვებაა.

რამ განაპირობა თ. ნინუას წარმატება? რითი გამოირჩა იგი თავიდანვე ახალგაზრდა საბჭოთა სცენოგრაფებს შორის? 1977 წელს, ხაკავშირო გამოფენასთან — „ქვეყნის ახალგაზრდობა" — დაკავშირებით თეატრისა და კინოს ახალგაზრდა მხატვრებში სტერეოტიპული მხატვრული აზროვნების გავრცელების საფრთხეს რომ მიანიშნებდნენ, იქვე აღნიშნავდნენ: „... გამოფენაზე არიან მხატვრები, რომლებიც ამსხვრევენ ცნობილი შემოქმედებითი სტანდარტების „ნაჯუჯს". ახეთებს უპირველეს ყოვლისა მიეკუთვნებიან ს. ბენედიკტოვი და თ. ნინუა თეატრიდან, ვ. ფილიპოვი და ტ. ტეფეკი კინოდან. მათ განსაკუთრებული სტრიქონით გამოვყოფდით. აქ შეიძლება ვილაპარაკოთ საკუთარ სტილზე" (ეფარნ. „ტეატრი", № 2, 1977, გ. 112).

თემურ ნინუას დღემდე 10-მდე სპექტაკლზე მოუხდა მუშაობა. ჩვენ იმ ნამუშევრებით შემოვიფარგლებით, რომლებმაც პრაღის ოქროს მედალი დაიმსახურეს და რომლებშიც ნათლად ვლინდება მხატვრის ინდივიდუალობა.

საუბარი ძირითადად ესკიზების შესახებ გვექნება, ვინაიდან მათი უმეტესობა განუხორციელებელი დარჩა. ამდენად, ჩვენ მთლიანად მხატვრის ფანტაზიის სფეროში ვრჩებით. სრულიფოფილად ვერც მხატვარს ჩანფიქრზე ვიმსჯელებთ, რადგან ესკიზი თეატრალური ნაწარმოების — ოსტატების საფუძველია მხოლოდ. ძნელი სათქმელია, როგორ ამეტყველდებოდა იგი კონკრეტულ მსახიობზე, როგორ შეეხატყვინებოდა მის ფიზიკურ და პლასტიკურ მონაცემებს. მაგრამ ესკიზების საფუძველზეც დავრწმუნდებით, თუ რა მდიდარ დატვირთვას აძლევს თ. ნინუა სპექტაკლში კოსტუმს.

პირველი ნამუშევარია „ოგვი კუდზე“ (გ. ნახუცრიშვილის „კომედლეს“ მიხედვით, რუსული ტექსტი ვ. სმირნოვისი, რეჟისორი თ. მაღალაშვილი, გრიბოედოვის სახ. თეატრი, 1975). სპექტაკლი ვერ მოიგო დრამატული თეატრის რეპერტუარს და რამდენიმე წარმოდგენის შემდეგ მოიხსნა. მაგრამ ზოგიერთი მაყურებლის და მსახიობების მეხსიერებაში იგი დარჩა, როგორც რეჟისორის მიერ მოხდენილად შეკრული, მუსიკალური და პლასტიკით მდიდარი სპექტაკლი. ახალგაზრდა მსატვარმა (მან საკმისაგმი უალრესად სინდისიერი დამოკიდებულებითაც მიიქცია უურადღება) ფერადოვანი კოსტუმებით და გროტესკული გრიმით დრამატულ პირველწყაროს, რეჟისორთან ერთად, სიხალისე და მრავალფეროვნება შემატა.

ესკიზები შესრულებულია გუაშით, ტუშით, აპლიკაციით. მხატვარი ქმნის კონკრეტული პერსონაჟისათვის დამახასიათებელი ნახატის და ფაქტორის ჩაცმულობას. ამასთან, ესკიზზე ამირის ხასიათსაც იძლევა — გამომეტყველებით, პოზით, დგომის მანერით, ატრიბუტით. ფერით.

მაგალითად, ალალმართალ მარინას და გაუმაძღარ კატკას მსგავსი კაბები მოსავთ — ბაკმანის, ჩითის, ბრეშუმის, ტიულის ნაირფერი კონტეტისაგან შეთხზული. მარინას კაბა უფრო მხიარული ფერებისაა. მრრეზე წითელი მოსახსნები უფრიალებს. მისი ფიგურა მსუბუქია. კატკატა მყარად დაფუძნებია ნიადაგს, ძირს დაშვებულ კოტიტა შიშველ ხელებში სახრე უჭირავს.

ჩაფარის ჩაცმულობას მსატვარი სხვადასხვა დროის ცენტაურიონების ფორმის დეტალებისკომბინაციით ქმნის. წელზე გადაჭრილი ნაბადი და ახალუნი „ადგილობრივი“ ელემეტნია: თეთრი შარვალი, ვეერდებზე ვერტიკალური წითელი ზოლებით, აკსელანგები და ოკრომფოჩეებიანი სამხარული — მეფის რუსეთის სამხედრო და პოლიციის პირთა აკსესუარები; შავი და თეთრი ზოლებიანი ჯობი, ჩაჩქანი და ლითონის პირბადე — მე-20 საუკუნის წესრიგის დამცველის ატრიბუტები. პოზაშიც ხაზგასმულია მსატვრის ირონიული დამოკიდებულება — ჩაფარი ჭუჭაზე მოძრაობის მომწესრიგებელივით დგას.

მოსამართლეს ფემიდას მსახურის ბრტყელი წითელი კუდი ახურავს, ფეხებზე ანტიკური ხანის ხამლები აცვია და ჭკვლის ბანტია მოსავს, წითელი შარფით. მანდილს სახელოებზე სახწორის თეფშები ჰკიდია, გირვანი. სახწორი, როგორც სამართლის ცნობილი სიმბოლო, ხშირად გვხვდება თეატრშიც (მაგალითად, სამეული ესკიზი სპექტაკლისათვის „ნაცარქიელი“, 1973), თ. ნინუაშ თავისებურად გამოიყენა იგი. სახწორი კოსტუმის, მისი აპლიკეიური ნახატის დეტალია და არა მხოლოდ პერსონაჟის ატრიბუტი.

ამგვარად, თ. ნინუას ზღაპრული პერსონაჟები განზოგადებული გროტესკული სახეებია, მხიარული და სცენური დინამიკით აღსავსე.

მრავალფერი კოსტუმები ერთ კოლორიტულ გამაშია მოყვანილი. წითელი აქცენტები ზომიერადაა გაბნეული სხვადასხვა პერსონაჟზე. ასევე, სხვადასხვა დროის და განსხვავებული წარმოშობის დეტალები ეკლექტიკურ შეპაპეკდილებას კი არ ქმნიან, მხატვრულად შეკრულია და ტანაფები მოლიანობაში ეროვნულ ქართულ ზღაპარს ესატყვისებიან. ღია ყავისფერი გუშაის ნახატი, უტრირებული დეტალებით (თითები, ფეხაკვის ძვალი, ოვალები და სხვ.), რომელიც მასალაში შესრულებული კოსტუმის აპლიკაციას უქმნის ფონს, ყველა ესკიზში ერთ ხასიათშია გადაწყვეტილი.

თ. ნინუას ესკიზები, ერთი შეხედვით, რთულად განსახორციელებელია. მაგრამ „კომედლეს“ კოსტუმები ნატურაში ზუსტად პასუხობენ ესკიზებს. ცხადია, მათი შექმნა მკერავისაგან შემოქმედებით მიდგომას, მონდომებას მოითხოვს. მხატვარმა ძირითადად საკუთარი ხელით შეკერა, „გამოძერწა“ ეს კოსტუმები ქსოვილის ნაჭრებიდან სალებავის, ნემის და სხვა მასალების მოშველიებით და ნატურაში გადალახა ყველა ჩაფერებული დეტალი (კოსტუმის კომპოზიციაში შეიჯვნა ესკიზზე მარნას მუხლზე ფანტული ხარკიც და კატკატას კაბაზე დეკორატიულად დაბნეული დიდი ლილებიც). ეს მოწმობს, რომ ავტორი, როგორც თეატრის მხატვარს მოეთხოვება, ესკიზის შექმნისას ითვალისწინებს კოსტუმის ცოცხალ სცენურ ვარიანტს და ეს მომხიბლავი ესკიზები მხოლოდ დამოუკიდებელ მხატვრულ დატვირთვას არ ატარებენ. სამწუხაროა, რომ „კომედლეს“ კოსტუმები უქმად აწევია გრიბოედოვის სახ. თეატრის საკოსტუმეში მაშინ, როდესაც ალბათ გამოადგებოდა მოზარდთა რომელსამე თეატრს. ყოველ შემთხვევაში, მათი დაკარგვა ნამდვილად დასანანი იქნება.

„კომედლეს“ ესკიზებში ძლიერია თეატრალური მოქმედების, თამაშის მომენტი. ამის საფუძველი მუდამ იძლევა ზღაპარი. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ მხატვრის გაბედულ ფანტაზიას განსაკუთრებული გაკვანება შეეძინა ბისეტის ზღაპრებზე მუშაობისას.

თანამედროვე ინსკლიესი მსახობის და მეზღაპრის, ამასთან, მხატვრის დონალდ ბისეტის ზღაპრებში ლაპარაკობენ ბზრები და სიზმრები; შავ ლაბადებში დაიარებიან არ შეიძლება! არ გაბედო! და გრცხვენოდეს!; არსე-

ბობს ბავშვების სიმღერების ტაბა და სიტყვების მდინარე; სიმღერე მთვარეს დაბუჭიმა-ნას ეთამაშება; ცოცხლდებიან პერის ნამეცცები; დაყოფენენ დაბადების დღე თავის პატრონს ეძღვნ; ისმის კითხვა: რა არის წყალი — H_2O თუ ბალაბზე გაბნეული ალმასები?.. ავტორი სამმოლარალეგორიული სახეებით პოეტურად საუბრობს ზოგადადამიანურ საკითხებზე და როგორც ყველა კარგი მეზღაპარე, პატარებს „შეუმჩნეველად" არიგებს ჭკვას, უფროსებს გვფიქრობენებს და ამასთან დროებით ბავშვურ უშუალობას გვიბრუნებს.

ამ ზღაპრების მიხედვით რეჟისორი ნ. ჯანდიერი 1976 წელს მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში ამზადებდა სპექტაკლს „ყველაფერი ყირამალა" (ბისეტის ერთ-ერთი ზღაპრის სათაური), რომელიც ამ განხორციელებულა. ბისეტის ზღაპრები, მართლაც, თამაშის უყლეტ შესაძლებლობებს იძლევა. მაგრამ მისი გმირების კოსტუმებში გამოწყობა, სადგურის, ავტობუსის, ორთქმლავლის, ფოსტის უეთის, რატუშის საათის ვიზუალურად გადმიანება რთული საქმეა.

ბისეტის ზღაპრებისათვის შექმნილ ესკიზებში თ. ნინუა ლაკონურია. თავისუფალ ფონზე მოცემული კოსტუმების სილუეტები მსუბუქია და დახვეწილი. როგორც ბისეტის ნაამბობი, მხატვარი ფაქიზი ინტუიციით გრძნობს და გადმოგვაქმნა ლიტერატურული ნაწარმოების ენას, მის ეანრსა და რიგმს.

ძირითადი ნახატი თეთრი გუაშით არის შესრულებული, კოსტუმები აპლიკაციით. ხელში უტრიბებია, გრძელი და კლაკნილი, რაც გმირებს განუვენეთ და ამასთან, მნიარეთ სახეს ანიჭებს. თითქოს მართლაც ბისეტის ფანტასტიკური სამყაროდან მოგვეელინენ ეს მსუბუქი, ზეადტე ალრიბუტებს მოკლებული სილუეტები. ზოგჯერ გადაკრბებამდე მკვეთრი უტრირების ჭვაბ ხშირად მიმართავს თ. ნინუა თავის ესკიზებში, რითაც გმირის გარეგნობაში ხაზს უსვამს იმ მომენტს, რომელიც ძნა წარმოდგენით, ხაზგასმით უნდა გამოკვლინდეს სცენაზე.

თ. ნინუა გონებამახვილურად „აცოცხლებს" ბისეტის უჩვეულო გმირებს; სადგურს, რომლის საათიც მეორე სადგურის საათს სისწრაფეში ეჯიბრება, მხატვარმა საათის მექანიზმი „ჩააცვა". სენგ-ანარასის და ენგს-ეროსის საათების უუნვეტ შეკრბის ბილო არ ეუნინ. მოწაბალმდგომ რომ არ ჩამორჩენ, ორივეს ისრები წარმოუდგენელი სისწრაფით მოძრაობს. მაკარბელების გასრიგი, ლონდონელთა ცხოვრების წესი და რიგი ირღვევა... მაგამ, სხვამ იუსტონის სადგურს არ დააჯილდოებენ მეცლით და მიდგამი შური არ დაამეგობრებს მოჭიშვე სადგურებს. თ. ნინუას მიერ სადგურის როლის შემბრულებლისათვის შექმნილი მოკლეკაბა საათის მოკაბა ... ლონდონის სადგურებს-ან არის შედგენილი. სადგურს თავზე ინგლისის დროშაა ... ...

სავს, ბოშა ქალის კაბა თითქოს კარტებიდან არის შეკერილი და ა. შ.). აქ აღსანიშნავია მთლიანი ფერადოვნება, სცენური ფერწერულობა, ტონალური სიმდიდრე, რაც საბავშვო წარმოდგენის სადღესასწაულო იერს ანიჭებდა. ამასთან, კოსტუმების და დეკორაციის ფერები ფაქიზია, თითქოს გამქვირაველ და ზღაპრიეთი მსუბუქი.

ეთეატრის საკოსტუმეში შენახული „ბურატინოს" კოსტუმები ძალზე მატერიალურია, მოკლებულია იმ თეატრალურ ოცნებას, ესკიზებს რომ გადაჰკრავს. მაგრამ თუ ფოტოს დავუჭერებთ, სცენაზე კოსტუმები ისეთივე მხატვრულ მრავალფეროვნებას ქმნიდნენ, როგორც მხატვარს ჰქონდა ჩაფიქრებული.

კოსტუმების ფერწერულობა ნატურაში მიღწეულია ქსოვილის გონიერებით, ქსოვილზე სალებავით შესრულებული ორნამენტებით, აპლიკაციით — კოსტუმებზე უხვად არის დაყერებული დეკორატიული ზოლები, მოვარე, ისრები, კოპალები, მაქმანები.

აქ ადგილი აქვს ისეთი დეტალების თეატრალურ თამაშს, ურთიერთშეთანხმებას, უტარებას, თეატრის მხატვარს გონებაში დაყვარებული თვალით რომ აქვს შემონახული და შემდეგ ქვეცნობიერად რომ გადმოაქვს ესკიზში, მხატვრული გრძნობით და სათანადო ტაქტით. მიუხედავად დეტალების სიმრავლისა, აქ არ არის სიჭრელე და არც ზომიერებაა დაკარგული. ფერების და ფრაგმენტების ურთიერთშეთანხმება მხატვრულად არის გაკაზრებული განხილულის მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება შეიქმნას, თითქოს თ. ნინუას ამ პატუა სპბავშვო თეატრი. მაგრამ სანახაობრივი, ფერადოვანი, მიიარული სამყარის შექმნისაკენ სწრაფვა მხატვრის შემოქმედების ერთ მხარეს ასახავს მხოლოდ. ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ ამ შემოქმედებითი ტრანსფორმაციის დიდი უნარი აქვს და მისეულმა გროტესკმა (ეს ოვისება ყოველთვის ძლიერად იჩენს თავს ნინუას ნამუშევრებში) შეიძლება მკაცრი დრამატული სცენური დატვირთვა შეეძინოს. ამ მრავე მხატვრის მიდრეკილება გამოვლენას ჰპოვებს ესკიზებში სპექტაკლისათვის „12 განშორება" (მატი უნდის პიესის მიხედვით, თარგმანი ა. კალაძის, რეჟისორი ზ. კანდელაკი, მეტეხის თეატრი-სტუდია, 1977, არ განხორციელდა).

თანამედროვე ესტონელი მწერალი მატი უნტი თავის პიესაში განსხვავებული სიუჟეტის თორმეტი (მთარგმნელმა შემდეგ ათამდე შეამცირა) ხუთთაბუფეველზე დღევანდელ სამყაროში ადამიანის პიროვნული თვისებების გაუფასურებაზე მსჯელობს. თანამედროვეობაში ოდისეესია, ქალიც და მამაკაციც, მოსწავლეც და მსახიობიც, რაინდი პარსიფალიც კარგავენ აქტივობას, ნაკლებს ფიქრობენ, ნაკლებს მოქმედებენ, პასიურნი არიან ბედისწერის მიმდინარე მოვლენების მიმართ. ხოლო ვინც იბრძვის (ერნესტო ჩაგეევრა, სალვადორ ალიენდე), ბრძოლაში ვერაგულად იღუპება.

„მაჭანკლების და სისწორაფის საუკუნეს რობოტებად გაკეთათ.... ნიჟარებში გალეულსულ ლოყოკინებს გავხართ. მოდით, ისევ ადამიანებად ვიქცეთ!" — ერთ-ერთი გმირის ხატვებით მოგვმართავს მწერალი. ოდნავ პეხიმისტური პიესა გაფრთხილებაც არის და მოწოდებაც.

უნტის პიესის საფუძველზე თ. ნინუა მოულოდნელ, მაგრამ მხატვრულად გამართლებულ სახეებს ქმნის. „კომბლეს", „ბურატინოს" დინამიური, მსუბუქი, ნათელი გმირები სტატიურმა, მძიმე, ჯმუხმა სახეებმა შეცვალა; მდიდარი პალიტრა ფერადოვანმა სიტუწნემ — სტაბრბოს შავი, რუხი, თეთრი ფერები.

დამჯდარი პროპორციების ფიგურების სახეები უმეტეს შემთხვევაში რამდენიმე განზომილებაშია მოცემული (მხატვარი ამ ეფექტის მიღაწეწვად ნიღბების გამოყენებას ამორჩევდა), რაც გაურკვეველს ხდის ამა თუ იმ გმირის პიროვნულ ხასიათს. სხეულის ცალკეული ნაწილების უჩვეულო მასშტაბური შეფარდებით ბკვეთრად უტარრებულია ხელები, რაც ზოგიერთი „გმირის" უკმ ფიზიკურ სიმძლავრეს უსვამს ხაზს და თავები, რაც მთლიანად ფიგურას უსუფერ სახეს ანიჭებს.

ნინუასეულ ინტერპრეტაციაში პიესის გმირები რაღაც მომენტში ტრაგიკულ ინტონაციასაც იძენენ (შეიძლებოდა შეეძინათ სცენაზე). ამასთან, პირქუში გროტესკი მსუბუქი ირონიით არის გასლეულები.

გარდა მიგნებული საერთო მხატვრული ხასიათისა, მხატვარი სატირული საშუალებებით კოსტუმში აზრობრივადაც ხსნის ამა თუ იმ პერსონაჟის ბუნებას, გვიჩვენებს საკუთარ დამოკიდებულებას მისადმი.

ორი ჭორიკანა მამაკაცი, რომლებიც პიესაში სულიერ სიბინძურეს აკლენენ, მხატვარმა ნაგვის ყუთებით „შემოსა".

მოსწავლეს, რომელსაც დაკარგული აქვს საკუთარი აზროვნების უნარი და რობოტივით ფრაკვეულ მის თავში წყლის განმავლობაში მეკანიკურად ჩატენილი ცოდნის ფრაგმენტების ნარევს, მხატვარი თეთრი ხასვეთით ბანდავს, თავზე და ხელებზე ცელოფანის ხუფებს აცმევს.

თავდაპირველ ჩანაფიქრში მოწაფეს უჭრებიანი ხამოსი უნდა ცმოდა. ხან ერთი, ხან მეორე უჭრიდან „ამოაწუობდა" იგი გამოცდაზე თავის მონოლოგში დახვავებულ ფორმულებს,

ქეთევან კინწურაშვილი
სცენოგრაფი თეატრ ნინუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდაზებს, წესებს. მაგრამ ეს ჩანაფიქრი ტექნიკურად რთულად განსახორციელებელი იქნებოდა და სამოლოო ვარიანტში მხატვარმა იგი რობოტიანი შეფუთა, გარიყა გარეშო სამყაროდან, მოკმედების არე შეუზღუდა.

თანამედროვე ოდისეეს, რომელიც ოგიგიას ეუნსოულზე, მხართეძოზე წამოწოლილი, საკუთარ წარსულ სიძლიერეზე თვითმყაოფილად ესაუბრება კალიფსოს, მხატვარმა მოეშიდავს ზოლეებიანი ხამოი ჩაიცვა, რითაც დასცინა მის სიძლიერეს. ოქროს გვირგვინი, ჩაცმულობასთან კონტრასტში, განსაკუთრებით სატირულ იერს ანიჭებს „ვმრი". ჰერმესს კი თეთრი ტო

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ სიყვარულო, ძალსა შენსა“

„ძველი ქართული მოთხრობა“. მეცნიერული და რედაქციისა გაუკეთა რეპეტიტორმა. გამოიცემა „საბჭოთა საქართველო“. 1979 წელი.

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ მიუხედავად მძიმე ისტორიული ცხოვრებისა, ქართველი კაცი მუდამ მსოფლიო კულტურის მაღალ გადასახედზე იდგა და არასოდეს არ ხუჭავდა თვალს სხვის მიღწევებზე... სინას მთაზე, ათონზე, ანტიოქია-პალესტინაში და კიდევ სხვაგან და სხვაგან ქართველ მონასტრებში დილის ცისკრამდე არ ქრებოდა კელაპარი. ბაგის ფრთა დაცურავდა მოვვითალო ეტრატზე და ითარგმნებოდა, ეზერებოდა, ითხზებოდა ყოველივე ის, რაც დღეს ჩვენი ეროვნული ბიბლიოთეკის პირველ თარეზზე დევს... ამ დიდ კულტურულ მონაპოვარში აგიოგრაფიას. უძველეს ქართულ პროზას უადრესად საპატიო, უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. ჩვენს ერს არასოდეს შემოუღია ბავ საკუთარი კულტურა ეგოიზმის, ეროვნული ეიუოლინინობის ძეძვითა და ეკლით — არიქა, გარეშეს და უცხოს თვალსა არაფერი მოგვაპარის, სხვისმა კალამმა არაფერი ისწავლოსო... პირიქით, ჩვენს წინაპარს მეარად სჯეროდა, რომ, უპირველეს ყოვლისა, იყო ერთადერთი უდიდესი ფასეულობა — მსოფლიო კულტურა, რომელსაც ქმნიდა ყველა ხალხი, ყველას მიმკრეზდა ამ დიდ სამსხვერპლოზე ბინეველისა თუ აკლემის საპალნე და ეს იყო მთავარი. დიახ, ყველი ერი ერთად და ცალ-ცალკე მსოფლიო ცივილიზაციის ეანობარზე გასული მუშაკი იყო და არავის არ ჰქონდა ფულება სხვისთვის ზემოდან დაეხედა, წარმი აეწია... ამაში მერამდენედ რწმუნდები, როდესაც უძველესი ქართული პროზის ხტრეკონების ბილიკი ხან სისხლიან ბაღალიებს გადაგახედებს, ხან ადამიანის სულის უნაზეს ხვეულებს წაგგაკონებს, ხან კიდევ იმაზე გვსაუბრებს, თუ რა შესძლებია ერის ძალთაზმევას. თავგანწირვის უნარს, საკუთარი მიწაწყლის სიყვარულს, ხარის ქედს და მწერლის კალამს...

დიდი ეს მწერლობა — ქართული აგიოგრაფია... ნუ ეძებ, მკითხველო. აქ წერილნა და დახარულს, ნუ მოუზომავ სიღრმეს ამ ლურჯად ალივლივებულ ცას. აქ ჰორიზონტის იქით ისევ ჰორიზონტია. ფსეკერის ქვევით კიდევ ფსეკერი და ასე უსასრულოდ. სიტკვასაც სხვა ეული აქვს, სხვა ხმა. წინადადების ეღერადობა. დღევანდელთან შედარებით, უფრო სავსეა, უფრო ორკესტრული, მაგრამ უადრესად ქართული, ეროვნული...

დიახ, მსოფლიო კულტურა ნაკლები იქნებოდა ქართული აგიოგრაფიის გარეშე და ვინც ამ მწერლობაში მხოლოდ საიქიოს და ზორცის გვემას დაინახავს, კენესასა და წმინდანის ლოცვას გაიგებს, ვინც ვერ შენიშნავს, როგორ თამამად გადადის ეს მწერლობა ეროვნული კულტურის საზღვარს, როგორ უმღერის ადამიანს, მის ყოველისშემძლეობას, „მსოფლიო მოკალაკეს“. სულით ძლიერ პაროვნებას. უნაზეს ადამიანურ გრძნობებს — იმან სჯობია გადაწყლისთანავე დაბეროს ეს წიგნი, რომელსაც „ძველი ქართული მოთხრობა“ ეწოდება და რომლის გამოცემა ჩვენი კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. ვანა არა, ქართველმა მკითხველმა ადრევე მიიღო აგიოგრაფიული ტექსტების ცალკეული გამოცემები. მაგრამ ისინი მაინც. უპირველეს ყოვლისა, მეცნიერის თვალისათვის, მეცნიერული ანალიტიკის სიბრძნითა და სიზუსტით. ვარიანტების ჩვენებით იყო საკუთრდები და ა. შ.

რით არის თვალსაჩინო ამის შემდეგ „ძველი „ქართული მოთხრობის“ გამოცემა? პირველ რიგში იმით, რომ ეს აგიოგრაფიის დიდ მწერლობად აღიარების კიდევ ერთი დოკუმენტური დამოწმებაა. იმის ხმამაღლა თქმა, რომ აგიოგრაფიული პროზა დღესაც ისეთივე ცოცხალი და სამაგიდო წიგნია, როგორც: „დიდოსტატის მარჯვენა“, „მეფე ლირი“, „ვეფხისტყაოსანი“,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინა თუ „ილიადა“, „კაცია-ადამიანი?!“ და სხვანი და სხვანი. ყველას ჩამოთვლით ხელი და კალამი არ დაიღლება, წერილის სიგრძე და სიგანე რომ იტევდეს...

დღევანდელ მკითხველს წინ უდგეს ქართული ეგოიკრაფია და იქიდანაც სწავლობს, თუ როგორ უნდა გიყვარდეს სამშობლო, როგორ უნდა გაუღო გულის კარი შენს მიწაზე მცხოვრებს, შენს მზეზე და მთავრეზე, ალაზანზე და რიონზე შეუყვარებულ სხვა ეროვნების წარმომადგენელს, როგორ უნდა ზიდო გაშლილი მხრებით ადამიანური სიწმინდისა და მოკალკეობრივი მოვალეობის მძიმე ტვირთი, ვითარ არ უნდა მიიდრიკო სიცრუისა და სიხარბისაკენ, როგორ უნდა ეძებო ბედნიერება არა მაძღარ ნაყროვანებაში, ეგოიზმის ქვევრში, სიზარმაცის მთქნარებაში, არამედ სადღენიადაგო შრომაში, შემართებაში, ერის სამსახურში... როგორ უნდა იპოვო უკვდავება თვით სიკვდილშიც...

კითხულობ „ძველ ქართულ მოთხრობას“, ვითომ მშრალი აზრის ფერფლი უნდა ეყაროს თითოეულ ფურცელზე, ვითომ ქრისტე უნდა შემოგვცაქერიდეს ყოველი სიტყვიდან ჯვარცმულის თვალებით, მაგრამ არა, ამ წიგნში უფრო ღმერთთან მებრძოლი ადამიანი ჩანს, ამ მიწაზე, ამ მზეზე, ამ ყვავილსა და ბალახზე შეყვარებული. ამღერებული სულის ადამიანი, ზღვერი ადამიანი, მართალი ადამიანი, თვითდამკვიდრებისათვის მებრძოლი ადამიანი...

ეს დიდი მწერლობაა... მსოფლიო მნიშვნელობის მწერლობა...

სხვა სურნელი დგას ამ პროზაში... ფრაზა ხან მერცხალივით მოსხლეტილია, ხან არწივივით მძიმედ აფრენილი, ხან ბელტივით მძიმე. თვალიც ისე ხარობს ასოებთან შეხვედრისას, როგორც არქეოლოგის წერაქვს ამოყოლილი ყელყარყარა დოქების, გინა თუ ძვირფასი გულსამკაულის დანახვაზე...

ამ წიგნში ჩაცლილა ხვავი და ბარაქა ჩვენი ენისა. სტრიქონში მზე ჩაწურულა, არც თაფლი და გოლეული აკლია ამ სტრიქონს, არც მოქნეული შოლტის სიმწყვავე, არც ქართული ზნეშაღლობა, არც აზრის მძიმე საპალნე და არც სხვა რამ, ჩვენგან აქ მოუხსენებელი, რითაც დიდი მწერლობა არის გამორჩეული და სათაყვანებელი...

დიდი საქმე გაკეთდა, მამულიშვილური საქმე... საშვილიშვილო საქმე...

„ძველი ქართული მოთხრობის“ გამოცემა ერთხელ კიდევ ადასტურებს ჭეშმარიტ ნათქვამს, რომ აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა...

მურმან მურადაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკრის ფოთლები

ლია ბარათი

ნოდარ ჯალაღონიას ლექსების კრებულის „თიბათვის" გამო

კარგა ხანია არავისთვის მიმიწერია ლია ბარათი. მისაწერი კი ბევრი დაგროვდა. წინასწარ არასოდეს არ იცი, ვის მისწერ, არც ეგ კეცოდი, თუ ჯერი შენზე შეჩერდებოდა.

ამას წინათ შენი ახალი, პაწია წიგნი „თიბათვე" რამპირად ხელში. არ დაგიმალავ და იგი ბენზინის რიგში დგომისას წავიკითხე. თავდაც მანქანის პატრონი ხარ და კარგად მოგეხსენება, ზოგჯერ სათლობით ვდგავართ ხოლმე, უმეტესად პარასკევობით. შენი ადრინდელი ლექსებიდან ბევრი კარგი ლექსი მახსოვს ჩვენი მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბიუროს წყალობით შეხვედრებზედაც ხშირად ერთად გვივლია და იქაც სიამოვნებით მომისმენია შენი ახალი ლექსები. ეგეც არ იყოს, ამდენი ხნის მეგობრები ვართ, თუმცა, სამსახურისა თუ „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა" ხშირად ვეღარ ვხვდებით ერთმანეთს. ყოველივე ამის გამო გადაწყვეტე „თიბათვით" გამოწვეული ჩემი შთაბეჭდილება ლია ბარათის სახით მომეწვდინა შენთვის. აქვე მინდა, ეურნალ „ცისკარს" მადლი მოვახსენო, რომ ერთი მტკველია ადგილი დაუმადლებლად დამითო.

ჩემი პირველი და ბოლო გაფრთხილება მკითხველთა მიმართ ეს არის: ნუ შეაშინებენ მათ სტრიფული გამოცემა სადღეისო რუბრიკით — „მეათე ბუთლელის რიტმი". ამით სულაც არ მინდა დავამცირო ამ რუბრიკის მომწოდებლური, საუოველთაო მნიშვნელობა, მისი მაღალი პათოსი, მაგრამ, ლირიკა მაინც ლირიკაა და შეესაძლოოა, რომელიმე მკითხველთაგანი წამოეგოს იმ მოსაზრებას, თითქოს ამ წიგნში მოთავსებული ლექსები მხოლოდ და მხოლოდ მოვალეობის გამო იყოს დაწერილი, ან იმ მდარე ხარისხის ლექსებს მიაკუთვნოს, რომლებსაც არცოუ იშვიათად ამზეურებენ ჩვენი ეურნალ-გაზეთები. ვერც იმ ეურნალ-გაზეთების მესვეურთ ვაამტკუნებ — თანამედროვეობის ნიღაბს ამოფარებულ ავტორთა ფალანგებს რა გაუძლებს?!. ეს ისე, სხვათა შორის.

„ოდა თანამედროვეს", რითაც იხსნება შენი „თიბათვე", შეიძლება ამ წიგნის გვერდგვინდაც მივიჩნიოთ. ეს ლექსი იმ იდუმალი ტკივილით ფეთქავს, ყველა ჩვენგანი (პოეტებს ვგულისხმობ) რომ განიცდის, მაგრამ აღსარებისაგან თავს იკავებს, რამეთუ დიდია საკუთარ ძალაში თვითდაჯერების ზომოქმედება.

ამბო არის ოფლი დაღვრილი,
ნამდვილად კობდა, ფულ არ მეწერა,
თუ ერთხელ მაინც ბლეზი დაღლილი
ჩემს ლექსს ეახლეთან არ მოეფერა

. . .

თუ ერთხელ მაინც შენი წუხილი
ჩემი ლექსებით არ დაიტირე.

. . .

თუ ერთხელ მაინც თუში მეცხეარე
ჩემს ლექსს ხმალივით აღარ იშიშვლებს...

და ა. შ. ყოველი სტროფის ბოლო ორ სტრიქონში გამეღლავნებული ფარული „შაში რეფრენივით გასდევს და ჰკრავს მთელ ლექსს. ამგვარი შაში ყველასთვის ბუნებრივია. მშვენიერია „პოეტები და მთამსვლელები". ამ ლექსის ფინალმა („სიტკვის დამარცხება დიდი პატივია, სიტკვასთან დამარცხება — სიკვდილი") შალვა ამისულთაშვილის ერთი აღრინდელი ლექსი — „ჯიდელი სიტკვასთან" გამახსენა, თუმცა ამ ლექსებს არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო. რაც შეეხება მომდევნო ლექსს — „მთები", კარგად მორგებული სახეების შემდეგ მოულოდნელად ავკაკეს საკმაოდ ტრივიალური შედარება — „მთები — მიწის ძუძუები".

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსოვს, ტიციანი? — „ახალი მთების ვეფხვნ კუნძულებს — ორბელიანთა გაუთხოვარ ქალების ქოქუეებს".

დარწმუნებული ვარ, ჩემს მეგობრულ შენიშვნებს ასევე მეგობრულად მიიღებ, სხვანაირად დღა ბარათისაგან თავს შევიკავებდი.

მეცხვარეთა ცხოვრებისადმი მიძღვნილი ციკლიდან სიამოვნებით გამოვყოფდი: „ბებერი ხარის რქას", „დაკარგული სახელის ბალადას", „თუშ მეცხვარეებს", „მეცხვარის ცოლს", თუმცა, ცოტა არ იყოს, უნერხულად ეღერს ამ ლექსში ბოლო ორი სტროფონი: „ოჯახსა და ჭმრის სახელს ნაგაზივით დარაჯობს." „მითუმეტეს, წინა სტროფონებში ქალის პირსახეს „დანამულ ყაენრის" ადარებ. კარგი ლექსია „ეკეთა ქართული ვაზისა", ხოლო, „ჩადრი" ერთ-ერთ საუკეთესოდ მიმაჩნია. აგაშენა ღმერთმა, ახე ლამაზად რომ დაინახე ის ჩადრი, და ახე ლამაზად თქვი ეველა ქართველი კაცის სათქმელი.

„ჯადოსანი ლექსები" ადრეც მქონდა წაკითხული, მგონი „ლიტერატურულ საქართველოში" და, მართალი გითხრა, დიდად აფრთოვანებენი არც მაშინ დავრჩენილვარ და არც ახლა, როცა ხელმეორედ გადავიკითხე.

ეატარა ლექსში, რომელსაც „თიბათვე" ჰქვია, (იგი მთელ კრებულსაც ჰქვია), ერთ ასეთ მეტაფორას წავაწყდი: „გადათიბული მწვანე მინდორი დგას დარცხვენილი შიშველ ქალივით". ვერ წარმომიდგენია, როგორ ამიხსნი მინდვრის დგომას და როგორ დამაჯერებ, რომ იგი დარცხვენილ შიშველ ქალს გაგონებს?

მე მესმის შენი განსაკუთრებული [illegible]ლი ბათუმის მიმართ, მაგრამ არ მესმის შენი უცნაური პოზიცია: „როცა „თბილისის" მეოთხე გვერდზე განცხადებებმა კითხულობს ბათუმს, გულამღვრეული ოთახში ვერ ძლებ, ან უცაბედ წუხარ და დარდობ". სხვა ქალაქებმა თუ რაიონებმა რა დაგიშავეს, შე კაი კაცო? ახე უდმერთოდ რატომ იმტკბებ?

საკმაოდ მოზრდილი ბოლო ორი ლექსი „ქალღლდის ბალადა", რომელიც ხორხიშვილ თავზარდამცემ ტრაგედიას ეძღვნება, და „რწმენის ორდენის კავალერი" ამ წიგნის ბეშმარიტად მაგარი ზურგია და მათზე ალმად დაწერენ უფრო ხელმოწოფული კრიტიკოსები, რომელთაც, ბევრი კარგი წიგნი შეუფმრნეველი დარჩებათ ხოლმე ზოგი შემთხვევით, ზოგი შეგნებულად. გულნატკენ ავტორებს კი ისეა დარჩენილი, მომავალს იმედით უცქერონ.

როგორც ხედავ, შენიშვნები უმნიშვნელოა. ზოგი იმდენად უმნიშვნელო, რომ მოტანადაც არ ღირდა და არც მოვიტანენ. საერთოდ, მთელ წიგნში იგრძნობა დღევანდელი დღის ცაზრუნავი, შრომისა და სიკეთის ჰერროიკა. მიხარია, რომ ახე ენერგიულად. მხარდამხარ მიპყვები ჩვენი დროის გიგანტურ ნაბიჯებს და მის უზარმაზარ ორკესტრში შენი ხმა ისმის.

გულით გილოცავ ამ პაპეი „თიბათვეს" და გისურვებ მომავალში უფრო მეტი გეთიბოს და გეკონოს.

კეთილი სურვილებით —

ოთარ შალამბერიძე

გარეკანის მე-2 გვერდზე დადგი გურამიშვილის ძეგლი.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-28-45, პროზის — 72-26-30, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ცისკრის" დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-42-75.

გადაეცა ასაწყობად 22. ६. 80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 10. 80 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10, პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ.-საგ. ანაბეჭდი 15.85. შეკვ. № 2317. უე 00723. ტირაჟი 37.000.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასე მგონია

მზისკენ გატყორცნილ
        თანამგზავრებს როცა ვუყურებ,
ჩარხს ვაბრუნებ თუ
        მზისგულოვან ფიქრს ვაგუგუნებ, —
ასე მგონია,
        ჩვენი დროის ყველა მიღნევას,
ყველა სიკეთეს მე მომაწერს
        სხვა საუკუნე.
ზოგის სიმდაბლეს და სიმრუდეს
        როცა ვუყურებ,
ვიღაც რომ შფოთავს
        ან თუ წუწუნებს,
ასე მგონია,
        ჩვენი დროის ყველა შეცდომას
        და დანაშაულს
მე მომაწერს სხვა საუკუნე.

ლერი გეგიაშვილი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲤᲐᲡᲘ 60 ᲙᲐᲞ.

ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 76236

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ*

«ЦИСКАРИ»

**ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ**

მოსაზრება გამოთქვა... ძველებს უთქვამთ, ამ-კვეუნად რამდენი კაცია-კი, იმდენი ჭკუა და აზრიაო. ამათ კი, მოგეხსენებთან, ჭეშმარიტებას-თან მისაახლოვებლად ერთ ყალიბში თავმოყრა სჭირდებათ.

— ეგ კი ეგრეა, მაგრამ ძველებს იმაში ვერ დავეთანხმები...

— რაში, ძამიავ?

— აზრი ყველას საკუთარი როდი აქვს! — ოთარმა სიგარეტს უფრო იმიტომ მოუკიდა. კუბეს მძიმე ბიერი რომ ნაკლებად ეგრძნო. — თუ ნებას მომცემთ, იმ დარგის მოღვაწეებზე ვიტყვი ორიოდე სიტყვას, რომელთაც, ახე თუ ისე, კარგად ვიცნობ...

— ბრძანეთ, ბრძანეთ, საინტერესოა!

— მოდით, ჯერ თითო კიდევ დავლიოთ! — თქვა რომანმა. — ჩამოსახი, გურამ!

გურამმა ჭიქები შეავსო.

— მეგობრები, „ხიბვის" ვენახი გადაშენების გზაზე იყო მისული, — რომანმა ჭიქა მაღლა ასწია, ღვინო კრიალებდა, შუბეფის ისროდა. — ახლა ისევ დაიწყეს მისი მოშენება, თუმცა ჯერ-ჯერობით მაინც იშვათია, ჩვენი შეხვედრები კი, ჩვენი კონტაქტები ვისუფრთოთ, რომ ზშირი იყოს, ისევე წმინდა და ნაპერწკლიანი, როგორიც ეს ღვინოა!..

„ნიღბისანი ხარ! ვიცი, რა კონტაქტები და სიწმინდეც გაუფუძნია!"

— გაუმარჯოს! — სანდრომ ჭიქა სათითაოდ ყველას მიუკაზუნა...

ქალმა მოსცა და ჭიქა დადგა. რომანმა უკმა-ყოფილოდ გაშალა ხელები და უთხრა, ეს უკვე ამ უწმინდესი ღვინის, სადღეგრძელოს ნაგი-ნი შეურაცხყოფაიო. ქალმა ცოტა ისევ მოსცა, გაუღიმა და თქვა, მეტი ალარ შემიძლია, გამაბრუეო.

— შენ კი ჯარა, ბიძიკო, მეც კარგად შემაკვ-ჭიკა, ნალდმა ღვინომ ახე იცოს! — უთხრა სან-დრომ და ოთარს მიუბრუნდა. — აბა, ოთარ, განაგრძეთ, გისმენთ!..

— კი, ბატონო, — ოთარმა მსაპინძელს შეხე-და. — რომანნი დამემოწმება... სხვათა შორის, ცნობისთვის, მე და რომანი ერთ დროს ნათე-ხავები ვიყავით.

— ბიძაშვილის ქმარი იყო, ერთად ალ-ცხოვრობენ... რას იზამ, ზდები. მიუხედავად ამისა, ოთარს დიდ პატივს ვცემ, ნიჭიერი კა-ცია.

— ბოლოს და ბოლოს კოლეგები ვართ, არა, რომან?

— რა თქმა უნდა.

— ჩვენთან ახლა, ბატონო სანდრო, — განა-გრძო ოთარმა, — ოთხსაამდე მწერალია, რო-მელთაგან დიდი-დიდი ოცდახუთი, ოცდაათი თუ იქნება ნამდვილი ტალანტი. უმრავლესო-ბამ, ყოველ შემთხვევაში იმაი, რომელთა ნა-მოღვაწარსაც საკმაოდ ვიცნობ, თავის თავში კი არ აღმოაჩენს მწერალი, მოიგონეს, ოღლი, ოოფლო ცხოვრების შესაქმნელად. ამ ეპიგონთა ნაწერებში, თავისთავად ცხადია, ახალგაზრდა ნიჭი-რესოს და დამოუკიდებელს ვერაფერს ეპოვნი. ამისთვის კი, შემოქმედი, მწერალი იქნება ის თუ ჰხატვარი, თვითმყოფადი რომ იყოს, ცოცხ-რებისა საკუთარი თვალით დანახვა და განცდაა საჭირო. ეს ზოგისთვის ქრისტეს პერანგია და თავსაც არ იწუხებს, ზოგს კი, დამდგომიდან თან ლაპარაკობ.

— თქვენი აზრით, რა უნდა ჰქნან მათ? — ჭკეთხა ქალმა და სიგარეტი საფერფლეზე და-ბერტყა.

— ვინ?

— ამ ხალხმა, როგორც თქვენ თქვით, საკუთარი თვალი და გული რომ არ გააჩნიათ, ალბათ წერას თავი უნდა დანებონ.

— მაპატიეთ, რა გქვიათ?

— ნანა!

— ნანა, ერთმა ჭკვიანმა კაცმა, იცით, რა თქვა? წერს ბევრი, კვალს კი ერთეულები სტო-ვებენენ.

— კარგი ნათქვამია! ახლა საკუთარ თავზე-დაც გვითხარით რამე.

— მე პროფესიონალი არ გახლავართ!

— ვერ გავიგე, რისი თქმა გსურთ?

— მგონი, ეახლებად ვთქვი! — მიუგო ოთარმა, მაგრამ რომანის ხმის გაგონებაზე, რა ცნობისმოყვარე ხართ ეს ქალბატონ, რაღაც გა-ახსენედა და დასძინა: — შემიძლია განგიმარ-ტოთ: არ ვთბობულობ ხელოვნურ გამოცემებს, არც შეხვედრების მოწყობას, რადგან არ მიყ-ვარს ხაზეიმო ცერემონიალები, თითქმის ყო-ველთვის რომ სიყალბის იერი ადევს თან, არც სატელევიზიო გადაცემებს... — „რეცენზიებსო" ალარ თქვა — რომანს თავისი დამქმართა: ხაზე ჩამოუკაზხლდა და ისე აწრიალდა, შეეცოდა. ცმაყოფილი იყო ამ თამაშით, მიზანში მოკახ-ვედრე, ალბათ ისინდისებს და მომეშვებოდა.

— პროფესიონალი არ ვარო, ამბობთ, — თქვა ისევ ქალმა. — მაგ სიტყვის მნიშვნელო-ბა, რა თქმა უნდა, ყველამ ჯერ კიდევ სკო-ლაში ვიცოდით და არ დაგვიწყნია, მაგრამ თქვენმა ნათქვამმა, ცოტა არ იყოს, დამაბნია.

— დამშვიდდით!... ინფერერი ვარ და საბ-ლებს ვაშენებ, ნელიწყვიდი კი ორ-სამ წერილს ან მოთხრობას ვწერ, როცა ძალიერ მომწყურ-დება ხოლმე.

— ნელიწყვიდი ამხოლოდ ორ-სამჯერ გწყურ-დებთან?

— ოთარს არ გამოპარვია ქალის ირონია, მაგ-რამ არ აჰყვა, მშვიდად მიუგო:

— ზოგი შეტს ფიქრობს და ნაკლებს ლაპა-რაკობს, ზოგი კი — პირიქით.

— ეახლებია. — — რბილად, — გაცილებით ხმადაბლა თქვა ქალმა, ვიდრე აქამდე ლაპარა-კობდა და ლამაზი ღიმილი თვალებში შეაფრ-ქვია. — სამწუხაროდ, თქვენი არაფერი წაბი-